კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში

Curricular Reform For Democratic Principles and Civic Education in Teacher-Training Programs in Israel and in Georgia(CURE)

სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები

აღნიშნული კურსი შეიქმნა ერაზმუს+ პროექტის ,, კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში
პროექტის ნომერი: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP, ფარგლებში

პროექტის ხელმძღვანელი: რონდა სოფერი, გორდონის აკადემიური კოლეჯი, ისრაელი.

პროექტის კოორდინატორი საქართველოდან: შორენა მაღლაკელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი, თბილისი, საქართველო

კურსის შედგენაზე მუშაობდნენ:

შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით მალაზონია, პროფესორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სოფიკო ლობჟანიძე, პროფესორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თამარ ტალიაშვილი, პროფესორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მადონა მიქელაძე, პროფესორი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თინათინ მეფარიშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტი
გიორგი ჭუმბურიძე, ქუთაისის უნივერსიტეტი
გია ცუცხვაშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტი
თამარ მოსიაშვილი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
რედაქტორი: გვანცა ბურდული

The Course was developed in the framework of ERASMUS+ project **„Curricular Reform For Democratic Principles and Civic Education in Teacher-Training Programs in Israel and in Georgia(CURE)"**

Project number: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP

Project General Coordinator: Rhonda Sofer, Fordon Academic Colledge of Education, Israel

Project Local Coordinator from Georgian side: Shorena Maglakelidze, Professor at Arts and Science faculty, Ilia State University, Tbilisi, Georgia

Materials were developed by:
Shorena Maglakelidze – Professor, Ilia State University
Davit Malazonia – Professor, Ilia State University
Sofiko Lobzanidze - Professor,, Ilia State University
Tamar Taliashvili - Professor, ,Ilia State University
Ketevan Chkuaseli – Professor, Ivane Jvakhishvili Tbilisi State University
Madona Mikeladze – Professor, Shota Rustaveli Batumi State University
Tinatin Mepharishvili – Kutaisi University
Giorgi Chumburiodze - Kutaisi University
Gia Tsutskhvashvili - Kutaisi University
Tamar Mosiashvili – Civic Development Institute

Editor: Gvantsa Burduli

სარჩევი

თემა I. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საწყისები 7

1. სახელმწიფო და საზოგადოება: წარმოშობა და განვითარების ფორმები ... 7

1.1 სახელმწიფოსა და საზოგადოების წარმოშობა და განვითარება 7

1.2 ბუნებითი მდგომარეობა, საზოგადოებრივი ხელშეკრულება 16

1.3 სახალხო სუვერენიტეტი 20

1.4 ხელისუფლების დანაწევრება 23

2. პოლიტიკური რეჟიმები და მოქალაქეობა 27

2.1 პოლიტიკური რეჟიმები 27

2.2. ავტორიტარული რეჟიმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები 31

2.3. ავტორიტარიზმიდან დემოკრატიზაციისაკენ გარდამავალ პროცესზე მოქმედი ფაქტორები 32

2.4. მოქალაქეთა უფლებები ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმების დროს 34

2.5. დემოკრატიული რეჟიმები 36

2.6. პოლიტიკური რეჟიმების შეფასების ინდექსები 42

2.7. დემოკრატიული რეჟიმების სახელმწიფო მართვის ინსტიტუციონალური სისტემები 45

თემა 2. ადამიანის უფლებები, მათი დაცვის მექანიზმი და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება 51

1. ადამიანის უფლებათა გენეზისი 51

1.1. ადამიანის უფლებები - მათი სოციალური ფესვები და დანიშნულება 51

1. 2. ადამიანის უფლებათა სამართლებრივი საფუძვლები 59

1.3. ადამიანის უფლებების საკითხი საქართველოში..... 66

2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები..... 70

2.1 ადამიანის უფლებები და მათი არსი 70

2.2. ადამიანის უფლებათა სახეები..... 73

2.3. ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე 79

2.4. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება 82

2.5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია.ევროპის კონვენცია, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი..... 83

3. ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს ეროვნული სტრატეგია..... 86

3.1. სახელმწიფო და ადამიანის უფლებები..... 86

3.2 დემოკრატია და ადამიანის უფლებები..... 88

3.3. თანამედროვე საქართველო და ადამიანის უფლებები 89

3.4. ხელისუფლების შეხედულება ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში და მისი გაუმჯობესების გზებზე..... 92

3.5. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის მიზნები და 2014-2020 წლებში მისაღწევი შედეგები 95

3.6. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები..... 97

3.7. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესრულება და ანგარიშგება 99

თემა 3. დემოკრატია და აქტიური მოქალაქეობა..... 103

1. დემოკრატიის არსი, პრინციპები და განვითარების ტენდენციები..... 104

1.2. დემოკრატიის განვითარების ტენდენციები 107

1.3. დემოკრატიული მოწყობისა და მმართველობის საერთაშორისო მაგალითები ... 112

2. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული მოქალაქეობა 117

2.1. „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნება..... 117

2.2. სამოქალაქო საზოგადოების არსი და მნიშვნელობა..... 123

2.3. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში..... 124

2.4. სოციალური და პოლიტიკური მიდგომები, საკანონმდებლო ბაზა და რეჟიმი 128

2.5. დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობები, თანამშრომლობა და კოორდინაცია 131

3. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში - ტენდენციები 135

3.1. სამოქალაქო საზოგადოების არსი და განვითარების ეტაპები საქართველოში 135

3.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაფერხებელი მიზეზები 140

3.3. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და სამოქალაქო საზოგადოება..... 144

3.4. ქართული პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება.. 146

3.5. სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან..... 148

3.6. ქართული სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა 149

3.7.სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში..... 153

თავი IV. განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის 158

1. დემოკრატიული მოქალაქეობის თეორიული, პრაქტიკული და ნორმატიული საფუძვლები 158

1.1. განათლების სოციალური ფუნქცია 158

1.2. რატომ განათლება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ?..... 160

1.3. საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიული მოქალაქეობის თეორიულ, პრაქტიკულ და ნორმატიულ საფუძვლებს..... 161

1.4. განათლების პოლიტიკის ეროვნული დოკუმენტები..... 172

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების საქმეში 186

2.1. სასკოლო განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის..... 186

2.2. სკოლის როლი მოსწავლეებში დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებაში 189

2.3. საგანმანათლებლო პარადიგმები, რომელსაც ეფუძნება განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის 191

3. დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების მეთოდოლოგია..... 197

3.1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება 197

3.2. .....რომელ სტრატეგიებს გვთავაზობენ დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისთვის? 201

3.3. სიმულაცია, ანუ როლური თამაში..... 209

3.4. შემთხვევის ანალიზი 212

3.5. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება..... 217

თემა I. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საწყისები

1. სახელმწიფო და საზოგადოება: წარმოშობა და განვითარების ფორმები

1.1 სახელმწიფოსა და საზოგადოების წარმოშობა და განვითარება

სახელმწიფო განსაკუთრებული სახის პოლიტიკური სტრუქტურაა, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. სახელმწიფოს წარმოშობა განპირობებულია მთელი რიგი კულტურული. ეკონომიკური, კლიმატური, გეოგრაფიული, რელიგიური და სხვა ფაქტორებით, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს ფორმირების მიზეზების, პირობებისა და ფორმების გამიჯვნა.

სახელმწიფოს შექმნისა და მისი განვითარების მიზეზი საზოგადოების თვითგანვითარება იყო, რომელსაც განვითარების საკუთარი შიდა მექანიზმები და სტიმულები გააჩნია, რაც მოითხოვს კოორდინირებულ მიზანმიმართულ ზემოქმედებას ერთიანი ცენტრიდან. აღნიშნულს გარკვეულწილად ხელი შეუწყო ბუნებრივ-კლიმატური პირობების ცვლილებამ და ამ პერიოდში დაწყებულმა შრომითი საქმიანობის სპეციალიზაციამ, მაგრამ ეს არ იყო სახელმწიფოს წარმოშობს მიზეზი. მან მხოლოდ ხელი შეუწყო და დააჩქარა ეს პროცესი.

სახელმწიფოს წარმოშობის ძირითადი მიზეზები გახდა: 1. შრომის სამი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება (მიწათმოქმედ და მეჯოგე ტომებად დაყოფა(1), ხელოსნების გამოყოფა(2) და ვაჭართა კლასის გაჩენა(3)); 2. ჭარბი პროდუქტის შექმნა, რამაც საფუძველი ჩაუყარა გაცვლის პროცესის განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვა შრომისა და საკუთრების გაყოფა და კერძო მესაკუთრეების გაჩენა 3. საზოგადოების წევრების სოციალური და კლასობრივი სტრატიფიკაცია, რომელიც გამოწვეულია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ქონების დაგროვებით. სიმდიდრის დაგროვებამ, რომელსაც ასევე ხელს უწყობდა მუდმივი ომები, კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობა და სიმდიდრის ლოკალიზება ადამიანთა მცირე

ჯგუფის ხელში, რომელთაც თავიანთი ლიდერი (ბელადი) ჰყავდათ. მათი ძალაუფლება თანდათანობით მემკვიდრეობითი ხდებოდა. დაწესებული გადასახდელები გადაიქცა გადასახადებად. შესაბამისად, საფუძველი ეყრებოდა სახელმწიფოს წარმოშობას. თუმცა, მოსაზრება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არაერთგვაროვანია და იგი, როგორც სოციალური ინსტიტუტი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ფილოსოფოსების, იურისტებისა და ისტორიკოსების სერიოზული განსჯის საგანი. უდიდეს მოაზროვნეთა მთელი თაობები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაეცათ პასუხი შეკითხვაზე - თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო და რა როლს ასრულებს ის საზოგადოების ცხოვრებაში? მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პლატონის, არისტოტელეს, მაკიაველის, ჰობსის, მონტესკიეს, ჰეგელის და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ამ თემას ეძღვნება.

ნებისმიერი საგნის ან მოვლენის ანალიზისას, პირველ რიგში, საჭიროა დავადგინოთ მისი წარმოშობა. სახელმწიფოს წარმოშობის შესწავლას აქვს არა მარტო შემეცნებითი და აკადემიური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ ამ ინსტიტუტის სოციალურ ხასიათს და მისი ფუნქციონირების მრავალფეროვან მექანიზმებს.

საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა თეორიები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არა მარტო ამ თეორიათა შემქნელების, არამედ იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის და ინტელექტუალური საზოგადოების განწზოგიერთი მათგანი:

თეოლოგიური თეორია – (ძვ.ბერძ. Teos – ღმერთი, logos – სწავლება, აზრი, სიტყვა) ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოძღვრებაა. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს წარმოშობა და არსებობა ღვთაებრივი ნების გამოხატულებაა. აქედან გამომდინარე ხელისუფლება მარადიული და შეუცვლელია, ხოლო მისადმი მორჩილება აუცილებელია. ეს მოძღვრება გვეუბნება, რომ ხელისუფალნი მოქმედებენ ღმერთის სახელით, მათი ძალაუფლება ღვთაებრივ ხასიათს ატარებს, ხოლო სახელმწიფოში გამოცემული კანონები ღვთაებრივ სამართლიანობას შეესაბამება.

ძველ სამყაროში სახელმწიფოს წარმოშობის რელიგიურ-მითოლოგიური თეორიები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ, რაც იმდროინდელი საზოგადოების ისტორიული განვითარებით აიხსნება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოსაყოფია ძველეგვიპტური, ბაბილონური, ჩინური თუ ინდური მოძღვრებები. ასე მაგალითად, ჰამურაბის კანონებში პირდაპირ წერია მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ: „ღმერთებმა დაადგინეს მეფე ჰამურაბი „შავთავიანების" ბრძანებლად"... „ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა არის ადამიანის ჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის სწორია".

პატრიარქალური თეორია – ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და რომში. მის ფუძემდებლად ევროპაში არისტოტელე ითვლება. ეს თეორია გარკვეული ხნის განმავლობაში დავიწყებას მიეცა, თუმცა შუა საუკუნეების აბსოლუტიზმის ეპოქაში კვლავ აღორძინდა და ჩვენს დრომდე მოაღწია.

პატრიარქალური თეორიის მიხედვით, ადამიანი, როგორც კოლექტიური არსება ისწრაფვის სხვა ადამიანთან ურთიერთობას და ოჯახის შექმნას, ხოლო ოჯახის განვითარება წარმოშობს სახელმწიფოს. არისტოტელე სახელმწიფოს იმ პროდუქტად მიიჩნევს, რომელიც ოჯახების გამრავლების, გავრცობისა და გაერთიანების შედეგად წარმოიშვა. ფილოსოფოსი თვლიდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არის გაგრძელება გვაროვნულ საზოგადოებაში არსებული მამის (პატრიარქის) ხელისუფლებისა.

ჩინეთში, სახელმწიფოს, როგორც დიდი ოჯახის თეორია განავითარა კონფუციმ. იმპერატორის ძალაუფლებას ის აიგივებდა მამის ძალაუფლებასთან, ხოლო მმართველისა და ქვეშევრდომების ურთიერთობას – ოჯახურ ურთიერთობასთან, სადაც უმცროსები ყოველთვის უნდა ემორჩილებოდნენ უფროსის ნებას. რაც შეეხება მმართველებს, ისინი ვალდებულნი არიან იზრუნონ ხელქვეითებზე, როგორც საკუთარ შვილებზე.

XVII საუკუნის მოაზროვნემ – ფილმერმა, თავის ნაშრომში – „პატრიარქი", კიდევ უფრო განავრცო ეს თეორია. მისი აზრით, მონარქის ხელისუფლება შეუზღუდავია, რადგანაც მომდინარეობს ადამისგან, რომელმაც ძალაუფლება ღმერთისგან მოიპოვა. ამიტომ ადამი არა მარტო კაცობრიობის მამამთავარია, არამედ მისი ბრძანებელიც, ხოლო მონარქებმა, როგორც ადამის შთამომავლებმა მემკვიდრეობით მიიღეს მისგან საკუთარი ძალაუფლება.

ამ თეორიიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო თავისებური „დიდი ოჯახია". რომელიც მრავალი პატარა ოჯახისგან შედგება.

ერთი მნიშვნელოვანი თეორიაა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, სახელმწიფოს რაობის რამდენიმე განმსაზღვრელი თეორია არსებობს. პლურალისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო საზოგადოების დაპირისპირებული ჯგუფების ინტერესების მიუკერძოებელ არბიტრს წარმოადგენს; მარქსისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ამყარებს კლასობრივ სისტემას ჩაგრული კლასების დაჩაგვრის ან კლასობრივი დაპირისპირების გაღრმავების გზით. ახალი მემარჯვენეები კი სახელმწიფოს თვითკმარ ურჩხულად წარმოადგენენ, რომელიც გაფართოებისა და მოხვეჭისკენაა მიდრეკილი. რადიკალი

ფემინისტები კი იმ პატრიარქალურ გადახრებზე მიგვითითებენ, რაც სახელმწიფოში მამაკაცთა ძალაუფლებას აძლიერებს.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილავთ სახელმწიფოს წარმოშობის თეორიებს, უნდა განისაზღვროს როგორია მისი ძალაუფლება და შესაბამისად როლი და პასუხისმგებლობა, რომელსაც იგი ასრულებს. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? რა ფუნქცია-მოვალეობები უნდა იკისროს მან და რა უნდა მიანდოს კერძო პირებს? ეს არის ის კითხვები, რომელთა გარშემოც ტრიალებს საარჩევნო პოლიტიკა და პარტიული კონკურენცია. ანარქისტების გარდა, რომლებიც სახელმწიფოს იმთავითვე ბოროტ და უსარგებლო წარმონაქმნად მიიჩნევდენ, ყველა სხვა პოლიტიკური თეორია მას აუცილებლად და საჭიროდ მიიჩნევს. სახელმწიფოს ნგრევის ლენინური ლოზუნგით შთაგონებული რევოლუციონერი სოციალისტებიც კი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისას დროებითი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას აღიარებდნენ. ამის მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა შეთანხმება სახელმწიფოს ზუსტი როლის შესახებ და შესაბამისად, მკვლევარები ვერ ჩამოყალიბდნენ, თუ როგორი უნდა იყოს ბალანსი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. არსებობს სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები. ესენია:

- მინიმალისტური სახელმწიფო
- ევოლუციური სახელმწიფო
- სოციალურ-დემოკრატიული სხელმწიფო
- კოლექტივიზებული სახელმწიფო
- ტოტალიტარული სახელმწიფო

მინიმალისტური სახელმწიფო კლასიკური ლიბერალიზმის იდეალია, რადგან მის მიზანს პიროვნებისთვის მაქსიმალური თავისუფლების მიღწევის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს შეხედულება სოციალური კონტრაქტის თეორიიდან მომდინარეობს მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფოს შესახებ „ნეგატიური“ შეხედულების განმამტკიცებლად გვევლინება. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს უმთავრეს ღირსებაა ადამიანთა მოთოკვა, რომ ერთი პიროვნების უფლებებმა სხვათა თავისუფლებებს არ შეუქმნას საფრთხე. სახელმწიფო, მხოლოდ დამცავი მექანიზმია და მისი ძირითადი ფუნქციაა მშვიდობისა და სოციალური წესრიგისთვის ისეთი საზღვრების დადგენა, რომელშიც მოქალაქეები თავიანთ ცხოვრებას ისე მოიწყობენ, როგორც თვითონ თვლიან საჭიროდ. ლოკის ცნობილი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, „სახელმწიფო ღამის გუშაგია, რომლის დახმარებაც მხოლოდ საფრთხის გამოჩენის შემთხვევაში ხდება საჭირო“. მინიმალისტურ, ანუ „გუშაგ-სახელმწიფოს“ სამი უმთავრესი დანიშნულება აქვს: პირველი და უმთავრესი - სახელმწიფო წესრიგის უზრუნველსაყოფად არებობს, მეორე - იგი ზრუნავს

ცალკეულ მოქალაქეთა შორის დადებული კონტრაქტებისა და ნებაყოფლობითი შეთანხმებების შესრულებაზე და მესამე - სახელმწიფო იცავს მოქალაქეებს საგარეო თავდასხმისაგან. აქედან გამომდინარე, მინიმალისტური სახელმწიფოს ინსტიტუციონალური აპარატი შემოიფარგლება საპოლიციო ძალებით, სასამართლო სისტემითა და გარკვეულწილად, შეიარაღებული ძალებით. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და სხვა პასუხისმგებლობები პიროვნების საქმეა და შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების საზრუნავია.

მინიმალისტური სახელმწიფოების თანამედროვე მაგალითებად ბევრი ისეთ აზიურ სახელმწიფოებს მიიჩნევს, როგორიცაა: ტაივანი, სინგაპური და მალაიზია.

ევოლუციური ეწოდება ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში ერევა კონკრეტული განზრახვით, რომელიც ინდუსტრიული ზრდისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ეს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ქვეყნის მსხვილ ეკონომიკურ ინტერესებს შორის პარტნიორობის დამყარებას, რასაც ხშირად კონსერვატიული და ნაციონალისტური პრიორიტეტები უდევს.

ევოლუციური სახელმწიფოს კლასიკური მაგალითია იაპონია. 1868-1912 წლებში, იაპონიის სახელმწიფომ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა უდიდეს საოჯახო ბიზნეს-იმპერიებთან, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე მთელი იაპონური ეკონომიკა ეჭირათ ხელში. 1945 წლიდან, იაპონიის სახელმწიფოს განვითარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელმაც იაპონიის ბანკთან ერთად შეიმუშავა კერძო ინვესტიციების პროგრამა და მიზნად დაისახა იაპონური ეკონომიკა საერთაშორისო თვალსაზრისით კონკურენტუნარიანად ექციათ. განვითარებადი ჩარევის მსგავსი მოდელი არსებობდა საფრანგეთშიც, სადაც როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე მთავრობები ერთნაირად აღიარებდნენ ეკონომიკური დაგეგმვის აუცილებლობას; სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი კი ეროვნული ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. ავსტრიაში და, გარკვეული თვალსაზრისით გერმანიაშიც, ეკონომიკური პროგრესი ე.წ. „პარტნიორული სახელმწიფოს“ შექმნის შედეგად იქნა მიღწეული. ახლახანს, ეკონომიკურმა გლობალიზაციამ „კონკურენტული სახელმწიფოების“ აღმოცენებას შეუწყო ხელი, რის თვალნათელ მაგალითად აღმოსავლეთ აზიის „ხუთი ვეფხვის“ ეკონომიკა გამოდგება (ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, მალაიზია); ტრანსნაციონალური კონკურენციის გაძლიერების პირობებში, ამ ქვეყნებმა საკუთარ თავზე აიღეს ეროვნული კეთილდღეობის სტრატეგიათა შემუშავება და განხორციელებაც.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო. თუ ევოლუციური სახელმწიფოები ეკონომიკაში ჩარევას პროგრესის უზრუნველყოფის გამო არ ერიდებიან, სოციალ-დემოკრატიული

სახელმწიფოები ამ პრაქტიკას უფრო სხვა გამართლებას უძებნიან და როგორც წესი, პატიოსნების, თანასწორობის და **სოციალური სამართლიანობის** პრინციპების შესაბამისად საზოგადოების საფუძვლიან სახეცვლილებაზე საუბრობენ ხოლმე. ასე მაგალითად, ავსტრიასა და შვედეთში სახელმწიფო ჩარევა როგორც განვითარების, ისე სოციალ-დემოკრატიული პრიორიტეტების კარნახით ხდებოდა. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო არა მარტო მოწესრიგებული არსებობის პირობებს ქმნის, არამედ აქტიური მონაწილეცაა და ცდილობს შეარბილოს საბაზრო ეკონომიკის უთანასწორობა და უსამართლობა. მისთვის მთავარია არა სიმდიდრის დაგროვება, არამედ ამ სიმდიდრის თანაბრად და სამართლიანად განაწილება. რასაც პრაქტიკაში სიღარიბის მოსპობისა და სოციალური უთანაბრობის შემცირების მცდელობამდე მივყავართ.

კოლექტივიზირებული სახელმწიფო. თუ ევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძირითადად კერძო ეკონომიკის სამართავად ან მხარდასაჭერად ერევიან, კოლექტივიზირებული სახელმწიფოები ეკონომიკას მთლიანად საკუთარ კონტროლს უქვემდებარებენ. ამგვარი სახელმწიფოს საუკეთესო მაგალითები საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის გასაბჭოებული ქვეყნებია. მათ ბოლო მოუღეს კერძო მეწარმეობას და ეკონომიკური სამინისტროებისა და დაგეგმარების კომიტეტების ქსელის მიერ მართული ეკონომიკის ცენტრალურად დაგეგმილი სისტემა შექმნეს. ეს გახლდათ ე.წ. „მბრძანებლური ეკონომიკა“, რომელიც „ზემოდან“ იგეგმებოდა და კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონების მხრიდან კონტროლირდებოდა. სახელმწიფოს **კოლექტივიზაციის** ახსნა მომდინარეობს სოციალიზმის ფუნდამენტური პრინციპიდან, რომელიც კერძო საკუთრებას საერთო საკუთრებას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს გამოყენება ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ძალაუფლებისადმი იმ უფრო დადებით დამოკიდებულებაზე მიანიშნებს, რაც მარქსისა და ენგელსის (1820-1895) კლასიკურ ნაშრომებშია ასახული.

ტოტალიტარული სახელმწიფო. ჩარევის ყველაზე უკიდურესი ფორმა და ინტენსიურობა ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ახასიათებთ. ტოტალიტარიზმის არსს წარმოადგენს ყოვლისმომცველი სახელმწიფოს შექმნა, რომლის გავლენაც ადამიანის არსებობის ყველა სფეროზე აისახება. სახელმწიფო თავის უშუალო კონტროლის ქვეშ აქცევს არა მარტო ეკონომიკას, არამედ განათლებას, კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ყოფასა და ა.შ. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია ჰიტლერის გერმანია და სტალინის საბჭოთა კავშირი. თუმცა, ასეთი რამ დამახასიათებელია ზოგიერთი თანამედროვე რეჟიმისთვისაც, როგორიც იყო, მაგალითად, სადამ ჰუსეინის ერაყი. ასეთი რეჟიმის მთავარი საყრდენს მუდმივი მეთვალყურეობისა და ტერორის პოლიტიკა, იდეოლოგიური მანიპულირების მკაცრი სისტემა და ერთიანი კონტროლი წარმოადგენს.

ტოტალიტარული სახელმწიფოები წარმატებით ახშობენ სამოქალაქო საზოგადოებას და ცხოვრების „პირად“ სფეროებსაც უკიდურესად ზღუდავენ.

სახელმწიფო შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად:

სახელმწიფო არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში სუვერენულ იურისდიქციას ახორციელებს. სახელმწიფო აერთიანებს ყველა საჯარო ინსტიტუტს და განუხრელ ძალაუფლებას ფლობს გამომდინარე იმ დაშვებიდან, რომ იგი გამოხატავს საზოგადოების და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ჯგუფის მუდმივ ინტერესებს.

სახელმწიფო შეიძლება ხუთი ძირითად ნიშან-თვისებით დავახასიათოთ:

- სახელმწიფო „უზენაესია“ და იგი აბსოლუტურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას ახორციელებს, რამდენადაც ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებასა თუ ჯგუფზე მაღლა დგას. თომას ჰობსმა სახელმწიფოს ეს იდეა ბიბლიური ლევიათანის ანუ გიგანტური „გველეშაპის“ ალეგორიად წარმოსახა.
- სამოქალაქო საზოგადოების „კერძო“ ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ინსტიტუტები იმთავითვე „საჯარო“ ხასიათისაა. ანუ სახელმწიფო დაწესებულება პასუხისმგებელია კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელებაზე, მაშინ როცა ოჯახი, კერძო ბიზნესი და პროფკავშირები პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.
- სახელმწიფო კანონიერების აღსრულებას გულისხმობს. მისი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, საზოგადოების ნების გამოხატულებაა და იგულისხმება, რომ საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვითაა განპირობებული. ამდენად, სახელმწიფო საზოგადოების მუდმივი ინტერესების დამცველად ითვლება.
- სახელმწიფო ბატონობის საშუალებაა, რადგან მისი ავტორიტეტი იძულებას ემყარება; მას უნდა შესწევდეს უნარი, სათუოდ არ გახადოს არც კანონის მორჩილება, არც კანონდამრღვევთა დასჯა. შესაბამისად, „კანონიერი ძალადობის“ (მაქს ვებერი) მონოპოლია სახელმწიფოს უზენაესობის პრაქტიკული გამოვლინებაა.
- სახელმწიფო ტერიტორიალური გაერთიანებაა; მისი იურისდიქცია გეოგრაფიულადაა განსაზღვრული და ვრცელდება ყველაზე, ვინც მის საზღვრებში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან თუ არა. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო (თეორიულად მაინც) ავტონომიურ ერთეულად მოიაზრება.

ადამიანი მარტო არ ცხოვრობს, იგი არსებობს ადამიანთა დიდ კრებულში, მოიფიქროს ცხოვრების იმგვარი ზოგადი წესები, რომელიც საზოგადოებას მოწესრიგებული არსებობის საშუალებას მისცემს. ასეთი წესებით ცხოვრება არც თუ ისე უმტკივნეულოდ ხდება, რადგან ცალკეული ადამიანებისაგან ბევრ პირად ინტერესზე უარის თქმას მოითხოვს.

სახელმწიფო არსებობს საზოგადოებისათვის, საზოგადოება კი თავისი არსით წინააღმდეგობრივი წარმონაქმნია, რომელიც არასდროსაა სრულიად ერთგვაროვანი - იგი ყოველთვის შედგება ერთმანეთისაგან განსხვავებული ერთობებისაგან, ჯგუფებისაგან, რომლებსაც სხვადასხვა მიზნები, ღირებულებები გააჩნიათ. ამიტომ სახელმწიფოს, ხელისუფლების სახით, სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით უხდება ამ წინააღმდეგობათა გადალახვა და განსხვავებული სეგმენტებისაგან მეტ–ნაკლებად ერთგვაროვანი პოლიტიკური და სამოქალაქო სულისკვეთების მქონე ორგანიზმის ჩამოყალიბება.

დადასტურებული ფაქტია, რომ სახელმწიფოში, რომლის საზოგადოებაში არ არსებობს საერთო, მყარი ეროვნული თანადგომის განცდა, ხშირია შიდა დაპირისპირებები.

საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის დაშემდეგ საკუთარ თავზე გამოსცადა ამგვარი პროცესი. ეს უმთავრესად იმის გამოხატულება იყო, რომ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს, ოსებს, აფხაზებს, სომხებს და კიდევ სხვა ხალხებს არ ჰქონდათ ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სოლიდარობის შეგრძნება და საკუთარ თავს უფრო სხვადასხვა ერთობებად გაიაზრებდნენ, ვიდრე ერთი დიდი ეროვნული სხეულის ნაწილად. შედეგად, მათ შორის ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება მესამე დაინტერესებული მხარისთვის ფრიად მატივი აღმოჩნდა, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა.

ადამიანთა საერთო ინტერესებსა და ამოცანებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ერთობას განამტკიცებს საერთო ღირებულებები. სწორედ მათი წყალობით ურთიერთობენ და ინარჩუნებენ ერთობას ადამიანები.

საზოგადოება უფლებამოსილია, პასუხი მოსთხოვოს მმართველებს მათ ნამოქმედარზე. მოთხოვნის საფუძველს ის გარემოება განაპირობებს, რომ საზოგადოების წევრები სახელმწიფოსთან და ხელისუფლებასთან სამართლებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან და ასეთი კანონისმიერი სამართლებრივი კავშირი მოქალაქეობის ინსტიტუტს წარმოშობს, რაც მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებაში სრულად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობის რეალიზებას. ამდენად, ადამიანს, რომელიც ასეთ კავშირში იმყოფება სახელმწიფოსთან, ანუ მოქალაქეს, უფლება აქვს ხელისუფლებას მის ქმედებაზე პასუხი სრულად მოსთხოვოს.

განვასხვავოთ ორი ძირითადი მოდელი იმისა, თუ როგორ ახერხებს ხელისუფლება ქვეყანაში ერის შექმნას და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას. ეს არის ერის ე.წ. „სამოქალაქო“ და „ეთნო–კულტურული“ გაგება. ერის „სამოქალაქო“ გაგების მიხედვით ერის წევრად ცხადდება ქვეყნის ყველა მაცხოვრებელი, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობის თუ რელიგიური

კუთვნილებისა, თუკი მას გააჩნია კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობა და მზადყოფნას აცხადებს ამ სახელმწიფოში არსებული კანონების დაცვისადმი. ეს არის ერის ფრანგული და ანგლოსაქსური ტრადიცია. ერის ეთნო-კულტურული გაგება უმთავრესად გერმანული პოლიტიკური ტრადიციისაა, რომელიც ერის წევრად აცხადებს მხოლოდ იმ პირს, ვინც ამა თუ იმ ერის წევრია წარმოშობით და სისხლით ნათესაობით და არა მოქალაქეობით. არსებობს ერად ქმნადობის რამდენიმე უახლესი მოდელიც, მაგრამ ეს ორი მოდელი კლასიკურია და ყველა დანარჩენი მათ ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ თავს ეთნო-კულტურული ნიშნების მიხედვით გაიაზრებს და ასე აქვს წაროდგენილი ამა თუ იმ ერის წევრობა. თუმცა, ბოლო წლებია მთვარობამ საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ერთიანი სამოქალაქო თვითშეგნება გაეღვივებინა და სამოქალაქო თანასწორობის მეტი სიმწიფისათვის მიეღწია. ოფიციალური დოკუმენტაციიდან ამოღებულია ,,ეროვნების“ გრაფა, რაც საბჭოთა დროინდელი გადმონაშთი იყო და ერთმანეთისაგან ყოფდა ,,ეროვნებას“ და ,,მოქალაქეობას“. ეს ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ნელა–ნელა საქართველოს მოსახლეობა ,,ქართველ ერად“ გადაიქცეს, ოღონდ არა მისი ეთნო-კულტურული, არამედ სამოქალაქო გაგებით - „ქართველი ერის“ წევრია საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი სისხლისმიერი და ეთნიკური წარმოშობისა.

თანამედროვე სახელმწიფო ცდილობს საყოველთაო სავალდებულო საგანათლებლო პროგრამების, ერთიანი სახელმწიფო ენის დანერგვით, ჯარში საყოველთაო სამსახურის დაწესების, საერთო სიმბოლოების (დროშა, ჰიმნი, გერბი) პოპულარიზაციით და სხვა მეთოდითაც მიაღწიოს ეროვნული იდენტობის ფორმირებას ერის სამოქალაქო გაგების საფუძველზე.

თანამედროვე საზოგადოება უკიდურესად რთული სოციალური მოვლენაა, როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დღევანდელი ურბანიზებული საზოგადოება სრულიად განსხვავებული ფენებისა თუ დაინტერესებული ჯგუფებისაგან შედგება, რომლებსაც განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნიათ. ლოგიკურია, რომ იქ, სადაც განსხვავებული მიზნები და ამოცანებია, ადამიანებმა მათი გადაჭრის განსხვავებული ხერხები და მექანიზმები უნდა ეძიონ.

სახელმწიფო საზოგადოების იმგვარი ორგანიზაციული განვითარების ფორმაა, როდესაც საზოგადოებამ ფორმალურად დადგენილი წესების მიხედვით უნდა იცხოვროს და დაემორჩილოს მოცემულ წესებს, რომლებსაც ხშირად შესაძლოა არც ეთანხმებოდეს. ამგვარი

შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, ადამიანი მაინც თანახმაა შეასრულოს დადგენილი წესები, რასაც კანონებს ვუწოდებთ.

1.2 ბუნებითი მდგომარეობა, საზოგადოებრივი ხელშეკრულება

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია, თანამედროვე დასავლური სამყაროს ისტორიაში ერთ-ერთ დომინანტურ მორალურ-პოლიტიკურ თეორიას წარმოადგენდა და დღემდე ბევრი მიმდევარი ჰყავს. ის სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემატიკის ორიგინალურ გადაწყვეტას გვთავაზობს: მას შემდეგ, რაც ადამიანებმა თავი დააღწიეს „ბუნებრივ“ მდგომარეობას, გაერთიანდნენ სახელმწიფოში, ნებაყოფლობითა და ურთიერთთანხმობით დადებული „ხელშეკრულების“ საფუძველზე, მათ საკუთარი ნებით გაასხვისეს თავისუფლების ნაწილი, რათა დაცული ყოფილიყო მათი სიცოცხლის უსაფრთხოება და საკუთრების უფლება.

ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. ათენელმა ფილოსოფოსმა ეპიკურემ (ძვ. წ. აღ. 341-270) ერთ-ერთმა პირველმა განიხილა სახელმწიფო, როგორც ადამიანთა შორის ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობა. თუმცა, მისთვის საკითხის ბევრი მხარე ბუნდოვანი დარჩა – მან ვერ გაარკვია რა ურთიერთობა უნდა ყოფილიყო ამ სოციალურ ორგანიზმსა და პიროვნებას შორის.

ჰოლანდიელი მოაზროვნე ჰუგო გროციუსის (1583-1645 წ.წ.) შეხედულებით, ბუნებით საზოგადოებაში ცხოვრებამ ადამიანს ასწავლა, რომ მარტო სუსტი იქნებოდა გარემოსთან ბრძოლაში. საჭირო იყო, „ხელშეკრულების საფუძველზე“ ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაიცავდა ადამიანებს და მოაწესრიგებდა მათ შორის ურთიერთობებს. გროციუსი ხალხის სუვერენობას ცნობს, მაგრამ არ აძლევს მას უფლებას ამხედრდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგან მისი მოსაზრებით, სახელმწიფოს სახით ხალხს თავისი ბუნებითი უფლება გარკვეულწილად სუვერენისათვის სამოქმედოდ გადაუცია. მაგრამ, გროციუსის აზრით, რაკი სახელმწიფო კერძო ინიციატივის შედეგია და ინდივიდის დაცვის მიზნით წარმოიშვა, იმდენად გონივრულია, რამდენადაც პიროვნებას და მის ინდივიდუალობას იცავს. თითოეულ თავისუფალ ხალხს თავად შეუძლია აირჩიოს მმართველობის ის ფორმა, რომელიც მას სურს და რომლის აუცილებლობასაც ობიექტური პირობები უკარნახებენ.

თეორიის შემდგომი განვითარება ინგლისელი განმანათლებლის, თომას ჰობსის (1588- 1679 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული.

ჰობსმა შემოიტანა ახალი დროის პოლიტიკის თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი ცნება: ბუნებითი მდგომარეობა. ეს ის მდგომარეობაა, როცა სახელმწიფო ჯერ არ არსებობს, ანუ არ არის

ძალა, რომელსაც ყველა ადამიანი დაემორჩილება და ყველა თავის თავზეა მინდობილი. ამ პირობებში ადამიანის ძირითადი მახასიათებლებია თავისუფლება და თანასწორობა. პირველი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მის ინტერესებს შეესაბამება. ეს მისი ბუნებითი უფლებაა. მეორეს მხრივ, ადამიანების გონებრივი და ფიზიკური უნარები დაახლოებით თანასწორია: არავინ არის იმდენად ძლიერი და ჭკვიანი სხვებზე, რომ, მხოლოდ ამის გამო, ყველაზე გაბატონდეს ან ამის საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, ბუნებითი მდგომარეობა არის ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. რაკი არ არსებობს უზენაესი ძალაუფლება, რომელსაც ყველა დაემორჩილება, ადამიანები დაუცველად გრძნობენ თავს: მათი ძირითადი მამოძრავებელია ძალადობრივი სიკვდილის შიში. მათ იციან, რომ მეორე ადამიანს ვერავინ დაუშლის მათი სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფას და ცდილობენ, თავად დაასწრონ თავდასხმა. ასეთი ქცევა საკუთარი სიცოცხლის დაცვითაა ნაკარნახევი, ამიტომ მას რაიმე მორალურ შეზღუდვას ვერავინ დაუწესებს. საყოველთაო ომის ვითარება ამავე დროს საყოველთაო უბედურებაცაა: აქ „კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, მწარე, ცხოველური და მოკლე“. მუდმივი შიშის მდგომარეობამ დღის წესრიგში ამ ვითარებიდან თავის დაღწევის აუცილებლობა დააყენა. თომას ჰობსის „ლევიათანში“ (მოკვდავი ღმერთი) მთავარი ვნება შეიძლება ითქვას არის სიკვდილის შიში, რომლის გადალახვაზეც საუბრობს ამ ნაშრომში. სწორედ ეს სიკდილის შიში, რომელიც ადამიანს ბუნებით მდგომარეობაში გააჩნია უბიძგებს მას სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამაში ადამიანს ეხმარება ისიც, რომ იგი ბუნებით მდგომარეობაშიც რაციონალური არსებაა: მას საკუთარი ინტერესის გათვლა შეუძლია. ადამიანები მიდიან დასკვნამდე, რომ მათთვის უკეთესია დაემორჩილონ უზენაეს ძალაუფლებას, რომელიც კანონზე დამყარებულ წესრიგს დაიცავს. ბუნებითიდან „სამოქალაქო“ ანუ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე გადასვლა ხდება საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით: ადამიანები თანხმდებიან, სახელმწიფო ხელისუფლებას დაემორჩილონ, რადგან ალტერნატივა საყოველთაო ომის მდგომარეობაა. ეს ხელისუფლება აბსოლუტურია ანუ ადამიანები მთლიანად უქვემდებარებენ მას თავის ნებას.

ჰობსის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი კვალი დაატყო შემდგომი პერიოდის მოაზროვნეთა შეხედულებებს. ინგლისელი განმანათლებელი ჯონ ლოკი (1632- 1704 წწ.) წინამორბედის მსგავსად, სახელმწიფოს საფუძვლად ხელშეკრულებას მიიჩნევდა. მაგრამ მისი დამოკიდებულება ბუნებით მდგომარეობასთან არსებითად განსხვავებულია. მისი აზრით, ბუნებითი მდგომარეობა არ არის „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, ამ დროს ადამიანები იყვნენ სრულიად თავისუფალნი საკუთარ მოქმედებაში, ასევე – განეკარგათ თავიანთი თავი და ქონება. ეს იყო თანასწორობის მდგომარეობა, რომლის დროსაც ყოველგვარი ხელისუფლება და იურისდიქცია საერთოა.

მართალია, ადამიანს განუსაზღვრელი თავისუფლება ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა სხვა ადამიანის მოკვლის უფლება. რაკი ბუნებრივი კანონები ღვთაებრივი წარმომავლობისაა და ყველა ადამიანს თანაბრად ავალდებულებს არ ხელყოს სხვისი სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება.

ლოკი თვლის, რომ თავისუფალი და თანასწორი ადამიანების ბუნებრითი მდგომარეობიდან გამოყვანა და პოლიტიკური ხელისუფლებისათვის იძულებით დაქვემდებარება არავის შეეძლო მათივე თანხმობის გარეშე. ერთადერთი გზა, რომლითაც ადამიანი უარს იტყოდა ბუნებრივ თავისუფლებაზე, ეს იყო სხვებთან გაერთიანება ხელშეკრულების საფუძველზე. ახლად შექმნილი პოლიტიკური ორგანიზმი სახელმწიფოდ იწოდებოდა. რაკი აღნიშნული გაერთიანება მისმა თითოეულმა წევრმა შექმნა, ყოველი მათგანი ვალდებულია დაემორჩილოს მის ნებას, რაც უმრავლესობის ნებას წარმოადგენს, სხვაგვარად ამ ორგანიზმის არსებობას აზრი არ ექნება. მაშასადამე, ლოკის აზრით, „ნებისმიერი პოლიტიკური საზოგადოების საწყისია თავისუფალ ადამიანთა თანხმობა, გაასხვისონ საკუთარი ნება უმრავლესობის სასარგებლოდ“.

შეკითხვებზე, თუ სად არის მაგალითები ისტორიაში, რომ თავისუფალი და თანასწორი ადამიანების ჯგუფმა მსგავსი სახით დააარსა ხელისუფლება? და რა ამტკიცებს, რომ მსგავს სიტუაციაში ადამიანები ასე მოიქცეოდნენ? ლოკი შემდეგნაირად პასუხობს: „ჩვენ არაფერი გვსმენია ქსერქსესა და სალმანასარის ჯარისკაცებზე, სანამ ისინი გაიზრდებოდნენ და არმიაში იმსახურებდნენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ბავშვები არასოდეს ყოფილან. სახელმწიფოც პიროვნებას მიაგავს – მან არაფერი იცის თავის დაბადებისა და სიყრმის შესახებ“. ის მაგალითად იშველიებს ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც მეფეები არ ჰყავთ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ომის ან მშვიდობიანობის პერიოდში, საკუთარი სურვილით ირჩევენ ხელმძღვანელს. მისი აზრით, ეს ადასტურებს თავისუფალი ადამიანების მიერ ხელისუფლების საკუთარი ნებით გასხვისების შესაძლებლობას.

მთავარი, რაც ჰობსს განასხვავებს ლოკისგან არის აბსოლიტური ძალაუფლებისადმი დამოკიდებულება. ჰობსი მომხრეა აბსოლიტური ხელისუფლებისა. საერთო ხელისფულების დამყარებისთვის საჭიროა ადამიანებმა თავიანთ წარმომადგენლად დანიშნონ ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. ერთ პიროვნებაში გაერთიანებულ მრავალ ადამიანს ის უწოდებს სახელმწიფოს, უძლეველ ლევიათანს, რომელსაც ადამიანები უნდა უმადლოდნენ მშვიდ ცხოვრებას და მფარველობას. სუვერენის ხელისფლება უზენაესია, მისი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, ძალაუფლება მის ხელშია. სახელმწიფოც ჰობსთან წარმოიქმნება სწორედ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ისევე როგორც ლოკთან. თუმცა ჰობსი არ უარყოფს მოპოვების გზით, ანუ ძალის გამოყენებით შექმნილ საზელმწიფოს არსებობასაც.

ლოკი კი აბსოლიტური ძალაუფლების მხარდამჭერი არ არის. ის მომხრეა ხელისფლების დათხოვნისა, იმ შემთხვევაში თუ არ არსრულებს სიცოხლის, საკუთრების და თავისუფლების დაცვას სათანადოდ. ხალხს ამ დროს აქვს უფლება შეცვალოს ხელისუფლება და თუნდაც დაბრუნდეს ძველ მდგომარეობაში. ლოკისთვის ჰობსისეული სუვერენი დამღუპველია, ეს იმაზე უარესია, ვიდრე ბუნებითი მდგომარეობა, რადგან აქ ადამიანი სრულიად დაუცველია. ანუ, როდესაც ხდება ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ხალხი უნდა აჯანყდეს და შეეცადოს ხელისუფლება იმ პირებს გადასცეს, ვისაც შეეძლება იმ მიზნების განხორციელება, რისთვისაც თავდაპირველად შეიქმნა სახელწიფო. ჰობსი კი კატეგორიულად გამორიცხავს ბუნებით მდგომარეობაში დაბრუნებას. მისი აზრით, უზენაესი ხელისფლების არსებობა იმდენად დამღუპველი არაა, როგორც მისი საერთოდ არ არსებობა.

ლოკმა საფუძველი ჩაუყარა „ხელისუფლების დანაწილების თეორიას“. მისი აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება ხალხის შიგნით წარმოშობილია და სამუდამოდ ხალხს უნდა დარჩეს. ის მონარქს აღმასრულებელ ძალაუფლებას უტოვებს. ლოკი აკრიტიკებს მოსაზრებას, რომ ადამიანები ამა თუ იმ ხელისუფლების მორჩილების ქვეშ იბადებიან: „თუკი მეფე არღვევს კანონს და მიდის ხალხის ნების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს სრული უფლება აქვს მოახდინოს რევოლუცია“.

ამ დებულებებზე დაყრდნობით ლოკმა გაამართლა 1688 წლის „სახელოვანი რევოლუცია“. გარდა ამისა, მისი შეხედულებანი წარმოადგენდა ახალი ლიბერალური პოლიტიკური თეორიის საფუძველს, რომელიც კონსტიტუციონალიზმად იწოდება.

მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიაში შეიტანა ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) თავისი ნაშრომით ,,საზოგადოებრივი ხელშეკრულება“.

აღნიშნულ ნაშრომში რუსო ასაბუთებს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ყველგან საფრთხის წინაშეა. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო ძალაუფლების და უთანასწორობის წარმოშობის წყაროა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ადამიანთა გაუცხოებას და უგულისყურობას. სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა ადამიანში კლავს ყველა იმ სისადავეს და უმანკოებას, რაც დაბადებიდან იყო მისთვის დამახასიათებელი. რუსოს მიხედვით, ქვეყანაში გაბატონებული ნება უნდა იყოს მხოლოდ საყოველთაო ნება ანუ კანონი, რომელსაც მასში კონცენტრირებული საზოგადოებრივი ძალა აქვს. თუ მმართველი მოინდომებს რაიმე დამოუკიდებელი, ინდივიდუალური აქტის გატარებას, მაშინვე შესუსტდება მისი კავშირი მთელთან ,,,საყოველთაო ნებასთან”. თუ მმართველის ნება უფრო აქტიური გამოდგა და თავისი კერძო ნება თავს მოახვია

ხალხს, მაშინ მოისპობა საზოგადოებრივი კავშირი, დაინგრევა პოლიტიკური ორგანიზმი და ადამიანები კარგავენ რა მოქალაქეობრივ უფლებებს, უბრუნდებიან ისევ ბუნებრივ უფლებებს.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას მართალია ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობები, თუმცა, მისი ყველა მიმდევარი თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფო ადამიანთა თავისუფალი ნების საფუძველზე შეიქმნა. მართალია, ეს თეორია სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე ნათლად დასაბუთებულ პასუხს ვერ იძლევა, მაგრამ სხვა თეორიების გვერდით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

1.3 სახალხო სუვერენიტეტი

თუ გავაგრძელებთ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების შესახებ მსჯელობას, საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და ბუნებრითი მდგომარეობასთან ერთად უნდა განვიხილოთ საკითხი საზოგადოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული **სუვერენიტეტი** (ფრანგ. Souveraineté) შეიძლება განისაზღვროს, როგორც უზენაესი ხელისუფლება, დამოუკიდებლობა.

სუვერენიტეტი ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური თეორია, რომელმაც მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა იურიდიული ნიშნები. თავისი განვითარების პროცესში სუვერენიტეტს ყოველთვის უფრო პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა. ასე იყო ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული დაპირისპირების, ხოლო მოგვიანებით, მეფის აბსოლუტურ ხელისუფლებასა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის შემთხვევებში.

სუვერენიტეტის ცნება, მისი თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად მე-16 საუკუნეში გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა ბოდენმა. ბოდენის მიერ ჩამოყალიბებული სუვერენიტეტის თეორიის აბსოლუტისტური საფუძვლები კიდევ უფრო განვითარდა ჰობსისა და ლოკის მიერ.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებითი თეორია, რომელიც ჰობსმა განავითარა, გამორიცხავს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს, რომელიც ხალხს ყოველგვარი ძალაუფლების წყაროდ და საბოლოო მფლობელად აცხადებს. ჰობსი ფიქრობს, რომ ქვეშევრდომნი ხელშეკრულებას დებენ არა სუვერენთან, არამედ ერთმანეთს შორის და რომ ამ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი შედეგია ქვეშევრდომთა მიერ თავიანთ უფლებებზე უარის თქმა სუვერენის სასარგებლოდ და მათ მიერ იმ ვალდებულებების თავის თავზე აღება, რომლებიც გვაუწყებს, რომ მან უზენაესი ხელისუფლების ყველა მსჯელობა და მოქმედება უნდა აღიაროს როგორც შენი საკუთარი. ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს, ფლობს რა უზენაეს ყოვლისშემძლე ძალაუფლებას, მას დასჯის შიშის გარეშე შეუძლია გააკეთოს ყველაფერი ის, რაც მოესურვება და სურს:

დაადგინოს კანონები, გადაჭრას მოქალაქეთა სასამართლო დავა, დაადოს მათ სასჯელი, თავისი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს მათი ძალა და საშუალებები, გამოაცხადოს ომი და დადოს ზავი. სახელმწიფოსადმი განუსაზღვრელი, აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭებით, ჰობსი საგანთა ლოგიკის მიხედვით, არსებითად ზღუდავს ქვეშევრდომთა უფლებებს. ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ მაგალითად სუვერენის მოქმედების დაგმობა და მით უმეტეს მისი დასჯა. მათ ასევე არ აქვთ უზენაესი ძალაუფლების დადგენილებათა გაპროტესტების ან მმართველობის ფორმის შეცვლის უფლება.

განსხვავებულ მოსაზრებას წარმოგვიდგენს ლოკი, რომლის მიხედვით ხალხის სუვერენიტეტი, საბოლოო ჯამში (და ეს ყველაზე უკეთ კრიზისულ სიტუაციებში ჩანს), უფრო მაღალია, ვიდრე მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს სუვერენიტეტი. თუ ხალხის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საჭიროა აღკვეთოს საზოგადოებრივი ხელშეკრულების დამრღვევ ხელისუფალთა თავხედობა, მაშინ სახალხო აჯანყება იმ მიზნით, რომ დააბრუნოს სახელმწიფო თავისუფლების, კანონის, საზოგადო სიკეთისკენ მოძრაობის გზაზე, სრულიად გამართლებულია.

სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ასხვავებენ სახელმწიფო, ეროვნულ და სახალხო სუვერენიტეტს. სახელმწიფო სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეროვნულ სუვერენიტეტს უწოდებენ ერის სრულუფლებიანობას, მის პოლიტიკურ თავისუფლებასა და რეალურ შესაძლებლობებს, განსაზღვროს თავისი ცხოვრების ხასიათი პოლიტიკური თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით. სახალხო სუვერენიტეტი არის ხალხის სრულძალაუფლებიანობა, მისი უფლებამოსილება რეალურად მონაწილეობდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაშია მითითებული სასამართლოს მსჯელობს სახალხო სუვერენიტეტის იდეის შესახებ. სასამართლო მიიჩნევს, რომ: „სახალხო სუვერენიტეტი მნიშვნელოვანწილად ხორციელდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის მეშვეობით. საქართველოს თითოეული მოქალაქე ირჩევს რა წარმომადგენელს, საკუთარ ძალაუფლებას გადასცემს მას და ამით აძლევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას. არჩევნები არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. იმისათვის, რომ შედგეს „ხალხის მმართველობა“, ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში, რისი საუკეთესო გზაც არჩევნებია. არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში - უზრუნველყოფილია

ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“. „ირჩევენ რა თავის რჩეულებს ან თავად არიან არჩეულნი“; რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივიმდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და სახალხო სუვერენიტეტი მოითხოვს, რომ საქართველოს მოქალაქეები ჩართული იყვნენ სახელმწიფო მმართველობაში. სწორედ ხალხის მონაწილეობა განაპირობებს საჯარო მმართველობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ლეგიტიმაციას. დემოკრატიის პრინციპის შესაბამისად, მოქმედი სახელმწიფო ეფუძნება კანონშემოქმედებისა და კანონის აღსრულების შეუქცევად პროცესს. დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ერთი მხრივ, გულისხმობს ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების პირველადი წყაროს ნების განუხრელ გამოვლენას, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის ნების მიუკერძოებლად აღსრულებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. თავის მხრივ, წარმომადგენლობითი დემოკრატია ხალხის მიერ წარმომადგენლების არჩევასა და მათი მეშვეობით სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობას, სუვერენული ძალაუფლების განხორციელებას გულისხმობს. ამავე დროს, წარმომადგენლების არჩევასთან ერთად, საქართველოს

მოქალაქეები აღჭურვილნი არიან უფლებით, უშუალო მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების საქმიანობაში და დაიკავონ სახელმწიფო თანამდებობა. შესაბამისად, მოქალაქეებს უფლება აქვთ, არა მხოლოდ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელონ საკუთარი სუვერენული ძალაუფლება, არამედ თავადვე იყვნენ წარმომადგენლები და აქტიური როლი შეასრულონ სახელმწიფო მმართველობის პროცესში.

„არჩევნები არის ის მექანიზმი, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის შესაძლებლობას ქმნის. სწორედ კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის საყრდენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო

სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას“. შესაბამისად, მოქალაქეთა უფლება ადგილობრივ თვითმმართველობაზე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სახალხო სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. დასახელებული კონსტიტუციური დებულება საფუძველს უდებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას მოქალაქეთა მიერ და ქმნის ადგილობრივ თვითმმართველობაში ხალხის მონაწილეობის გარანტიას.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ კანონმდებელმა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის დაკავების წესის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები, რათა არ დაირღვეს დემოკრატიის, სახალხო სუვერენიტეტისა და ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპები.

ზოგადად, აღიარებულია, რომ პირდაპირი არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. პირდაპირი არჩევნების შემთხვევაში ხალხი უშუალოდ მონაწილეობს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების პროცესში, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე სახალხო სუვერენიტეტის განხორციელებას.

1.4 ხელისუფლების დანაწევრება

ხელისუფლების დანაწილების თეორია ძველი რომიდან იღებს სათავეს. მოგვიანებით, ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა და ფრანგმა განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა და ადვოკატმა შარლ ლუი დე მონტესკიემ იდეა ხელახლა გადაამუშავეს, რითაც ხელი შეუწყვეს მის პოპულარიზაციას.

ლოკის იდეები ხელისუფლების დანაწილების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ გადმოცემულია მის ნაშრომში „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“, ხოლო მონტესკიეს იდეები ხელისუფლების დანაწილებასა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე გადმოცემულია რომანში „სპარსული წერილები“ და სხვა ნამუშევრებში: „რომის აღზევების და დაცემის მიზეზების გააზრება“ და „კანონების სული“.

ჯონ ლოკმა გამოყო ხელისუფლების ორი შტო - საკანონმდებლო და აღმასრულებელი. ის ფიქრობდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება არა მუდმივად, არამედ პერიოდულად, საჭიროებისამებრ. თუმცა, მის მიერ შექმნილი კანონები მოქმედებენ

განუწყვეტლივ, შესაბამისად, საჭიროა კანონების აღსრულების კონტროლი, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს.

შარლ ლუი დე მონტესკიემ გამოყო ხელისულების მესამე შტო - სასამართლო. მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო სამი სახის ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმსარულებელი და სასამართლო.

პირველის (საკანონმდებლო ხელისუფლების) ვალია შექმნას კანონები - დროებითი ან მუდმივი. მეორეს (აღმასრულებელ ხელისუფლებას) ევალება ომის გამოცხადება ან, პირიქით, მშვიდობის დამყარება, საგარეო პოლიტიკის წარმოება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ. მესამეს (სასამართლო ხელისუფლებას) ევალება დამნაშავეების დასჯა, კერძო პირებს შორის ურთიერთობების მოგვარება. ამ პრინციპით, ხელისუფლების შტოები დამოუკიდებელნი არიან და არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში, რაც მათი ძალაულების ეფექტურ გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამ მექანიზმს გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმი ეწოდება, როდესაც, ხელისუფლების შტოებს არ ეძლევათ საშუალება მოახდინონ ძალაუფლების უზურპაცია[1].

ნებისმიერი დემოკრატიულ სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა კანონშემოქმედება პარლამენტში არჩეული დეპუტატების მეშვეობით. კანონშემოქმედება პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ამასთანვე ის ამტკიცებს მთავრობას, ბიუჯეტს, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსს და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს.

საქართველოს პარლამენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით, ფარული კენჭისყრით. საქართველოს პარლამენტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლით.

აღმასრულებელია ხელისუფლების შტო, რომელიც კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის მართვას - პრეზიდენტი ან/და მინისტრთა კაბინეტი. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია ქვეყნის რესურსები. ის ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში შედის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

---

[1] **უზურპაცია** — ხელისუფლების მითვისება კანონის დარღვევით, ძალადობრივი გზით, განხორციელებული ერთი პირის ან ჯგუფის მიერ. უზურპაცია ასევე ხდება არჩევნების უხეში დარღვევით და გაყალბებით. ზოგიერთ შემთხვევაში უზურპაცია ხდება ძალაუფლების გადამეტების გზით.

ხელისუფლების მესამე შტოს - სასამართლო ხელისუფლებას ევალება ქვეყანაში მართლმსაჯულების აღსრულება. სასამართლო ხელისუფლება ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით. პირველი და ძირითადი ნიშანია დამოუკიდებლობა ხელისუფლების დანარჩენი შტოებისგან. მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია კანონდებლობის, მათ შორის კონსტიტუციური ნორმების დაცვაა. მესამე ფუნქცია არის აღმსარულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე ზედამხედველობა და კონტროლი.

საქართველოში, როგორც სხვა დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში, სასამართლო ხელისუფლების სამი ინსტანცია არსებობს: საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და საკასაციო (უზენაესი) სასამართლო.

ხელისუფლების დანაწევრების პრინციპი ყველა ქვეყანაში ერთნაირი არაა. იმ ქვეყნებს სადაც, ხელისუფლება რეალურადაა დანაწილებული და ხალხი მეტ–ნაკლებად დაცულია ხელისუფლების ძალმომრეობისაგან, ლიბერალურ დემოკრატიას უწოდებენ. ლიბერალურ დემოკრატიებში ხელისუფლება ხალხის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ყალიბდება და იძულებულია ანგარიში გაუწიოს ხალხისავე ნება–სურვილს.

აქტივობა: ,,გასეირნება გალერეაში“

სასწავლო მიზანი:

,,გალერეაში გასეირნების“ დროს სტუდენტები აუდიტორიის გარშემო განთავსებულ მრავალ ტექსტს წაიკითხავენ და სურათებს დაათვალიერებენ. ამ სტრატეგიას ხშირად იყენებენ იმისათვის, რომ სტუდენტების მიერ საკუთარი სამუშაოს სხვებისთვის გაზიარება წააქეზონ, სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტის გაანალიზება საინტერესო პროცესად აქციონ, კონკრეტულ ამონარიდებზე კომენტირება გააიოლონ. სტრატეგია ოთახის გარშემო სტუდენტების ფიზიკურ გადაადგილებას მოითხოვს. (ფოტოები თავისივე ტექსტებით ლექტორებს შეუძლიათ შეარჩიონ ინდივიდუალურად, სურვილისამებრ).

აქტივობის სასწავლო მიზნები:

1. შეხედულებების გაცვლისა და იდეების გაზიარების დროს თანაკურსელებთან თანამშრომლობა
2. ცნობილი, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების გაცნობა
3. დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება და მათი მიზეზების დასახელება.

უნარების განვითარება:

ლექციაში მონაწილეობის შედეგად სტუდენტები შეძლებენ ეფექტურ სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, გრაფიკული მონაცემების დამუშავება, აზრის გამოხატვა, სხვების მოსმენა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა.

აქტივობის საფეხურები

1. პროფესორი შეარჩევს ტექსტს (მაგალითად: ციტატებს, სურათებს, დოკუმენტებსა და/ან სტუდენტების მიერ შესრულებულ ნამუშევრებს), რომელსაც გამოიყენებს ,,გალერეაში გასეირნებისათვის“.
2. ტექსტების განლაგება საჭიროა ,,გალერეის სტილის“ დაცვით, ისეთი ფორმით, რომ სტუდენტებს ოთახის გარშემო მიმოფანტვის და კონკრეტული ტექსტის გარშემო დაჯგუფების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ტექსტი განლაგებული იქნება მაგიდებზე ან კედლებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექსტებს შორის დისტანციის დაცვა, რათა მათ გარშემო ბევრი ადამიანის თავმოყრა თავიდან ავირიდოთ.
3. სტუდენტები განიხილავენ ტექსტებს. შესაძლოა, მათ წინასწარმოფიქრებულ კითხვებს უპასუხონ, რომლებიც თან ახლავს გამოფენაზე გამოფენილ ტექსტს ან სტუდენტებს დარიგებული აქვთ სამუშაო მასალის სახით. სთხოვეთ სტუდენტებს, ,,გალერეაზე“ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან შეარჩიონ რამდენიმე, ახსნან შერჩევის პრინციპი და დაასაბუთონ მათი მოსაზრებები. ხაზი გაუსვით იმას, რომ შესაძლებელია იყოს ერთზე მეტი სწორი პასუხი და რომ სწორედ საკუთარი პასუხის დასაბუთებაა მნიშვნელოვანი.
4. ლექციის ბოლოს სტუდენტებთან ერთად განიხილეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვები:

- ახსენით დემოკრატიიის განვითარების გზები
- გალერეადან რომელ ფოტოს ამოარჩევდით და რატომ?
- (კითხვები ლექციის მსვლელობიდან გამომდინარე შეგიძლიათ დაამატოთ)

დავალება: მოამზადონ მსგავსი ფოტო მასალა, თავისი ტექსტებით, მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები, ხელისუფლებას დანაწევრებასთან დაკავშირებით.

ძირითადი წყაროები:

1. დემოკრატია და მოქალაქეობა- ავტორები: გრიერ ბუროუსი, ზაზა რუხაძე, მარინე კვაჭაძე, ლელა გაფრინდაშვილი, ლევან იზორია 2011 წელი

2. დემოკრატია და მოქალაქეობა - ავტორები: ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია, გრიერ ბუროუსი 2016 წელი

3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. მიღწევები და გამოწვევები. გია ნოდია. თბ. 2007.

დამხმარე ლიტერატურა:

1. სამოქალაქო განათლების გზამკვლევი
2. ჟურნალი ,,civicus" (CELA სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია)

2. პოლიტიკური რეჟიმები და მოქალაქეობა

2.1 პოლიტიკური რეჟიმები

პოლიტიკური რეჟიმი არის პრინციპების, კანონების, პროცედურებისა და იდეების კოორდინირებული ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის ფორმასა და ხელისუფლებას.

პოლიტიკური რეჟიმების (სისტემათა) კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე თუ რას ვიღებთ კლასიფიკაციის საფუძვლად. თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციას, ძირითადად, ახდენენ რეჟიმის ტიპისა (დემოკრატიული, ავტორიტარული) და მმართველობის ფორმის (საპარლამენტო, საპრეზიდენტო) მიხედვით. თუმცა, გამოყოფენ სხვა ნიშნებსაც: სახელმწიფოს ტიპი (მონარქია და რესპუბლიკა), სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობა (ღია და დახურული); მაგრამ ასეთი დაყოფა მეორეხარისხოვანია, რადგან რეჟიმის ტიპის ძირითად მსაზღვრელად მიიჩნევა მმართველობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ან უგულებელყოფს ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლების დაცვას ამა თუ იმ ქვეყანაში.

არსებობს ორი ძირითადი რეჟიმი: დემოკრატიული და ავტორიტარული, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეფორმებად იყოფა. მაგალითად, ავტორიტარიზმის ქვეფორმად შეიძლება გამოიყოს ტოტალიტარული რეჟიმი. ფართო გაგებით კი, ავტორიტარული რეჟიმი მოიცავს ტოტალიტარიზმს. ცალკე შეიძლება გამოიყოს გარდამავალი რეჟიმები, სადაც დემოკრატიზაციის ან, პირიქით, ავტორიტარიზმის გაძლიერების ტენდენცია შეინიშნება.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი. სიტყვა „ავტორიტარულის" ფუძეა ძველი ბერძნული სიტყვა „აუტო", რაც ნიშნავს „თვითონ"-ს. ავტორიტარული რეჟიმი გულისხმობს „ერთი ადამიანის" ქმედებას, მმართველობას და მის მიმართ მოსახლეობის მორჩილებას.

ავტორიტარიზმის პირობებში მთელი ძალაუფლება კონცენტრირებულია კონკრეტული მმართველის, ადამიანთა ჯგუფის ან მთავრობის ხელში. ამასთან, მმართველნი არ არიან პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი ხალხის წინაშე. ავტორიტარულ რეჟიმებს შეიძლება გააჩნდეს დემოკრატიული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ელემენტები ეკონომიკის და მოქალაქეთა კერძო ცხოვრების სფეროებში.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები განსხვავდება ძალაუფლების კონცენტრაციისა და საზოგადოებივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე გავლენის ხარისხის მიხედვით.

ტირანია: ერთი ადამიანი - ტირანი ძალაუფლებას იყენებს საკუთარი ინსტინქტებისა და ვნებების, ძალაუფლების ჟინის, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ტირანიის დროს ხშირია ქვეყნის მართვა ტირანის არაორდინალური ახირებებით და დესპოტური მეთოდებით. ტირანული მმართველობები ანტიკურ და ადრექრისტიანულ სახელმწიფოებში ხშირ მოვლენას წარმოადგენდა.

აბსოლუტური მონარქია არის მმართველობა, როდესაც მონარქის ძალაუფლება ფაქტობრივად შეუზღუდავია. მონარქი თავის შეხედულებისამებრ ცვლის კანონებს, განსაზღვრავს სახელწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკას. აბსოლუტურ მონარქიას, ისევე როგორც, ზოგადად მონარქიას, ახასიათებს მემკვიდრეობითობა და, ტირანიისგან განსხვავებით, ის უფრო სტაბილური რეჟიმია.

საქართველოში მონარქიულ წყობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოში მეფის ხელისუფლება აბსოლუტური ძალაუფლებით მხოლოდ დავით აღმაშენებლის მეფობიდან მონგოლების შემოჭრამდე (1089-1225) და გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდებში (1318-1346) არსებობდა. სხვა პერიოდებში მეფის ძალაუფლება სხვადასხვა დოზით იყო შეზღუდული ფეოდალების გავლენით. გაერთიანებული საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ, ფეოდალების გავლენა იმდენად გაძლიერდა, რომ მონარქის ხელისუფლება სამეფოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ვერც კი ვრცელდებოდა (განსაკუთრებით, იმერეთის სამეფოში). უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფის ხელისუფლება, აბსოლუტური ძალაუფლების პერიოდებშიც კი, არ ყოფილა ტირანული. საქართველოში მონარქიული მმართველობა მკვეთრად გამოხატული ფეოდალური მონარქიის ფორმით იყო, როცა მხარეებში სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები არა მოხელეები, არამედ ადგილის მემკვიდრე ფეოდალები იყვნენ. ამასთან, არსებობდა ცენტრალური სათათბირო ორგანო („სამეფო დარბაზი“), რომელსაც შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა მეფის გადაწყვეტილებებზე.

ტოტალიტარული რეჟიმი. ტოტალიტარიზმის პირობებში ადამიანების ქცევის ნორმები და ცხოვრების სტილი განსაზღვრულია გარკვეული იდეოლოგიით (მაგ., საბჭოთა, ნაცისტური) და მკაცრად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია რესურსების მითვისება და მისი განაწილება ზემოდან. ტოტალიტარიზმის კლასიკური მაგალითია კომუნისტური რეჟიმები.

ტერმინი ,,ტოტალიტარიზმი“ პირველად იტალიელმა ფილოსოფოსმა ჯოვანი ჯენტილემ გამოიყენა, რომლის იდეებმა დიდი როლი შეასრულა იტალიური ფაშიზმის ჩამოყალიბებაში. ტოტალიზატორულ რეჟიმებისათვის დამახასიათებელია:

- მართვის ერთპარტიული სისტემა;
- გარკვეული მსოფლმხედველობის სახელმწიფო იდეოლოგიად გადაქცევა;
- მასმედიასა და კომუნიკაციის საშუალებებზე სრული კონტროლი;
- პოლიციის გამოყენება მოქალაქეთა კონტროლისა და დაშინებისათვის;
- პოლიტიკური პარტიის კონტროლი სამხედროებსა და შეიარაღების სფეროებზე;
- ეკონომიკის ცენტრალიზაცია.

ტოტალიტარიზმის დროს მმართველი პარტიის პოლიტიკური იდეოლოგია სახელმწიფოებრივი ჭეშმარიტების სტატუსს იძენს. ოფიციალური იდეოლოგიის გასავრცელებლად სახელმწიფო მიმართავს ძალადობრივ მეთოდებს. სახელმწიფო

ახორციელებს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების (რადიოს, ტელევიზიის, პრესის, ელექტრონული მედია) სრულ კონტროლს, იქვემდებარებს ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის სახეთა უმრავლესობას. რამდენადაც სახელმწიფო თავისი იდეოლოგიისაგან განუყოფელია, ამდენად საქმიანობის თითქმის ყველა სახე იდეოლოგიზირებულია. გაბატონებული იდეოლოგიისგან ყოველი გადაცდომა სამეურნეო ან პროფესიულ სფეროში სახელმწიფოებრივ დანაშაულად მიიჩნევა.

განასხვავებენ „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ტოტალიტარიზმს:

„მემარცხენე“ ტოტალიტარიზმი ეფუძნება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიას, რომელიც ამტკიცებს:

1. კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობას, სადაც ყველა ინდივიდის მოთხოვნილებები ბოლომდე დაკმაყოფილდება;
2. კერძო საკუთრების უარყოფის აუცილებლობას და გეგმიური, მთლიანად სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ეკონომიკის შექმნას;
3. პროლეტარიატის წამყვან როლს;
4. ახალი საზოგადოებისაკენ გადასვლისას პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას;
5. ყველა ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობას.

„მემარცხენე“ ტოტალიტარიზმის სოციალურ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პროლეტარიატი. გაბატონებული კომუნისტური (სოციალისტური) იდეოლოგიის მიხედვით, ყველა სხვა კლასი ნაკლებად პროგრესულია, ხოლო ზოგიერთი - რეაქციულიც კი (მაგ., ბურჟუაზია, სასულიერო ფენა). ამიტომ პოლიტიკა მიმართული იყო სხვა კლასების განადგურებისაკენ. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა მესაკუთრეთა კლასის, მათ შორის, გლეხობის ლიკვიდაციას. ხოლო „ნათელი მომავლის“ აშენება გულისხმობდა იძულების ძლიერი აპარატის გამოყენებას ტერორის ჩათვლით.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, უგულებელყოფილი იყო ხელისუფლების განაწილება მმართველობის შტოებს შორის. საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში პროცესები კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დიქტატით მიმდინარეობდა. კომუნისტური პარტია უშუალოდ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა პროცესებს. უკიდურესად იდეოლოგიზირებული იყო განათლების სფერო, რომლის ძირითად ამოცანას კომუნისტური საზოგადოების მშენებელი თაობის აღზრდა წარმოადგენდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, მსგავსად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნისა, თავისი რეალური ძალაუფლებით და გავლენით აღემატებოდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარეებს.

„მემარჯვენე“ ტოტალიტარიზმი, გერმანული ნაციზმის სახით, ეფუძნება ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია წარმოადგენდა ეტატისტური და ნაციონალისტური ლოზუნგების ნარევს. ეტატიზმი - სახელმწიფოს ჩარევას გულისხმობს საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. გერმანული ნაციონალიზმი ეფუძნებოდა რასისტულ იდეებს გერმანელებზე, როგორც „უმაღლესი“

არიული რასის ბირთვზე. ამ პოსტულატიდან დაიბადა ნაციზმის იდეა გერმანელი ერის უპირატესობაზე და მისი მსოფლიო ბატონობისაკენ სწრაფვაზე. ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის ძირითადი დებულებებია:

1. გერმანული რაიხის აღდგენა;
2. ბრძოლა გერმანული რასის გაწმენდისათვის;
3. ყველა უცხო ელემენტის განადგურება;
4. ანტიკომუნიზმი;
5. კაპიტალიზმის შეზღუდვა.

„მემარჯვენე“ ტოტალიტარიზმის სოციალურ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ექსტრემისტულად განწყობილი საშუალო ფენები. გერმანულმა ფაშიზმმა მსხვილი კაპიტალის მხარდაჭერა მოიპოვა, რომელიც მასში „ნაკლებ ბოროტებას“ ხედავდა კომუნისტურ იდეოლოგიასთან შედარებით. ერის გადარჩენისათვის დაიშვებოდა ტერორისა და რეპრესიების გამოყენება. ნებისმიერი სისუსტე აღიქმებოდა, როგორც გერმანელი ერის საფრთხე.

რელიგიური ავტორიტარიზმი. საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრავს მკაცრი რელიგიური დოგმები და რელიგიურ მოღვაწეთა ქადაგებები. რელიგიური ავტორიტარიზმის დროს შესაძლებელია მისი გავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე შედარებით ნაკლები იყოს, მაგრამ მოქალაქეთა ქცევით ნორმები და პოლიტიკური საქმიანობა მკაცრი წესებით განისაზღვრება. რელიგიური ავტორიტარიზმის თანამედროვე მაგალითია ირანის ისლამური სახელწიფო, სადაც პრეზიდენტის არჩევითობის სისტემაც არსებობს, მაგრამ არჩევნების პროცესზე და მთავრობის სააქმიანობაზე ძლიერ გავლენას ახდენენ რელიგიური ლიდერები. დღეისათვის, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ ცდილობს შექმნას რელიგიური ავტორიტარული სახელმწიფო „შარიათის“ კანონმდებლობით.

დიქტატურა ეწოდება ერთი ან რამდენიმე პირის მიერ შეუზღუდველ მმართველობას. დიქტატორი ღებულობს ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალით ინერგება ქვეყანაში. დიქტატორების ძალაუფლება არ არის შეზღუდული კონსტიტუციით ან პარლამენტით. დიქტატურის პირობებში შესაძლოა არჩევნებიც ტარდებოდეს, თუმცა მას უკიდურესად ფორმალური ხასიათი აქვს.

დიქტატურის ერთ-ერთი ფორმაა სამხედრო „ხუნტა“, როცა არმიაზე დაყრდნობით სამხედრო დაჯგუფების ხელში კონცენტრირდება ძალაუფლება. სამხედრო ხუნტის მმართველობა მეოცე საუკუნეში ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ გამოიარა. ამიტომაც ლათინური სიტყვა „ხუნტა“, რომელიც „შეერთებას“ ნიშნავს სამხედროების დიქტატორული რეჟიმების სახელად დამკვიდრდა.

ოლიგარქიულია რეჟიმი (პლუტოკრატია), როდესაც უზენაეს ხელისუფალთ ირჩევენ მდიდრები, ე.ი. ისინი, ვინც ფლობს კაპიტალს ან აქვს განსაზღვრული რეგულარული შემოსავალი.

ოლიგარქიული მმართველობის მაგალითია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპარტეიდის პერიოდში 1948-1993 წლებში, როცა თეთრკანიანი მოსახლეობის მდიდარი წარმომადგენლების ხელში იყო ქვეყნის მმართველობა. თეთრკანიანი მოსახლეობა სარგებლობდა ფართო უფლებებით, მაგრამ ქონებრივი ცენზი გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოხვედრისათვის, შავკანიანი მოსახლეობის მიმართ კი მკაცრი შეზღუდვები იყო დაწესებული მმართველობაში მონაწილეობაზე.

ჩამოთვლილი ავტორიტარული რეჟიმები, განყენებული, ცალკე არსებული ფორმებით იშვიათად არსებობენ. მაგალითად, სტალინის პერიოდის საბჭოთა კავშირში ტოტალიტარიზმი წარმოდგენილი იყო სტალინის დიქტატურის ფორმით.

2.2. ავტორიტარული რეჟიმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

ავტორიტარული რეჟიმების სხვადასხვა ფორმების საერთო ნიშნებად გამოიყოფა:

- ძალაუფლების კონცენტრირება ერთი ადამიანის, ან ადამიანთა მცირე ჯგუფების ხელში;
- სახელმწიფო სტრუქტურების, განსაკუთრებით, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების გამოყენება მოქალაქეთა მორჩილებისათვის;
- მოქალაქეთა მხრიდან ხელისუფლების კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

სხვა საერთო ნიშნები, რომლებიც ავტორიტარულ რეჟიმებს ახასიათებს, შეიძლება სხვადასხვა ხარისხით გამოვლინდეს და იყოს „შერბილებული“ ან „გამკაცრებული“ კონტროლის ქვეშ ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების მიხედვით. ასეთი ნიშნებია: პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა, ეკონომიკის სფეროებზე გავლენა, საზოგადოების ავტონომია არაპოლიტიკურ სფეროებში, რეჟიმების ქვეყნების გახსნილობა უცხოელი ვიზიტორების მიმართ.

ავტორიტარიზმის დროს ძირითადი შეზღუდვები მოქალაქეთა პოლიტიკურ საქმიანობაზე ვრცელდება და შეზღუდვების დონით ავტორიტარული რეჟიმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, უკიდურესი შეზღუდვებით ხასიათდება ტირანული და დიქტატორული მმართველობები, შედარებით ლიბერალურია ოლიგარქული მმართველობა.

მეოცე საუკუნის დასასრულისათვის მსოფლიოში საკომუნიკაციო საშუალების ფართოდ გავრცელებამ და ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ ავტორიტარული რეჟიმები აიძულა მათი ქვეყნების „კარგი იმიჯის“ შექმნის მიზნით შეერბილებინათ კონტროლი მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობებზე, დაეშვათ პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა. ავტორიტარული ქვეყნების ნაწილში ამ პროცესებმა ოპოზიციური პარტიების გაძლიერება გამოიწვია, ტარდება არჩევნებიც, თუმცა არჩევნებში მონაწილეობისას ოპოზიცია არათანაბარ პირობებშია და ხელისუფლებაში მოსვლის ძალიან მცირე შანსები აქვს.

ავტორიტარული რეჟიმების „შერბილების“ პროცესებმა ისინი დემოკრატიული მმართველობის სტილს დაუხლოვა, თუმცა ძალაუფლების კონცენტრაცია და მოსახლეობის მხრიდან მმართველთა კონტროლის შეზღუდულობა რეჟიმის მთავარ მახასიათებლად რჩება.

ამ პროცესებმა განაპირობა გარდამავალი („ჰიბრიდული“) ავტორიტარული რეჟიმების შექმნა, რომლებშიც დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პროცესებიც იჩენს თავს.

დღევანდელ მსოფლიოში არსებული ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნების ნაწილში შეზღუდულია მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობა და მათი მხრიდან ხელისუფლების კონტროლი, დანარჩენ სფეროებში მოქალაქეები თავისუფალნი არიან. ადამიანის უფლებები,

პოლიტიკურის გარდა, პატივისცემით სარგებლობს და დაცულია, თუმცა, მოქალაქეებს უსაფრთხოებისა და თავისუფლების არავითარი ისეთი ინსტიტუციონალური გარანტიები არა აქვთ, როგორიცაა: დამოუკიდებელი სასამართლო, ძლიერი ოპოზიციური პარტიები და სხვა. დიქტატორული მმართველობა დღეისათვის 40-მდე სახელმწიფოში არსებობს (დიქტატურის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეა და თურქმენეთი).

ავტორიტარულ რეჟიმებს ნაკლოვანებების გარდა ძლიერი მხარეებიც გააჩნია, როგორიცაა პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივი რესურსების მობილიზების უნარი. მაგალითისთვის გამოდგება საბჭოთა კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და ფაშისტურ გერმანიაში უმუშევრობის პრობლემის დაძლევა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში.

2.3. ავტორიტარიზმიდან დემოკრატიზაციისაკენ გარდამავალ პროცესზე მოქმედი ფაქტორები

ქვეყნის დემოკრატიაციის პროცესი შიდა და გარე ფაქტორებზე არის დამოკიდებული, ამასთან თანამედროვე გლობალიზაციის პროცესების გამო გარე ფაქტორები სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დემოკრატიზაციაზე.

ქვეყნის დემოკრატიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- რელიგიური და კულტურული წეს-ჩვეულებები;
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა;
- წარსულის დემოკრატიული გამოცდილება;
- შიდა კონფლიქტები და სამოქალაქო ომები;
- მეზობელი ქვეყნების დემოკრატიზაცია;
- წარმოებული გარე ომები;
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და გლობალური საზოგადოების გავლენა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების, სოციალური ქსელის განვითარება.

ამათგან პირველი სამი შიდა ფაქტორია, ხოლო დანარჩენი კი - გარე ფაქტორები.

რელიგიური და კულტურული წეს-ჩვეულებები გამოირჩევა სხვა ფაქტორებისგან იმით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მათი ძლიერი გავლენა სხვა ფაქტორების ზემოქმედებას ასუსტებს. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც რელიგიური ფუნდამენტალიზმს ძლიერი გავლენა აქვს, დემოკრატიზაციის პროცესი ძალიან ნელა ან ფაქტიურად არ მიმდინარეობს. აფრიკის იმ ქვეყნებში კი, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში ტომობრივი ურთიერთობები ბატონობდა, ბელადომანია მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია და ხშირად არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერები სულ მოკლე პერიოდში თავიანთ ავტორიტარულ რეჟიმებს ქმნიან და ვეღარ ელევიან ძალაუფლებას, იყენებენ რა თავიანთი ტომების აქტიურ მხარდაჭერას.

ეკონომიკური მდგომარეობა. ავტორიტარული ქვეყნის დემოკრატიზაციაზე დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკური კრიზისი, როცა მანამდე სტაბილური მდგომარეობით

„კმაყოფილი“ მოსახლეობა სულ უფრო ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას და მოითხოვს როგორც ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას, ასევე პოლიტიკური რეფორმების გატარებას. მაგალითად, ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნების მოსახლეობის მაღალი შემოსავლები ხელს უწყობს ავტორიტარული რეჟიმების სტაბილურობას.

წარსულის დემოკრატიული გამოცდილება მნიშვნელოვნად აადვილებს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს, რადგან ის თავისუფლების გარკვეულ მაგალითს აძლევს საზოგადოებას. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დემოკრატიზაციის პროცესები სწრაფად განხორციელდა, რასაც გარკვეული ბიძგი მისცა ნაცისტურ რეჟიმამდე დემოკრტიული მმართველობის არსებობის გამოცდილებამ და ასევე, კონრად ადენაუერის და მისი გუნდის მაღალმა რეპუტაციამ, რომლებიც არ თანამშრომლობდნენ ნაცისტურ რეჟიმთან.

შიდა კონფლიქტების, რევოლუციების, სამოქალაქო ომების შედეგად შესაძლებელია ქვეყანაში როგორც ავტორიტარული, ისე დემოკრატიული რეჟიმი დამყარდეს. მაგალითად, ნიკარაგუაში 1978-79 წლებში დიქტატორ სამოსას წინააღმდეგ მიმართული რევოლუცია, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1990 წელს დემოკრატიული არჩევნებით დასრულდა. თუმცა, არჩევნების შემდეგ დანიელ ორტეგას პროკომუნისტური რეჟიმი დამყარდა, რომელიც გარკვეული სახეცვლილებით დღესაც ინარჩუნებს ხელისუფლებას.

მეზობელ ქვეყნებში დემოკრატიული რეჟიმების არსებობა ყოველთვის დადებით გავლენს ახდენს ავტორიტარული რეჟიმების შესუსტებაზე და დემოკრატიზაციის პროცესზე. მეზობელი ქვეყნის წარმატება: ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სამოქალაქო უფლებების დაცვა, ხელისუფლების არჩევითობა და საჯაროობა მსგავსი პროცესების განხორციელების მოტივაციას უქმნის ავტორიტარული ქვეყნების მოსახლეობას. ამიტომ ავტორიტარული რეჟიმების მმართველები ყოველთვის უფრთხიან მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს. მაგალითად, რუსეთი, რომელიც მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნებს აღიქვამს, როგორც გადამდებ „ვირუსს“ და თავისი გავლენის სფეროების დაკარგვად, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოები მყარ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ავითარებენ.

ქვეყნის მიერ წარმოებულმა გარე ომებმა დემოკრატიზაციაზე შეიძლება მოახდინოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა. ავტორიტარული რეჟიმის ომში დამარცხება ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებს იწვევს, მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერა კლებულობს, ოპოზიცია აქტიურდება, რაც ხშირად ხელისუფლების ცვლილებით მთავრდება. არგენტინის დამარცხებამ დიდ ბრიტანეთთან წარმოებულ ფოკლენდის ომში 1982 წელს გამოიწვია სამხედრო ხუნტის ხელისუფლების დამხობა. ომს წინ უძღოდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დემონსტრაციები სამხედრო მმართველობის წინააღმდეგ. ხუნტამ ომი პატრიოტული გრძნობების წინ წამოწევის და, ომში გამარჯვების შემთხვევაში, ხელისუფლების გამყარების მიზნით წამოიწყო, ამავე დროს, ერთ-ერთ მიზეზი ფოლკლენდის კუნძულების სიახლოვეს აღმოჩენილი ნავთობის მარაგიც იყო, რაც ხუნტის გეგმით, ქვეყნის შესუსტებულ ეკონომიკას მნიშვნელოვნად წაადგებოდა.

გარე ომებით საკუთარი რეჟიმის გამყარების უახლესი მაგალითია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომები - აფხაზეთის, სამაჩაბლოს და

ყირიმის ოკუპაცია, რაც რეჟიმის მიმართ ლოიალობის გამყარებას და მოსახლეობაში „პატრიოტული ეიფორიის“ გაღვივებას უწყობს ხელს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება და დემოკრატიული ქვეყნების ბიზნეს-სექტორის მხრიდან კაპიტალდაბანდებები დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ავტორიტარულ რეჟიმებს აიძულებს გაატარონ დემოკრატიული რეფორმები, დაიცვან ადამიანთა უფლებები, გახდნენ უფრო ცივილურები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ავტორიტარული რეჟიმების შესუსტებას იწვევს. ერთიანი გლობალური ინფორმაციული სივრცის ჩამოყალიბების შედეგად, სამყარო თითქოს „დაპატარავდა“. ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებულ ძალადობებზე სწრაფად ვრცელდება, რაც საერთაშორისო საზოგადოების რეაგირებას იწვევს და მოძალადე რეჟიმებს აიძულებს გახდნენ უფრო ჰუმანური, იზრუნონ პოლიტიკურ იმიჯზე და ნაწილობრივ მაინც გაატარონ რეფორმები.

საერთოდ, გარე ფაქტორები ავტორიტარული რეჟიმების შესუსტებას იწვევს, მაგრამ უკუპროცესებიც არ არის გამორიცხული. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი გარე გამოწვევებს ქვეყნის კიდევ უფრო დახურვით და რეჟიმის გამკაცრებით პასუხობს.

დიდ ბრიტანეთში ბაზირებული ეკონომიკური კვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებული დემოკრატიის ინდექსით, მსოფლიოს 166 ქვეყნიდან, 2017 წლის მდგომარეობით, არასრული დემოკრატიის ქვეყნების რაოდენობა 40-ია (მსოფლიო მოსახლეობის 44%), ჰიბრიდული, ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნების რიცხვი 57 (მოსახლეობის 18%). ავტორიტარული რეჟიმების რიცხვი კი 51 (მოსახლეობის 32%).

2.4. მოქალაქეთა უფლებები ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმების დროს

ავტორიტარულ რეჟიმებში სამოქალაქო თავისუფლებები დაშვებულია იმდენად, რამდენადაც ის ხელს არ უშლის მმართველი რეჟიმის სტაბილურობას, არ ემუქრება მისი ძალაუფლების შესუსტებას/ს დაკარგვას ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლით.

ძალაუფლების შესუსტების ყველაზე საშიშ ფაქტორებად ავტორიტარული რეჟიმებისათვის განიხილება: სიტყვის თავისუფლება, მოქალაქის უფლება თავისუფლად გაერთიანდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, კავშირში და პოლიტიკურ პარტიაში, მასმედიის საშუალებათა თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება. ამიტომ, ყველა ავტორიტარულ და ჰიბრიდულ რეჟიმებში კანონმდებლობა და სახელმწიფო აპარატი მიმართულია ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვისაკენ. დემოკრატიისათვის აუცილებელი ასეთი ფუნდამენტალური სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა კი, საბოლოოდ, აუცილებლად იწვევს რეჟიმისათვის არამოსურნე პირების, ჯგუფების , ოპოზიციერი პარტიების წევრების მიმართ რეპრესიებს. ადგილი აქვს ადამიანის ისეთი ფუნდამენტალური უფლებების დარღვევას, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა და უფლებები, თავისუფლება და უსაფრთხოება, უკიდურეს შემთხვევაში, ადგილი აქვს სიცოცხლის ხელყოფას.

ავტორიტარული რეჟიმების პირობებში სამოქალაქო უფლებების დარღვევის ყველაზე ხშირი შემთხვევები საპროტესტო მანიფესტაციებში მონაწილეთა უკანონო დაკავებებს,

მანიფესტაციების ძალის გადამეტებით დარბევის პრაქტიკას უკავშირდება. ხშირია ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების მოსყიდვის მცდელობა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი იწყება მათი დევნა, ფიზიკური ანგარიშსწორება. ავტორიტარიზმის პირობებში მასმედიის ძირითადი საშუალებების კონცენტრირება და კონტროლი ხდება მმართველი ძალის და მასთან დაახლოვებული პირების მიერ.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ხშირად ხდება იმ ჟურნალისტების დაკავება, რომლებიც მთავრობის წევრთა კორუფციულ გარიგებებზე ავრცელებენ ინფორმაციებს. უკანონო პატიმრობა ემუქრებათ ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებსაც. მოქალაქე ილდარ დადინს სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს მშვიდობიან საპროტესტო დემონსტაციაზე ბანერის „პუტინი ხალხის მტერია“ დაკავებისათვის და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედებების ღიად გაკრიტიკებისათვის.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა, ინფორმაციული სივრცის განვითარებამ, დემოკრატიული და ნაწილობრივ დემოკრატიული ქვეყნების რაოდენობის ზრდამ ავტორიტარული და ჰიბრიდულ რეჟიმების მმართველები აიძულა განეხორციელებინათ ცვლილებები კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების გარანტიების ასახვით, გაეუმჯობესებინათ საარჩევნო კანონი. განსხვავება ამ რეჟიმებსა და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის განპირობებულია კანონის დაცვის ხარისხით. ზოგიერთ ჰიბრიდულ რეჟიმს შეიძლება ქონდეს „ნორმალური“ კონსტიტუცია და კანონმდებლობა, მაგრამ „კანონის ძალას“ უპირისპირდება ჩინოვნიკთა კორუფციის მაღალი დონე, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური პროცესების კულისებიდან შეფარულად მართვა და მანიპულირება.

საქართველოშო, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჰიბრიდული რეჟიმების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება და ჰიბრიდული რეჟიმების დამახასიათებელი პრობლემებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, საქართველოში უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მწვავედ დგას და უმნიშვნელოდ უმჯობესდება ვითარება შემდეგი პრობლემატური მიმათულებებით:

- პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება;
- საჯარო მოხელეებზე პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის და მათი დევნის ფაქტები. საჯარო დაწესებულებათა ხელმძღვანელების დისკრიმინაციული მიდგომა თანამშრომლების მიმართ, მათი განსხვავებული აზრის თუ შეხედულების გამო;
- სამართალდამცავი სისტემის განსხვავებული („მკაცრი“) რეაგირება, როდესაც სამართალდარღვევა მიმართულია მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების, მაღალჩინოსნების და დეპუტატების წინააღმდეგ;
- სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიზირება და მათ საქმიანობაზე მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენა;
- პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. რომლებიც ატარებს ჰომოფობიურ, სიძულვილის წამქეზებელ და შეურაცხმყოფელ ხასიათს საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მიმართ;
- შრომითი კანონმდებლობის გაუმართაობა და დასაქმებულთა უფლებების დარღვევები. სამსახურის დაკარგვის შიშით, დასაქმებულები ვერ გამოთქვამენ პროტესტს შრომის არასათანადო პირობებთან დაკავშირებით, პრობლემად რჩება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების საკითხიც;

- მედიაზე მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან კონტროლის/გავლენის გაძლიერება;

2.5. დემოკრატიული რეჟიმები

ტერმინი "დემოკრატია" "ხალხის მმართველობას", ძალაუფლებას ნიშნავს. დემოკრატია ესაა პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავს ხალხი და არა მეფე, პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი.

დემოკრატია ეფუძნება „თანასწორობის" პრინციპს: ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ადამიანებს საზოგადოებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ "დემოკრატიის" ოთხ მნიშვნელობას გამოყოფენ:

1. დემოკრატია, როგორც ხალხის ძალაუფლება, მმართველობა;
2. დემოკრატია, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე;
3. დემოკრატია, როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა;
4. დემოკრატია, როგორც სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად.

ისტორიულად დემოკრატიის მრავალი ტიპი და მოდიფიკაცია არსებობდა. დღეს მეცნიერები ლაპარაკობენ დემოკრატიის ორ ძირითად ტიპზე:

- პირდაპირი დემოკრატია - ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა;
- წარმომადგენლობითი, არჩევითი დემოკრატია.

პირდაპირი დემოკრატია არის ისეთი რეჟიმი, როცა გადაწყვეტილებებს იღებს ყველა, ვისაც კი იგი ეხება. პირდაპირი დემოკრატია ძველ საბერძნეთში წარმოიშვა, სადაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეები საზოგადოების უმცირესობას შეადგენდნენ და მათთვის ძნელი არ იყო რეგულარულად შეკრებილიყვნენ ერთად, რათა განეხილათ პოლიტიკური საკითხები და მიეღოთ სერიოზული გადაწყვეტილებები.

როდესაც საზოგადოების ძირითადი ნაწილი პოლიტიკურ უფლებებს ფლობს, ხოლო საზოგადოების თითოეულ წევრს არ შეუძლია ობიექტურად მიიღოს აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, პირდაპირი დემოკრატია რეალურად ვერ ხორციელდება და ის ვერ ასრულებს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების მართვაში. თუმცა, პირდაპირი დემოკრატიის მეთოდები გამოიყენება თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში. ასეთად დღეს რეფერენდუმს მიიჩნევენ. ასევე, არსებობს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც პირდაპირი დემოკრატიის პრინციპების მიხედვით იმართება.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის შემთხვევაში გადაწყვეტილებებს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაზე გავლენას ახდენს, იღებს არა საზოგადოების ყველა წევრი, არამედ სპეციალურად ამ მიზნისათვის არჩეული წარმომადგენლები. სახელმწიფოს მმართველობაში

წარმომადგენლობითი დემოკრატია გამოიხატება პარლამენტის (ან სხვა მსგავსი ფუნქციის დაწესებულების) წევრთა არჩევნებში. წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია ვლინდება იქ, სადაც მმართველობის რომელიმე ან ყველა დონეზე ამომრჩევლებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატი და/ან პარტია.

სახელმწიფო, რომელშიც რეალიზდება წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია და სადაც სრულწლოვან მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ არჩევნებში, ლიბერალურ დემოკრატიად იწოდება.

ლიბერალური დემოკრატია წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებული ფორმაა და ის სრულად იცავს შემდეგ სამოქალაქო უფლებებსა და დემოკრატიის ინსტიტუციონალურ პრინციპებს:

- მოქალაქის პირადი ხელშეუხებლობის გარანტია;
- ადამიანის უფლებები სიცოცხლეზე, პირად თავისუფლებაზე და უსაფრთხოებაზე;
- კერძო საკუთრების უფლება და მისი ხელშეუხებლობის გარანტიები, ასევე კანონით დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის უფლება და თავისუფლება;
- სიტყვის თავისუფლება და მასთან ერთად პასუხისმგებლობა ამ უფლების გამოყენებისას;
- მოქალაქის უფლება თავისუფლად გაერთიანდეს ნებისმიერ, კანონით დაშვებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ჯგუფში, კავშირში და პოლიტიკურ პარტიაში;
- რელიგიის თავისუფლება;
- რელიგიის სახელმწიფოსგან და სკოლისგან გამოყოფა;
- ბეჭდვითი გამომცემლობებისა და მასმედიის სხვა საშუალებათა (ტელევიზიის ჩათვლით) თავისუფლება;
- ჯარის, პოლიციის, სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს, სახელმწიფო ხელისუფლების მართვის აპარატის შემადგენლობის დეპოლიტიზაცია და დეპარტიზაცია;
- ჯარის, პოლიციის, სახელმწიფო უსაფთხოების ორგანოებისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების საპარლამენტო, სამოქალაქო საზოგადოებრივი კონტროლი;
- სახელისუფლებო ორგანოებისა და მათი მართვის შესახებ სრული და სამართლიანი ინფორმაციის თავისუფალი მიღება-გავრცელების უფლება;
- შემოქმედების, შემოქმედებითი თვითგამოხატვის და, კერძოდ, აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- მშვიდობიანი შეკრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება;
- კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების საერთაშორისო კანონებით დასაშვები საქმიანობის თავისუფლება;
- სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების გამიჯვნის მკაცრი პრინციპი;
- წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა;
- ეკონომიკური სუბიექტების, მოქალაქეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პარტიების, მოძრაობების, რელიგიური კონფესიებისა და ადგილობრივი თვითმართველობათა საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა;

- ძლიერი ადგილობრივი თვითმართველობები;
- პარლამენტარიზმის განვითარებული ინსტიტუტები და ინსტრუმენტები, საპარლამენტო გამოძიების ჩათვლით;
- სამართლებრივი, კანონიერი, საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი საარჩევნო უფლება, პოლიტიკურ პარტიებსა და მათ კანდიდატებს შორის რეალური თანაბრობისა და კონკურენციის უზრუნველყოფა.

იმის მიხედვით, თუ რა დოზით, რა ხარისხით ხდება ჩამოთვლილი უფლებების და პრინციპების დაცვა და უზრუნველყოფა, დემოკრატიული რეჟიმებს ლიბერალურ და ნაწილობრივ თავისუფალ დემოკრატიულ რეჟიმებად ყოფენ. ნაწილობრივ დემოკრატიული რეჟიმები ასევე იყოფა ჯგუფებად თავისუფლების ხარიხის მიხედვით: რადგან ზოგი დემოკრატიული წყობის დროს საკმაოდ მაღალი ხარისხით არის ადამიანის უფლებები დაცული, დეპოლიტიზირებულია არმია, პოლიცია, გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის გამჭირვალობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ არის სათანადო დონეზე, რაც საბოლოოდ სხვა სფეროებზეც ახდენს უარყოფით გავლენას.

ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება: აშშ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

დემოკრატიის ბუნებას ყველაზე უკეთ ლიბერალური, მრავალპარტიული დემოკრატია გამოხატავს, მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, აღმოსავლეთ ევროპისა და მესამე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, სადაც დაკანონებული იყო და არის მხოლოდ ერთი პარტია (მაგალითად, ჩინეთი), საკუთარ თავს დემოკრატიულ ქვეყანათა რიცხვს მიაკუთვნებდნენ. ამ ქვეყნებში, დაკანონებული ერთპარტიული სისტემის გამო, ამომრჩევლებს საშუალება არ ჰქონდათ არჩევანი რამდენიმე განსხვავებულ პარტიას შორის გაეკეთებინათ. ასეთი ერთპარტიული მმართველობის საფუძველია რწმენა იმისა, რომ ერთი პარტია გამოხატავს მთელი საზოგადოების ინტერესებს.

მრავალპარტიული საარჩევნო სისტემა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია სრული, ლიბერალური დემოკრატიისათვის, თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს არ აქვთ სამართლიანი შესაძლებლობა დაამარცხონ მმართველი პარტიის კანდიდატი. არასრულყოფილი დემოკრატიული რეჟიმების დროს მმართველი პარტია შეფარულ, ზოგჯერ კი აშკარა, შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს მასმედიის საშუალებებზე, მანიპულირებს პროპაგანდით და იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს არჩევნებში თავისი კანდიდატების გამარჯვებისათვის.

დემოკრატიის სრულყოფილებას 5 ძირითადი ელემენტი განსაზღვრავს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ უფლებებს და პრინციპებს მოიცავს:

1. **პასუხისმგებელი მთავრობა**
   - პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება გამჭირვალედ არჩეული წარმომადგენლების მიერ და ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ელექტორატის მიმართ არჩევითი ინსტიტუტების (პარლამენტი, კონგრესი) საშუალებით. არ არიან ანგარიშვალდებულნი მეურვეების, მონარქის და სამხედროების მიმართ;
   - მთავრობა არ იცვლება მეურვეების ქმედებით და სხვა არაკონსტიტუციური საშულებებით;

- არსებობს ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის;
- არის სრული სამოქალაქო კონტროლი სამხედროებზე.

2. **თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია პარტიებს შორის მთავრობაში მოსვლისათვის**

- არჩეული ხელისუფლება იცვლება მშვიდობიანად პერიოდული სიხშირით ჩატარებადი სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებით ხმის მიცემაზე არავითარი ან უმნიშვნელო ზეგავლენით;
- უზრუნველყოფილია თავისუფალი, კონკურენტული საარჩევნო გარემო ყველა პოლიტიკური პარტიისათვის.

3. **სრული და თანასწორი უფლებები პოლიტიკური მონაწილეობისათვის**

- ყველა სრულწლოვან მოქალაქეს აქვს ხმის მიცემის უფლება;
- სრულწლოვანი მოქალაქეების უმრავლესობას (ზოგიერთ თანამდებობაზე ასაკობრივი ცენზის გათვალისწინებით) აქვს უფლება იყოს არჩეული.

4. **სამოქალაქო უფლებების სრული თავისუფლება**

- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, საჯარო ოფიციალური პირების კრიტიკის საშუალება;
- მასმედიის და ინტერნეტის ინფორმაციის თავისუფლება;
- რელიგიური ორგანიზაციების და მოქალაქეთა თვითმართველობითი გაერთიანებების თავისუფლება.

5. **კანონზე დაფუძნებული, კარგად ფუნქციონირებადი სახელმწიფო ინსტიტუტები ეფექტური და სამართლიანი მართვით**

- სახელმწიფო, როგორც პოლიტიკურ-ბიუროკრატიული სისტემა, ეფექტურად და თანაბრად არის წარმოდგენილი ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე;
- „კანონის ძალა“ რეალურად ხორციელდება;
- პოლიტიკური და ბიუროკრატიული კორუფცია მინიმალურ დონეზეა ან არ არსებობს.

რეჟიმების დემოკრატიზაციის პროცესს ეროვნული, კულტურული და სოციალური წინაღობები აქვს, ამიტომ ზოგ ქვეყანაში დემოკრატია სწრაფად მიიღწევა და ვითარდება, ზოგიერთში კი მარცხს განიცდის.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევას ყოველთვის არ განაპირობებს. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სუვერენიტეტის მიღწევა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თვითგამორკვევისა და თავისუფლებისადმი სწრაფვა, მაგრამ იმავდროულად შესაძლებელია, რომ ახლადწარმოქმნილ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების უფლებები სათანადოდ არ იყოს დაცული, რაც დემოკრატიის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს.

დემოკრატია ასევე ვერ ვითარდება ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის შემადგენელი ჯგუფების ეთნიკური კუთვნილების გრძნობა გამძაფრებულია და ჯგუფებს ვერ აერთიანებს ერთი ერის განცდა. მაგალითად, აფრიკის კონტინენტზე არსებულ ქვეყნებში დღესაც არის ეთნიკური ურთიერთდაპირისპირებები და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ტომების წარმომადგენლები თავს ერთ ერად არ თვლიან. ეს იწვევს დაძაბულობას და დაპირისპირებას არჩევნებში, ძალაუფლების კონცენტრირებას კონკრეტულ ტომობრივ დაჯგუფებაში და შედეგად მყარდება ავტორიტარული რეჟიმი, ხდება ტომობრივი დისკრიმინაცია.

დემოკრატიული იდეალების დამკვიდრებას ასევე შეიძლება შეუშალოს ხელი რელიგიამ. ნებისმიერი რელიგია დაბრკოლება არის დამოკრატიისათვის, თუ ის აქტიურად ერევა პოლიტიკაში.

დემოკრატიის ხელისშემშლელი პირობაა ასევე არათანაბარი სოციალური სტრუქტურა. სოციალურ ფენებს შორის ძლიერი უთანასწორობა ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიზაციაზე. იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო ფენას მიეკუთვნება (საშუალო ფენის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია სათანადო შემოსავლები და განათლების დონე), პოლიტიკური რეჟიმი გაცილებით დემოკრატიულია. მაგალითისათვის, საშუალო ფენის ყველაზე დიდი პროცენტულობა (მოსახლეობის 65-70%) ნორვეგიაში, შვედეთში და ფინეთშია, რომლებიც დემოკრატიული ქვეყნების პირველ ათეულში არიან. დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და კანადაში ეს მაჩვენებელი 50-60% ფარგლებში მერყეობს.

კულტურული ფაქტორი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებაზე, რადგან უკავშირდება საზოგადოების უნარს ავტონომიურად შექმნას ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, შექმნან ადგილობრივი მმათველობის ორგანიზაციები და კერძო ასოციაციები, რომელთა ფუნქციონირება თავისუფლებისა და თვითმმართველობის გაძლიერების მნიშვნელოვანი პირობაა. თუ ადამიანებს შესწევთ უნარი ქალაქებში, თემებში, პროფესიულ ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებში განახორციელონ დემოკრატიული მმართველობა, მაშინ იმავეს წარმატებით ახერხებენ სახელმწიფო დონეზეც.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ იმ წინამძღვრების შესახებ, რომელთა არსებობაც აუცილებელია ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასასვლელად:

1. საბაზრო ეკონომიკა;
2. ქვეყნის ინდუსტრიული და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე;
3. მოქალაქეთა კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონე;
4. სოციალური უთანასწორობის დაბალი დონე; მრავალრიცხოვანი და გავლენის მქონე საშუალო ფენების არსებობა;
5. გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურ ცენტრთა სიმრავლე ანუ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება;
6. სამოქალაქო-პოლიტიკური კულტურა, რომელშიც შერწყმულია აქტივისტური და მორჩილებითი კულტურის თვისებები.

დემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმების შედარება

	ლიბერალური, სრული დემოკრატია	არასრული დემოკრატიის რეჟიმები	ჰიბრიდული რეჟიმები	ავტორიტარული რეჟიმები

პოლიტიკური პარტიები, არჩევნები, ოპოზიცია	თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები 2 და მეტი პარტიის მონაწილეობით. მოქალაქეებს შეუძლიათ შეცვალონ ხელისუფლება არჩევნებით. ძლიერი პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა	არსებობს 2 და მეტი პარტია. პოლიტიკური ოპოზიცია. მოქალაქეებს შეუძლიათ შეცვალონ ხელისუფლება არჩევნებით. არჩევნები ზოგჯერ არ არის სრულად თავისუფალი და სამართლიანი	არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია. არჩევნები არ არის საკმარისად თავისუფალი და სამართლიანი, რომ მოქალაქეებმა რეალურად შეცვალონ ხელისუფლება. ხელისუფლების ცვლილება იშვიათია	ერთი მმართველი პარტიის დომინირება, სხვა პარტიები შეიძლება აკრძალული იყოს. არჩევნებს უფრო „დემოკრატიულობის იმიჯისათვის“ ატარებენ. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა არჩევნებს იგებს კანდიდატი, რომელიც აშკარად გამოდის რეჟიმის წინააღმდეგ
სოციო-ეკონომიკური პლურალიზმი	ბევრი დამოუკიდებლად მოთამაშე ძლიერი ინსტიტუტები და ორგანიზაციები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში	განვითარებული სოციალ-ეკონომიკური პლურალიზმი, მაგრამ ძლიერი ინსტიტუტების და ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლებობა	ნაწილობრივ შეზღუდული პლურალიზმი	შეზღუდული პლურალიზმი, ზოგჯერ დაშვებულია მხოლოდ ეკონომიკური და რელიგიური პლურალიზმი
სამოქალაქო თავისუფლება	სრული სამოქალაქო თავისუუფლება	სამოქალაქო თავისუფლებები მცირედი შეზღუდვებით	სამოქალაქო თავისუფლებები საგრძნობლად შეზღუდული აქვს ნაკლოვანებები	სამოქალაქო თავისუფლებების ძლიერი შეზღუდვით ან საერთოდ არ არის დაცული
ხელისუფლების შეზღუდვა	ნათლად არის შეზღუდული კონსტიტუციით, სასამართლოთი და „კანონის ძალით“, ასევე პროფესიონალური ბიუროკრატიზმით	ნათლად არის შეზღუდული კონსტიტუციით, ნაწილობრივ სასამართლოთი და „კანონის ძალით“, ასევე პროფესიონალური ბიუროკრატიზმით	ნაწილობრივ არის შეზღუდული კონსტიტუციით, სასამართლოთი და „კანონის ძალით“,	ლიდერის, ან მცირე ჯგუფის ძალაუფლება შეუზღუდავია , ან ნაწილობრივ შეზღუდულია ბიუროკრატიით, სამხედროებით ან ფინანსური ოლიგარქიით

პოლიტიკური ანგარიშვალდებულება მოქალაქეების მიმართ	განსაზღვრული ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა და საზოგადოების წინაშე მიმდინარე პროცესში	ზოგადი ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა და საზოგადოების წინაშე მიმდინარე პროცესში	რეალური ანგარიშვალდებულება არ არის	არავითარი ანგარიშვალდებულება
ლიდერობის პერიოდი	ლიდერები აირჩევიან თავისუფალი და სამართლიანი პერიოდული არჩევნებით, ხელისუფლების გადაცემა არის ლეგალური და მშვიდი	პოლიტიკური ლიდერები აირჩევიან პერიოდული არჩევნებით, ხელისუფლების გადაცემას ხშირად თან ახლავს „არაჯანსაღი“ დაძაბულობა და ურთიერთდაპირისპირება	ხშირად არჩევნები „ამტკიცებს“ უკვე არაფორმალურ ლიდერს. ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა არ არის გარანტირებული	ლიდერობა ძირითადად სიცოცხლის მანძილზე თუ არ მოხდა ძალადობრივი გადატრიალება

2.6. პოლიტიკური რეჟიმების შეფასების ინდექსები

პოლიტიკური რეჟიმების შეფასების ინდექსებს ზოგადად თავისუფლების ინდექსებს უწოდებენ და ისინი შემუშავებულია სხვადასხვა ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ინდექსების საშუალებით ხდება ქვეყნების რანჟირება, ძირითადად, როგორც თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებად. ინდექსების შესადგენად გამოიყენება სამოქალაქო თავისუფლების, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების სხვადასხვა საზომები.

ქვემოთ ჩამოთვლილია მსოფლიოში ცნობილი ინდექსები:

- **ადამიანის თავისუფლების ინდექსი (Human Freedom Index)**

ინდექსი შემუშავდა 2015 წელს და ქვეყნდება სამი ინსტიტუტის ერთობლივი მუშაობით აშშ-ს Cato Institute, კანადის Fraser Institute და გერმანული Liberales Institut. 2016 წლის ინდექსი მოიცავს 160 ქვეყნის მონაცემებს და ითვალისწინებს შემდეგ სფეროებს: კანონის ძალა, უსაფრთხოება, რელიგია, სხვადახვა გაერთიანებები და სამოქალაქო საზოგადოება, გამოხატვის თავისუფლება, სამთავრობო ბიუროკრატიული აპარატის სიდიდე, იურიდიული სისტემა და საკუთრების უფლებები, ფულად სახსრებთან წვდომა, საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება, შრომითი კანონმდებლობა, საკრედიტო და ბიზნეს რეგულაციები.

საქართველო 2014 წლის რანჟირებაში 43-ე ადგილზე იმყოფება 159 ქვეყანას შორის, შეფასების 10 ბალიან სისტემაში ჯამური ქულით 7.82. მეზობელ ადგილებზე არიან შემდეგი ქვეყნები:

41. ბულგარეთი 7.86
42. ურუგვაი 7.83
43. საქართველო 7.82
44. მონტონეგრო 7.75
45. ხორვატია 7.67

პირველ სამ ადგილზე არიან: ჰონკონგი, შვეიცარია და ახალი ზელანდია, ხოლო ბოლო ადგილებზე ირანი, იემენი, ლიბია

ინდექსი არის ორი მაჩვენებლის; ადამიანის პერსონალური თავისუფლების და ეკონომიკური თავისუფლების კომბინაციის - საშუალო არითმეტიკული. საქართველოს პერსონალური თავისუფლების მაჩვენებლით 50-ე ადგილზეა 7.67 ქულით (მას ესაზღვრება 48. პანამა, 49. ბოსნია, 51. მონგოლეთი, 52 ბოლივია), ხოლო ეკონომიკური თავისუფლებით მაღალ 5-ე ადგილზე 7.98 ქულით (3. კანადა, 4. ირლანდია, 6. დიდი ბრიტანეთი, 7. გაერთიანებული არაბეთის ემირატები)

საქართველოს პერსონალური თავისუფლების დაბალი მაჩვენებლები განაპირობა კანონის ძალის (Rule of Law) დაბალმა შეფასებამ: სასამართლო სისტემაში არსებულმა ხარვეზებმა, ასევე მედიის (ძირითადად ტელესივრცის) კონტროლმა და პოლიტიკურმა ზეწოლამ.

- **დემოკრატიის ინდექსი (Democracy Index)**

დიდ ბრიტანეთში ბაზირებული ეკონომიკური კვლევის ჯგუფის (Economist Intelligence Unit) მიერ შემუშავებული დემოკრატიის ინდექსი მოიცავს შეფასების 60 მაჩვენებელს 5 სფეროდან

- საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი (საქართველოს ქულა 8.67)
- მთავრობის ფუნქციონირება (საქართველოს ქულა 4.29)
- პოლიტიკური თანამონაწილეობა (საქართველოს ქულა 6.11)
- პოლიტიკური კულტურა (საქართველოს ქულა 5.00)
- სამოქალაქო თავისუფლებები (საქართველოს ქულა 5.59)

ინდექსი ქვეყნდება 2006 წლიდან და მსოფლიოს 166 ქვეყნიდან 2017 წლის მდგომარეობით, არასრული დემოკრატიის ქვეყნების რაოდენობა 40-ია (მსოფლიო მოსახლეობის 44%), ჰიბრიდული, ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნების რიცხვი 57 (მოსახლეობის 18%). ავტორიტარული რეჟიმების რიცხვი კი 51 (მოსახლეობის 32%).

საქართველო 2017 წლის რანჟირებაში 78-ე ადგილზე იმყოფება 166 ქვეყანას შორის, შეფასების 10 ბალიან სისტემაში ჯამური ქულით 5.93, რაც ჰიბრიდული ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება. მეზობელ ადგილებზე არიან შემდეგი ქვეყნები:

76. მოლდოვა 6.01
77. ზამბია 5.99
79. ჰონდურასი 5.92
80. გვატემალა 5.92

პირველ სამ ადგილზე არიან: ნორვეგია, ისლანდია, შვედეთი, ხოლო ბოლო ადგილებზე: ჩადი, სირია, ჩრდილოეთ კორეა

საქართველოს ცუდი მაჩვენებელი აქვს მთავრობის ფუნციონირების მხრივ, რაც ძირითადად განპირობებულია გადაწყვეტილებების მიღების არადემოკრატიული მეთოდების გამო და კრიტიკული მოსაზრებების და განსხვავებული შეხედულებების გაუთვალისწინებლობით.

- **მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი (Worldwide Press Freedom Index)**

ქვეყნდება 202 წლიდან ფრანგული ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მიერ. ქვეყნების გრადაცია ხდება როგორც კარგი, დამაკმაყოფილებელი, შესამჩნევი პრობლემებით, მძიმე და სერიოზულად მძიმე მდგომარეობით. ინდექსი ითვალისწინებს ჟურნალისტების და საინფორმაციო სააგენტოების მდგომარეობას, მთავრობის ჩარევას მათ საქმიანობაში.

საქართველო 2017 წლის რანჟირებაში 64-ე ადგილზე იმყოფება 180 ქვეყანას შორის, შეფასების 100 ბალიან სისტემაში ჯამური ქულით 27.76, რაც პრობლემური ქვეყნების ჯგუუფს მიეკუთვნება.

ქვეყნები 5 კატეგორიებად იყოფა: კარგი (0-15), დამაკმაყოფილებელი (15.01-25), პრობლემური, (25.01-35), ცუდი (35.01-55), ძალიან ცუდი (55.01-100)

საქართველოს ესაზღვრება შემდეგი ქვეყნები:

61. ნიგერია 27.21
62. სალვადორი 27.24
63. სამხრეთ კორეა 27.61
65. ბოსნია 27.83
66. სერბეთი 28.05

პირველ სამ ადგილზე არიან: ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ხოლო ბოლო ადგილებზე თურქმენეთი, ერითრეა, ჩრდილოეთ კორეა

მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი არის 7 მაჩვენებლის კომბინაცია: პლურალიზმი, მედიის თავისუფლება, თვითცენზურა და გარემო, მედია კანონმდებლობა, გამჭირვალობა, ინფრასტრუქტურა, ძალადობა მედიის წარმომადგენლების მიმართ.

საქართველოს დაბალი ინდექსი განაპირობა მედიის თავისუფლების და გამჭირვალობის დაბალმა მაჩვენებლებმა

- **მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Economic Freedom of the World Index)**

ანგარიშს აქვეყნებს კანადაში ბაზირებული ფრეიზერის ინსტიტუტი ეკონომიკური თავისუფლების ქსელთან (Economic Freedom Network) ერთად. ინდექსი ითვალისწინებს მთავრობის ბიუროკრატრიული აპარატის სიდიდეს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გადასახადებს, ინფლაციას, ფასების რეგულაციებს, ბიზნესის და შრომით რეგულაციებს, ფულთან წვდომას, საკუთრების უფლებებს.

- **პრესის თავისუფლების ინდექსი (Freedom of the Press)**

ქვეყნდება 1980 წლიდან ყოველწლიურად თავისუფლების სახლის (Freedom House) მიერ. ინდექსით ფასდება იურიდიული, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო.

- **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom)**

ქვეყნდება 1995 წლიდან ყოველწლიურად The Wall Street Journal-ის და აშშ-ში ბაზირებული Heritage Foundation-ის მიერ. ინდექსი იყენებს მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო გამჭირვალობის და ეკონომიკური კვლევის მონაცემებს. ინდექსი

ითვალისწინებს კანონმდებლობას საკუთრების დაცვის შესახებ, ფისკალურ თავისუფლებას, მთავრობის ხარჯებს, ბიზნესის და შრომით რეგულაციებს, სავაჭრო, ინვესტიციურ და ფინანსურ რეგულაციებს.

2.7. დემოკრატიული რეჟიმების სახელმწიფო მართვის ინსტიტუციონალური სისტემები

დემოკრატიული რეჟიმების მართვის სისტემები ორ ძირითად სახეობად იყოფა: საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემებად.

საპრეზიდენტო სისტემას ახასიათებს შემდეგი 3 კრიტერიუმი:

1. პრეზიდენტი ერთდროულად წარმოადგენს მთავრობის (ის, ვინც მართავს ქვეყანას) და სახელწიფოს (სიმბოლური ეროვნული ხელმძღვანელი) მეთაურს.;
2. პრეზიდენტი ახორციელებს უმაღლეს აღმასრულებელ ფუნქციას.
3. პრეზიდენტი არჩევითი თანამდებობაა და ის დამოუკიდებელია საკანონმდებლო ხელისუფლებისგან. ამასთან, პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება ჩაერიოს პარლამენტის საქმიანობაში.

პრეზიდენტის არჩევნების ყველაზე გავრცელებული მეთოდია გამარჯვებულის მიერ არჩევნებში მონაწილეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობის (50%+1) მოპოვება პირველ ტურში. თუ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა გამარჯვება, მეორე ტურში მონაწილეობენ პირველ 2 პოზიციაზე გასული კანდიდატები.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, სხვებისგან განსხვავებით, აქვს პრეზიდენტის არჩევის უნიკალური სისტემა, როცა მოსახლეობის მიერ შტატების მიხედვით მიცემული ხმებით გროვდება ელექტორალურ კოლეგიაში ხმების რაოდენობა. ელექტორალურ კოლეგიაში მოპოვებული ხმების უმრავლესობით განისაზღვრება დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა მოიგო თუ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა. არჩევნები ნოემბერში ტარდება და არჩეულ პრეზიდენტს დეკემბერში ფორმალურად ამტკიცებს ელექტორალური კოლეგია.

პრეზიდენტის მიერ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას აქვს შეზღუდვები პარლამენტის მხრიდან, პარლამენტს შეუძლია ვეტო დაადოს პრეზიდენტის ინიციატივას და პირიქით, პრეზიდენტსაც შეიძლება ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივებზე ვეტოს უფლება.

იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს კონკურენტული გარემო, პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიულ ქვეყნებში სხვადასხვა წლებში ტარდება (ძირითადად საპრეზიდენტო ვადის შუა პერიოდში), რადგან ერთდროულად ჩატარებულ ორივე არჩევნებში დიდი ალბათობით გამარჯვებული საპრეზიდენტო კანდიდატის პარტია მეტ ხმებს მოაგროვებს, ხოლო თუ პარლამენტის არჩევნები 2-3 წლის შემდეგ ტარდება, ეს უფრო იძლევა ბალანსის და შემოწმების საშუალებას: ახალი პრეზიდენტით უკმაყოფილო ამომრჩეველი საპარლამენტო არჩევნებზე ხმას უფრო ოპოზიციურ პარტიებს აძლევს და პრეზიდენტის გავლენა პარლამენტზე სუსტდება.

საპარლამენტო მმართველობის სისტემა 5 ძირითადი ნიშნით ხასიათდება:

1. აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობა იმართება მთავრობის მეთაურის მიერ (პრემიერ მინისტრი ან მისი ექვივალენტი პოზიცია), ხოლო სახელმწიფოს მეთაური სხვა პიროვნებაა (პრეზიდენტი, მეფე);

2. მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი კოლეგიალური აპარატია და ზოგჯერ პარლამენტში შესული პარტიების კოალიციურ მთავრობად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

3. მთავრობა მუდმივად არის დამოკიდებული პარლამენტის ნდობაზე და მხარდაჭერაზე;

4. მთავრობა შეიძლება შეიცვალოს, როცა ის საკანონმდებლო ორგანოს ნდობას დაკარგავს;

5. მთავრობის მეთაური არ აირჩევა მოქალაქეების მიერ პირდაპირი წესით, ის აირჩევა პარლამენტის მიერ.

საპარლამენტო მმართველობის სისტემის დროს მთავრობის მეთაურს არა აქვს კონსიტიტუციით განსაზღვრული პერიოდი. მეტწილად, გავრცელებულია მთავრობის მეთაურის თანამდებობის დაკავების ორი გზა: ა) როდესაც მთავრობის მეთაურს, პრემიერ მინისტრს კენჭს უყრიან პარლამენტში და ბ) პრემიერ მინისტრი ინიშნება საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მიერ.

პარლამენტარიზმის ისტორია საქართველოში რეალურად 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტით იწყება. 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პარტიული სიების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. 1919 წლის თებერვალში, არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, ხოლო 1919 წლის 12 მარტს ჩატარდა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელმაც მხოლოდ ოთხი დღე იარსება, რადგან 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

ქართული პარლამენტის ის შემადგენლობა, რომელმაც 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა. მისი არჩევა ხდებოდა სამი წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა პირს, რომელსაც არჩევნების დანიშვნამდე შეუსრულდებოდა 20 წელი. კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტი ნიშნავდა ან ირჩევდა თანამდებობის პირებს, შეეძლო დაეწესებინა კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, გამოეცხადებინა ომი, აეღო საშინაო და საგარეო სესხი, გამოეცა ამნისტიის აქტი. პარლამენტის სხდომები საჯარო იყო, რომელზეც ყოველ საკითხს უბრალო უმრავლესობით წყვეტდნენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში პარლამენტის სხდომის მოწვევის უფლება ჰქონდა მთავრობას ან პრეზიდიუმს, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევდა პარლამენტი.

უნდა აღინიშნოს რომ 1921 წლის კონსტიტუცია, პარლამენტის არჩევის წესი და პრინციპები იმ დროისათვის ერთერთი საუკეთესო იყო და თავისი დემოკრატიულობით წინ უსწრებდა იმ დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ კონსტიტუციური წყობის პრინციპებს და საარჩევნო კანონმდებლობებს.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეები

საპრეზიდენტო სისტემის უპირატესობებია:

- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გამიჯნულია და ერთმანეთს აკონტროლობენ;

- პრეზიდენტის ინსტიტუტი უფრო სტაბილურია, ვიდრე პრემიერ-მინისტრის, რადგან საპრეზიდენტო ხელისუფლება არ არის პირდაპირ დამოკიდებული პრეზიდენტის მომხრე და მოწინააღმდეგე პარტიების ადგილების რაოდენობაზე პარლამენტში.

საპრეზიდენტო სისტემის ნაკლოვანებებია:

- არაპოპულარული პრეზიდენტის შეცვლა საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ძალიან ძნელია;
- რთულია კონსესუსის მიღწევა, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა განსხვავებულ პარტიებს წარმოადგენენ
- პრეზიდენტის ანგარიშვალდებულების ნაკლები ხარისხი, ერთპიროვნული გადაწყვეტილება ზოგიერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე;
- პრეზიდენტის ძალაუფლების გაძლიერებამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ მმართველობას;

საპარლამენტო სისტემის უპირატესობებია:

- საკანონმდებლო პროცესი უფრო დაჩქარებულია, რადგან პრემიერ მინისტრი პარლამენტის გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელია და პარლამენტის ნდობის მანდატი აქვს;
- ძალაუფლება უფრო თანაბრად არის განაწილებული სტრუქტურებს შორის, რადგან პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების გაძლიერებას ზღუდავს პარლამენტი;
- მთავრობა უფრო ფოკუსირებულია პარტიის პოლიტიკის და იდეების გატარებაზე.

საპარლამენტო სისტემის ნაკლოვანებებია:

- შესაძლო არასტაბილურობა და მთავრობის ხშირი ცვლა, რომელიც შეიძლება თვეობით გაგრძელდეს;
- საერთოდ, პრემიერ-მინიტრს ხალხის უფრო ნაკლები მხარდაჭერა აქვს, ვიდრე პირდაპირ არჩეულ პრეზიდენტს.

სახელმწიფოს მეთაური საპარლამენტო სისტემაში

სახელმწიფო მეთაური საპარლამენტო სისტემის დემოკრატიებში ან პრეზიდენტია, ან მონარქი.

მსოფლიოში 12 დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც სახელმწიფოს მეთაურები მემკვიდრეობითი მონარქები არიან. მათ არავითარი, ან ძალიან შეზღუდული პოლიტიკური ძალაუფლება აქვთ. „ისინი მეფობენ, მაგრამ არ მართავენ“. ამ ქვეყნების რიცხვში უმრავლესობას დასავლეთ ევროპის და სკანდინავიის ქვეყნები წარმოადგენენ: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, დანია, ესპანეთი, ნორვეგია, ასევე აღსანიშნავია იაპონია. ასეთ საპარლამენტო სისტემებს კონსტიტუციურ მონარქიებს უწოდებენ.

სხვა დემოკრატიული საპარლამენტო მმართველობის სისტემები რესპუბლიკას წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია. პრეზიდენტი ზოგ ქვეყანაში აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, ზოგში აირჩევა პარლამენტის მიერ. ასევე არსებობს პრეზიდენტის არჩევის სქემა ერთობლივა პარლამენტისა და ქვეყნის რეგიონალური პოლიტიკოსების მიერ.

საპარლამენტო მმართველობის დროს არჩეული პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია და მას სიმბოლური, წარმომადგენლობითი ფუნქცია აქვს მონარქების მსგავსად (იტალია,

მოლდოვა, სერბია, სლოვაკია, გერმანია, ისლანდია). თუმცა არის საპარლამენტო მმართველობის ქვეყნები, სადაც პრეზიდენტს გაზრდილი უფლებები აქვს და შეუძლია პერიოდულად გავლენა იქონიოს პოლიტიკაზე და მთავრობის ქმედებებზე (მაგალითად, ბულგარეთი, ხორვატია, ირლანდია, პოლონეთი, ლიტვა).

განსხვავებული მდგომარეობა არის საფრანგეთში, სადაც პრეზიდენტის ძალაუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ასეთ სისტემას „ნახევრად საპრეზიდენტოს“ ან „საპარლამენტო სისტემას პრეზიდენტის დომინირებით“ უწოდებენ და მხოლოდ რამდენიმე დემოკრატიულ ქვეყანაშია გავრცელებული.

2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით შეიცვალა ხელისუფლების დანაწილების მოდელი და, შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემა. ცვლილებათა ძირითადი შედეგი იყო პრეზიდენტის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გაფართოება და პარლამენტის ფუნქციების დასუსტება. აღნიშნული ცვლილებებით მთავრობა უფლებამოსილი იყო არა პარლამენტის, არამედ პრეზიდენტის წინაშე. მთავრობის გადადგომის ან მისი გადაყენების შემდეგ პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევდა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო ეს უკანასკნელი პრეზიდენტთან შეთანხმებით - მთავრობის წევრთა კანდიდატურებს. მართალია, მთავრობას პარლამენტის ნდობა უნდა მიეღო, მაგრამ ეს წმინდა ფორმალობა იყო, რადგან თუ პარლამენტი ზედიზედ სამჯერ ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას, პრეზიდენტი მაინც დანიშნავდა პრემიერ-მინისტრს და დაითხოვდა პარლამენტს.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით საქართველო ახალ მმართველობის სისტემაზე გადავიდა. აღნიშნული რეფორმის შედეგად დღეს ქვეყანაში მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესი გამოიყენება.

დღეისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა საპარლამენტო მმართველობის სისტემად ითვლება პრეზიდენტის შეზღუდული უფლებებით.

ქეისი #1: ქართული ინტელიგენციის რეპრესიები საბჭოთა საქართველოში 1937 წელს

პოლიტიკური ძალაუფლების გამყარების მიზნით ტოტალიტარული რეჟიმები ყოველთვის მიმართავენ რეპრესიებს. მეორე მსოფლიო ომამდე საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური რეპრესიები ორ გამორჩეულ ტალღად ჩატარდა: გასაბჭოების შემდგეგ 1921-24 წლებში და 30-იანი წლების ბოლოს.

განსაკუთრებით, 1937 წლის რეპრესიები გამოირჩეოდა აბსურდული ბრალდებებითა და კურიოზული ჩვენებებით შექმნილი საქმეებით.

მწერლობა, მხატვრობა, თეატრი ერთადერთი ასპარეზი იყო, სადაც ქართველი მოღვაწეები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ, ამიტომაც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო. ქართველ მამულიშვილთა უმრავლესობა ვერ ეგუებოდა საბჭოთა პოლიტიკას, ხოლო საბჭოთა მმართველობა მათი ეროვნული სულისა და აზრის განადგურებას მიიჩნევდა უმთავრესად მიზნად. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებმა შეიწირა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო ახმეტელის, ნიკოლო მიწიშვილისა და სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა სიცოცხლე. მათი "აღიარებითი" ჩვენებები თავმოყრილია დოკუმენტში, რომელიც

შინაგან საქმეთა საარქივო სამმართველოში ინახება. საბჭოთა დოკუმენტებში მოთხრობილია ქართული ინტელიგენციის "მავნებლური", "შპიონური", "აგენტურული", "კონტრრევოლუციური" საქმიანობის თაობაზე. დოკუმენტებში საუბარია სხვადასხვა სფეროში ფეხმოკიდებულ საბჭოეთის მტრების "მავნებლურ" ქმედებებზეც. ანგარიშს დართული აქვს “ქვეყნის მტრების” - ერის გამორჩეული შვილების ჩვენებები, რომლებიც მათ იძულებით ან გააზრებულად მისცეს საბჭოთა გამომძიებლებს. გააზრებულად, რადგან საბჭოთა გამოძიების აბსურდული ბრალდებები უფრო მეტად კურიოზულად ექციათ. დაპატიმრებულებს აღიარებითი ჩვენების მიცემა სასტიკი წამების შემდეგ უხდებოდათ და ჩვენებები სიმართლის ნატამალსაც არ შეიცავდა.

ხსენებულ ანგარიშში ჩადებულ "აღიარებით" ჩვენებებში წერია, რომ ლიტერატურული ჯგუფები და გაერთიანებები, მათ შორის, "ცისფერყანწელები", ქართული მწერლობისა და პოეზიის განვითარებას კი არ ემსახურებოდნენ, არამედ "ფაშისტური და კონტრრევოლუციური ორგანიზაციები" ყოფილან.

შსს-ს საარქივო სამმართველოს არქივში დაცული საქმის მიხედვით, მავნებლად და დივერსანტად გამოცხადდა მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ჯერ დააპატიმრეს, სასტიკი წამების შედეგად კი მისი “აღიარებით ჩვენება” მიიღეს და დახვრიტეს. "ჩვენ გადანაწილებული გვქონდა როლები, მე ვხელმძღვანელობდი ფინანსებს, გ. ქიქოძეს ევალებოდა კავშირის დამყარება სხვადასხვა ანტისაბჭოურ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან. უცხოელებთან მოლაპარაკებების წარმოება თავის თავზე აღებული ჰქონდა პაოლო იაშვილს, ხოლო საორგანიზაციო საქმეების მოგვარება მოსაშვილს ევალებოდა... საბოლოო ჯამში, იტალიური ფაშიზმის პროგრამა მივიღეთ, რომელიც ქართული რეალობისთვის უნდა მოგვერგო. ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა მაზრასა და დიდ ცენტრში გვყოლოდა თითო წარმომადგენელი, რომელიც თავისთავად სამეულის შემადგენელი იქნებოდა," - სასტიკი წამების შემდეგ ასეთი აბსურდული ჩვენება მისცა საბჭოთა გამოძიებას მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელიც იმდროინდელ მწერალთა შორის არსებული ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად მოინათლა.

აღსანიშნავია, რომ შსს-ში არსებული მასალებით, პოლონეთის კონსულის თხოვნით, მიხეილ ჯავახიშვილმა წერილი მისწერა თავის ნაცნობ პოლკოვნიკ ლ. გარსევანიშვილს. თავის მხრივ, პოლონეთის კონსულს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მისთვის საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობის შესახებ და ჯავახიშვილი დაეკავშირებინა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლებთან. ამავე აბსურდული ჩვენებებით, მიხეილ ჯავახიშვილმა ასევე პაოლო იაშვილს სთხოვა, შეეხვედრებინა გერმანიისა და იტალიის კონსულებთან.

"რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა პაოლო იაშვილი. მაგიდაზე ფურცლების რამდენიმე შეკვრა დამიდო და მითხრა, შუაღამით გერმანიის კონსული გელოდებაო, რომლისთვისაც ფურცლების ერთი შეკვრა უნდა გადამეცა, ხოლო მეორე და მესამე შეკვრა იტალიისა და პოლონეთის კონსულებისთვის... დათქმულ დროს დავურეკე გერმანიის კონსულს და შეხვედრაზე მივედი. მასთან იყო იტალიის კონსულიც. გერმანიის კონსულმა მითხრა, რომ ერთმანეთისგან არაფერი გვაქვს დასამალიო, თითით იტალიის კონსულზე მანიშნა და დააყოლა, თან ჩვენ უკვე მეგობრები ვართო. ამ ქაღალდების სანაცვლოდ მე 6000 რუბლი გადმომცეს," - ასეთი შინაარსის არის მიხეილ ჯავახიშვილის აბსურდული ჩვენებები.

ვერც "ცისფერყანწელთა" წევრი ნიკოლოზ მიწიშვილი გადაურჩა “წითელ ხელისუფლებას”. დანარჩენების მსგავსად, არც მას აპატიეს სამშობლოს სიყვარული და საზღვარგარეთ გატარებული წლები. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მას დააწერინეს, რომ ქართული ლიტერატურული გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო, ფაშისტურ ორგანიზაციად გარდაიქმნა. ისიც აგენტად და ჯაშუშად შეირაცხა და 1937 წელს დახვრიტეს.

"საქართველოში დაბრუნების შემდეგ მე დავუკავშირდი ნაციონალისტურად განწყობილ მწერლებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილის გარშემო, ასევე დავუკავშირდი ქართველ ლიტერატორებს, "ცისფერყანწელებს": პაოლო იაშვილსა და სხვებს. ეს ნაციონალისტ-ლიტერატორთა გაერთიანება საბოლოო ჯამში არალეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც ბოლო დღემდე მე ვიყავი. ჩვენი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბება იყო. აქედან გამომდინარე, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ლიტერატურულ საქმიანობაში ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ," - წერია ნიკოლოზ მიწიშვილის ჩვენებაში.

დავალება

1. მოძიეთ საბჭოთა საქართველოში 20-იანი წლების და 37- წლების რეპრესიების სტატისიკა.

2. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ქონდა ამ ორო პერიოდის რეპრესიებს?

3. ქვეყნების დემოკრატიულობის განმსაზღვრელ თავისუფლების ზემოთ ჩამოთვლილ ინდექსებში გამოყავით საერთო კრიტერიუმები (შეფასების სფეროები).

4. თქვენი პირადი მოსაზრებით თითოეული კრიტერიუმის მიმართებით რა პრობლემები და რა მიღწევები არის დღევანდელ საქართველოში?

წყაროები:

1. ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის. კონცეპტუალური პრობლემები. თბ.2015
2. პოლიტიკურ სისტემათა ტიპები. http://www.socium.ge/downloads/politikurisociologia/politikur-sistemata-tipebi.pdf
3. ბეგიაშვილი მ. ბოსტოღანაშვილი დ. ლეჟავა დ. ლოსაბერიძე დ. მკლავიშვილი მ. ნოზაძე გ. ნოზაძე ს. 2007. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა (სატრენინგო მასალები) თბილისი.
4. „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი: სალექციო კურსი, მარინა მუუსხელიშვილი, თბილისი 2006.
5. Comparing Political Regimes, A Thematic Introduction to Comparative Politics, 3rd edition, Alan Siaroff, University of Toronto, 2013
6. The Emerging Middle Class in Developing Countries, Homi Kharas, Brookings Institution, 2011
7. Democratic Reform and Injustice in Latin America: The Citizenship Gap Between Law and Society, by Alison Brysk, Georgtown Journal of International Affairs

თემა 2. ადამიანის უფლებები, მათი დაცვის მექანიზმი და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება

1. ადამიანის უფლებათა გენეზისი

1.1. ადამიანის უფლებები - მათი სოციალური ფესვები და დანიშნულება

ადამიანის უფლებები - მათი სოციალური ფესვები, დანიშნულება - კაცობრიობის ისტორიული და სოციალურ-კულტურული განვითარების შემადგენელი საკითხია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დგას პოლიტიკური, სამართლებრივი, ეთიკური, რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების ყურადღების ცენტრში.

საზოგადოების დიდი ნაწილი ადამიანის უფლებათა განვითარებას მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად მიიჩნევს. თუმცა, წარსულ ეპოქებშიც ადამიანის უფლებების პრობლემა, ინარჩუნებდა რა თავისი არსით პილიტიკურ-სამართლებრივ ხასიათს, იძენდა რელიგიურ, ეთიკურ ან ფილოსოფიურ ჟღერადობას სოციალური ურთიერთობების, კულტურისა და ტრადიციების შესაბამისად.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შეიქმნა მართლმსაჯულების სისტემები, რომელთა მიზანი საზოგადოების კეთილდღეობა იყო. მართლმსაჯულების, სამართლიანობისა და ჰუმანურობის ცნებები საერთოა მსოფლიოს ყველა რელიგიისთვის: ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი, ინდუიზმი და სხვ. მაგრამ XVIII საუკუნემდე არც ერთ საზოგადოებას, ცივილიზაციას ან კულტურას დასავლურ სამყაროში თუ სხვაგან არ ჰქონია ადამიანის ხელშეუვალი უფლებების ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა ან ხედვა.

საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა ჩამონათვალი იმ ეტალონებისა და სტანდარტების ხანგრძლივი ფორმირების შედეგია, რომლებიც ნორმებად იქცა თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ფორმათა ძიება; საზოგადოებრივი პროგრესისა და თავისუფლების გზაზე კაცობრიობის განვითარების შესაბამისად, სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა მისწრაფება სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შეზღუდვის, სახელმწიფო ორგანოებისა და ხელისუფალთა თვითნებური ქმედებისგან ადამიანის დაცვისა და პიროვნების თვითგამორკვევისათვის უფრო ფართო ასპარეზის მინიჭებისაკენ.

ყველა ადამიანი ფლობს თანდაყოლილ განუსხვისებელ უფლებას მატერიალურ თუ სულიერ სიკეთეთა განსაზღვრულ მოცულობაზე, რომელთა უზრუნველყოფასაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებამ და სახელმწიფომ. ამ სიკეთეთა მოცულობა ყოველთვის განისაზღვრებოდა ინდივიდის მდგომარეობით საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში და მატერიალურ წარმოებაში. საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი) და ცივილიზაციათა თავისებურება (დასავლური, აღმოსავლური და სხვა) ადამიანის უფლებებს არ აძლევდა ფორმალური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული უნივერსალური ხასიათის შეძენისა და თანამედროვე სახის მიღების შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნეებში ძველ პოლისებში (ათენი, რომი) ჩაისახა, სადაც პირველად წარმოიშვა დემოკრატიის იდეები და შეიქმნა მოქალაქეობის კულტურა. ძველ პოლისებში მოქალაქეობასთან, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო პოლიტიკური უფლებები: თავისუფლება, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში და მართლმსაჯულებაში მონაწილეობაა და ა. შ.

ძველი პოლისებისათვის დამახასიათებელი მოქალაქეობის ინსტიტუტი შეიძლება მხოლოდ კულტურის მაღალ დონეს წარმოეშვა და, თავის მხრივ, ამ კულტურის ფუნქციონირების, განვითარებისა და გამდიდრების საშუალება იყო. შემთხვევითი არ არის, რომ იმ ეპოქაში მოქალაქეობის იდეა და ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო სახელმწიფო წყობილების მხოლოდ ისეთი ფორმისათვის, როგორიც იყო პოლიტეა.

თავდაპირველი წარმოდგენები მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების, თითოეული მოქალაქის პოლისის კეთილდღეობისათვის ზრუნვის შესახებ ჩამოყალიბდა იმ თეორიათა საერთო კალაპოტში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ კანონისა და კანონიერების უდიდეს მნიშვნელობას (პლატონი, სოკრატე, არისტოტელე, პერიკლე, დემოსთენე და სხვა). მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ადამიანის უფლებათა და საზოგადოებაში კანონის უზენაესობის პრინციპის ურთიერთქმედებათა განუყოფლობა. ისტორიული განვითარების ყოველი ახალი საფეხური ადამიანის უფლებებს ახალ თვისებებს მატებდა და მათ სუბიექტთა უფრო ფართო წრეზე ავრცელებდა. ეს კი ხორციელდებოდა კლასებისა და წოდებების მიერ თავიანთი უფლებების, თავი-სუფლებების, მისი გაფართოებისა და გამდიდრებისათვის ბრძოლის შედეგად.

ისტორიულად, ადამიანები უფლებებს და პასუხისმგებლობას იძენდნენ მათი ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების მიხედვით - იქნებოდა ეს წარმომავლობა, დომინანტი ერი, რელიგია, კლასი, საზოგადოება თუ სახელმწიფო. მრავალ საზოგადოებაში არსებობდა ე. წ. ,,ოქროს წესის“ -

,,ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც შენ არ გინდა, რომ მოგექცნენ“ - მსგავსი ტრადიციები. ინდური ვედები, ბაბილონური ჰამურაბის კოდექსი, ბიბლია, ყურანი და კონფუცის აფორიზმები ხუთი უძველესი წერილობითი წყაროა, რომლებიც ადამიანთა მოვალეობების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების საკითხებს შეეხება. გარდა ამისა, ინკებისა და აცტეკების ქცევისა და მართლმსაჯულების კოდექსები ადგილობრივი ამერიკული წყაროები, რომლებიც XVIII საუკუნემდე კარგა ხნით ადრე არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საზოგადოებაში არსებობდა ზეპირი თუ წერილობითი ტრადიცია, რომელიც ქცევისა და მორალის წესებსა და მართლმსაჯულებასთან ერთად, მიზნად ისახავდა თავისი წევრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვას.

ადამიანის უფლებათა დაცვის დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტების წინამორბედი დოკუმენტებია: ,,თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (MAGNA CHARTA LIBERTATUM, 1215 წ. ინგლისი), „ადამიანის უფლებათა ბილი“ (1689 წ. ინგლისი), „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (1789 წ. საფრანგეთი) აშშ-ის კონსტიტუცია (1787 წ.) და „უფლებათა ბილი“ (1791 წელი). მაგრამ ამ დოკუმენტების უმეტესობა არ ეხება ქალებს, უმცირესობის ბევრ ჯგუფს და გარკვეული სოციალური, რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჯგუფების წევრებს. მათში არ არის ასახული იდეა - რომ გარკვეული უფლებები ყველა ადამიანს ეკუთვნის მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან. მიუხედავად ამისა, შევიწროებულმა ადამიანებმა ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპები, რომლებიც თვითგამორკვევის უფლებას ადგენენ, გამოიყენეს რევოლუციათა მხარდასაჭერად მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების განვითარების, მათი ბუნებრივად და განუსხვისებლად აღიარების გზაზე მოწინავედ შეიძლება ჩაითვალოს ინგლისი. ჯერ კიდევ ფეოდალიზმის პირობებში, როდესაც მიმდინარეობდა პოლიტიკური კონფლიქტი სამეფო ხელისუფლებასა და გაბატონებულ წოდებებს შორის, რომლებიც მოითხოვდნენ თვითნებობის შეზღუდვას ხელისუფლების მხრიდან, 1215 წელს მიღებულ იქნა „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (MAGNA CHARTA LIBERTATUM). ეს აქტი აღიარებულია ,,ინგლისური თავისუფლების ქვაკუთხედად“. მიუხედავად იმისა, რომ ის ფეოდალიზმის პერიოდის სამართლებრივი დოკუმენტი იყო, სწორედ მან შექმნა ის საფუძვლები, რომლებმაც წარმოშვეს წინაპირობები საზოგადოების ცხოვრებაში თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ქარტიაში ნათქვამია, რომ ,,ქვემოთ დაწერილი თავისუფლებანი“ ენიჭება სამეფოს ყველა თავისუფალ ადამიანს, რათა ,,ფლობდნენ მათ“; გატარებულია სახელმწიფოს მოხელეების თვითნებობისაგან ადამიანის დაცვისა და მისი ძირითადი ქონების ხელშეუხებლობის იდეა; ნებისმიერი ჯარიმა თუ სასჯელი კანონზე დაფუძნებული უნდა ყოფილიყო; ,,თავისუფალ

ადამიანს წვრილმანი გადაცდომისათვის დაეკისრება ჯარიმა მხოლოდ გადაცდომის მნიშვნელობის შესაბამისად, ამასთან, მისი ძირითადი ქონება ხელშეუხებელი უნდა დარჩეს; ასეთივე წესით დაეკისრება ჯარიმა ვაჭარს, და მისი საქონელი დარჩება ხელშეუხებელი, გლეხსაც, და მისი ინვენტარი დარჩება ხელშეუხებელი, არც ერთი ზემოთ აღნიშნული ჯარიმის დაკისრება არ მოხდება სხვაგვარად, თუ არა სამეზობლოში არსებული პატიოსანი ადამიანების ფიცით დამტკიცებული ჩვენების საფუძველზე“.

,,თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ 39-ე მუხლი შეიცავს დებულებას, რომელსაც დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში - ადამიანის დამნაშავედ აღიარება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებისა და ქვეყნის კანონების საფუძველზე: ,,არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება იყოს დაპატიმრებული, ციხეში ჩასმული, ქონება ჩამორთმეული, კანონგარეშედ გამოცხადებული ან სხვაგვარად შევიწროებული, და არც ჩვენ წავალთ და არც სხვებს გავგზავნით მის წინააღმდეგ, თუ არა მის თანასწორთა მიერ გამოტანილი კანონიერი განაჩენისა და ქვეყნის კანონების საფუძველზე“.

,,თავისუფლებათა დიდ ქარტიას“ აკრიტიკებენ მასში ასახული უფლებების ფეოდალურ-წოდებრივი ხასიათის გამო, რადგან ავიწყდებათ მისი წარმოშობის ისტორიული კონტექსტი. დოკუმენტის წოდებრივი ტენდენციის გათვალისწინებითაც კი არ შეიძლება ამ დოკუმენტში ასახული პრინციპების მაღალი ფასეულობების არაღიარება: თანამდებობის პირების ქმედებათა კანონთან შესაბამისობა, გადაცდომისა და სასჯელის თანაფარდობა, დამნაშავედ აღიარება სასამართლოს მიერ, ძირითადი ქონების შენარჩუნება, ქვეყნის დატოვებისა და უკანვე დაბრუნების თავისუფლება, და ბოლოს, აჯანყების უფლება ,,მთელი მიწის სათვისტომოსთან ერთად“ თავისუფლებათა დარღვევის შემთხვევაში.

ამ სამართლებრივ აქტში ჩადებული იდეები, რომლებმაც დროს გაუსწრო და რომელთა სრულად რეალიზებაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო იმ პერიოდში, ცხადყოფენ, თუ რატომ იწყება ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის განვითარების ისტორიის ათვლა ,,თავისუფლებათა დიდი ქარტიით“. ეს არის საწყისი დოკუმენტი, რომელმაც აიძულა მონარქი, დაედო პირობა, რომ დაიცავდა კანონებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა გარანტიის გამყარებისა და ხელისუფლების თვითნებობის შეზღუდვის სფეროში შემდგომ ნაბიჯად მოგვევლინა 1679 წელს „ჰაბეას კორპუს აქტის“ (Habeas Corpus Amendment Act) მიღება. ამ დოკუმენტმა დააწესა პიროვნების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესუალური გარანტია, რომელიც შემდგომში მყარად დამკვიდრდა არა მხოლოდ ინგლისში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც. „ჰაბეას კორპუს აქტი“ - ეს არის

სასამართლო ბრძანება, რომელიც ეგზავნება პატიმრობაში მყოფის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირს. იგი მიზნად ისახავდა თავიდან აეცილებინა პირთა დიდი ხნით გაჩერება ციხეში, თუკი კანონით შესაძლებელი იყო მათი თავდებით გათავისუფლება. HABEAS CORPUS-მა ასევე დაადგინა წესი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით დაკავება ან დაპატიმრება (მუხლი V).

1689 წლის „უფლებათა ბილი“ (THE BILL OF RIGHTS) მიზნად ისახავდა პარლამენტის როლის გაზრდას, პეტიციით მიმართვის უფლების გარანტიას და ა.შ.

ხალხის სრული და თავისუფალი წარმომადგენლების სახით შეკრებილმა პირებმა ამ აქტში აღადგინეს და განამტკიცეს თავიანთი ძველი უფლებანი და თავისუფლებანი, და ,,ისინი ეძებენ, მოითხოვენ და დაჟინებით ამტკიცებენ ყველა ამ პუნქტის, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე აღებულის, მიხედვით თავიანთ უდავო უფლებებსა და თავისუფლებებს; და ამტკიცებენ, რომ არანაირ განცხადებას, განაჩენსა, ფაქტსა და ქმედებას, მიმართულს ხალხის საზიანოდ ზემოთ აღნიშნული რომელიმე პუნქტის მიხედვით, სამომავლოდ არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე შედეგი ან გამოდგეს მაგალითად“.

1701 წელს მიღებულ კანონში „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“ (ACT OF SETTLEMENT) პირველად არის თავმოყრილი დებულებები, რომლებშიც აღიარებულია ინგლისის კანონების ბუნებითი ხასიათი და რომ ეს კანონები ,,წარმოადგენენ ხალხის თანდაყოლილ უფლებებს, და ყველა მეფემ და დედოფალმა, რომლებიც იქნებიან ამ სამეფოს ტახტის მფლობელები, უნდა მართოს სამეფო კანონების შესაბამისად, და ყველა მოსამსახურემ და თანამდებობის პირმა უნდა იმსახუროს ამავე კანონების შესაბამისად“.

როცა ინგლისში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს ეპოქის გამორჩეული მოაზროვნეების - ჯ. მილტონის (1608-1674), თ. ჰობსის (1588-1679), ჯ. ლოკის (1632-1704) ნაშრომები, რომლებშიც ხაზგასმულია თავისუფლების, ადამიანის ბუნებითი უფლებების, სახელმწიფოს ადამიანთა თავისუფალი შეთახმების შედეგად წარმოშობისა და მისი ბუნებით კანონებზე დაფუძნების შესახებ იდეები.

ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რეალური განცხადებები მე-17 საუკუნის ევროპაში გაკეთდა. ჯონ ლოკის ნაშრომში “მეორე მოხსენება სახელმწიფოს შესახებ” (1688 წ.) განვითარებულია თვალსაზრისი, რომ კაცობრიობის ისტორიის დასაწყის ეტაპზე ყველას თანაბარი უფლებები გააჩნდა, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე მათი დაცვა წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც ადამინებმა შექმნეს საზოგადოება, ამ უკანასკნელმა კი სახელმწიფო – სწორედ იმისათვის, რათა დაეცვათ ადამიანის უფლებები. ლოკის მოსაზრებით, ადამიანები სწორედ მაშინ უნდა დაემორჩილონ სახელმწიფოს,

როდესაც ის მათ უფლებებს იცავს, რადგანაც ადამიანის უფლება უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე თავად სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო ლეგიტიმურია მანამ, სანამ იგი სისტემატურად უზრუნველყოფს ამ უფლებათა დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ინგლისის ჩრდილოეთ ამერიკულმა კოლონიებმა. ვირჯინიაში 1601 წელს მიღებული პირველი კოლონიური ქარტია და მასაჩუსეტსის 1641 წლის თავისუფლებათა აქტში, ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციაში (1776) დაფიქსირებული ადამიანის უფლებები შემდგომში შეტანილი იქნა ამერიკულ „უფლებათა ბილში“.

თ. ჯეფერსონის, ბ. ფრანკლინის, თ. პეინის, ჯ. მედისონისა და სხვათა იდეებმა ასახვა ჰპოვეს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (დაწერილია თ. ჯეფერსონის მიერ, 1776 წ.). დეკლარაციამ ხორცი შეასხა პიროვნების თავისუფლების, მისი ავტონომიის საწყისებს და დაადგინა, რომ ადამიანები ექვემდებარებიან დაცვას სახელმწიფოს ნებისმიერი ხელყოფისაგან. დეკლარაციაში გამოხატულია ერის თვითგამორკვევის უფლება - ,,როდესაც მოვლენათა მსვლელობას მივყავართ იქამდე, რომ ერთი ერი იძულებული ხდება, თავი გაითავისუფლოს პოლიტიკური მარწუხებისაგან, რითაც ის დაკავშირებულია სხვა ერთან და დაიკავოს დამოუკიდებელი და თანაბარი ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის, რის უფლებაც მას მინიჭებული აქვს ბუნებისა და მისი შემოქმედის კანონების ძალით...“ ეს განამტკიცებს ერის უფლებას, შეცვალოს ან გააუქმოს მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც დამღუპველი ხდება ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისათვის, და შემოიღოს ახალი მმართველობა, რომელიც ეფუძნება მმართველობის ორგანიზაციის ისეთ პრინციპებსა და ფორმებს, რომლებიც ,,ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფენ ხალხის უსაფრთხოებას და ბედნიერებას“.

დეკლარაცია საფუძვლად დაედო 1787 წლის აშშ-ს კონსტიტუციას. კონსტიტუციის პრეამბულაში ვკითხულობთ; ,,ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნის, მართლმსაჯულების დადგენის, შიდა სიმშვიდის გარანტირების, ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფის, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ხელშეწყობისა და ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისათვის თავისუფლების განმტკიცების მიზნით ვაცხადებთ და ვადგენთ წინამდებარე კონსტიტუციას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

ის რომ კონსტიტუციაში არ იყო მოხსენიებული არც ადამიანის ბუნებითი უფლებები და არც მათი ჩამონათვალი, აიხსნება შემდეგით: კონსტიტუციის დამფუძნებლები თვლიდნენ, რომ ადამიანის ბუნებითი უფლებები არ უნდა დადგინდეს კანონით, რადგან ისინი ამოუწურავია. შემდგომში დ. მედისონმა და თ. ჯეფერსონმა შეადგინეს კონსტიტუციის შესწორებათა სერია და

1791 წელს ძალაში შევიდა ამერიკული უფლებათა ბილი - ,,პიროვნული თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების დიდი ამერიკული ქარტია“.

ამავე პერიოდში ევროპაში, კერძოდ კი საფრანგეთში მოხდა რევოლუცია, რომლის მნიშვნელობა გასცდა ქვეყნის ფარგლებს და დიდი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ვითარების შეცვლაზე ბევრ ქვეყანაში.

თუმცა მანამდე იყვნენ განმანათლებლები, რომლებმაც ხარისხობრივად მაღალი სტანდარტები შეიმუშავეს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

განმანათლებლები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს აქვს ბუნებითი უფლებები და ისინი თანდაყოლილია. ეს არის „ჯანსაღი გონების წინაპირობა“, რაც ღმერთის მიერაც კი არ შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს. გრაციოსი მიიჩნევდა, რომ „სახელმწიფო არის თავისუფალი ადამიანების სრულყოფილი კავშირი, რომელიც იქმნება სამართლის დაცვისა და საერთო სარგებლობისათვის“ და რომ ადამინის ბუნებითი უფლება, რაც მას ადამიანობას უნარჩუნებს, არის სამართლიანობა, ანუ უსამართლობისთვის წინაარმდეგობის გაწევა.

გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე **ვილჰელმ ფრაიჰერ ფონ ჰუმბოლდტი** თვლიდა, რომ სახელმწიფოს უდიდესი ვალდებულებაა ადამიანს მიანიჭოს თავისუფლება.

დიდი გერმანელი მოაზროვნე იმანუელ კანტი ღირსებას აფუძნებდა ადამიანის გონიერებაზე, როგორც ადამიანის თვისებაზე. მას მიაჩნდა, რომ თითოეული ადამიანი ფლობს ღირსებას თავისი გონიერებისა და ადამიანთა მოდგმისადმი მისი კუთვნილების გამო. შემეცნების, მიზნის დასახვის, "ზნეობრივი კანონით” სიარულის უნარი ის თვისებებია, რაც ადამიანებს ბუნებისაგან განასხვავებს და აამაღლებს კიდეც ბუნებაზე, რომელიც მხოლოდ სტიქიური მიდრეკილებებით ცხოვრობს და აუცილებლობის მარწუხებშია მოქცეული. ამიტომ ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამყაროში. მას (ადამიანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი თავის ღრმა პატივისცემაც და, რაც მთავარია, თითოეული უნდა ცნობდეს და პატივს სცემდეს სხვის ღირსებასაც.

შარლ ლუი მონტესკიე წერდა: „ადამიანური კანონების ბუნება ისაა, რომ ისინი ექვემდებარებიან ყველა იმ შემთხვევითობას, რომელთაც ადგილი აქვს ადამიანთა ყოფაში და იცვლებიან ადამიანის ნების ცვალებადობასთან ერთად“. ის თვლიდა, რომ ადამიანის ჭეშმარიტი უფლება სწორედ რომ პოზიტიური (კანონმდებლობაში წერილობით ჩამოყალიბებული) სამართლის ჭრილში არსებობდა; მისთვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანის პოლიტიკური უფლებების დაცვა, ხოლო ამ უფლებების გამოყენებისა და განხორციელების მთავარ მამოძრავებელ ძალად ხელისუფლების დანაწილებას (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მიიჩნევდა.

ჟან-ჟაკ რუსო - თავისუფლების წიაღიდან შობილ პირვანდელ უფლებებს ადამიანი მიჰყავს მათი

დაცვის აუცილებლობის გაცნობიერებამდე, რის გამოც იგი, საერთო ნების საფუძველზე, საზოგადოებრივ ხელშეკრულებას დებს (შეთანხმება პირებს შორის, პირებსა და სახელმწიფოს შორის) . სწორედ ამ ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს ხელისუფლების ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები (სიცოცხლის, საკუთრების, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის და სხვ.). რუსოსთვის მნიშვნელოვანია სიცოცხლის, რწმენის და გამოხატვის თავისუფლების იდეა და მათი დაცვა.

საფრანგეთის რევოლუციამ დატოვა დიდი სამართლებრივი დოკუმენტი - 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. მასში აისახა განმანათლებლობის ეპოქის ჰუმანური იდეები - თავისუფლება, თანასწორობა, ეროვნული სუვერენიტეტი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, კანონის ავტორიტეტი, ადამიანის უფლებები. ვოლტერის, მონტესკიეს და რუსოს პოლიტიკურ-სამართლებრივი და ზნეობრივი იდეები ის ფუნდამენტი იყო, რომელზეც ვითარდებოდა თავისუფალი აზროვნება, კანონისა და ადამიანის განუსხვისებელი უფლებების წინაშე ქედის მოხრა, ,,საერთო კეთილდღეობისაკენ“ სწრაფვა.

მაგალითად, დეკლარაციის მეოთხე მუხლში პირველად არის ფორმულირებული პრინციპი, რომელიც შევიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თანამედროვე კონსტიტუციებში და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში: ,,თავისუფლება არის შესაძლებლობა, აკეთო ყველაფერი, რაც ზიანს არ აყენებს სხვას“.

დეკლარაცია კრძალავს ნებისმიერი ჯგუფის ან ინდივიდის ხელისუფლებას, თუკი იგი ხალხიდან არ მოდის. იმავე დოკუმენტის თანახმად, არ შეიძლება კონსტიტუცია ჰქონდეს ისეთ სახელმწიფოს, სადაც არ არის უზრუნველყოფილი უდანაშაულობის პრეზუმცია, საზოგადოების უფლება - თანამდებობის ყველა პირს მოსთხოვოს ანგარიში მის მიერ მართულ სფეროზე, და სადაც არ არის განხორციელებული ხელისუფლების დანაწილება.

ამგვარი მიდგომა რევოლუციური შემობრუნება იყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში: ინდივიდმა, რომელიც მთლიანად იყო დაქვემდებარებული სახელმწიფოს და დამოკიდებული იყო მასზე, მიიღო ავტონომია – უფლება, რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში და არ შეზღუდოს მისი თავისუფლება. პიროვნებამ მიიღო, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი დაცვის გარანტიები მისი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები უნდა ვეძიოთ XIX საუკუნეში, როცა იყო მცდელობები აკრძალულიყო მონებით ვაჭრობა და შემცირებულიყო ომებით გამოწვეული საშინელებები. მაგალითად, ჟენევის კონვენციებმა შექმნა საფუძველი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის. ამ კონვენციებში მითითებულია, რომ საჭიროა

ადამიანის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს. სამართალი საგანგებოდ იცავს ადამიანებს, რომლებიც არ მონაწილეობენ ბრძოლებში, და მათ, ვისაც, აღარ შეუძლია ბრძოლა (მაგალითად, დაჭრილებს, ავადმყოფებსა და დამარცხებულ მებრძოლებს, სამხედრო ტყვეებს).

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გარკვეული სოციალური ჯგუფების დაცვასთან დაკავშირებული საკითხი წამოჭრა ერთა ლიგამ. მაგალითად, ერთა ლიგის „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ მიიღო მნიშვნელოვანი კონვენციები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მუშების შრომისა და პოლიტიკური უფლებების დაცვის სტანდარტები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონვენციები დასაქმებულთა მინიმალური ასაკის (1919 წ.), იძულებითი შრომის აკრძალვის (1930 წ.) და ორმოცსაათიანი კვირის შესახებ (1835 წ.).

XX საუკუნის შუა ხანებში განვითარებულმა ორმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ ახალი ძალით დააყენა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი მსოფლიო საზოგადოების წინაშე. პირველი, უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ კოლონიებში მცხოვრებთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იყო - მათი მოთხოვნა თანასწორობისა და თვითგამორკვევის შესახებ; ხოლო მეორე - მეორე მსოფლიო ომი. ნაცისტური გერმანიის მიერ 6 მილიონზე მეტი ებრაელის, ბოშის, ჰომოსექსუალისა და უნარშეზღუდული ადამიანის განადგურებამ შეაძრწუნა მსოფლიო. სულ უფრო აქტუალური გახდა მოწოდებები ადამიანის უფლებების სტანდარტების დამკვიდრების შესახებ, რათა მომხდარიყო საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობის დამყარება და მოქალაქეების დაცვა მთავრობების მხრიდან ძალმომრეობისა და შეურაცხყოფისაგან. ამ მოწოდებებმა არსებითი როლი ითამაშა 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში და მათი გამოძახილი ისმის გაეროს-ს სადამფუძნებლო დოკუმენტში - წესდებაში.

1. 2. ადამიანის უფლებათა სამართლებრივი საფუძვლები

საყოველთაო უფლებების მოთხოვნა ,,ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისთვის“ პირველად გამოითქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ (1948 წელი). ამ დეკლარაციის ოცდაათი მუხლი წარმოადგენს ყოვლისმომცველ განცხადებას ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ. დეკლარაცია არის, როგორც საყოველთაო (იგი ეხება ყველა ადამიანს), ისე განუყოფელი (ყველა უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია ადამიანური ბუნების სრულად რეალიზებისათვის).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წარმოადგენს იმ პრინციპების კრებულს, რომელთა შესრულებასაც გაეროს-ს წევრი სახელმწიფოები კისრულობენ, რათა ყველა ადამიანისთვის შესაძლებელი გახდეს ადამიანური ღირსებით ცხოვრება. დეკლარაციაში

ჩამოთვლილ უფლებებს სრულ იურიდიულ ძალას ანიჭებენ კონვენციები (ხელშეკრულებები, პაქტები), რომლებიც აყალიბებენ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებისთანავე დაიწყო მუშაობა მასში შემავალი უფლებების შესატანად იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე კონვენციაში. პოლიტიკური და პროცედურული მიზეზების გამო ეს უფლებები დაიყო და გაერთიანდა ორ დამოუკიდებელ პაქტში, რომელთაგან თითოეული ეხება უფლებათა განსხვავებულ კატეგორიებს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი აყალიბებს თავისუფლებაზე ორიენტირებულ გარკვეულ უფლებებს, ასეთი უფლებებია: გამოხატვის თავისუფლება, თავისუფლად გადაადგილების უფლება და ა. შ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შეესატყვისება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იმ მუხლებს, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის თვითგამორკვევის უფლებას და უფლებას უპირველესი აუცილებლობის საშუალებებზე, როგორიც არის საკვები, საცხოვრებელი და ჯანმრთელობის დაცვა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ორივე პაქტი 1996 წელს მიიღო.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა ოც ძირითად კონვენციას. ეს კონვენციები ერთობლივად ქმნიან ადამიანის უფლებათა სამართლებრივ ბაზას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს და აყალიბებს მექანიზმებს მათ დასაცავად და მათი დამკვიდრების ხელშესაწყობად.

გაეროს ძირითადი კონვენციები ადამიანის უფლებების შესახებ:

- კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ (1948 წ.);
- კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951 წ.);
- კონვენცია მონობის შესახებ (1953 წ.);
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად (1966 წ.);
- კონვენცია სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიმართ სამართლებრივი შეზღუდვების გამოუყენებლობის შესახებ (1968 წ.);
- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია (1979 წ.);
- კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1984 წ.);
- ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების

დაცვის შესახებ (1990 წ.);

- კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006 წ.).

ადამიანის უფლებების დაცვის უნივერსალურ ინსტრუმენტებთან ერთად არსებობს რეგიონული სისტემებიც, რომლებიც ხშირად უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტებს უზრუნველყოფს. ადამიანის უფლებათა რეგიონული კონვენციების მაგალითებია:

- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია (ასევე უწოდებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას);

- წამებისა და სხვა არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის თავიდან აცილების შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც ევროპის საბჭომ 1987 წელს მიიღო;

- ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ 1961 წელს იქნა მიღებული, ხოლო 1996 წელს დამატებების საფუძველზე შესწორებული;

- ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, რომელიც 1969 წელს მიიღო ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ - ეხება იმ სახელმწიფოთა მთავრობებს ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკიდან. რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება;

- ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია, რომელიც 1981 წელს მიიღო აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო დოკუმენტია კაცობრიობის ისტორიაში, რომელშიც მოწესრიგდა მრავალი ძირითადი უფლება და თავისუფლება. კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს, ქ. რომში. კონვენცია მიღებულია ევროპის საბჭოს (ქ. სტრასბურგი) ეგიდით. ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამჟამად კონვენციის მონაწილეა 46 სახელწმიფო, რომელთათვისაც იგი წარმოშობს იურიდიულ ვალდებულებებს. ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად მიღებულია კონვენციის დამატებითი 14 ოქმი, რომლებიც ადგენენ, როგორც მატერიალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ისე განამტკიცებენ ევროპული სასამართლოს საზედამხედველო მექანიზმს.

ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით ევროპული სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და ევროპულმა კომისიამ კონვენცია

აღიარეს ,,ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“. ევროპული კონვენციის ეს უმნიშვნელოვანესი როლი დაადასტურეს ევროპულმა სახელმწიფოებმა ევროპული კონვენციის მიღებიდან 40-ე წლისთავთან დაკავშირებით 2000 წლის 4 ნოემბერს მიღებულ დეკლარაციაში, რომელშიც აღინიშნა, რომ კონვენციამ, როგორც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურმა აქტმა, უნდა შეასრულოს მთავარი როლი, რაზეც დამოკიდებულია კონტინენტის დემოკრატიული სტაბილურობა.

ადამიანის უფლებათა კონვენციის შექმნა გულისხმობს ბევრი ადამიანისა და ორგანიზაციის თანამშრომლობაზე დამყარებულ შრომას. საწყისი წერტილი გათვითცნობიერებული საჭიროება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ყალიბდება ზოგადი პრინციპები და იწყება კონვენციის შემუშავების პროცესი. სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგ დოკუმენტი წარედგინება გაეროს. ეს უკანასკნელი ახდენს მის მიღებას, ხოლო დაინტერესებული ქვეყნები ახდენენ მის რატიფიცირებას.

კონვენციის რატიფიცირება მთავრობის მიერ სახელმწიფოს სახელით ნაკისრი სერიოზული, იურიდიულად დაკისრებული ვალდებულებაა. ყოველ კონვენციაში არის მუხლები, რომლებიც აყალიბებს პროცედურებს იმის მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის, თუ როგორ ასრულებენ კონვენციის დებულებებს ის მთავრობები, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება. როდესაც მთავრობა ახდენს კონვენციის რატიფიცირებას, იგი ეთანხმება მასში განსაზღვრულ პროცედურას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ვალდებულებებს;

- შეასრულოს კონვენცია, პატივი სცეს, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებები და არ გააკეთოს არაფერი ისეთი, რასაც ეს შეთანხმება კრძალავს;
- შეცვალოს ქვეყნის ნებისმიერი ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ან არ აკმაყოფილებს კონვენციაში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს;
- მოხდეს მისი მონიტორინგი სპეციალური უწყების მიერ, რომელიც შეაფასებს, სინამდვილეში ასრულებს თუ არა იგი თავის ვალდებულებებს;
- რეგულარული ინტერვალებით წარადგინოს ანგარიშები თავისი მოქალაქეების ცხოვრებაში ადამიანის ამ უფლებების განხორციელებაში პროგრესის შესახებ.

როგორც კი ქვეყანა მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, მის მოქალაქეებს მძლავრი დამცავი საშუალება უჩნდებათ. მათ შეუძლიათ მოსთხოვონ ხელისუფლებას ანგარიში, თუკი ის არ ექცევა პატივისცემით ადამიანის უფლებებს, რომელთა დაცვის ვალდებულება აიღო.

ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ბაზა დინამიკური ორგანიზმია. ადამიანის გარკვეული ჯგუფების საჭიროებათა აღიარებისა და განსაზღვრის კვალდაკვალ, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები მიუთითებს ადამიანის გარკვეული უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და ქმედების აუცილებლობას, მუდმივად ვითარდება და იხვეწება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.

დღეს ადამიანის უფლებათა ბევრი კონვენცია ძალაში შევიდა როგორც საერთაშორისო სამართლის ნაწილი, ზოგიერთი კი კვლავ რატიფიცირების პროცესშია. არის ისეთი კონვენციები, მაგალითად, კონვენცია მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ და კონვენცია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ, რომელიც ამჟამად მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობით შემუშავების პროცესშია.

მართალია, ადამიანის უფლებების ხსენებული განვითარება გაეროს-ს დონეზე ხდება, მაგრამ სულ უფრო ხშირად აღნიშნულის ინიცირება ახდენენ ფართო მასების წარმომადგენლები. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი.

თანამედროვე საზოგადოებაში აქტიურად განიხილება ის აზრი, რომ მსოფლიოს აღარ სჭირდება მეტი კონვენცია ადამიანის უფლებათა სფეროში. ამის ნაცვლად აჯობებდა სრულად განხორციელებულიყო ყველა არსებული მოთხოვნა. ნაწილის აზრით, გაერო-ს სისტემა არასრულყოფილია, შესაბამისად, ის მაღალი იდეალები და სტანდარტები, რომელთა დამკვიდრებასაც გაერო ცდილობს, არ არის სარწმუნო. მაგრამ მსოფლიო ისტორიის თვალთახედვიდან გაეროც და ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ბაზა ჯერ სიყრმის ასაკში არიან. შესაბამისად, ყველა ქვეყნის მოქალაქეების წინაშე დგას გამოწვევა - იმუშაონ გაეროს ინსტიტუტების უფრო ქმედითი განვითარების მიმართულებით.

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საშუალებას იძლევა გაირკვეს ცივილიზაციის ტიპი, მისი ეტაპი, რადგან ადამიანის და სახელმწიფოს მიმართება უმნიშვნელოვანესი ნიშანია, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ცივილიზაციის ბუნებას, ხოლო სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც სამართლებრივს ან არასამართლებრივს.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანახმად, ყოველ ადამიანს განუყოფელ უფლებებს „შემოქმედი“ ანიჭებს. ფრანგული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მიხედვით კი, ადამიანის უფლებები მხოლოდ დამტკიცებული და აღიარებული უნდა იქნეს „უმაღლესი არსის წინაშე და მისი მფარველობით“. ფრანგი მოქალაქეების იდეას, რომ „ადამიანი თავის უფლებებს ბუნებას უნდა უმადლოდეს, მისთვის ისინი არავის არ მიუნიჭებია“, შემდგომში მკვეთრად დაუპირისპირდა ნ. ბერდიაევი. ბერდიაევის თვალსაზრისით, ადამიანის უფ-

ლებები არ მომდინარეობს არც ბუნებიდან, არც საზოგადოებიდან და არც სახელმწიფოსგან – ისინი ღვთიური წარმოშობისაა და დასაბამიდანვე ეკუთვნის ადამიანს, როგორც სულიერ არსებას, „ხატს ღვთისას“. ადამიანის უფლებები, ამ აზრით, პიროვნების სუბიექტური უფლებებია, ხოლო „ღმერთის უფლებათა დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია – ერთი და იგივე დეკლარაციებია“.

ეს განსხვავებული თვალსაზრისები ადამიანის უფლებების ღვთიური თუ ბუნებისმიერი წარმოშობის შესახებ ასახავს ისტორიული პირობების, კულტურული თუ ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების ზეგავლენას ადამიანის უფლებათა კონცეფციის განვითარებაზე. არსებითი კი აქ ისაა, რომ ნებისმიერი ცივილიზაციის საფუძველი და ფონი რელიგიაა. ქრისტიანული რელიგიის თავისებურებებმა მოამზადა საზოგადოებრივი ცნობიერება თავისუფლების იდეისათვის, საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებლობისთვის. ადრეულ ქრისტიანობაში წინ წამოიწია ღმერთის წინაშე ყველას თანასწორობის იდეამ; შუა საუკუნეებში რელიგია დოგმატიზებული და რიტუალური შეიქმნა ადამიანის ინდივიდუალობის უკუგდებით. ამიტომ, ადამიანის უფლებების იდეის, როგორც თავისუფლებაზე ადამიანის განაცხადის, აქტუალიზება გარკვეულწილად შესაძლებელი იყო თეოლოგიურ მსოფლმხედველობასთან დაპირისპირებით. ამითვე იყო განპირობებული ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსგან.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები კათოლიკურ სამყაროში რელიგიურ მსოფლმხედველობას დაუპირისპირდა, ისინი პრინციპულად მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის წიაღში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. ქრისტიანული პერსონოცენტრიზმი აისახა პოლიტიკური თავისუფლების გაგებაშიც. ცნობილია, რომ მონტესკიე განასხვავებდა პოლიტიკურ თავისუფლებას, გამოხატულს სახელმწიფოებრივ წყობაში, რომელიც ხორციელდება ხელისუფლების დაყოფით და ურთიერთგაწონასწორებით, და პოლიტიკურ თავისუფლებას მოქალაქესთან მიმართებით, რომელიც გამოიხატება მოქალაქის რწმენაში თავისი უსაფრთხოებისადმი. „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ ავტორებმა ძირითადი ყურადღება პოლიტიკური თავისუფლების მეორე ასპექტს დაუთმეს.

მაშასადამე, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ. უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას, ე.ი. ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით. სახელმწიფოს მოვალე-

ობაა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, რადგანაც ის არსებობს ხალხისგან და ხალხისთვის.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა თეორიაში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომელიც თანამედროვე სამყაროს ღირებულებითი ორიენტირია. ეს პრინციპები დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა, მდიდრდებოდა და დღეს თანამედროვე კაცობრიობის კულტურის განუყოფელი ნაწილია. ეს პრინციპებია:

- ადამიანის უფლებები მას დაბადებიდანვე ეკუთვნის (თანდაყოლილია), ამიტომ ისინი ბუნებითია, განუყოფელია და ხელშეუვალია;
- ადამიანის უფლებები უმაღლესი ფასეულობაა, ხოლო მათი პატივისცემა, შესრულება და დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა;
- ადამიანის უფლებები არის ძალაუფლების კონტროლის, სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შემზღუდავი საშუალება, რათა სახელმწიფომ არ გადალახოს ადამიანის უფლებებით შემოფარგლული თავისუფლების საზღვრები;
- უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა შეუთავსებელია რაიმე ნიშნით დისკრიმინაციასთან;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებს და თავისუფლებებს;
- ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ერთნაირი უნდა იყოს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე;
- ადამიანის უფლებები უნივერსალურია, დაფუძნებულია თანასწორობაზე, ისინი გარანტირებულია ყველასთვის, ვინც მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშაა;
- პირადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები თანაბრად ფასეულია, მათ შორის არ არსებობს იერარქია;
- კოლექტიური უფლებები განუყოფელია ინდივიდის უფლებებისგან. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ უფლებებს ან ზღუდავდეს პიროვნების უფლებრივ სტატუსს;
- ადამიანის უფლებები რეგულირდება კანონით;

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით იმ ვითარების საფუძველზე, რომლებიც მითითებულია კონსტიტუციებში და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისადმი მუქარის, კონსტიტუციური წყობისადმი საშიშროების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობისადმი საფრთხის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის საფრთხის შემთხვევაში.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დროებითი შეზღუდვა შესაძლებელია განსაკუთრებული ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში. შეზღუდვები თანაზომადი და პროპორციული უნდა იყოს იმ სიტუაციისა, რომლის გამოც მოხდა შეზღუდვა და უნდა მოისპოს ვითარების ნორმალიზაციის მიხედვით.

ადამიანის უფლებათა კულტურის დაუფლება პიროვნებას საშუალებას აძლევს, შეაფასოს პოლიტიკური რეჟიმები, სახელმწიფოთა ჰუმანიტარული და სოციალური საქმიანობა, პოლიტიკური ლიდერების სამართლებრივი და ზნეობრივი კულტურა, ხალხის სამართალშეგნება. ადამიანის უფლებების თანდაყოლილი ხასიათის გაცნობიერება და გათავისება ათავისუფლებს მას სახელმწიფოზე ზედმეტი დამოკიდებულებისაგან, საშუალებას აძლევს, დაიცვას საკუთარი უფლებები ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ადამიანის უფლებებმა საზოგადოების კონსოლიდაციასა და პოლიტიკური დაპირისპირების შემცირებაზეც უნდა მოახდინოს კეთილისმყოფელი გავლენა, რადგან თავისი ბუნებით უფლებები კონსენსუალურია და დაფუძნებულია პრინციპებზე - „ჩემმა თავისუფლებამ არ უნდა მიაყენოს სხვის თავისუფლებას“. აქედან გამომდინარეობს უფლებათა ზნეობრივი ბუნებაც, რომელიც დაფუძნებულია სიკეთისა და საყოველთაო კეთილდღეობის კატეგორიებზე.

1.3. ადამიანის უფლებების საკითხი საქართველოში

საქართველოში სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული ევროპული დემოკრატიული სისტემის ფორმირების პროცესი დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში, როცა 1921 წლის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის თანასწორობა კანონის წინაშე, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, პიროვნების ხელშეუხებლობა, ქალების საარჩევნო უფლება, სიტყვის და შეკრების თავისუფლება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები გამოაცხადა. კონსტიტუციურ ჩარჩოში ასევე მოექცა ყველა ის უფლება, რომელიც პირდაპირ მითითებული არ იყო, მაგრამ გამომდინარეობდა კონსტიტუციით აღიარებული პრონციპებისგან. მნიშვნელოვანია, რომ დღეს მოქმედი 1995 წლის კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს ეფუძნება და ადამიანის უფლებებზე ორიენტირების ტრადიციას აგრძელებს. საქართველოს კონსტიტუცია „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“. აქედან გამომდინარე, „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა დემოკრატიის დამკვიდრება და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მოხდეს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ხალხებთან

მშვიდობიანი ურთიერთობების კონტექსტში. აღნიშულიდან გამომდინარე, საქართველო არის ადამიანის უფლებების თითქმის ყველა ძირითადი საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულების მხარე. ამასთან კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, აღიარებულია ადამიანის ის ძირითადი უფლებებიც, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპები და ნორმები საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების, პრინციპების და ნორმების საფუძველზე ხორციელდება, რომელთა შინაარსობრივი და პროცედურული ფარგლები იცვლება და ვითარდება ახალი სტანდარტების, პრინციპების და ნორმების ან პროგრესული პრაქტიკის დამკვიდრების მეშვეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის საერთაშორისო ორგანოების მიერ. თუმცა, ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია არსებული უფლებების პრაქტიკული რეალიზების საშუალებებისა და ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს. საქართველოს მიერ ამ ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის N169 დადგენილებით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი უწყებათშორისი საბჭო, რომლის მიერაც შემუშავდა წინამდებარე სტრატეგია. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია ეფუძნება საქართველოში ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას და განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს ადამიანის უფლებათა სფეროში უწყებათშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და -თანმიმდევრული პოლიტიკის ფორმირების, „კარგი მმართველობის“ განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების მიზნით (საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის. საქართველოს პარლამენტის დადგენილება).

ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში ფიქსირდება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებიც, ასევე სახეზეა ხელისუფლების და საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დარღვევებისადმი. უფრო მეტიც, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ადამიანის უფლებები და ლიბერალური ღირებულებები თავისი არსით მიუღებელია საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული მენტალობისათვის (ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, განვითარების და თანამშრომლობის ცენტრი -

პლურალიზმის ცენტრი, თბილისი, 2004 წელი, გამოცემის მთავარი რედაქტორი ლევან ბერძენიშვილი).

ის, რომ ისტორიული მემკვიდრეობა არ უპირისპირდება დემოკრატიულ ღირებულებებს. ამის დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს წარსულიდან.

"ქართლის ცხოვრების" ცნობით, უძველეს ქართლში სომხური, ქართული, ასურული, ებრაული, ხაზარული და გერძნული ენები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და ამ ექვსივე ენაზე მოლაპარაკე ხალხს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა. მხოლოდ ფარნავაზის რეფორმის შემდეგ, როდესაც მან ეროვნული დამწერლობა შემოიღო, ქართული ენა გახდა უპირატესი.

- იმავე ფარნავაზმა არმაზის კერპის დამკვიდრების პარალელურად, არ შეავიწროვა გაც და გაიმის კერპები.

- XI საუკუნის საქართველოში მიაჩნდათ, რომ ქართველად იწოდებოდა ის, ვინც ფლობდა ქართულ ენას, ეზიარებოდა ქართულ კულტურას, იქნებოდა ქართული სახელმწიფოს ისტორიის პატივისმცემელი, ემსახურებოდა ქართველი ხალხის კეთილდღეობას. ამრიგად, XI საუკუნის საქართველოში მიაჩნდათ, რომ სისხლისმიერ წარმომავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა პიროვნების უფლებისათვის - თავი მიეჩნია ქართველად. ეროვნული თვითიდენტიფიკაციისათვის მთავარი იყო პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ასპექტები;

- ყუთლუ-არსლანის პროგრამა XII საუკუნეში მოიცავდა არა მარტო სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლების მონაწილეობას, რომელთაც უნდა შეექმნათ არჩევითობის პრინციპზე დამყარებული ორგანო ,,კარავი", არამედ ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას აღმასრულებელ ფუნქციებამდე და ამა თუ იმ თანამდებობაზე კარვის მიერ შერჩეული კანდიდატურის დამტკიცებამდე;

- ქართული სამართლის ძეგლებში მოიპოვება პიროვნების ხელშეუხებლობის, საკუთრების უფლებების დაცვის ამსახველი ნორმები. ამასთანავე, სასჯელის ნორმები სასტიკია, თუმცა კი ევროპისა და რუსეთის იმდროინდელ სამართალთან შედარებით გაცილებით ლმობიერია;

ქართულ ლიტერატურაში ასახულია უფლებები და თავისუფლებები. ამისათვის საკმარისია შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილიას, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გაცნობაც; (დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა. თბილისი, 2007).

ამასთანავე საქართველოს ისტორია მრავლად იცნობს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტებს.

ფაქტი ერთია - თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ადამიანის უფლებების დაცვა რჩება.

ლიტერატურა:

1. A. Robertson & J. Merrilis, Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993;
2. F. Jacobs & R. White, The European Convention on Human Rights, 1996;
3. კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თბილისი, 2007;
4. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. ევროსაბჭო. 20054;
5. ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი ,,ადამიანი და კონსტიტუცია“, № 1, 2002 წელი;
6. ს. ლობჟანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის ფონზე. სამეცნიერო დისერტაცია. თბილისი, 2006 წელი;
7. მ. ნარინდოშვილი. ადამიანის უფლებები. თავისუფლების ინსტიტუტი, 2005;
8. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ევროპის საბჭო.
9. ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ. ევროპის საბჭო, სტრასბურგი. 2010 წ. ელ. წვდომა: http://civics.ge/index1.php?m=844
10. პიტერ პრეტი, პასკალ მომპოინტ-გელარდი, მარია ელენა სალემა. რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი, 2009 ელ.წვდომა: http://civics.ge/index1.php?m=844
11. როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი. განათლება დემოკრატიისათვის. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი, 2013 წ. ელ. წვდომა: http://civics.ge/index1.php?m=844
12. როლფ გოლობი, პიტერ კრაფი. დემოკრატიის სწავლება. სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი, 2013 წ. ელ. წვდომა: http://civics.ge/index1.php?m=844

სასარგებლო ვებ-გვერდები:

1. ევროპის უფლებათა კონვენცია: www.conventions.coe.int
2. ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი: www.crin.org.
3. ევროპის საბჭო: www.coe.int
4. ევროპის ბავშვთა ქსელი (EURONET): www.europeanchildrensnetwok.org.

5. Human Rights Watch: www.hrw.org
6. იუნესკო: www.unesco.org
7. იუნისეფი: www.unices.org
8. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი: www.ohchr.org/english
9. სამოქალაქო განათლების ვებპორტალი www.civics.ge

სადისკუსიო კითხვები:

1. რატომ უნდა ვცეთ პატივი სხვის უფლებებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი არ სცემენ პატივს ჩვენს უფლებებს?

2. რა უნდა გააკეთოს მოქალაქემ, თუ საზოგადოება პატივს არ სცემს გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის უფლებებს?

3. გაანალიზეთ ციტატები ინგლისის მეფის ჯონ პლანტაგენეტის მიერ XIII საუკუნეში მიღებული „თავისუფლებათა დიდი ქარტიიდან“:

ა),,არა ჩვენი ქვეშევრდომი არ იქნება შეპყრობილი და დატუსაღებული, უფლებააყრილი თუ განდევნილი, არ ჩამოერთმევა ქონება თუ ადგილ–მამული მის თანასწორთა ბრალდებისა და სამეფო კანონით განსჯის გარეშე. თვინიერ ამ ორი პირობისა, ვერც ჩვენ და ვერც ჩვენი მსახურნი ვერ გამოვიყენებთ ძალაუფლებას მის მიმართ“;

ბ) „ამიერიდან მსაჯულებად, კონსტებლებად, შერიფებად და კანონის სხვა მსახურებად განვამწესებთ მხოლოდ მათ, ვინც განსწავლულია სამეფოს კანონებში და მათი აღსრულებაც ხელეწიფება“;

გ) „ყველა ზემოთ თქმული უფლება და შეღავათი უფლება და შეღავათი დაცულ უნდა იქნება ამ სამეფოში ჩვენ მიერ ჩვენს ქვეშევრდომთა და მსახურთა მიმართ და დაე, ჩვენი სამეფოს ყოველი წარჩინებულიც, სასულიერო თუ საერო პირი ასევე მოექცეს თავის ხალხს“.

4. ს. ლობჟანიძის ნაშრომის ,,აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის ფონზე“ საფუძველზე განიხილეთ თითოეული ეპოქის აღზრდის სისტემა, სადაც კარგად გამოჩნდება სხვადასხვა ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

2.1 ადამიანის უფლებები და მათი არსი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. გაერო-ს ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და ნორმებს. ყველა წევრ სახელმწიფოს დადებული აქვს საყოველთაო დეკლარაციის შესრულების პირობა. მართალია, დეკლარაცია ჩაფიქრებული იყო არასავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტად, მაგრამ დროთა განმავლობაში მისმა დებულებებმა ისეთი ფართო აღიარება ჰპოვა, რომ ახლა შეიძლება ითქვას, რომ ის საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივი ნაწილია.

დეკლარაცია წარმოადგენს „მსოფლიო აზრს, რომელიც ადამიანის უფლებათა სინთეზი, რწმენა და საერთო ფილოსოფიაა, და, თვით ფაქტიდან გამომდინარე, ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნაწილი" (ი. ჰაქსარი, გვ.36). დეკლარაცია წარმოადგენს კაცობრიობის კუთვნილი, სერთაშორისოდ აღიარებული უფლებების შინაარსის კონსენსუსს. მასში მოცმული უფლებების მასშტაბი იმდენად ფართოა, რომ მას მინიმალური სირთულეებით შეუძლია მოიცვას ყველა კულტურა და რელიგია. ზოგიერთი კრიტიკოსი აცხადებს, რომ დეკლარაცია პატერნალისტურია[2], თუმცა მან გაუძლო დროის გამოცდას. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ისე უამრავი ეროვნული სასამართლო იყენებს დეკლარაციას ან როგორც განმარტებით საშუალებას ან როგორც ჩვეულებით სამართალს. იგი ხშირად გამოიყენება საკონსტიტუციო საკითხების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ახალ სახელმწიფოებში. არასამთავრობო ორგანიზაციები საყოველთაო დეკლარაციას იყენებენ ადამიანის უფლებათა სტანდარტად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადგენს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, რომელთაც პატივი უნდა სცენ და დაიცვან სახელმწიფოებმა. ეს განსაზღვრული უფლებები შეიძლება ექვს ჯგუფად დავყოთ: უსაფრთხოების უფლებები, რომლებიც იცავენ ადამიანებს ისეთი დანაშაულებისაგან, როგორებიცაა მკვლელობა, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, წამება და გაუპატიურება; სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც მიმართულია სასამართლო სისტემის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაპატიმრებაში, საიდუმლო (დახურულ) სასამართლო პროცესებში და გადამეტებულ სასჯელებში; თავისუფლების უფლებები, რომლებიც იცავენ რწმენის,

[2] პატერნალისტური- paternale,"მამობრივი"1. კაპიტალისტურ ქვეყნებში: მუშების ნაწილის მოსყიდვა „მამობრივი ზრუნვით" (ხელფასის მომატებით, პრემიებით და სხვ.) კლასობრივი ბრძოლისაგან მათი ჩამოშორების მიზნით. 2. ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთი ფორმა - მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიკური და სხვა "დახმარება", რომლის მიზანია ამ ქვეყნების დამონება. Source: უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.

გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა და გადაადგილების თავისუფლებებს; პოლიტიკური უფლებები, რომლებიც იცავენ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თავისუფლებას სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა გაერთიანება, პროტესტის გამოხატვა და არჩევნებში ხმის მიცემა; თანასწორობის უფლებები, რომლებიც თანასწორუფლებიანი მოქალაქეობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის უარყოფის გარანტიებს; და *სოციალური* (ან „კეთილდღეობის“) *უფლებები,* რომლებიც სხვა ბევრ საკითხთან ერთად მოითხოვენ ყველა ბავშვის განათლების მიღების უზრუნველყოფას და უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილისაგან დაცვას. არსებობს აგრეთვე კოლექტიური უფლებების ცნება. ისინი არ არის ასახული საყოველთაო დეკლარაციაში, თუმცა მათ მოიცავს შემდგომ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. კოლექტიური უფლებები მოიცავენ ეთნიკური ჯგუფების დაცვას გენოციდისაგან და სახელმწიფოების მიერ მათ ეროვნული ტერიტორიებისა და რესურსებზე საკუთრების უფლების დაცვას.

ჩვენი მიზანია, გავცეთ პასუხი კითხვაზე, რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები, აღვწეროთ მათი არსი და განვსაზღვროთ, რა საერთაშორისო მექანიზმები არსებობს მათ დასაცავად. შეიძლება, ორ ადამიანს საერთო ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა შესახებ, მაგრამ მათი აზრები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს იმის შესახებ, არის თუ არა რომელიმე კონკრეტული უფლება ადამიანის უფლებას.

ადამიანის უფლებები პოლიტიკური ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავენ მთავრობებისა და ინსტიტუტების დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ. ისინი ჩვეულებრივი ზნეობრივი ნორმები არ არის, რომლებიც მხოლოდ პიროვნებათაშორის ქცევას შეეხება (როგორებიცაა ტყუილისა და ძალადობის აკრძალვა). ისინი არა თუ უკრძალავენ მთავრობებს დისკრიმინაციას მოქმედებებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში, არამედ ავალებენ მათ, აღკვეთონ დისკრიმინაციის როგორც კერძო, ისე საჯარო ფორმები.

ადამიანის უფლებები არსებობს, როგორც ზნეობრივი ან სამართლებრივი უფლებები. ადამიანის უფლება შეიძლება მოიცავდეს როგორც აქტუალურ ადამიანურ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს სამართლებრივი უფლებები ეროვნულ დონეზე (მათ შეგვიძლია „სამოქალაქო“ ან „კონსტიტუციური“ უფლებები ვუწოდოთ), ისე სამართლებრივ უფლებას საერთაშორისო სამართლის სისტემაში. ადამიანის უფლებათა მოძრაობა მიისწრაფვის, რომ ადამიანის უფლებებმა ოთხივე სახით იარსებოს.

ადამიანის უფლებები მრავალრიცხოვანი (რამდენიმე ათეული) უფროა, ვიდრე მცირეოდენი. ჯონ ლოკისეული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები მცირერიცხოვანი და

აბსტრაქტულია იმ უფლებებთან შედარებით, რომლებიც დღეს მიიჩნევა უფლებებად (მაგალითად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მონობის გაუქმება, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გენოციდის აკრძალვა). ადამიანის უფლებები იცავენ ადამიანებს ღირსებისა და ძირითადი ინტერესების შელახვისაგან. ადამიანის მრავალი უფლება თანამედროვე პრობლემებს შეეხება და ახლახან არის შექმნილი.

საერთაშორისო სამართალი გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის უფლებებისათვის გლობალური ხელმისაწვდომობის მინიჭების საკითხში. ადამიანის უფლებები ის საერთაშორისო ნორმებია, რომლებიც მოიცავენ ყველა სახელმწიფოს და დღეს მცხოვრებ ყველა ადამიანს.

ადამიანის უფლებები წარმოადგენენ მინიმალურ სტანდარტებს. მათი მიზანი ცუდის თავიდან აცილება უფროა, ვიდრე საუკეთესოს მიღწევა. როგორც მინიმალური სტანდარტები, ისინი ღიად ტოვებენ უმეტეს სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხს, რათა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე იქნეს მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები. ეს მათ საშუალებას აძლევთ, განიცადონ კულტურული და ინსტიტუციური სახეცვლილებები და დატოვონ დიდი სივრცე დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მისაღებად ადგილობრივ დონეზე.

უფლებებს ხშირად მავალდებულებელი ხასიათი აქვთ და ვალდებულებებს აკისრებენ თავიანთ ადრესატებს, რომელთაც გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აკისრიათ. ადამიანის უფლებები, ძირითადად, იმ სახელმწიფოს მთავრობას აკისრებენ ვალდებულებებს, სადაც პირი ცხოვრობს ან იმყოფება. საქართველოს მოქალაქეთა უფლებები, ძირითადად, საქართველოს მთავრობასთანაა დაკავშირებული. საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა სახელმწიფოთა მთავრობები მეორადი, ანუ „დამატებითი“, ადრესატები არიან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ სახელმწიფოთა მხარდაჭერას, ხელშეწყობას და ზოგჯერ კრიტიკასაც მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

2.2. ადამიანის უფლებათა სახეები

ადამიანის უფლებები დღეს, როგორც საერთაშორისო, ისე კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილია, მაგრამ თუკი ადამიანის უფლებები მხოლოდ ასახვის გამო იარსებებდა, მათი ხელმისაწვდომობა ყოველთვის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე იქნებოდა დამოკიდებული. მრავალი ადამიანი ეძებდა გზას, რათა მხარი დაეჭირა მოსაზრებისათვის, რომ ადამიანის უფლებებს უფრო ღრმა ფესვები აქვს და უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ამ იდეის ერთ-ერთ ვერსია ისაა, რომ ადამიანები უფლებებით იბადებიან, ადამიანის უფლებები თანდაყოლილი და განუსხვისებელია. აშშ-დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776) აცხადებს, რომ ხალხს „მათი შემოქმედის მიერ აქვს

მინიჭებული“ „სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის“ ბუნებითი უფლებები. ამ გაგებით, ღმერთი უზენაესი კანონშემოქმედია, რომლის მიერაც არის დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები. მაგრამ, ადამიანის უფლებების ღმერთის ნებისადმი მიკუთვნება უკიდურესად მრავალფეროვან სამყაროში არ უზრუნველყოფს მათ პრაქტიკულ სიმყარეს. ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე მათი სამართალში ასახვა გაცილებით მყარ სტატუსს უზრუნველყოფს პრაქტიკული მიზნების მისაღწევად.

ადამიანის უფლებები შეიძლება სამართალში ასახვისგან დამოუკიდებლადაც არსებობდეს. ადამიანის უფლებები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძირითადი ზნეობრივი ნორმები, რომლებიც აღიარებულია ყველა ან თითქმის ყველა ადამიანური ზნეობრივი პრინციპის მიერ. ცნობილია, რომ ადამიანთა ყველა ჯგუფს აქვს ზნეობრივი პრინციპები, ანუ ქცევის იმპერატიული ნორმები, რომლებსაც კეთილგონიერება და ფასეულობები უდევს საფუძვლად. ეს ზნეობრივი პრინციპები შეიცავენ ნორმებს (მაგალითად, უდანაშაულო ადამიანის განზრახ მკვლელობის აკრძალვა) და სპეციფიკურ ფასეულობებს (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის მაღალფასეულობა).

რომელი უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებებს?

კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებებს, ადამიანის უფლებათა მრავალ ჯგუფთან დაკავშირებით წარმოიშობა. იმის გადაწყვეტისას, თუ რომელი განსაზღვრული უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებებს, შეიძლება დავეყრდნოთ საერთაშორისო დეკლარაციას და ევროპულ კონვენციას. ქვემოთ განხილულია: (1) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები; (2) სოციალური უფლებები; (3) უმცირესობათა და კოლექტიური უფლებები და (4) გარემოს უფლებები.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები სათავეს იღებს ისეთი დოკუმენტებიდან, როგორებიცაა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (1789, საფრანგეთი) და უფლებათა ბილი (1791, აშშ). თანამედროვე წყაროებია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი 21 მუხლი და ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია და ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა უმეტესობა აბსოლუტური არ არის და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო და კერძო ინტერესებით, ძალადობის შემზღუდველი წესების მეშვეობით,

სამართლებრივი სასჯელით. საერთაშორისო შეთანხმებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ნებადართულია უფლებათა შეზღუდვა „ერისათვის საფრთხის შემცველი საერთო-სახალხო უკიდურესი აუცილებლობის“ დროს (მუხლი 4). თუმცა, იგი კრძალავს ზოგიერთი უფლების შეზღუდვას, მათ შორის არის სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვის, მონობის აკრძალვის, სისხლის სამართლის კანონებისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვის უფლებები და აზრისა და რელიგიის თავისუფლება.

სოციალური უფლებები

ზემოთ განხილულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა გარდა საყოველთაო დეკლარაცია მოიცავს აგრეთვე სოციალურ (ან კეთილდღეობის) უფლებებს. მათ მიეკუთვნება თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა ქალებისა და უმცირესობათა მიმართ, სამუშაოს შოვნის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობები, პროფესიული კავშირების შექმნისა და კოლექტიური შეთანხმების უფლება, სოციალური უსაფრთხოება, შესაბამისი ცხოვრების სტანდარტი (რაც მოიცავს შესაბამის საკვებს, ჩაცმას და ბინით უზრუნველყოფას), ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. ეს უფლებები საერთაშორისო სამართლის ნაწილად იქცნენ ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით, როგორებიცაა საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ევროპის სოციალური ქარტია და სან-სალვადორის პროტოკოლი (1988), რომელმაც შესწორება შეიტანა ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში.

უმცირესობათა და კოლექტიური უფლებები

უმცირესობათა უფლებებისათვის ზრუნვის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს ადამიანის უფლებათა მოძრაობის სფეროში. ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ყველა ადამიანს, მათ შორის ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრებსაც, ერთნაირი ძირითადი უფლებები აქვთ და ამ უფლებებით სარგებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა შეეძლოს. დისკრიმინაციისაგან თავისუფლების უფლება მკაფიოდ არის წარმოჩენილი საყოველთაო დეკლარაციაში და შემდგომ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური შეთანხმება, მასში მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, პატივი სცენ და დაიცვან თავიანთი ხალხის უფლებები „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური კუთვნილებისა, საკუთრებისა, წარმოშობისა ან სოციალური მდგომარეობისა“.

ზოგიერთი სტანდარტული ინდივიდუალური უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისათვის. მათ მიეკუთვნება გაერთიანების თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება და თავისუფლება დისკრიმინაციისაგან. ადამიანის უფლებათა დოკუმენტები შეიცავს ასევე უფლებებს, რომლებიც კონკრეტულად უმცირესობებს შეეხება და მათთვის დაცვის სპეციალურ საშუალებებს ადგენს. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური შეთანხმების 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ პირებს, რომლებიც ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, „არ უნდა ეთქვათ უარი უფლებაზე, თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, განაცხადონ და გამოიყენონ თავიანთი რელიგია ან ილაპარაკონ საკუთარ ენაზე“.

1964 წლიდან მოყოლებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უმცირესობათა უფლებებს ძირითადად ისეთ სპეციალიზებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ითვალისწინებს, როგორიცაა საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ (1965) და კონვენცია ქალების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ (1979).

ჯანმრთელი გარემოს უფლებები

მიუხედავად უფლებების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის საშიშროებისა, არსებობს აბსოლუტური ნორმები, რომლებიც ადამიანის უფლებებად უნდა იქნეს მიჩნეული, თუმცა, ძირითადად, ისინი ასეთებად არ აღიქმება. ბოლოს და ბოლოს, არსებობს მრავალი სფერო, სადაც ადამიანთა ღირსებას და ფუნდამენტურ ინტერესებს მთავრობის მოქმედებებისა თუ დაუდევრობის გამო საფრთხე ემუქრება. მხედველობაში გვაქვს ჯანმრთელი გარემოს უფლებები, რომლებიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ცხოველთა ან თავად ბუნების უფლებები. ამგვარი გაგების გამო ისინი არ შეესაბამება ადამიანის უფლებების ძირითად არსს, ვინაიდან ამ უფლებათა მფლობელებს არ წარმოადგენენ ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები. თუმცა, უფრო ზომიერი ფორმულირებაც არის შესაძლებელი; გარემოს უფლებები შეიძლება გავიგოთ, როგორც ჯანმრთელ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება. ასეთ შემთხვევაში უფლება ადამიანზეა ორიენტირებული. ის პირდაპირ არ მოიცავს ცხოველთა მოთხოვნილებებს, ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ან უწყვეტ განვითარებას.

უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება შეიძლება შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ზემოთ მითითებულ ადამიანის უფლებათა ძირითად არსთან, თუკი იგი გაგებულ იქნება, როგორც უფლება, რომელიც უმთავრესად პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. იგი მოუწოდებს მათ, დაარეგულირონ სამთავრობო თუ არასამთავრობო

წარმომადგენელთა ქმედებები უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. მოქალაქეები მეორეხარისხოვანი ადრესატები არიან. უფლება ადამიანთა უსაფრთხოებისათვის გარემოს მინიმალურ სტანდარტებს უფრო ადგენს და არ მოუწოდებს გარემოს დაცვის უფრო მაღალი და ფართო სტანდარტებისაკენ.

რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სოციალური უფლებები ადამიანის უფლებებად?

საყოველთაო დეკლარაცია შეიცავდა სოციალურ (ან „კეთილდღეობის“) უფლებებს, რომლებიც შეეხებოდა განათლებას, კვებას და საქმიანობას. დეკლარაციაში მათი ასახვა დიდ კამათთან იყო დაკავშირებული (Beetham 1995). სოციალური უფლებები ხშირად სასურველი მიზნების მიღწევის მოთხოვნებად მიიჩნევა და არა რეალურ უფლებებად. მათ არ შეიცავს ევროპული კონვენცია (თუმცა მასში მოგვიანებით შესწორების სახით შეტანილ იქნა განათლების უფლება). სამაგიეროდ ისინი ჩადებულ იქნა განსაკუთრებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში - ევროპის სოციალურ ქარტიაში. როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაიწყო საყოველთაო დეკლარაციაში შემავალი უფლებების საერთაშორისო სამართალში გატარების პროცესი, მან ევროპული სისტემის მოდელი აირჩია, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებაში შემავალი ეკონომიკური და სოციალური სტანდარტები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისგან განცალკევებით განიხილა. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება - საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ („სოციალური შეთანხმება“, 1966) ამ სტანდარტებს უფლებებად მიიჩნევდა, თუმცა პროგრესულად რეალიზებად უფლებებად.

სოციალური უფლებების ოპონენტები მათ ადამიანის უფლებებად არ მიიჩნევენ. სოციალური უფლებების წინააღმდეგ გავრცელებული მოსაზრებებია: (1) ისინი არ ემსახურებიან ჭეშმარიტად ფუნდამენტურ ინტერესებს; (2) ისინი მეტად მძიმე ტვირთის სახით აწევთ მთავრობებს და გადასახადის გადამხდელებს და (3) ისინი განუხორციელებელია ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში (ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: Beetham 1995; Cranston 1967, 1973; Howard 1987; Nickel 2005, 2006).

პირველ რიგში შევეხოთ მნიშვნელოვან საკითხს და მაგალითად მოვიშველიოთ ორი სოციალური უფლება: ცხოვრების შესაბამისი სტანდარტის უფლება და უფასო საჯარო განათლების მიღების უფლება. ეს უფლებები ავალებენ მთავრობებს, შეეცადონ ისეთი სერიოზული უარყოფითი მოვლენების გამოსწორებას, როგორებიცაა შიმშილი და გაუნათლებლობა.

საკვები პროდუქტებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი სხვა ძირითადი მატერიალური პირობების მნიშვნელობის დანახვა არც ისე ძნელია. ისინი არსებითია ადამიანთა

სიცოცხლისათვის, მოქმედებისა და განვითარებისათვის. თუკი ეს სიკეთეები არ იქნება სათანადოდ ხელმისაწვდომი, ცხოვრების, ჯანმრთელობისა და თავისუფლების მრავალ ინტერესს დაემუქრება საფრთხე და ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის სერიოზული ალბათობა წარმოიშობა. კავშირი ამ უფლებით გარანტირებული სიკეთეების ქონასა და მინიმალურად კარგი ცხოვრების ქონას შორის პირდაპირი და აშკარაა - ფაქტორი, რაც ყოველთვის არ არის დამახასიათებელი ადამიანის სხვა უფლებებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში განათლების მიღების შესაძლებლობის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ზღუდავს (როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით) ადამიანების შესაძლებლობას, სრულად და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში (Hodgson 1998). განათლების ნაკლებობა ზრდის უმუშევრობისა და არასაკმარისად დასაქმების ალბათობას.

სოციალური უფლებების მნიშვნელობის მხარდასაჭერად კიდევ ერთი გზაა მათი მნიშვნელობის წარმოჩენა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრულად განხორციელებისათვის. თუკი სახელმწიფო მოახერხებს შიმშილის აღმოფხვრას და უზრუნველყოფს ყველას მიერ განათლების მიღების შესაძლებლობას, ეს ხელს შეუწყობს ადამიანთა შესაძლებლობას, იცოდნენ, გამოიყენონ და ისარგებლონ თავიანთი თავისუფლებებით, სამართლიანი სასამართლოს უფლებით და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებით. ამის დანახვა ადვილია განათლებასთან მიმართებით. გაუნათლებლობა ბარიერს წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისათვის, ვინაიდან გაუნათლებელმა ადამიანებმა ხშირად არ იციან, რა უფლებები აქვთ და რის გაკეთება შეუძლიათ ამ უფლებათა გამოსაყენებლად და დასაცავად. ამის დანახვა ადვილია აგრეთვე დემოკრატიული მონაწილეობის სფეროშიც. განათლება და მინიმალური შემოსავალი ეკონომიურად დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებს უფრო უადვილებს, მიჰყვნენ პოლიტიკას, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ კამპანიებში და დახარჯონ დრო და ფული, რაც საჭიროა არჩევნებზე წასასვლელად და ხმის მისაცემად

სახელმწიფოები, რომლებიც არ აღიარებენ და არ ახორციელებენ სოციალურ უფლებებს, მაინც საჭიროებენ როგორმე გასწიონ ხარჯები გაჭირვებულთა უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ეს სახელმწიფოები - განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი პოლიტიკური მონაწილეობის დემოკრატიულ უფლებებს აღიარებენ - ვერ შეეგუებიან მოსახლეობის დიდი ნაწილის შიმშილს და უსახლკარობას. მხოლოდ გასულ საუკუნეში მოხერხდა მთავრობათა მიერ მხარდაჭერილი სოციალური უფლებების მეშვეობით გაჭირვებულთა უზრუნველყოფის ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემსუბუქება. სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული გადასახადებით ხდება სხვა

ისეთ მძიმე მოვალეობათა ნაწილობრივი ჩანაცვლება, როგორიცაა ოჯახისა და საზოგადოების მოვალეობა, უზრუნველყონ უმუშევართა, ავადმყოფთა, უუნაროთა და ასაკოვანთა სათანადო მოვლა-პატრონობა. გადაწყვეტილების მიღება, განხორციელდეს თუ არა სოციალური უფლებები, დამოკიდებულია არა იმის გადაწყვეტაზე, გაწეულ უნდა იქნეს თუ არა ამგვარი ტვირთი, არამედ იმის გადაწყვეტაზე, გაგრძელდეს თუ არა მთლიანად არაფორმალური უზრუნველყოფის სისტემაზე დაყრდნობა, რომელსაც არასტაბილური სარგებელი მოაქვს და რომლის ხარჯებიც მძიმედ აწვება ოჯახებს, მეგობრებსა და საზოგადოებას

2.3. ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე

ბავშვის უფლებების ყოველმხრივ დაცვას უზრუნველყოფს საერთაშორისო და რეგიონული რესურსების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებებს, ჰუმანიტარულ სამართალსა და კანონს ლტოლვილთა შესახებ. ბავშვები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც საყოველთაო ხელშეკრულებებშია მოცემული. გარდა ამისა, შემუშავებულ იქნა მთელი რიგი სპეციალური ინსტრუმენტებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვთა დამატებით დაცვას, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ და მნიშვნელოვანნი არიან საზოგადოებისათვის. ამგვარი მიდგომა იძლევა მათი ჯანსაღი განვითარებისა და საზოგადოებაში ჩართულობის გარანტიას.

ინფორმაციისათვის: დღეისათვის მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 2 მილიარდი ბავშვი, აქედან 79 მილიონი ევროკავშირში და 25 მილიონი იმ ქვეყნებში, რომლებიც ითვლებიან ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატებად.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვას ეხება არის ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც გათიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წელს მიიღო. ეს კონვენცია არის ამ სფეროში მიღებული პირველი სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ის არის მსოფლიოში ყველაზე ფართო მაშტაბით რატიფიცირებული ადამიანის უფლებების დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს, ბავშვების ასაკის, და ზრდასრულობის მიხედვით – მონაწილეობას მოვლენებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ბედზე, როგორიცაა იურიდიული პროცესები ან გაშვილების პროცესები, რაც უკავშირდება მათ ოჯახებსა და მთლიანად საზოგადოებას. ის ასევე ამკვიდრებს უფლებებს მათი ძალადობის ყველა ფორმისაგან და ისეთი ქმედებებისაგან დაცვისათვის, რომელიც არღვევს მათ უფლებებს. დაბოლოს, სხვა ნებისმიერი კონვენციის მსგავსად ის უზრუნველყოფს უფლებებს, რომლებიც იცავს ბავშვებს პოტენციური ძალადობისაგან.

კონვენცია ბავშვებს განიხილავს კანონის სუბიექტად და არა ობიექტად. ტრადიციულად მოზრდილთა უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბავშვები უნდა განიხილონ ობიექტებად, რომლებიც უპირობოდ უნდა დაემორჩილონ უფროსებს – მასწავლებლებს, მძღვარს, მშობლებს, ექიმებს და ა.შ. ამის ნაცვლად კონვენცია ამკვიდრებს იდეას, რომ ბავშვები არიან ადამიანები გარკვეული უფლებებით, რომლებსაც პატივი უნდა სცენ უფროსებმა, საზოგადოებამ და ყველა ორგანიზაციამ, რომლებიც მოღვაწეობენ ბავშვების სფეროში. ბავშვები, მათი ასაკის მიუხედავად, უფლებამოსილი არიან პატივი სცენ მათ და მოეპყრონ ღირსეულად.

ბავშვთა უფლებების კონვენცია სფეროთა ფართო სპექტრს ეხება – ადმინისტრაციულ, სა-მართლებრივ, საგანმანათლებლო, იურიდიულ და ა.შ.სფეროებს, სადაც ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს. მაგ. ბავშვი, რომლის სათანადო რეგისტრაციაც არ მოხდა დაბადებისთანავე კანონისათვის არ არსებობს. მაშასადამე ისინი არ არსებობს არც სკოლის ადმინისტრაციისათვის, რომლებიც უარს ამბობენ სკოლაში მის მოსწავლედ ჩარიცხვაზე, შედეგად მათ არ შეუძლიათ სკოლაში სიარული. ეს არის გავრცელებული პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ათასობით ბავშვზე ბევრ ქვეყანაში. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ბავშვის სკოლაში ჩარიცხვაზე უარის თქმა იმის გამო, რომ „ისინი არ არსებობენ ადმინისტრაციული და სამართლებრივი“ თვალსაზრისით, აშკარად არღვევს ბავშვის უფლებას განათლებაზე.

კონვენციას პრაქტიკული გავლენა ჰქონდა ბევრ ქვეყანაში, რომლებსაც მისი რატიფიცირების შედეგად დაეკისრათ ვალდებულება ცვლილებები შეიტანონ ან/და რეფორმირება მოახდინონ არსებული კანონმდებლობის ნაწილში.

იმ მოსაზრებათა გავრცობის მიზნით, რომელიც პირველად გამოთქმულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის 28-ე მუხლში შესულია დებულება, რომელიც განათლებას განიხილავს, როგორც უფლებას, ხოლო 29-ე მუხლში განმარტებულია, რომ განათლება უნდა ემსახურებოდეს „ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრულ განვითარებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში ვკითხულობთ:

(1) ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება, როგორც დაწყებითი,ასევე ზოგადიც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი - ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის, თითოეულის უნარისამებრ.

(2) განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

(3) მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება, აირჩიონ, რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.

ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის 28-ე მუხლში შესულია დებულება, რომელიც განათლებას განიხილავს, როგორც უფლებას, ხოლო 29-ე მუხლში განმარტებულია, რომ განათლება უნდა ემსახურებოდეს „ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრულ განვითარებას“.

როგორც გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს, რომ სასკოლო განათლების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ამგვარად, სასკოლო განათლების სფეროში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ადამიანის უფლებების შესახებ სწავლის შესაძლებლობას და ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და საფუძვლების პრაქტიკულ გამოყენებას საკლასო გარემოში. სკოლები, რომლებიც ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, მეტად არიან ორიენტირებული ბავშვის ღირსების დაცვაზე.

განათლების უფლება საყოველთაო ხასიათისაა და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისით ისარგებლოს ყველამ, განურჩევლად შესაძლებლობებისა, რასისა, ეთნიკური წარმოშობისა, რელიგიისა, სქესისა, ეროვნებისა, სექსუალური ორიენტაციისა, სოციალური კუთვნილებისა ან სხვა რომელიმე ფაქტორისა, რომელიც პიროვნების იდენტობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, ასეთი განათლება, როგორც ეს განმარტებულია ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციაში, უნდა იყოს აგებული იმგვარად, რომ არ შეილახოს მოსწავლეების ღირსება და ადამიანის საყოველთაო უფლებები.

ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს, როგორც ადამიანის უფლებებს, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ მიდგომას, წარმოადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობა. სასკოლო განათლების სექტორში მრავლად არის დისკრიმინაციის დაუშვებლობის გამოყენების შესაძლებლობები, მათ შორის, ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაუცველ ან უმცირესობათა ჯგუფებს.

იუნესკო-ს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის “ ინიციატივა და სასკოლო განათლებისადმი ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა ემსახურება ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის დანერგვას განათლების სფეროში, განათლების საშუალებით. ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომის განსახორციელებლად, საჭიროა უფრო მეტი ცოდნა შევიძინოთ ადამიანის უფლებებისა და ბავშვის უფლებების შესახებ, განათლების დაგეგმვისა და შეფასების მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ.

2.4. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება

ადამიანის უფლებათა სისტემის ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა, რაც ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოდის. ისინი ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვისთვის მთავარი მოქმედი პირები არიან სამოქალაქო საზოგადოებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ერთი რომელიმე მიმართულებით მუშაობენ, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების, მედიის თავისუფლების ან წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აღკვეთის უზრუნველსაყოფად. ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა საერთაშორისო ამნისტია (Amnesty Internationl) ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით სპეციალურ მეთოდებს მიმართავს. ასეთი სტრატეგია, რომელიც დამოუკიდებელი მედიის მეშვეობით ხორციელდება, შეიძლება ძალზე ეფექტური გამოდგეს. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელისუფლებაზე და საერთაშორისო საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმია მაღალი დონის მოხსენებები, რომლებიც ფაქტებზე დაყრდნობით იქმნება. არასამთავრობო ორგანიზაციების კიდევ ერთი ეფექტური მიდგომაა საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოებისათვის „ჩრდილოვანი მოხსენების“ წარდგენა სახელმწიფოს ოფიციალური ანგარიშების პარალელურად.

ადამიანის უფლებების დეკლარაციის (გენერალური ასამბლეის 1998წ. რეზოლუციის) თანახმად, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ხალხს და არასამთავრობო ორგანიზაციებს საქმიანობისთვის სათანადო თავისუფლება უნდა მიენიჭოთ და დაცული უნდა იყვნენ ყოველგვარი დევნისგან. ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს აკრიტიკებენ და თავიანთი საქმიანობის გამო იდევნებიან. მსოფლიოში უამრავი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტები დაუპატიმრებიათ თავიანთი კანონიერი საქმიანობისთვის. სახელმწიფომ ეს აქტივისტები უნდა დაიცვას არა მარტო

საკუთარი წარმომადგენლებისგან (პოლიცია, სხვა ძალისმიერი სტურქტურები), არამედ არაფორმალურად არსებული ძალადობრივი დაჯგუფებებისგანაც.

არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ როლს ასრულებენ აგრეთვე ადამიანის უფლებების სწავლებაში კურიკულუმის შექმნით, ტრენინგების ჩატარებითა და საჭირო რესურსების მომზადებით. გლობალურ დონეზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაეროს ადამიანის უფლებათა ათწლეულს, რომელმაც განვითარებად ქვეყნებში ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ინსტიტუტების შექმნას.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის და მათი დაცვისთვის ბრძოლაში

2.5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია.ევროპის კონვენცია, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია მიღებულ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 მაისს. მისი მიზანია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიერ განსაზღვრული უფლებების სისრულეში მოყვანა. ევროპული კონვენცია თავის პრეამბულაში აცხადებს, რომ კონვენცია შემუშავდა იმ მიზნით, რომ მას საყოველთაო დეკლარაციაში წარმოდგენილი კონკრეტული უფლებების კოლექტიური შესრულებისათვის საწყისი ნაბიჯების გადადგმა მოეხდინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენცია დაახასიათა „ევროპული საჯარო წესრიგის (ordre public) კონსტიტუციურ დოკუმენტად“.

ევროპული კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრეს დოკუმენტს ევროპაში. მასში მოცემული უფლებები გადმოტანილია საყოველთაო დეკლარაციიდან. ეს არის სიცოცხლის, წამებისა და სხვა არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისგან ან დასჯისგან თავისუფლების, მონობისგან ან იძულებითი შრომისგან თავისუფლების, ადამიანის თავისუფლების და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლო პროცესის, უკუქცევითი დასჯის კანონმდებლობის აკრძალვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, საცხოვრებელი ბინისა და მიწერ-მოწერის, აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლების, საკუთარი აზრის გამოთქმის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის, უფლებათა დარღვევის ეფექტიანი სამართლებრივი

საშუალებების, დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლებები. გადატანილი აქვს რა უმთავრესი ყურადღება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე, კონვენცია დიდად არ აფართოვებს საყოველთაო დეკლარაციას. იგი უფრო დეტალურად განიხილავს მრავალ უფლებას, რაც, რა თქმა უნდა, შესასრულებლად სავალდებულოა აღნიშნულ უფლებათა განხორციელების მიზნით.

კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის აღსრულების ეფექტიან მექანიზმს, თუმცა, საერთაშორისო სამართლის მკაცრი შინაარსის გათვალისწინებით, კონვენციამ ზედამხედველობის ორგანოდ დაამტკიცა სასამართლო, რომელიც ისმენს სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფოთა წინააღმდეგ წამოჭრილ საქმეებს ან იღებს გადაწყვეტილებებს კომისიის მიერ გადაცემულ ინდივიდუალურ განცხადებებზე.

კონვენციაში მოცემული განმარტების მიზანმიმართულმა და დინამიურმა ტექნიკამ ხელი შეუწყო უფლებათა და თავისუფლებთა განვითარებას საზოგადეობის ნორმების ცვლილებათა შესაბამისად. უფრო მეტიც, ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა უფლებამოსილების ზღვარი, განსაკუთრებით ეხმარება სისტემის ეფექტიანობას სახელმწიფოებთან შეთანხმებული იმ თავისუფლების აღიარებით, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ უფლებისა თუ თავისუფლების გამოყენების ფარგლებთან. აღნიშნული ეხმარება სახელმწიფოებს საკუთარი საზოგადოებრივი ნორმების (მაგალითად, მორალური) და საერთო უსაფრთხოების დადგენაში. უფლებამოსილების ზღვარის გამოყენება არ არის უსაზღვრო. იგი ფეხდაფეხ მიჰყვება ევროპის სასამართლო ზედამხედველობას – ევროპული სასამართლო, უმაღლესი არბიტრი, აკვირდება, გადალახულია თუ არა უფლებამოსილების ზღვარი.

ევროპის კონვენცია, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. საერთაშორისო სამართალი არ აკისრებს სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულების ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს აქვს უფლება, აღიაროს საერთაშორისო ხელშეკრულება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტად. საერთაშორისო

ხელშეკრულების სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარება გამომდინარეობს ეროვნული და არა საერთაშორისო სამართლიდან. თუ სახელმწიფომ აღიარა საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, ხელშეკრულება წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს ეროვნულ დონეზე და, შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის, სასამართლოში.

საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესის მსგავსად, არც ევროპული კონვენცია აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიაროს კონვენცია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად და, შესაბამისად, უშუალოდ გამოიყენოს მისი დებულებები ეროვნულ დონეზე, მათ შორის, სასამართლო დავების გადასაწყვეტად. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარება, კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე, ვალდებულებათა შესრულების განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია არ აკისრებს მის მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად აღიარების ვალდებულებას, თითქმის ყველა სახელმწიფომ აღიარა კონვენცია თავისი კანონმდებლობის ნაწილად, გარდა ირლანდიისა.

საქართველოში კონვენცია აღიარებულია კანონმდებლობის ნაწილად. საქართველოში ევროპულ კონვენციას შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დაეყრდნოს ევროპული კონვენციის დებულებებს და მის საფუძველზე ამტკიცოს ადამიანის უფლებათა დარღვევა.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად განისაზღვრება რამდენიმე ნორმატიული აქტით:

ა) უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, `”საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ”.

კონსტიტუციის ეს დებულება აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად და განსაზღვრავს მათ იურიდიულ თანაფარდობას ეროვნულ დონეზე მოქმედი ნორმატიული აქტების მიმართ.

გ) განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს კანონი ”საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ”. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ”საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია”.

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქართველოში არ არის აუცილებელი სპეციალური სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებას აღიარებს ქვეყნის ნორმატიულ აქტად. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი ხდება ავტომატურად. და როცა საერთაშორისო

ხელშეკრულება სავალდებულო ხდება საქართველოსათვის, ის ავტომატურად ხდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია.

ლიტერატურა:1. ადამიანის უფლებები, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0

2. თამარ თომაშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, სახელმძღვანელო, საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS 2014

3. კონსტანტინე კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული, თბილისი, 2014

4. International mechanisms for protecting Human Rights Defenders at risk for their work on land rights, ILC INFONOTE, July 2012, http://www.landcoalition.org/sites/default/files/documents/resources/HumanRightsDefendersInfoNote.pdf

5. Human Rights Enforcement Mechanisms of the United Nations, https://www.escr-net.org/resources/human-rights-enforcement-mechanisms-united-nations

6. Strengthening international human rights mechanisms, http://www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/StrengtheninginternationalHRmechanisms.aspx

3. ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს ეროვნული სტრატეგია

3.1. სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

თანამედროვე სახელმწიფოს დანიშნულებაა მისი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი სხვა ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის - ადამიანთა თანაცხოვრების წესის - ისტორია რამოდენიმე ათასწლეულს ითვლის, კაცობრიობა (მისი ცივილიზებული ნაწილი) სახელმწიფოს დანიშნულების ასეთ გაგებამდე მხოლოდ ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში მივიდა, თანაც ნელ-ნელა და არა ერთბაშად.

დღეს იშვიათობაა სახელმწიფო, რომელიც თავის დანიშნულებად ადამიანების (პირველ რიგში, საკუთარი მოქალაქეების) კეთილდღეობის უზრუნველყოფას არ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, დეკლარაციის დონეზე მაინც. თუმცა ცნება „კეთილდღეობა“ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული.

„კეთილდღეობის“ ცალსახა განმარტება არ არსებობს. ყოველ ინდივიდს საკუთარი შეხედულება აქვს ამაზე: ზოგისთვის კეთილდღეობა მხოლოდ მატერიალური სიმდიდრეა, ზოგისთვის - მარტო სულიერება, სხვისთვის - აბსოლუტური თავისუფლება და ა. შ. თუკი ასეა, როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ყველა ინდივიდის კეთილდღეობა?

თანამედროვე ცივილიზაცია საკითხს ასე განიხილავს: ყოველ ადამიანს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს რა არის მისთვის კეთილდღეობა და მიაღწიოს მას იმდენად, რამდენსაც მისივე შესაძლებლობები (ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, მემკვიდრეობა და ა.შ) გაწვდება, ოღონდ იმ პირობით, რომ არ შეზღუდოს სხვა ადამიანის ასეთივე უფლება. სახელმწიფოს დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ მან თითოეული ადამიანისათვის უზრუნველყოს კეთილდღეობის ამგვარად მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა.

რა კონკრეტული შესაძლებლობები უნდა მისცეს სახელმწიფომ ადამიანს, საკუთარ „კეთილდღეობას“ რომ მიაღწიოს? აქ დიდი არჩევანი არაა - სახელმწიფოს მხოლოდ ის შეუძლია, დაუდგინოს ადამიანს რისი უფლება აქვს და რისი არა, როცა საკუთარი „კეთილდღეობისათვის“ ზრუნავს.

უფლებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს ადამიანს იმისათვის, რომ საკუთარი კეთილდღეობის მიღწევა შეძლოს, აერთიანებენ ცნებაში „ადამიანის უფლებები“. მხოლოდ ადამიანის უფლებები შეიძლება დაუდოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ საფუძვლად კანონმდებლობას, რომლის ძალითაც განსაზღვრავს იგი ადამიანთა ქცევის წესებს. ცხადია, ყველა უფლება, რომელსაც კანონმდებლობა ანიჭებს ადამიანს, „ადამიანის უფლებაა“, თუმცა ტერმინით „ადამიანის უფლებები“ ან „ადამიანის ძირითადი უფლებები“ გამოყოფენ ისეთ უფლებებს, რომლებიც საყოველთაო შეთანხმებით, საფუძვლად უნდა ედოს მთელ კანონმდებლობას.

ადამიანის ძირითადი უფლებების „კლასიკური“ ჩამონათვალი არცთუ დიდია. იგი მხოლოდ შვიდ უფლებას მოიცავს. მათგან სამს „თანდაყოლილ“ ანუ ისეთ უფლებებს უწოდებენ, რომლებიც ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია და რომლებიც ერთნაირია ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე. ესენია სიცოცხლის უფლება, თავისუფლება და საკუთრების უფლება. დანარჩენი ოთხი ე.წ. „შეძენილი“, ანუ ისეთი უფლებებია, რომლებიც ადამიანს სავალდებულოდ უნდა მიანიჭოს სახელმწიფოს უმაღლესმა კანონმა (კონსტიტუციამ), თუმცა მათი ხარისხი შეიძლება დამოკიდებული იყოს ადამიანის მოქალაქეობრივ სტატუსზე. შეძენილი უფლებებია პოლიტიკური საქმიანობის, სამეწარმეო საქმიანობის, განათლებისა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებები.

აქ ჩამოთვლილი ძირითადი უფლებებიდან თითოეული მრავალ სხვა უფლებას მოიცავს. მაგალითად, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება მოიცავს არამარტო სუფთა ჰაერით ან წყლით სარგებლობის უფლებას, არამედ იმასაც, რომ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს სიკვდილის ან საკუთრების დაკარგვის შიში სხვა სახელმწიფოს თავდასხმის, კრიმინალის, სამედიცინო დახმარების არარსებობის, არამდგრადი ან ხანძარსაშიში შენობის გამო და ა.შ.

იმისათვის, რომ ადამიანს კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობა ჰქონდეს, საკმარისი არაა მისი უფლებების კანონმდებლობაში დაფიქსირება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ უფლებების დაცვა ხელყოფისაგან. ანუ სახელმწიფომ არა მარტო უნდა დაადგინოს ადამიანთა ქცევის წესები, არამედ უნდა უზრუნველყოს მათი შესრულებაც, კერძოდ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ ქცევის დადგენილი წესების დარღვევის საშუალება (პრევენცია) და, თუ ეს მაინც მოხდება, დამრღვევს აგებინოს პასუხი (დასჯა).

3.2 დემოკრატია და ადამიანის უფლებები

ვინ ან რამ შეიძლება დაარღვიოს ადამიანის უფლებები? ეს შეიძლება იყოს თვითონ სახელმწიფო, ხელისუფლების ორგანოს ან მოხელის სახით, სხვა ადამიანი (ადამიანები) ან ადამიანთა ფორმალური გაერთიანება (იურიდიული პირი).

ტერმინი „ადამიანის უფლებათა დაცვა“ გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას ნებისმიერი ადამიანი იმისაგან, რომ მისი ძირითადი და სხვა უფლებები არ ხელყოს სახელმწიფომ, სხვა ადამიანმა ან იურიდიულმა პირმა. სწორედ იმის მიხედვით, რამდენად სრულადაა ასახული კანონმდებლობის საფუძვლებში ადამიანის უფლებები და როგორია მათი დაცულობა, ფასდება კონკრეტული სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი.

რატომაა შესაძლებელი, რომ არ იყოს სრულად დაცული ადამიანის უფლებები სახელმწიფოში ან რატომ უნდა არღვევდეს ადამიანის უფლებებს თვითონ სახელმწიფო?

სახელმწიფოთა ნაწილი, მიუხედავად სურვილის და მცდელობისა, ვერ ახერხებს ადამიანის უფლებათა სრულფასოვნად დაცვას სხვადასხვა გარემოებათა (ეკონომიკური პრობლემები, საზოგადოების ისტორიული განვითარების თავისებურებები) გამო. სხვა, არადემოკრატიული სახელმწიფოები არ იცავენ ადამიანის უფლებებს, რადგანაც ამას თავიანთ ვალდებულებად არ მიიჩნევენ. მეტიც, ასეთ სახელმწიფოთა ნაწილი არც კი აღიარებს ადამიანის ძირითად უფლებებს.

გასულ საუკუნეში, 1922-1991 წლებში, საქართველო შედიოდა სწორედ ისეთი არადემოკრატიული სახელმწიფოს (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) შემადგენლობაში, რომელიც ადამიანის 7 ძირითადი უფლებიდან სამს (საკუთრების, პოლიტიკური საქმიანობის, სამეწარმეო საქმიანობის უფლებები) საერთოდ არ აღიარებდა, ხოლო ადამიანთა

კეთილდღეობას მხოლოდ მატერიალური კუთხით განიხილავდა და მისი მიღწევის საშუალებად ტოტალიტარული სახელმწიფო მმართველობა ჰქონდა გამოცხადებული.

დღეისათვის სახელმწიფოს დემოკრატიულობასთან ერთად, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მის „სოციალურობას“. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს უმწეო მდგომარეობაში. ამ დროს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისთვის ღირსეული არსებობის პირობები - პირდაპირ მისცეს თავშესაფარი, საკვები, უფასო ჯანდაცვა.

3.3. თანამედროვე საქართველო და ადამიანის უფლებები

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს საფუძველია ადამიანის უფლებები. ეს აღიარებულია კონსტიტუციით, რომელშიც წარმოდგენილია უფლებათა მკაფიო განმარტებები, სახელმწიფოს ვალდებულებები და გარანტიები მათი დაცვის მიმართულებით.

კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქეთა ნებაა *დემოკრატიული* საზოგადოებრივი წესწყობილების, *ეკონომიკური თავისუფლების*, *სოციალური* და *სამართლებრივი* სახელმწიფოს დამკვიდრება, ადამიანის *საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა* და *თავისუფლებების* უზრუნველყოფა (უფლებათა ჩამონათვალი და მოკლე განმარტებები იმისა, რა იგულისხმება მათ უზრუნველყოფაში, მოცემულია კონსტიტუციის მე-2 თავში).

დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები ზემოთაა განხილული. რაც შეეხება ეკონომიკურ თავისუფლებას, იგი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, საკუთრებისა და სამეწარმეო საქმიანობის უფლებათა გარანტირებას, ანუ იმ უფლებათა აღიარებას, რომლებიც არ იყო აღიარებული საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით.

ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ გულისხმობს ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში, კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა. ეს მემკვიდრეობა იმითაა საყურადღებო, რომ 1921 წლის კონსტიტუციითაც მაშინდელი ქართული სახელმწიფოს ძირითად მიზნად ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა იყო დასახული, რაც ნამდვილად საამაყოა, რადგანაც იმდროინდელ სახელმწიფოთაგან ძალიან ცოტას ჰქონდა ასეთი მიზანი დეკლარირებული.

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები ქართული სახელმწიფოსათვის არის *მარადიული და უზენაესი ადამიანური ღირებულებები*. სხვა სიტყვებით, ქართული სახელმწიფოსათვის არაფერი შეიძლება იყოს უფრო ღირებული, გარდა თითოეული

ადამიანისა თავისი უფლებებით. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ხელისუფლების (სახელმწიფო მართვის) განხორციელებისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას ნებისმიერი მიზნით. ცხადია, არ იგულისხმება შემთხვევა, როცა რაიმე უფლება სასჯელის სახით ეზღუდება დამნაშავეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონის საფუძველზე. აკრძალვა ვრცელდება არამარტო ხელისუფლებაზე, არამედ ამ ხელისუფლების მშობელზე - ხალხზეც: რეფერენდუმითაც კი არ შეიძლება კონსტიტუციაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც შეზღუდავს ადამიანის უფლებებს.

კონსტიტუცია საფუძველია დანარჩები კანონმდებლობისა, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის სრულფასოვან მექანიზმს.

სახელმწიფოსა და ადამიანების ურთიერთობა ცალმხრივი არაა. სახელმწიფო, „კლასიკური“ გაგებით, ტერიტორიის, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისა (მოსახლეობის - ხალხის) და ხელისუფლების ერთობაა. სახელმწიფოს სწორედ ხელისუფლების სახით აქვს ვალდებულებები ხალხის მიმართ, მათ შორის მთავარი ვალდებულებაა - ადამიანების უფლებათა დაცვა. ხელისუფლება ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, თუ ადამიანებსაც (მოსახლეობასაც) არ ექნებათ ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ. ეს ვალდებულებები უამრავია, თუმცა ყველა ერთად სულ ერთი წინადადებით შემოიფარგლება - ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია სახელმწიფოს წინაშე, დაიცვას ხელისუფლების მიერ დადგენილი ქცევის წესები - კანონმდებლობა. ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ კანონმდებლობით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის, კერძოდ, სხვა ადამიანის უფლების ხელყოფის შემთხვევაში, სახელმწიფოსაგან, სასამართლო ხელისუფლების სახით, მიიღებს სასჯელს. ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვისა და მისგან გამომდინარე სხვა ვალდებულებების შესასრულებლად ჭირდება რესურსები. კანონმდებლობით მოსახლეობას (ადამიანებს) ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ხელისუფლება ამ რესურსებით, მაგალითად, გადაიხადოს გადასახადები ან სავალდებულოდ იმსახუროს ჯარში.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველომ შეძლო ისეთი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები არაა მუდმივი მოცემულობა. იგი დინამიურად ივსება და იხვეწება, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში და აღარ შემოიფარგლება მხოლოდ იმ შვიდი ძირითადი უფლების დაცვით, რომლებიც ზემოთ „კლასიკური“ ჩამონათვალის ფარგლებშია განხილული. მაგალითად, ბოლო წლებში აქტუალური გახდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ყველა იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფა,

რითაც სხვები სარგებლობენ, გენდერული თანასწორობა, ბავშვთა განსაკუთრებული უფლებების დაცვა და ა.შ.

საქართველო ადამიანის უფლებების თითქმის ყველა ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულების მხარეა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ყველა სიახლე საკმაოდ სწრაფად აისახება ჩვენ კანონმდებლობაში. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საქართველო არ ითვლება სრულყოფილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. იგი მიჩნეულია „გარდამავალ დემოკრატიად“ და ამას ეთანხმება ხელისუფლებაც. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუკი ადამიანის უფლებათა დაცვის მთელი ჩვენი კანონმდებლობა თითქმის სრულ ჰარმონიაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რატომ არ ვართ სრულყოფილი დემოკრატია? ერთია, რა წერია კანონში და მეორე - როგორ სრულდება იგი. სწორედ აქ გვაქვს სირთულეები: კანონს ხშირად არღვევენ როგორც მოქალაქეები, ასევე ხელისუფლების ორგანოები და მოხელეები.

კონსტიტუციით საქართველოში დაწესებულია სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა ხელისუფლების (ცალკეული მოხელეების ან ორგანოების) მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა, შესწავლა, ანალიზი და რეაგირება. სახალხო დამცველი ყოველწლიურად წარუდგენს სქელტანიან მოხსენებას პარლამენტს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. მოხსენება იმიტომაა სქელტანიანი, რომ მასში ასახულია ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ან არაჯეროვნად დაცვის ბევრი ფაქტი. იგივე სიტუაციაა ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებშიც.

რატომ ხდება ასე? აქ თავს იჩენს საბჭოთა მემკვიდრეობის სიმძიმე: სამი თაობა აღიზარდა და ცხოვრობდა სახელმწიფოში, რომლისთვისაც ადამიანი და მისი უფლებები საერთოდ არ წარმოადგენდა რაიმე ღირებულებას. ადამიანის სიცოცხლეც კი დაქვემდებარებული იყო „ნათელი მომავლის მშენებლობის“, „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“, „სახელმწიფო უშიშროების“ მიზნებს. კონსტიტუცია, მართალია, მრავალმხრივ ნაკლოვანი, საბჭოთა კავშირშიც არსებობდა, მაგრამ იგი რეალურად არ იყო ძირითადი კანონი - კანონმდებლობას საფუძვლად ედებოდა არა კონსტიტუციის ნორმები, არამედ მმართველი პარტიის ან მისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები. ეს ვითარება ახლაც ახდენს გავლენას ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მართალია, კონსტიტუცია და კანონმდებლობა ადამიანის უფლებებს უზენაეს ღირებულებად აღიარებს, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალობაა, რეალურად კი არსებობს უფრო

მაღალი „სახელმწიფო“ ან „საზოგადოებრივი“ ინტერესები, რომლებსაც შეიძლება „შეეწიროს“ კონკრეტული ადამიანის უფლებები.

არსებობს ხელისუფლების ორგანოთა ან მოხელეთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ან არასათანადო დაცვის სხვა მიზეზებიც: კანონმდებლობის ცალკეული ნორმების ბუნდოვნება, ხელისუფლების წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობების არასრულყოფილი აღწერა, არასაკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, განსაკუთრებით ხელისუფლების ქვედა დონეებზე.

3.4. ხელისუფლების შეხედულება ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში და მისი გაუმჯობესების გზებზე

2012 წელს საქართველოს მთავრობის თხოვნით ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური მრჩეველი საქართველოში კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში - თომას ჰამერბერგი. ამ ადამიანმა ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, 2013 წელს, წარმოადგინა ანგარიში „საქართველო გარდამავალ ეტაპზე“ [2]. საქართველოს ხელისუფლებამ გაიზიარა ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები და აუცილებლად მიიჩნია შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულება. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად ჩასატარებელი სამუშაოები ჩამოყალიბებულიყო ერთიან, კომპლექსურ პროცესად. სწორედ ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 2014 წლის მარტში [3].

დოკუმენტის ძირითადი დანიშნულებაა იმ სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთა, რომელთა განვითარება პრიორიტეტულია ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების თვალსაზრისით. თუმცა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ხელისუფლების შეხედულებას ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში და იმ პრინციპების აღწერას, რომლებიც საფუძვლად დაედო სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

ხელისუფლების შეფასებით ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულფასოვნად რეალიზებას ხელს უშლის, ერთი მხრივ, თვითონ ადამიანების (უფლების მფლობელების) ცნობიერების არასათანადო დონე საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალებების შესახებ და, მეორე მხრივ, ხელისუფლების ორგანოებისა და მოხელეების (სახელმწიფო ინსტიტუტების) მხრიდან ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების არასათანადო შესრულება. ცალკე პრობლემადაა გამოყოფილი სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის

ღონისძიებათა განხორციელების დამოკიდებულება კონკრეტული ხელისუფლების ან თანამდებობის პირის შეხედულებებზე.

საქართველოში არსებული სიტუაცია, ჩამოყალიბებული 1991 წლიდან დღემდე, შეფასებულია „საარჩევნო დემოკრატიად“. საარჩევნო დემოკრატია გულისხმობს ისეთ სისტემას, რომელშიც შესაძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული ორგანოებისა და სხვა ინსტიტუტების არჩევა და მოქმედება, თუმცა, არაა გარანტირებული ამ ორგანოებისა და ინსტიტუტების ეფექტური საქმიანობა, ისევე, როგორც არაა სტაბილური საქმიანობის რეალური სტრატეგია.

დოკუმენტით დასახულია მისაღწევი შედეგი - „ინსტიტუციური დემოკრატია“, რომელიც საარჩევნო დემოკრატიასთან ერთად მოიცავს სახელისუფლებო ინსტიტუტების ეფექტურ საქმიანობასა და დამოუკიდებლობას რომელიმე ერთი პირის ნება-სურვილისაგან.

დოკუმენტში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ სვლა საარჩევნოდან ინსტიტუციური დემოკრატიისაკენ უნდა განხორციელდეს არა ნებისმიერ გზით, არამედ მხოლოდ „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით“ და განმარტებულია, რა იგულისხმება ამაში. „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებათა მომზადებასა და მიღებაში, რომლებიც მათი განვითარების პროცესს უკავშირდება. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე არჩეული წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეთა მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ვალდებულებების შესრულების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა აგრეთვე გულისხმობს ნებისმიერ საკითხში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამინისტროებმა, სხვა სახელისუფლებო უწყებებმა და ორგანიზაციებმა თანდათანობით უნდა განავითარონ შესაძლებლობები „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ გამოსაყენებლად, განსაკუთრებით საჯარო მომსახურების დაგეგმვისა და მოქალაქეებისათვის მიწოდებისას, რაც გააუმჯობესებს როგორც მომსახურების მიმღებთა (მოქალაქეების) მდგომარეობას, ასევე მიმწოდებლების (ხელისუფლების ორგანოთა) საქმიანობის შედეგებს. ხელისუფლების ორგანოთა პოლიტიკის და პროგრამების ფორმირება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით გულისხმობს, ერთი მხრივ, მოქალაქის მოთხოვნილების, ხოლო მეორე მხრივ, ხელისუფლების შესაბამისი ვალდებულების ზუსტ განსაზღვრას, რათა დადგინდეს ის

ძირეული და სტრუქტურული მიზეზები, რის გამოც ვერ ხერხდება ადამიანის კონკრეტული უფლების გამოყენება.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში პოლიტიკის და პროგრამების ფორმირებისას უნდა შეფასდეს მოქალაქეთა უნარი, მოითხოვონ საკუთარი უფლების რეალიზება და ხელისუფლების უნარი, შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება. მონიტორინგი გაეწევა, რამდენად მოხდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინება პოლიტიკაში, კანონებში, რესურსების განაწილებაში, ასევე შეხედულებებში, ღირებულებებსა და პრაქტიკაში.

დოკუმენტში, ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიმართულებასა და მიდგომასთან ერთად, ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სტრატეგიით განსაზღვრული ყველა მიმართულებით განსახორციელებელ ნებისმიერ ღონისძიებას. ქვემოთ წარმოდგენილია ეს პრინციპები.

სახელმწიფო მუდმივად უნდა ასრულებდეს თავის ოთხ ძირითად ვალდებულებას: არ უშვებდეს ადამიანის უფლებების დარღვევას სახელმწიფოს მხრიდან, იცავდეს ნებისმიერი ადამიანის უფლებებს სხვა ადამიანების მხრიდან ხელყოფისაგან, ადამიანებს აძლევდეს საკუთარი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას, მუდმივად აწვდიდეს ადამიანების სათანადო ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება ადამიანებს დაიცავს საჯარო დაწესებულებების მხრიდან მათი უფლებების დარღვევისაგან და ნათლად განსაზღვრავს ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობის წესებს. ასეთ სისტემაში ნებისმიერ ადამიანი შეძლებს, ისარგებლოს თავისი უფლებით, ოღონდ არა სხვისი უფლებების შელახვის ხარჯზე. ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა უნდა იყოს ისეთი მდგრადი და მუდმივი პროცესი, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს ხელისუფლების ცვლილება.

რაკი დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვაა, საქართველოს ხელისუფლებისათვის ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა სხვა ვალდებულებებს შორის პრიორიტეტულია. ეს ვალდებულებები უნდა შესრულდეს ადამიანის ყველა უფლებასთან მიმართებით. ადამიანის უფლებები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნებისმიერი ადამიანისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისას ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციები, აგრეთვე - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები. ადამიანის უფლებების დაცვაზე ხელისუფლების პასუხისმგებლობა და

ანგარიშვალდებულება უნდა ხორციელდებოდეს კომპლექსურად - საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ ორგანოებთან ერთად. ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებები უნდა იყოს ინკლუზიური - რიგით მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მათში მონაწილეობის მიღებისა და აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. ადამიანის უფლებების პრაქტიკული რეალიზება უნდა უზურუნველყოფდეს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმებისა და საშუალებების არსებობას - სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც ადამიანს მისი უფლებების შელახვით მიყენებული ზიანის სამართლიანი ანაზღაურების შესაძლებლობას მისცემს.

ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას ადამიანის უფლებების დარღვევის მიუღებლობისა და მასზე რეაგირების აუცილებლობის შესახებ. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მიღების შესაძლებლობა ყველა ეტაპზე, მათ შორის არაფორმალური განათლების სახითაც.

3.5. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის მიზნები და 2014-2020 წლებში მისაღწევი შედეგები

თომას ჰამერბერგის ანგარიშში [2] ასახული რეკომენდაციების მიხედვით საჭიროა ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველის კანონმდებლობის სრულყოფა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან ამოცანად წარმოდგენილია კანონმდებლობის ნორმების ჯეროვნად დაცვა და აღსრულება.

სტრატეგიის შედგენისას საქართველოს ხელისუფლების გაცხადებული გრძელვადიანი მიზანი იყო „საქართველო, სადაც ადამიანის უფლებების პატივისცემა საერთო ღირებულებას წარმოადგენს და სადაც ყველა ადამიანისთვის უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრება და კეთილდღეობა“ [3]. ამ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საჭიროა, ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელშიც:

- უზრუნველყოფილ იქნება ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულება - ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეული წარმომადგენელი, ნებისმიერი საჯარო თანამდებობის პირი კარგად გააცნობიერებს და განახორციელებს მოვალეობებს, რასაც მათ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრებს;

- ყველა ადამიანს კარგად ეცოდინება საკუთარი უფლებების არსი და პრაქტიკაში შეძლებს მათ გამოყენებას მეტი კეთილდღეობის მისაღწევად;
- ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მხოლოდ ხელისუფლების კეთილ ნებაზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ ყველა ადამიანი, არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური სივრცის ფარგლებში, თავად ეცდება საკუთარი უფლებების დაცვას და არ შეეგუება მათ დარღვევას;
- ხელისუფლება ჩაატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს, აქტიური როლი ითამაშონ საკუთარი უფლებების დაცვასა და დემოკრატიის განვითარებაში;
- ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის გაუმჯობესება იქნება მუდმივი პროცესი, რომელიც გულისხმობს კანონმდებლობის, ინსტიტუტებისა და პრაქტიკის პერიოდულ ცვლილებებს და მათ ასახვას საჯარო სექტორში მომუშავე პირების საქმიანობაზე ისე, რომ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება მათი სამუშაო კულტურის ორგანული შემადგენელი გახდეს;
- რეფორმები, მათი თანამდევი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები დაეფუძნება კონსტიტუციურ პრინციპებს და არ ექნება სხვა მიზნები, გარდა დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისა;
- ცვლილებების საჭიროება განისაზღვრება, პირველ რიგში, საქართველოს ეროვნული საჭიროებებით, მაგრამ ყოველთვის იქნება გათვალისწინებული საქართველოს სწრაფვა ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალურად ჰარმონიზაციისაკენ.

აღწერილი სისტემის ჩამოყალიბება გრძელვადიანი მიზანია, რომლის მიღწევასაც არაერთი წელი დაჭირდება. ადამიანის უფლებათა დაცვის განსახილველი სტრატეგიის მიხედვით უფრო ხანმოკლე პერიოდში - 2014-2020 წლებში მისაღწევია შემდეგი შედეგები:

- ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა სტრატეგიით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან;
- საზოგადოების ფართოდ ინფორმირება საკუთარი უფლებებისა და მათი რეალიზების საშუალებების შესახებ;
- სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელება.

„ნეგატიურ“ ვალდებულებაში იგულისხმება ღონისძიებები, რომლებიც ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ადამიანის უფლებათა დამრღვევების დასჯისათვის, ხოლო „პოზიტიურში“ - ხელისუფლების წარმომადგენლების და მოქალაქეების გათვითცნობიერება ადამიანის უფლებებში

და მათი დაცვის მნიშვნელობაში, აგრეთვე - ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილება (პრევენცია).

3.6. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის“ განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა სტრატეგიულ მიმართულებებს. სწორედ სტრატეგიული მიმართულებებია დოკუმენტის ძირითადი ნაწილი. ეს ნაწილი სტრუქტურირებულია შემდეგი თანმიმდევრობით: სტრატეგიული მიმართულება - მიზანი - ამოცანები. დოკუმენტი მოიცავს სულ 23 სტრატეგიულ მიმართულებას. ამჯერად, შევეხებით მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს.

პირველი სამი მიმართულება ორიენტირებულია მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებაზე. ეს მიმართულებებია: სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება, პროკურატურის რეფორმირება სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურების განხორციელებისას ადამიანის უფლებების, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. სტრატეგიის დოკუმენტით დასახულია ამოცანები ამ მიმართულებებით არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად - სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულებრივი ქმედების საპასუხოდ მიღებული ზომებისა და სანქციების ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების, ადვოკატების კვალიფიკაციის, სასამართლოსა და გამოძიების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართალდამცავი და პენიტენციური სისტემების მოსამსახურეთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათ შორის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია. ეს სისტემები, მათი ჩაკეტილობის გამო, ამ თვალსაზრისით, პრობლემურია თითქმის ყველა სახელმწიფოში. სწორედ აქ ხდება ყველაზე ხშირად ადამიანზე სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა.

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის [4] მიხედვით, წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის შეტყობინების საფუძველზე, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის 10 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. აქედან 7 შემთხვევაში ეჭვმიტანილი იყო პოლიციელი, ხოლო 3 შემთხვევაში - ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2016

წელს პროკურატურაში შევიდა 240 შეტყობინება (სახალხო დამცველის მონაწილეობის გარეშე) წინასწარი დაკავების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობის შესახებ. აქედან გამოძიება დაიწყო მხოლოდ 60 ფაქტზე.

სტრატეგია ამ მიმართულებით მთავარ პრობლემად განიხილავს ასეთ ფაქტებზე არაჯეროვან რეაგირებას სამართალდამცავ და პენიტენციურ სისტემებში. შესაბამისად, ერთ-ერთ მიზნად დასახულია „სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას და წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროულ, სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებას“ [3].

იგივე პრობლემაა ასახული სახალხო დამცველის ანგარიშში [4]: „... პოლიციის და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანდო მოპყრობა ქვეყნისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. წინა წლების მსგავსად 2016 წელს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება კვლავ არაეფექტურად წარმოებდა: სახალხო დამცველის მიერ მომზადებული წინადადებებიდან არცერთ შემთხვევაში არ გამოვლინდა ბრალდებული, არ გამოვლინდა დაზარალებული და ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიება დაგვიანებით დაიწყო. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქმედების შესაბამისი მუხლით დანაშაულის კვალიფიცირება“.

ამოცანათა შორის, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, სტრატეგიის დოკუმენტში, სხვებთან ერთად, არის „სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება“ და „ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა“ პენიტენციურ სისტემაში. ამ მექანიზმების ამოქმედება, სავარაუდოდ, შეამცირებს სისტემების „ჩაკეტილობას“ და აამაღლებს თანამშრომელთა პასუხისმგებლობას. აქაც, ისევე როგორც პირველი სამი მიმართულების შემთხვევაში, პრობლემის ერთ-ერთ წყაროდ მიჩნეულია სისტემების თანამშრომელთა არასათანადო კვლიფიკაცია.

სხვა მიმართულებებიდან უნდა გამოვყოთ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა. მიმართულება კომპლექსურია და მრავალ საკითხს მოიცავს. ყურადღებას მათგან ერთზე - ოჯახში ძალადობაზე გავამახვილებთ.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით 2016 წელს ოფიციალურადაა დაფიქსირებული ძალადობის ფაქტი 3012 ოჯახში. ძალადობის მსხვერპლი შემთხვევათა უმეტესობაში ქალია. სტატისტიკა შემაშფოთებელია, მით უფრო, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, არ ფიქსირდება ოფიციალურად. გამოდის, რომ ჩვენს გარშემო 1000 ადამიანიდან, სულ ცოტა, ერთი მოძალადეა და ერთი - მსხვერპლი. ზემოთ განხილული მიმართულებებისაგან

განსხვავებით, როცა პრობლემაა ადამიანის უფლებების დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან, აქ განსხვავებული სიტუაცია გვაქვს - ადამიანის უფლებას არღვევს მეორე ადამიანი. სახელმწიფოსათვის ეს პრობლემა უფრო ძნელი მოსაგვარებელია, ვიდრე პირველი. პრობლემის გადასაწყვეტად სტრატეგიის დოკუმენტში დასახულია სამი ამოცანა:

-ოჯახში ძალადობისგან ქალთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა;

-საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;

-ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული მიმართულებების ამოცანებს, აღმოვაჩენთ, რომ 23 მიმართულებიდან ცამეტს ერთი საერთო ამოცანა აქვს - სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება მოხელეებში, მოქალაქეებში/საზოგადოებაში. სწორედ სამოქალაქო განათლების დეფიციტია ყველაზე მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობა, რომლისგანაც ვერ გავთავისუფლდით, რომელიც ხელს გვიშლის სრულფასოვან დემოკრატიად ჩამოყალიბებაში და, საბოლოოდ, ჩვენივე კეთილდღეობის მიღწევაში.

3.7. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესრულება და ანგარიშგება

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის“ დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის ნორმატიული აქტით - დადგენილებით. დადგენილება, კანონისაგან განსხვავებით, ისეთი ნორმატიული აქტია, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა არა საყოველთაოდ (ყველასათვის), არამედ მხოლოდ დადგენილებაში მითითებული პირებისათვის.

პარლამენტის აღნიშნული დადგენილება ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის თითოეული მიმართულების ამოცანების შესრულებას ავალდებულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს - საქართველოს მთავრობას. მთავრობა (მთავრობის ადმინისტრაცია) ვალდებულია, პირველ რიგში, შექმნას საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო ორწლიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიით დასახული მიზნების შესრულების კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების ვადებს, ინდიკატორებს და შესრულებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.

გეგმის მოქმედების პერიოდში მთავრობამ მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისაგან წელიწადში ერთხელ უნდა მიიღოს შესრულებული აქტივობების შუალედური ანგარიშები და განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგი. გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ მთავრობამ უნდა მოამზადოს მისი შესრულების ერთიანი შემაჯამებელი მოხსენება და წარუდგინოს პარლამენტს. შემაჯამებელი მოხსენება უნდა ასახავდეს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგის შედეგებს და შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები უნდა ემყარებოდეს საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგად და თემატურ მოხსენებებს და რეკომენდაციებს. გათვალისწინებული უნდა იყოს ჩამოთვლილი სუბიექტების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად და თემატურ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებები, როგორც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ისე მისი ამოწურვისას.

სამოქმედო გეგმის შესრულების რაოდენობრივი კრიტერიუმებით შესაფასებლად მთავრობის ადმინისტრაციამ, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს და წელიწადში ერთხელ, წარუდგინოს პარლამენტს თემატური სტატისტიკური პარამეტრები, რომლებიც გამოავლენენ სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესულ და პრობლემურ მხარეებს. მთავრობა ვალდებულია, ორწლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, შეფასების აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, შეადგინოს ახალი სამოქმედო გეგმა.

ვნახოთ, როგორ იმუშავა ამ სქემამ სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შემდეგ. 2014 წლის ივლისში, სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ თავისი დადგენილებით [5] დაამტკიცა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისთვის. 2016 წლის ივნისში საქართველოს მთავრობის დადგენილებით [6] დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიში, რომელიც წარედგინა პარლამენტს. ამავე დადგენილებით მთავრობამ დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის, რომელიც მოქმედებს დღეისათვის.

ამრიგად „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის“ არის ხელისუფლების 7 წლიანი კომპლექსური სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი, საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთების შესაბამისად, არის ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის უწყვეტი გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, არის საფუძველი იმისა, რომ ადამიანებმა გაიუმჯობესონ საკუთარი კეთილდღეობა.

ქეისი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განვითარება 2014-2015 წლებში

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა, ხოლო ამ მიმართულების ერთ-ერთი ამოცანა - ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა.

მთავრობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში [5] ერთ-ერთ საქმიანობად (14.2.2.2) გაწერილია „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განვითარება“. საქმიანობის შეფასების ინდიკატორად განსაზღვრულია მთავრობის მიერ ასიგნებების გამოყოფა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის, თავშესაფრის განვითარების მიზნით.

მთავრობის ანგარიშის [6] მიხედვით აღნიშნული საქმიანობა შეფასებულია სტატუსით „შესრულებული“ და დასადასტურებლად წარმოდგენილია მოკლე აღწერა იმისა, თუ კონკრეტულად რა გაკეთდა ამ მიმართულებით, კერძოდ:

- 2013 წელს არსებულ თავშესაფრებს იმერეთის რეგიონში დაემატა ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში და 2014 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს სახელმწიფო დაფინანსებით;

- ახალი თავშესაფრის გახსნის მიზნით, ფონდმა 2014 წლის ზაფხულზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UNWOMEN) მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში, შეიძინა შენობა–ნაგებობა კახეთის რეგიონში; 2015 წლის იანვრიდან დაიწყო აღნიშნულ შენობა–ნაგებობაზე სარემონტო სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობდა ახალი თავშესაფრის საყოფაცხოვრებო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა; თავშესაფრის სარემონტო და აღჭურვის სამუშაოები განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან მიღებული გრანტის, ფონდის სახელმწიფო

ბიუჯეტისა და საქართველოში აშშ საელჩოს ერთობლივი ფინანსური სახსრებით, თავშესაფარი 12 ბენეფიციარზე გაიხსნა 2016 წლის 5 აპრილს.

რაკი ამოცანა შესრულებულადაა მიჩნეული, მთავრობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ანალოგიური საქმიანობა გათვალისწინებული აღარაა.

კითხვები:

1. აღწერილი საქმიანობის შედეგად, კონკრეტულად რა გაუმჯობესდა ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის მიმართულებით?

2. რომელი სახელმწიფო ინსტიტუტი იყო პასუხისმგებელი სტრატეგიით დასახული მიზნების შესრულების მოცემულ აქტივობაზე?

3. რაში გამოიხატა საქართველოს მთავრობის როლი აღწერილი საქმიანობის განხორციელებაში?

4. თვისობრივადაა შეფასებული თუ რაოდენობრივად მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულება აღწერილი აქტივობის მიხედვით?

დავალება

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით:

„... კვალავაც პრობლემად რჩება საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლების დაცვა. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული მრწამსის მქონე სკოლის მოსწავლეები დაუცველნი არიან, როგორც ფსიქოლოგიური და მორალური, ასევე ფიზიკური ძალადობისგანაც. სკოლაში რელიგიური თვალსაზრისით დისკრიმინაციული კლიმატი და დახურული სივრცე, წარმოშობს პრობლემის გასაჯაროების საფრთხის განცდას თავად უმცირესობათა წარმომადგენლებში. ეს გარემოება უნდა იყოს იმის მთავარი მიზეზი, რომ საჯარო სკოლებში არსებული რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ განცხადებების რაოდენობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მინიმალურია. მშობლები და მოსწავლეები ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციის შესახებ საჯაროდ საუბარს. ერთ-ერთ რეგიონში ადგილი ჰქონდა მოსწავლის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას კლასის ხელმძღვანელის მხრიდან რელიგიური აღმსარებლობის ნიადაგზე. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეიმუშაოს საგანგებო სამოქმედო გეგმა საჯარო სკოლებში დისკრიმინაციული გარემოს აღმოფხვრისა და ტოლერანტობის კულტურის დასამკვიდრებლად. ასევე, შეიქმნას სპეციალური რეაგირებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საჯარო სკოლებში ზოგადი

განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაციას გაუწევს მონიტორინგს და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მოახდენს სათანადო რეაგირებას“.

ღონისძიებები, გათვალისწინებული საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის ამ ეპიზოდის მსგავსი ფაქტების პრევენციისათვის, აისახა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო 2014-2915 წლების სამოქმედო გეგმაში, თუმცა არა ისე, როგორც წარმოდგენილი იყო სახალხო დამცველის რეკომენდაციაში.

შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით (მთავრობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა ([5], მიზანი12, ამოცანა 12.5), სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ([6], ნაწილი 12, ამოცანა 12.5), სახალხო დამცველის 2015 და შემდგომი წლების ანგარიშები) გამოარკვიეთ:

ა) რა ღონისძიებები დასახა მთავრობამ ზემოთ აღწერილი პრობლემის აღმოსაფხვრელად?

ბ) როდის და რამდენად შესრულდა დასახული ღონისძიებები?

გ) რამდენად ეფექტური გამოდგა ღონისძიებათა განხორციელება (ჰქონდა თუ არა ადგილი ანალოგიურ ფაქტებს ღონისძიებათა გატარების შემდეგ? რით დასტურდება ეს?)?

წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.

2. Georgia in transition. Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges. Assessment and recommendations by Thomas Hammarberg in his capacity as EU Special Adviser on Constitutional and Legal Reform and Human Rights in Georgia. September 2013: http://gov.ge/files/38298_38298_595238_georgia_in_transition-hammarberg1.pdf.

3. საქართველოს პარლამენტის 30.04.2014 №2315-IIს დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/download/2348314/0/ge/pdf.

4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2016 წელი. შემოკლებული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4441.pdf.

5. საქართველოს მთავრობის 09.07.2014 №445 დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/download/2391005/0/ge/pdf.

6. საქართველოს მთავრობის 13.06.2016 №1138 განკარგულება „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ.) პროექტისა“ და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშის“ მოწონების თაობაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211.

თემა 3. დემოკრატია და აქტიური მოქალაქეობა

1. დემოკრატიის არსი, პრინციპები და განვითარების ტენდენციები

1.1. დემოკრატიის არსი და პრინციპები

დემოკრატია ხშირად განმარტებულია, როგორც ხალხის მმართველობა. დემოკრატია მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებათა პრინციპებთან და შეუძლებელია არსებობდეს ნებისმიერი ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფის გარეშე:

„ყველასაქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენელების მეშვეობით.

ყველას აქვს უფლება თავისი ქვეყნის საჯარო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვ-დომობაზე.

ხალხის ნება უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველი. ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და გაუყალბებელ, საყოველთაო და თანასწორ არჩევნებში ფარული კენჭისყრით ან სხვა ექვივალენტური თავისუფალი საარჩევნო პროცედურებით“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხლი 21).

დღეისათვის დემოკრატიული მმართველობის ფორმა უდაოდ ყველაზე პროდუქტიულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, სადაც ხელისუფლების წყარო ხალხია. სიტყვა „დემოკრატია“ წარმოდგება ძველბერძნული სიტყვებიდან: „დემოს“ - ნიშნავს ხალხს და „კრატოს“ - მმართველობას. დემოკრატიის ექსპერიმენტი პირველად ათენში განხორციელდა. გადაწყვეტილებებს ათენის მოქალაქეები პირდაპირი კენჭისყრით იღებდნენ. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ჰქონდათ. ქალები, ბავშვები, მონები და უცხოელები (არამოქალაქეები) არ სარგებლობდნენ ამ უფლებით. ათენის დემოკრატია ”უშუალო დემოკრატიის” ნაირსახეობას წარმოადგენდა.

თანამედროვე დემოკრატიის პრინციპი კი მე-17 საუკუნეში განვითარდა კალვინისტური რელიგიური მოძრაობიდან, განსაკუთრებით შოტლანდიაში. ყველას თავისუფლებისა და თანასწორობის იდეა აღმოცენდა და შემდგომში განვითარდა განმანათლებლობის პერიოდში და დემოკრატიის ფუძემდებლურ ღირებულებად იქცა.

პირველი თანამედროვე დემოკრატიული მმართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, ხოლო პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნდა, იყო საფრანგეთი 1789 წლის რევოლუციის შემდეგ.

მეცნიერები ერთმანეთისგან განასხვავებენ დემოკრატიას, როგორც სახელმწიფოს მმართველობის მეთოდს და დემოკრატიას, როგორც არსს. როგორც მეთოდი, დემოკრატია არის უპირველესად პოლიტიკური რეპრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ხმის მიცემის რეგულარულ პროცედურებს, თავისუფალ არჩევნებს, საპარლამენტო და სასამართლო სისტემებს, ძალაუფლების ურთიერთკონტროლისა და განაწილების ცნებას, ინდივიდუალური უფლებების უპირატესობას კოლექტიურ უფლებებთან შედარებით და სიტყვის თავისუფლებას. დემოკრატია, როგორც არსი, ასოცირდება საზოგადოებრივ საქმეებში ადამიანების პოლიტიკურ მონაწილეობასთან. ეს დაკავშირებულია ხალხის ძალაუფლებასთან, ყველა მოქალაქისათვის თანაბარი უფლებების იდეასთან.

დემოკრატია რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ესენია: გადაწყვეტილების მიღება, ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება, და, ბოლოს, განხორციელების კონტროლი. თითოეული, თავის მხრივ, სამ ასპექტს მოიცავს: 1. იმ პრინციპების, წესებისა და ნორმების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილებათა მიღება, განხორციელება და კონტროლი; 2. მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სამივე ზემოაღნიშნული და 3. ადამიანები, რომლებიც შემუშავებული მექანიზმების საშუალებით და წესების დაცვით მოქმედებენ.

ამ თვალსაზრისით, დემოკრატია არის ადამიანების მიერ საზოგადოებრივი თანაცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების იმ წესების შემოღების სისტემა, რომლებსაც თვითონვე განუხრელად იცავენ. კერძოდ, რაიმე სფეროში არ მიიღება, არ ხორციელდება და არ კონტროლდება არც ერთი გადაწყვეტილება ამ სფეროში მოქმედი პირების მონაწილეობის გარეშე.

ამგვარად, დემოკრატიას აუცილებლად ესაჭიროება შესაფერისი წესები (მაგალითად, კანონმდებლობა), სათანადო მექანიზმები (ადმინისტრაციული აპარატი და პროცედურები) და დემოკრატიული კულტურის მქონე (მოქალაქეობრივად მოაზროვნე და მოქმედი) ადამიანები. დემოკრატია მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ არსებობს და გარკვეული წესების მიხედვით გამართულად ფუნქციონირებს ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ყოველ დაინტერესებულ პირს მართვის ნებისმიერ კომპონენტში შეუძლია რეალური ზეგავლენა მოახდინოს მოვლენათა განვითარებაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაშია სრულფასოვნად აღსრულებული დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპები: თანასწორობა, მონაწილეობა, პოლიტიკური პლურალიზმი, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, ხელისუფლების დანაწილება.

თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და უნდა სარგებლობდეს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით და რომ ყველა თანასწორია კანონის წინაშე.

მონაწილეობა - დემოკრატია არ არსებობს მონაწილეობის გარეშე. მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში დემოკრატიული სისტემის შექმნის წინაპირობაა. დემოკრატია მონაწილეობის ფორმაა, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა და არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკით, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებსაც მოიცავს.

პოლიტიკური პლურალიზმი - საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და იდეების კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივ დებატებში წარმოდგენის ფუნქცია პოლიტიკურ პარტიებს ეკისრებათ. მხოლოდ პოლიტიკური პლურალიზმის პირობებშია შესაძლებელი ცვალებადი მოთხოვნილებებისადმი ადაპტირებადი მოქნილი სტრუქტურების, როგორც დემოკრატიული მმართველობის საფუძვლის, შენარჩუნება.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები - არჩევნები დემოკრატიის ყველაზე ფუნდამენტური და უნიკალური დამახასიათებელი ნიშანია. მმართველობის არც ერთი სხვა ფორმა არ უტოვებს ხალხს პოლიტიკური ხელმძღვანელობის შერჩევის შესაძლებლობას. არჩევნებში მათ შეუძლიათ გამოხატონ, როგორც ცვლილების, ისე არსებული პოლიტიკური კურსის შენარჩუნების სურვილი.

ხელისუფლების დანაწილება - ჯონ ლოკის მიერ შემოთავაზებული და მონტესკიეს მიერ განვითარებული თეორია ხელისუფლების დანაწილების შესახებ დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპია. ამ პრინციპის თანახმად, ხელისუფლება დაყოფილია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად, რომლებიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და ანგარიშვალდებულნი არიან, როგორც ერთმანეთის, ისე ხალხის წინაშე. ამგვარი სისტემა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს უზრუნველყოფს და აღკვეთს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

დემოკრატია დეფინიციურად ხალხის მმართველობას ნიშნავს და თავისი არსით იგი უმრავლესობის ხელისუფლებაა. იგი ასევე გულისხმობს უმრავლესობის ვალდებულებას, პატივი სცეს უმცირესობათა უფლებებს და გაითვალისწინოს მათი განსხვავებული მოთხოვნილებანი. ამ ვალდებულების შესრულება საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერის ინდიკატორია. დემოკრატიის მიზანია აღკვეთოს ერთი ადამიანის ან ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ ძალაუფლების თვითნებური განხორციელება სხვებზე. კანონის უზენაესობა უზრუნველყოფს სამართლებრივი წესრიგის არსებობას სახელმწიფოში, რომლითაც გარანტირებულია ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვა და დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ხელმისაწვდომობა. ადამიანის უფლებების პატივისცემა - იმის აღიარება, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორი და თავისუფალია, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია. დემოკრატიული

მმართველობის სისტემაში სახელმწიფო პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს მათი სრული რეალიზების თანაბარ შესაძლებლობას ყველასთვის. დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობს ისეთი უფლებები, როგორიცაა შეკრების, გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. მაგრამ მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას არ ძალუძს მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების გარანტიის შექმნა. აუცილებელია ასევე ფუძემდებლური ეკონომიკური, კულტუ-რული და სოციალური მოთხოვნილებების გათვალისწინება დემოკრატიის განვითარებისათვის სასურველი გარემოს შესაქმნელად.

პრაგმატული თვალსაზრისით დემოკრატიის უპირატესობად მიჩნეულია:

- მართვის ეფექტურობა, რადგან მაღალია გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების ალბათობა;
- გადაწყვეტილებათა ცნობის/აღიარების მაღალი ალბათობა, რადგან ეს გადაწყვეტილებანი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის კონსესუსის შედეგად მიიღება;
- მობილობის მაღალი დონე, რადგან წახალისებულია პირადი ინიციატივა და დემო-კრატიული სისტემა სწრაფად რეაგირებს გარემოებათა ცვალებადობაზე.
-

1.2. დემოკრატიის განვითარების ტენდენციები

დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების მექანიზმის მიმართ არსებობს ნაწილობრივ სკეპტიკური დამოკიდებულებაც. მაგალითად, XX საუკუნის ცნობილი პოლიტიკოსი და ინგლისის ყოფილი პრემიერი უისტონ ჩერჩილი დემოკრატიული სისტემის შეფასებისას ამბობდა: ,,არავინ აცხადებს, რომ დემოკრატია ყველაზე სრულყოფილია ან ყველაზე ბრძნულია. სინამდვილეში მხოლოდ ის ითქვა, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა იმ ფორმების გამოკლებით, რომლებიც დროდადრო გამოიყენებოდა“. აქედან გამომდინარეობს ჰიპოთეზა, რომ თუ ქვეყნის ხელისუფლება ზრუნავს დემოკრატიის დამკვიდრებაზე, მაშინ მოქა-ლაქეები დემოკრატიას ამჯობინებენ მმართველობის სხვა ალტერნატიულ ფორმებს სწორედ მისი უპირატესობის გამო. თუმცა, ეს უპირატესობები მხოლოდ თეორიაშია მოაზრებული, ხოლო ხშირად პრაქტიკულად განსხვავებული სურათი მიიღება. რატომ? რაღა თქმა უნდა, დემოკრატიის რთული ბუნების გამო.

დემოკრატიის უკმარისობის ან არარსებობის მიზეზი მრავალფეროვანია:

- არაა გაცნობიერებული, შეუთანხმებელია ან მცდარია ამოსავალი პრინციპები თუ შემუშავებული წესები;
- არ სრულდება ან უხარისხოდ ხორციელდება გადაწყვეტილებები;
- არ არსებობს ან გაუმართავია ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები;
- არ ხორციელდება გადაწყვეტილებათა შესრულების აღრიცხვა/ანგარიშგება;
- ყალბდება ან მიიჩქმალება ინფორმაცია;
- მიიღება ერთპიროვნული ან ვიწრო ჯგუფური ინტერესების ამსახველი გადაწყვეტილებანი;
- ადამიანებს დაბალი მოქალაქეობრივი კულტურა აქვთ და სხვა.

არსებობს დემოკრატიის ოთხი კომპონენტი: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები; ღია და ანგარიშვალდებული მთავრობა; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების არსებობა; დემოკრატიული ანუ სამოქალაქო საზოგადოება. პროცესუალური დემოკრატიზმის დონეც, შესაბამისად, იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ:

- როგორ ტარდება კონკრეტული არჩევნები პრაქტიკულად (ამომრჩევლების თავდაპირველი რეგისტრაციიდან დაწყებული და ხმების დათვლის ორგანიზაციით დამთავრებული) - მკაცრად ეთანადება თუ არა იგი მიუკერძოებელ კანონს, უშვებს თუ არა დარღვევებს, რომლებიც გავლენას ახდენს შედეგების სამართლიანობაზე და ა. შ;
- რამდენად უფლებამოსილი და დამოუკიდებელია სასამართლო და პარლამენტი, რომ გააკონტროლოს მთავრობის მოქმედებანი და განახორციელოს სხვა ფუნქცია - დაიცვას კონსტიტუცია, დასაჯოს დამრღვევი, შექმნას კანონები და ა. შ;
- რამდენადაა გარანტირებული ინდივიდების შესაძლებლობა - დაუპირისპირდნენ კოლექტიურ მიზნებს, ან, პირიქით, განახორციელონ კოლექტიური ქმედებანი;
- რამდენად მძლავრია და ფართოა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქსელი, რომლებიც ეფექტიან წინააღმდეგობას გაუწევს ავტორიტარულ ტენდენციებს - ეს ქსელი ხომ ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც საზოგადოებას სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვა შეუძლია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რამდენადაა დანერგილი დემოკრატიული მეთოდების გამოყენება ოჯახში, სკოლაში, სამსახურში და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებსა თუ ინსტიტუტებში. თუ ადამიანებს არ აქვთ დემოკრატიული ფუნქციონირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების შექმნის გამოცდილება, საეჭვოა, რომ ისინი აქტიური მოქალაქეები გამოდგნენ და პასუხისმგებლობა იგრძნონ საზოგადოების მდგომარეობაზე.

მოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტების პრაქტიკა ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის განვითარებას, კერძოდ, იმ სამოქალაქო ჩვევებისა და გამოცდილების წყალობით,

რომლებსაც ისინი იღებენ ამ ინსტიტუტებში საქმიანობის შედეგად. დემოკრატიული კულტურის განვითარების თვალსაზრისით დიდია მასმედიის შესაძლებლობები. მასზეა დამოკიდებული მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება და მათი უნარი, კრიტიკულად შეაფასონ მთავრობის პოლიტიკა, აგრეთვე გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და მოისმინონ სხვათა აზრები. თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია ნებისმიერი დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპია. ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, რადიო თუ ინტერნეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა განვითარებაში. ადამიანებს, საზოგადოებებსა და სახელმწიფოებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ელექტორატის მიერ არჩევანის გაკეთებისათვის ხელის შეწყობის მიზნით აუცილებელია მათი ინფორმირება არჩევის მსურველთა მიზნების შესახებ. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა ფუნქციონირებადი დემოკრატიის რეალიზაციის თვალსაზრისით.

დემოკრატიული ელექტორატი, თავის მხრივ, მოითხოვს ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის მოსპობას და სახსრების გამოყოფას განათლებისა და ჯანდაცვისათვის და არა პრესტიჟული პროექტებისათვის, რომელთაც სოციალური ღირებულება არ გააჩნიათ.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში წარმოდგენილი მმართველობის სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელებიდან ერთმანეთისგან განასხვავებენ პირდაპირ და წარმომადგენლობით დემოკრატიას. პირდაპირი დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლების რეალიზება ხდება პირდაპირი წესით მოქალაქეთა მთელი ერთობლიობის მიერ, რომლებიც უმრავლესობის წესის პროცედურებს ექვემდებარებიან. ასეთი მოდელი განხორციელებადია მხოლოდ უკიდურესად პატარა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში. შესაბამისად, არც ერთი თანამედროვე დემოკრატიული სისტემა სრულად არ ეფუძნება პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებს, თუმცა გარკვეულწილად შეიცავს მის ცალკეულ ელემენ-ტებს. პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების მაგალითებია რეფერენდუმი, საერთო-სახალხო გამოკითხვა (პლებისციტი), სახალხო საკანონმდებლო ინიციატივა და ა.შ.

წარმომადგენლობითი დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც ხალხის უფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ხორციელდება არა უშუალოდ, არამედ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული წარმომადგენლების მეშვეობით. წარმომადგენლობითი დემოკრატიის მთავარი პრობლემა თვითნებურად დანიშნული ხალხის წარმომადგენლების არათანაბარზომიერი გავლენაა საჯარო წესრიგზე, რამაც შეიძლება სისტემა დემოკრატიულიდან ოლიგარქიულად გარდაქმნას (Shafritz, J. M. (2004). *The dictionary of public policy and administration*.

Boulder, Colo: Westview Press). წარმომადგენლობითი დემოკრატია ასოცირებულია მმართველობის ორ ძირითად სისტემასთან: საპარლამენტო და საპრეზიდენტო დემოკრატიასთან.

საპარლამენტო დემოკრატია: მმართველობის ამ ფორმაში ცენტრალურ როლს პარლამენტი თამაშობს. აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელიც დამოკიდებულია პარლამენტის ნდობაზე. ქვეყნის მეთაურს მხოლოდ მცირე აღმასრულებელი უფლებამოსილება აქვს ან საერთოდ არ გააჩნია იგი და მხოლოდ წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებს.

საპრეზიდენტო დემოკრატია: აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი), რომელიც პირდაპირი წესით აირჩევა ხალხის მიერ და არ არის დამოკიდებული პარლამენტის ნდობაზე.

დემოკრატია და ადამიანის უფლებები განუყოფელი კატეგორიებია. ამ თვალსაზრისით ადამიანის ყველა უფლების უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიისათვის. გარკვეული სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემები განასხვავებს ადამიანის უფლებებსა და მოქალაქეთა უფლებებს. ეს იმაში გამოიხატება, რომ ცალკეული პოლიტიკური უფლებებით მხოლოდ შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ.

ადამიანის უფლებების გარანტირება მხოლოდ დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი. თუმცა, მხოლოდ ფორმალური დემოკრატია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალიზაციას. შესაბამისად ადამიანის უფლებების რეალიზაცია დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობის ინდიკატორია.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები დემოკრატიის ძირითადი ელემენტების ინტეგრაციას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორობის, არადისკრიმინაციისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. დემოკრატია მუდმივი ინტერაქციის, სრულყოფისა და რეგულირების პროცესია ძირითად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და მათ უზრუნველსაყოფად არსებულ სოციალურ სტრუქტურებს შორის.

არსებობს დემოკრატიის პრინციპის დამცავი მრავალი მექანიზმი, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, რომელიც კონვენციის ხელისმომწერი სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩივილის შესაძლებლობას იძლევა მისი დებულებების დარღვევისათვის. 1967 წელს დანიამ, შვედეთმა და ნორვეგიამ აღძრეს საჩივარი საბერძნეთის წინააღმდეგ, სადაც სასტიკი სამხედრო რეჟიმი დამყარდა. ამის შემდეგ საბერძნეთი გამოვიდა კონვენციიდან, მაგრამ სასამართლო სამართალწარმოება გაგრძელდა, რაც საბერძნეთის ევროპის საბჭოდან გაძევებით დასრულდა. 1974 წელს დემოკრატიული წყობილების

დამყარებასთან ერთად, საბერძნეთი დაუბრუნდა ევროპის საბჭოს და კონვენციასაც შეუერთდა, დაიწყო ასევე სამხედრო რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი.

რასაკვირველია, დემოკრატიის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი ყველა მექანიზმი არ არის ისეთი ეფექტური, როგორც ევროპის საბჭოს მიერ მიღებული საერთაშორისო შეთანხმებები, თუმცა არსებობს დემოკრატიისათვის მებრძოლი მრავალი ორგანიზაცია. 1990 წელს ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ეგიდით შეიქმნა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავაში, რომლის ამოცანაა დახმარების აღმოჩენა ეუთოში შემავალი სახელმწიფოებისათვის დემოკრატიული ინსტიტუტების მშე-ნებლობასა და გაძლიერებაში. იგი დაკვირვებას ახორციელებს ეროვნულ არჩევნებზე დემოკრატიულ პრინციპებთან მათი შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ტრადიციულად, გადაწყვეტილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებზე, როგორც წესი, მიიღებოდა კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. გლობალიზაციის ეპოქაში მრავალი გადაწყვეტილება და მათი შედეგი სცილდება ეროვნულ საზღვრებს. ისეთი ახალი გლობალური მოთამაშეები, როგორებიცაა მრავალეროვნული კომპანიები და საერთაშორისო ორგანიზაციები, დიდ ზეგავლენას ახდენენ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე მთელ მსოფლიოში. გლობალიზაციას შეუძლია ასევე დემოკრატიის გავრცელებას შეუწყოს ხელი ახალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოებს შორის დაახლოებით 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს დემოკრატიული მართვა-გამგეობისათვის დამახასიათებელი ელემენტები: პოლიტიკური ლიდერების არჩევნები ტარდება ხმის მიცემის ღია და სამართლიანი პროცედურით, კანდიდატებს საშუალება ეძლევათ, თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო ბრძოლაში, სრულწლოვან მოქალაქეებს აქვს საარჩევნო ხმის უფლება და არჩევნები ტარდება სიტყვისა და შეკრების თავისუფლების პირობებში. მაგრამ ,,დემოკრატიის მესამე ტალღის“ ქვეყნებში (,,დემოკრატიის ტალღების“ თეორია ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს სემუელ პ. ჰანთინგტონს. მან „დემოკრატიის მესამე ტალღა“ უწოდა პერიოდს პორტუგალიის დიქტატორული რეჟიმის დამხობიდან (1974 წელი) სსრკ დაშლამდე (1991 წელი) სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ფერხდება მრავალი პრობლემის გადაუჭრელობის გამო, რომელთა შორისაა:

- დაფინანსების გარე წყაროებზე დამოკიდებულება;
- ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი გავრცელება;
- სოციალური კაპიტალის დაბალი დონე;

- მოსახლეობაში ადამიანების ეთნიკურ და/ან რელიგიურ ნიადაგზე განცალკევება;
- კონსტიტუციური უფლებების არასაკმარისი გარანტიები.

თავის მხრივ, ეს პრობლემები (უპირველეს ყოვლისა კი, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაუცველობა) გამოწვეულია კონსტიტუციონალიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არასაკმარისი განვითარებით. მიუხედავად იმისა, რომ ,,მესამე ტალღის“ ქვეყნების მიერ მიღებული კონსტიტუციები იცავს ამ უფლებებს, მათი რეალური განხორციელება არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის შემდგომ დემოკრატიზაციას.

დამოუკიდებელი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვლაცლავ ჰაველის აზრით, პოსტტოტალიტარული სისტემა ყოველ ნაბიჯზე ერევა ადამიანების ცხოვრებაში. მაგრამ ამას იდეოლოგიური ძალდატანებით აკეთებს. ამიტომაც არის, რომ ცხოვრება სისტემაში ამდენადაა გამსჭვალული პირფერობითა და ტყუილებით: ბიუროკრატიის მმართველობას სახალხო მთავრობას უწოდებენ; ინდივიდუალურობის სრული დეგრადაცია წარმოდგენილია, როგორც მისი (ქალის ან მამაკაცის) სრული და საბოლოო თავისუფლება; ხალხისთვის ინფორმაციის დამალვას მის ხელმისაწვდომობას უწოდებენ; ძალაუფლების გამოყენებას ადამიანებით მანიპულირებისთვის ძალაუფლების სახალხო კონტროლი ეწოდება, ძალაუფლების თვითნებურ გამოყენებას კი - კანონმდებლობის დაცვა; კულტურის რეპრესიებს მის განვითარებას უწოდებენ; იმპერიული გავლენის გავრცელება წარმოდგენილია, როგორც ჩაგრულთა დახმარება; თავისუფალი გამოხატვის ნაკლებობა თავისუფლების უმაღლესი ფორმა ხდება; დამოუკიდებელი აზროვნების აკრძალვა მსოფლიოში გავრცელებულ თვალსაზრისთა შორის ყველაზე მეცნიერულად ცხადდება; სამხედროთა მიერ შეიარაღებული ოკუპაცია ძმური დახმარება ხდება. რადგან რეჟიმი საკუთარი ტყუილების ტყვეა, მან ყველაფერი უნდა გააყალბოს. ის აყალბებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ის აყალბებს სტატისტიკას. თვალთმაქცობს, თითქოს პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. თვალთმაქცობს, თითქოს არც ერთი მათგანი არ დაურღვევია, ვითომ არ თვალთმაქცობს.

1.3. დემოკრატიული მოწყობისა და მმართველობის საერთაშორისო მაგალითები

მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას საინტერესო ისტორია აქვს. ,,დემოკრატიის პირველი ტალღა“ 1820 წლიდან იწყება და 1926 წლამდე გრძელდება, როდესაც 30-მდე ქვეყანაში სხვადასხვა ხარისხით მოხდა დემოკრატიული განვითარება. 1922 წელს იტალიის ხელისუფლებაში

მუსოლინის მოსვლით უკუსვლა დაიწყო და 1942 წლისათვის დემოკრატიული ქვეყნების რაოდენობა 12-მდე შემცირდა.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური და ნაცისტური ძალების დამარცხებას მოჰყვა ,,დემოკრატიის მეორე ტალღის“ გავრცელება, რომელმაც თავის პიკს 1962 წლისთვის მიაღწია, როდესაც დემოკრატიულად 36 ქვეყანა იმართებოდა.

1945 წელი აღსანიშნავია დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გავრცელებით მსოფლიო მასშტაბით და მის მიერ მმართველობის ალტერნატიული ავტორიტარული რეჟიმების ჩანაცვლებით. ფაშისტური რეჟიმების დამარცხების შედეგად მე-20 საუკუნეში ნაწილობრივ დაძლეულ იქნა დემოკრატიის კრიზისი ევროპაში. დეკოლონიზაციის პროცესისა და დასავლეთის მიერ ხალხების თვითგამორკვევის უფლების აღიარების შედეგად დემოკრატიული პროცესები მრავალ ყოფილ კოლონიაში განვითარდა.

1974 წლიდან 1990 წლამდე კიდევ დაახლოებით 30-მა ქვეყანამ დაიწყო გადასვლა დემოკრატიულ მოწყობასა და მმართველობაზე, რის შედეგადაც დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვი გაორმაგდა. დიქტატორული რეჟიმები ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, არგენტინასა და ურუგვაიში დემოკრატიული მმართველობით შეიცვალა.

დემოკრატიის გავრცელების შემდგომი პოტენციური რესურსი გახდა აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი პოსტსოციალისტური ქვეყნები და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. ამ უკანასკნელთა (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) დემოკრატიული განვითარების ტემპი და პერსპექტივები დიდი არ ჩანს და ამის მიზეზად სახელდება ეთნიკური მრავალფეროვნება (დომინანტი ეთნოსი არ აძლევს თანაბარ უფლებებს ეთნიკურ უმცირესობებს); არასაკმარისი სოციალური კაპიტალი ანუ სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს მოქალაქეთა აქტიური და საზოგადოებრივ მიზნებზე ორიენტირებული პოზოცია, თანასწორობით გამსჭვა-ლული პოლიტიკური დამოკიდებულებანი და ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობანი და სხვა. ცნობილი ფუტუროლოგი ფრენსის ფუკუიამა კი მიიჩნევს, რომ ,,...თვითორგანიზების ტენდენცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანი საქმიანობისათვის“ და იგი არასაკმარისი აღმოჩნდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

ბერლინის კედლისა და კომუნისტური რეჟიმების ნგრევასთან ერთად დემოკრატიამ კიდევ უფ-რო განიმტკიცა პოზიციები. თუმცა, ჯერ კიდევ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც თეორიულ დონეზე მხარს უჭერენ დემოკრატიას, როგორც მმართველობის ფორმას, პრაქტიკაში სრულად არ სცემენ პატივს და არ ახორციელებენ დემოკრატიულ პრინციპებს.

ძალზე რთულია იმის შეფასება, თუ როგორია დემოკრატიის ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში, თუმცა საყოველთაოდ არის აღიარებული ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ყოველი დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს ქმნიან. *,,დემოკრატიულ სისტემაში ყველაზე სუსტს ისეთივე შესაძლებლობები უნდა ჰქონ-დეს, როგორიც ყველაზე ძლიერს“ (*მაჰათმა განდი).

რაც შეეხება საქართველოს, ,,მესამე ტალღის“ პერიოდისათვის ჩვენს ქვეყანაში ორი ძირითადი მისწრაფება ჩამოყალიბდა: საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა და დასავლური სტილის ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება. დღეისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის პროგრამა საკმარისად ღრმადაა განხორციელებული, მაგრამ, იგივე არ ითქმის დემოკრატიზაციის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 3.2). საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იურიდიულად პოლიტიკური ფუნქციები გადანაწილებული აქვს **პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს.** ფორმალურად სამივე ხელისუფლება თანაბრად დამოუკიდებელია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და კონტროლს დანარჩენ ორ ხელისუფლებას უწევს, რეალურად კი სუსტია მათი ურთიერთკონტროლისა და დაბალანსების მექანიზმები.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობა საქართველოს თითოეული მოქალაქის ვალია (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 3. პ.3). თუმცა ქვეყნის საარჩევნო სისტემაში ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები, რომლებიც აფერხებენ დემოკრატიის მშენებლობის პროცესს.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი36).

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ასევე წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი49).

საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 54).

მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 55).

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები(საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 59).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს დემოკრატიული კონსტიტუცია, კანონების უმრავლესობა შეესაბამება დემოკრატიის სტანდარტებს, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციები, დამკვიდრდა კერძო საკუთრება და ა. შ., ექსპერტების აზრით, დემოკრატიის სასურველი დონის მიღწევამდე ქვეყანას ჯერ ბევრი უკლია.

რა შეიძლება განაპირობებდეს საქართველოს შეფერხებას დემოკრატიული განვითარების გზაზე? რა უნდა დაიძლიოს, რომ დემოკრატიისაკენ საქართველოს მსვლელობა შეუქცევადი და ეფექტიანი იყოს?

აღნიშნული კითხვებზე არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხები. ექსპერტების ნაწილი საზოგადოებასა თუ ინდივიდის პოლიტიკურ (და არა მარტო პოლიტიკურ) შეხედულებებსა და ქცევაზე მძიმე ისტორიული (თურქულ-ირანული, რუსული იმპერიული, ასევე საბჭოთა პერიოდის რეალიებით განპირობებული) მემკვიდრეობის გავლენით ხსნის:

- ანარქიული სულისკვეთება (წესრიგის ნაკლებობა, კანონდაუმორჩილებლობა, იმპულსურობა, ინფანტილიზმი, დაუდევრობა და ა. შ);

- კონფრონტაციულობა (რადიკალიზმი, სხვისი ინტერესების იგნორირება, პირადი პრივილეგიების ძიება, მიზნის მისაღწევ ხერხებში განურჩევლობა და ა. შ);

- ავტორიტარულობა (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ხედვა, ბელადომანია, ცენტრალიზმი, ხელისფულების პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნის გაჭიანურება ან გადადება და ა. შ);

- პოპულიზმი (ყალბი დაპირებებით მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება, სა-ზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, და ა. შ).

დემოკრატიის განვითარება წარმოუდგენელია პლურალიზმის და განსხვავებული აზრის გარეშე, რაც საქართველოში კიდევ ერთი პრობლემაა. ექსპერტთა ნაწილი პრობლემას არასამთავრობო სექტორშიც პოულობს. მათი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რეალურად უნდა უწყობდნენ ხელს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, გადასულნი არიან მხოლოდ გრანტების მოზიდვაზე.

შეჯამების სახით მოვიყვანთ პაულო ფრეიერის სიტყვებს: ,,როდესაც გაუნათლებელმა ადამიანმა ანგიკოსიდან, პრეზიდენტ გულარტის წინაშე ... გამოაცხადა, რომ იგი აღარ იყო ,,მასა“ (,,Masa”), არამედ იყო ,,ხალხი“ (,,gente”), ეს მხოლოდ წინადადება არ გახლდათ: მან გაცნობიერებულად დაადასტურა არჩევანის უფლება. მან აირჩია გადამწყვეტი მონაწილეობა, რომელიც მხოლოდ ხალხს აქვს და უარყო მასების ემოციური გაქანება. იგი გახდა პოლიტიზირებული“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა, მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. თბ., 2007 წ.
2. დემოკრატიისა და მოქალაქეობა“ შეფასების ანგარიში გრიერ ბუროუსი, 2013 წლის მარტი.
3. კონსტიტუცია და დემოკრატია, თბილისი, 2014 წ.
4. კარლოს ალბერტო ტორესი. დემოკრატია, განათლება და მულტიკულტურალიზმი: მოქალაქეობასთან დაკავშირებული დილემები გლობალურ სამყაროში. 1998 წ.

5. Charles Tilly. Democracy.Cambridge University Press. 2007;
6. John J.Patrick. Understanding Democracy.2002;
7. Samuel P. Huntington. The Clash of Civilizations and Remaking of the World Order. N. Y., 1996.

კითხვები და დავალებები:

1. როგორ გესმით ტერმინი ,,დემოკრატია“. იმსჯელეთ და წარმოადგინეთ დასაბუთებული პასუხები.
2. რამდენად ფართო უნდა იყოს მმართველობის დიაპაზონი? იგი უნდა იზღუდებოდეს სამთავრობო უფლებამოსილებების სფეროთი თუ დემოკრატია შეიძლება არსებობდეს სხვა სფეროებშიც, მაგალითად, სამრეწველო დემოკრატია?
3. აუცილებელია თუ არა დავემორჩილოთ “ხალხის მმართველობას”? რა ვუყოთ მოვალეობებსა და მათ შესრულებაზე უარს?
4. არსებობს თუ არა პირობები, რომლის დროსაც “ხალხიდან” გამოსულ პირებს შეუძლიათ დაარღვიონ კანონები, თუ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კანონები არასამართლიანია?
5. რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს დემოკრატიულმა მთავრობამ ზეწოლას იმ ადამიანებზე, რომლებიც მის პოლიტიკას არ ეთანხმებიან?
6. იმსჯელეთ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეებზე და განვითარების პერსპექტივებზე.

2. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული მოქალაქეობა

2.1. ,,სამოქალაქო საზოგადოების“ ცნება

ცნება ,,სამოქალაქო საზოგადოება“ დებატების საგანს შეადგენდა სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილი მოაზროვნეების და ფილოსოფოსების: ჯონ ლოკის, ადამ სმიტის, ჰეგელის, მარქსისა და სხვათა ნაშრომებში. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გააქტიურდა „სამოქალაქო საზოგადოების“ შესახებ დისკუსია.

სამოქალაქო საზოგადოების იდეამ, როგორც დემოკრატიის აუცილებელმა კომპონენტმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმების ნგრევის შემდეგ, რომლებიც ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის შთანთქმას და კონტროლირებას ესწრაფოდნენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მაგალითად, გერმანელებს კულტურაც ჰქონდათ, განათლებაც, მაგრამ არ ჰყავდათ სამოქალაქო საზოგადოება, რამაც ფაშიზმის გამარჯვებას შეუწყო ხელი. მსგავსი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ კულტურა და განათლება არაა საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ღირებულებები კულტურიდან, განათლებიდან და რელიგიიდან არის ამოზრდილი, განათლება და მოქალაქეობრივი ცნობიერება სულაც არაა იდენტური ცნებები. იყო განათლებული, არ ნიშნავს იყო დემოკრატიულად მოაზროვნე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნების ,,სამოქალაქო საზოგადოება“ ბევრი განმარტება არსებობს. ცნების შინაარსი მოიცავს არასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ერთობლიობას - ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს (მათ შორის რელიგიურსაც). სამოქალაქო საზოგადოება არის ინდივიდუუმების სპონტანური თვითმმართველობისა და მოქალაქეთა მიერ ნებაყოფილობით ჩამოყალიბებული ასოციაციების და ორგანიზაციების სფერო, რომელიც კანონით დაცულია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევის და თვითნებური რეგლამენტაციისაგან. სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედებენ ინდივიდუუმები, სოციალური ჯგუფები, სპეციალური ინტერესების ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები და ელიტალური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ უნარი და საშუალება გავლენა მოახდინონ საზოგადოებასა და ხელისუფლებაზე. სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იმ ინტერესთა მრავალფეროვნების ფორმით, რომელთა არსებობის უფლებას ეს საზოგადოება ცნობს. ეს არის გაგებათა მრავალგვარობის, ანუ მრავალი ჭეშმარიტების არსებობის სფერო - სამყარო, სადაც ყოველ „მეს“ თავისი ჭეშმარიტების ძიების, პოვნისა და დამკვიდრების უფლება აქვს და ამ უფლების არსებობას საზოგადოება ეთანხმება. ეს ზოგადი შეთანხმება საშუალება იძლევა შეიქმნას საერთო ინტერესთა ასოციაციები და გამაშუალედებელი ინსტიტუტ-თა მრავალსაფეხურიანი მდიდარი სტრუქტურები (სამოქალაქო საზოგადოება: ფონდ ევრაზიის გრანტის C97-0124 საფუძველზე / [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია] ; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი, თბ., 1998);

კანტისათვის სამოქალაქო საზოგადოება ის სფეროა, სადაც ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენსს. სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი კონსტრუქცია (სტრუქტურა) აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

ა) საზოგადოების ყოველი წევრის, როგორც ადამიანის თავისუფლებაზე;

ბ) საზოგადოების წევრთა თანასწორობაზე;

გ) საზოგადოების თითოეული წევრის, როგორც მოქალაქის დამოუკიდებლობაზე.

პირველი პრინციპი უზრუნველყოფს ადამიანისათვის დამოუკიდებლობის პრაქტიკულ სტატუსს (Status libertatis), რაც ნიშნავს, რომ თითოეული ცხოვრების მიზნის არჩევაში თავისუფალია; არავის აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში; მეორე პრინციპი უზრუნველყოფს ადამიანის სამოქალაქო სტატუსს (status civitatis) - ადამიანის უფლება, მიიზიდოს კანონი და სახელმწიფო მისი პირადი დამოუკიდებლობის დასაცავად. მესამე პრინციპი უზრუნველყოფს ადამიანის პოლიტიკურ სტატუსს (status politicus) - პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიული ნორმის რეალიზაციისათვის აქტიურ მონაწილეობას (თოფჩიშვილი რევაზ, სამართლის ევოლუცია და ადამიანის უფლებები //ალმანახი №9, [საერთაშორისო სამართალი], საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ.,1999);

სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვეობის ერთ-ერთ მიღწევად ითვლება, რომელშიაც თავისუფლების სამართლებრივ ფარგლებს ადგენს სოციუმში არსებულ ფასეულობათა ბალანსი, იმის გათვალისწინებით, რომ ყველას თანაბარი ძალაუფლება, ზემოქმედების მექანიზმი ან ნება გააჩნია და, შესაბამისად, მათი ინტერესებიც ერთნაირად არის გათვალისწინებულ. თუმცა, იგივე სამოქალაქო საზოგადოებაში არ არსებობს ძალთა სასურველი ბალანსი და ვისაც მეტი ძალაუფლება აქვს ან უბრალოდ მეტად აქტიურია, მისი ინტერესებიც უფრო გათვალისწინებულია და რაც უფრო მეტია ძალაუფლება მით მეტად არის იგი დაცული (ხშირ შემთხვევაში სამართლებრივად დაცული) (მათიაშვილი ზ. თავისუფლება თუ კანონი //ალმანახი N18, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2003);

,,სამოქალაქო საზოგადოების" ცნებაში სხვადასხვა ავტორები მისი არსებობის არეალს განსხვავებული გეოგრაფიული და დროითი საზღვრებით შემოფარგლავენ. ერთის მხრივ, შეიძლება შევხვდეთ გამოთქმას „სამოქალაქო საზოგადოება ირანში", მეორეს მხრივ, მეცნიერთა ნაწილი (მაგ. ერნესტ გელნერი) ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს მხოლოდ დასავლურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში. სხვები კი მიუთითებენ ამ ტერმინის გამოყენებაზე ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. ასე მაგალითად, არისტოტელესათვის სამოქალაქო საზოგადოება იგივე იყო, რაც „პოლიტიკური ერთობა", ან „პოლიტიკური საზოგადოება". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 212 წელს კარაკალას იმპერატორობის დროს, რომის იმპერიაში შემოღებულ იქნა მოქალაქეობის ცნება. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ რომის მოქალაქეებს მიენიჭებოდათ. შესაძლებელია, მოცემული ისტორიული ფრაგმენტი წარმოადგენდეს კიდეც

დღევანდელი „სამოქალაქო საზოგადოების“ თეორიულ საფუძველს, რომელსაც უდავოდ წმიდა იურიდიული ბუნება გააჩნია. თუმცა, კამათი ამ შემთხვევაშიც შეიძლება, რადგანაც მოქალაქეობა ხომ პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს გულისხმობს სახელმწიფოსთან. თანამედროვე დეფინიციები სამოქალაქო საზოგადოებას აქცევენ ორ პოლუსს - კერძო საკუთრებასა და სახელმწიფოს შორის. კერძო საკუთრება ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც ბუნებრივი თავისუფლების რეალიზება, როგორც კაცობრიობის ემანსიპაცია და განთავისუფლება პიროვნული დამოკიდებულებისგან. კერძო საკუთრება აქ წარმოდგება პიროვნული უფლებების, უნივერსალური თანასწორობისა და სხვების უფლებათა პატივისცემის მატერიალურ საფუძვლად. სამოქალაქო საზოგადოების თეორიასთან დაკავშირებით გელნერი დასძენს, რომ „თანამედროვე დასავლურ სამყაროში ახალმა ეკონომიკურმა მოწყობამ, შრომის დანაწილებამ და საკონტრაქტო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეასუსტეს ტრადიციების, წარმომავლობისა და ზნე-ჩვეულებების როლი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანი გახდა „მოდულური“ - რას ნიშნავს ეს? როგორც ავეჯი ან სათამაშო კონსტრუქტორი შეიძლება იოლად შეერთდეს სურვილისამებრ სხვა-დასხვა კომბინაციების გამოყენებით, ასევე თანამედროვე ადამიანს გააჩნია უნარი გაერთიანდეს სხვადასხვა ასოციაციებში, მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ ინსტიტუტის ფუნქციონირებაში”. (კულტურათაშორისი კომუნიკაციები № 3, – რედ.: ინდირა ძაგანია, – [გამომცემლობა „უნივერსალი“]. – თბ.,–2008);

ტერმინი ,,სამოქალაქო საზოგადოება“ სხვადასხვაგვარად შეიძლება გავიგოთ. ჩვენს სიტყვათხმარებაში ეს ტერმინი ხშირად იგივდება არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლიობასთან. ეს მისი ყველაზე უფრო ვიწრო გაგებაა, რომელიც მსოფლიოში დაახლოებით 1990-იანი წლებიდან გავრცელდა. პოლიტიკურ და სოციალურ თეორიაში მიღებულია უფრო ფართე განსაზღვრება, რომელიც უკავშირდება ამ ცნების წარმოშობას ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან ჯონ ლოკი თუ ადამ ფერგიუსონი. ამ ფორმით განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოება „ბუნებითი საზოგადოებისაგან”, სადაც ადამიანები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოქმედებენ. საზოგადოების „სამოქალაქო“ ხასიათი ამ გაგებით უკავშირდება იმ შეზღუდვებს, რომლებსაც ადამიანები ნებაყოფლობით უწესებენ თავს, რათა მათი ცხოვრება უფრო უსაფრთხო და პროდუქტიული, მოუთოკავი ძალადობისაგან თავისუფალი, სხვა სიტყვებით - ცივილიზებული იყოს (ინგლისური ტერმინი civil society ნათლად აჩვენებს მის შინაარსში ,,ცივილურობასა” თუ ,,ცივილიზებულობასთან” კავშირს). ამ აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახლოს დგას ლიბერალური სახელმწიფოს ცნებასთან, რომელიც „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“, ანუ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმების პრინციპზეა

აგებული. დღეს ეს ტერმინი ამ გაგებით აღარ იხმარება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ის იმთავითვე დაუკავშირდა ლიბერალურ მსოფლმხედველობას და ეს კავშირი არასოდეს დაუკარგავს. ლიბერალური მსოფლმხედველობის ძირითადი არსი კი ისაა, რომ ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანება (მათ შორის სახელმწიფო) იმდენადაა კანონიერი, რამდენადაც ის ნებაყოფლობითია - ანუ თვით ადამიანთა სურვილს ემყარება. სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი პრინციპიც ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. დღეს სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში უფრო ხშირად მოიაზრებენ სოციალური ურთიერთობის და აქტივობის იმ ფორმებს, რომლებიც არ ხვდება ოჯახის, ბიზნესის და სახელმწიფოს სფეროებში. სამოქალაქო საზოგადოება არ თავსდება ოჯახის სფეროში, რადგან ოჯახი პიროვნულ და ბუნებით კავშირებს ეყრდნობა. სამოქალაქო საზოგადოება საჯარო სივრცეშია, ანუ ის სცდება ახლობლურ-პიროვნული ურთიერთობის საზღვრებს. მეორე მხრივ, ამ საჯარო სივრცეშიც მას მიჯნავენ სოციალური ურთიერთობისა და აქტივობის ორი სფეროსგან, რაც თავდაპირველ, ლოკისეულ განსაზღვრებაში მოხვდებოდა: ეს არის სახელმწიფო, ანუ იმ ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებს, და სამეწარმეო სფერო (ბიზნესი), სადაც ადამიანები მოგების მიღების მიზნით ერთიანდებიან. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების სრული გამიჯვნა ამ ორი სფეროსაგან საკმაოდ რთულია - რჩება მნიშვნელოვანი გადაკვეთის სფეროები. სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ძალაუფლებას ერთმანეთთან აკავშირებს პოლიტიკური პარტიები. ეს ორგანიზაციები იქმნება იმისათვის, რომ ადამიანთა გარკვეული გაერთიანება სახელმწიფო ძალაუფლების ბერკეტებს დაეუფლოს, მაგრამ თავისი ბუნებით პოლიტიკური პარტიები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებია. ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების გადაკვეთაზე არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ანუ მედია. მედია, როგორც წესი, მოგებაზეა ორიენტირებული, ანუ ბიზნესია. მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ მედიის მეშვეობით ხდება საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების არტიკულირება და გავრცელება, მათ გარშემო საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზაცია. ამიტომ, მედიას ხშირად მაინც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილადაც მოიაზრებენ. არსებობს სხვა საზოგადოებრივი მოქმედი პირები, რომლებიც ფორმალურად სამოქალაქო საზოგადოების ფართო ცნებაში ხვდებიან, მაგრამ მის შიგნით განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ასეთია, მაგალითად, რელიგიურ რწმენაზე დამყარებული, კონფესიური ორგანიზაციები თუ ეკლესიები. მათი განსაკუთრებულობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ თავად ისინი შეიძლება ენთუზიაზმით არ შეხვდნენ სამოქალაქო საზოგადოების სისტემაში მათ

მოაზრებას. სამოქალაქო საზოგადოების ცნება, როგორც აღვნიშნეთ, ლიბერალური ტრადიციიდან მოდის, რომლის მიმართ ზოგიერთ რელიგიურ ორგანიზაციას შეიძლება გაორებული ან სულაც ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდეს. სამოქალაქო საზოგადოების სისტემაში ერთგვარად განზე დგას პროფკავშირებიც. ეს არის დაქირავებულ მუშაკთა ეკონომიკური ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციები. ისინი, ჩვეულებრივ, გამოდიან როგორც ბიზნესის (ან, თუ დამქირავებელი სახელმწიფოა, სახელწიფოს) ოპონენტები. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში შედის სხვადასხვა სახის კერძო გაერთიანება, რომელიც მხოლოდ მისი წევრების ინტერესების გარშემო არსებობს და შეიძლება არ ცდილობდეს რაიმე გავლენის მოხდენას საზოგადოებრივ გარემოზე. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვა ინტერესების გამომხატველი კლუბები. სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსასაზღვრავად მნიშვნელოვანია ღირებულებითი განზომილებაც. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ცნების აღმოცენება ლიბერალურ მსოფლმხედველობას უკავშირდება, ადამიანები შეიძლება ნებაყოფლობით გაერთიანდნენ სრულიად არალიბერალური მიზნებისა თუ ღირებულებების გარშემოც. შეიძლება თუ არა, ვთქვათ, ფაშისტური, ულტრამემარცხენე, რელიგიურ-ფუნდამენტალისტური, ძალადობაზე ორიენტირებული ჯგუფები სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში შემოვიყვანოთ? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. ზოგიერთი ავტორი იყენებს ცნებას „არასამოქალაქო საზოგადოება“ ისეთი გაერთიანებების აღსანიშნავად, რომლებიც სამოქალაქო ანუ ლიბერალურ ღირებულებებს უპირისპირდება. ასეთი გამიჯვნა სრულიად ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ის მთელ რიგ პრაქტიკულ პრობლემებს ქმნის. არალიბერალური გაერთიანებებიც სამოქალაქო საზოგადოების ველში არსებობენ და ხშირად სრულიად აკმაყოფილებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ფორმალურ მოთხოვნებს. მეტიც, მათი საქმიანობის დიდი ნაწილი შეიძლება ძალიან ჰგავდეს ლიბერალური ორიენტაციის ორგანიზაციების საქმიანობას. მაგალითად, რასისტული ამერიკული ორგანიზაცია ”კუ-კლუქს-კლანი”, ან დღევანდელი ტერორისტული ორგანიზაციების ნაწილი, გარდა ძალადობრივ-ტერორისტული აქტებისა, ცნობილი არიან ან იყვნენ სოციალური საქმიანობით, რომლებიც საკმაოდ სასარგებლო იყო მათი სამიზნე ჯგუფებისთვის. ეს მაინც ზღვრული შემთხვევებია: მაგრამ კონკრეტულად სად უნდა გაივლოს ზღვარი ,,სამოქალაქო” და ,,არასამოქალაქო” გაერთიანებებს შორის და ვინ უნდა გაავლოს ის? აქ რომელიმე სოციალური ჯგუფის მიერ იდეოლოგიური ცენზურის განხორციელების საფრთხეც ჩნდება. (ნოდია გია. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები: სტრატეგიის განაცხადი/ გია ნოდია; მშვიდ., დემოკრ. და განვით. კავკ. ინ-ტი, სამოქ. ინტერესების დაცვის პროგრამა, თბ., 2005);

,,სამოქალაქო საზოგადოება“ არის ავტონომიური ასოციაციებისა და ჯგუფების არეალი, რომელსაც აყალიბებენ კერძო მოქალაქეები და რომელიც სარგებლობს მთავრობისგან დამოუკიდებლობით; სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ბიზნესებს, კლუბებს, ოჯახებსა და ა.შ. (პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი/ენდრიუ ჰეივუდი; [მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე და სხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე]. მე-3 გამოც. თბ.: ლოგოს პრესი, 2004, 432 გვ.).

2.2. სამოქალაქო საზოგადოების არსი და მნიშვნელობა

რა ფუნქციონალური, ნორმატიული და სტრუქტურული წანამძღვრები განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ცნებისა და როგორც ფენომენის, არსებობას? და რას განაპირობებს, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება? როგორ საზოგადოებას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოება? არსებობს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების განმსაზღვრელი ნორმატიული იდეალი? და ა.შ. ეს კითხვები უკავშირდება არა სამოქალაქო საზოგადოების განმარტებას, არამედ მის არსსა და მნიშვნელობას.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ლარი დაიმონდის სტატიაში მოცემულია ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული და მრავალმხრივი მიმოხილვა იმისა, თუ რა ინსტიტუტები მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას და რა საქმიანობას ახორციელებენ ისინი. სამოქალაქო საზოგადოება, დაიმონდის მიხედვით, არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსაგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.

სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციათა მრავალ ფორმას, მათ შორის ფორმალურს და არაფორმალურს. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს:

1. ეკონომიკური (სამეწარმეო და კომერციული ასოციაციები და ქსელები);
2. კულტურული (რელიგიური, ეთნიკური, კომუნალური და სხვა ასოციაციები და ინსტიტუტები);
3. ინფორმაციული და საგანმანათლებლო;
4. საერთო ინტერესებზე დაფუძნებული;
5. განვითარებაზე ორიენტირებული;
6. გარკვეულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული;
7. მოქალაქეობრივი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის უბრალოდ რაღაც ნაშთი, რომელიც მიიღება ,,საზოგადოებისგან“ იმ ყველაფრის გამოკლებით, რაც მიეკუთვნება სახელმწიფოს ან ფორმალურ პოლიტიკურ სისტემას.

სამოქალაქო საზოგადოება:

1. ისახავს მიზნებს, რომლებიც საზოგადოებრივია და არა პირადი.

2. სამოქალაქო განათლების ინსტიტუტები საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ გზით ამყარებენ კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობენ მის ჩარჩოებში თანამდებობის ან ძალაუფლების მოპოვებას. ამის ნაცვლად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, თანადგომა და ა. შ.

3. სამოქალაქო საზოგადოება ხასიათდება პლურალიზმითა და მრავალფეროვნებით.

4. სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებულია და ავტონომიურია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ პოლიტიკური საზოგადოებისგან.

დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა თავის თავში გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიულობის უფრო მაღალ საფეხურს. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ორ ძირითად ღირებულებას - თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას.

2.3. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

ქართული საზოგადოების დღევანდელ სახეს განაპირობებს XX საუკუნის მძიმე ისტორიული წარსული: კომუნისტური რეჟიმი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, დამოუკიდებლობის მოპოვება, სამოქალაქო დაპირისპირება, სრული ეკონომიკური ნგრევა, კრიმინალური სამყაროს გაძლიერება და ა.შ.

მიუხედავად დრამატული მოვლენებისა, საქართველოში დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. მართალია ეს პროცესი დიდ სირთულეებს წააწყდა და მიმდინარეობს ნელა და მტკივნეულად, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობამ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამხობის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ ხმამაღლა განაცხადა პრეტენზია გადაიქცეს სამოქალაქო საზოგადოებად. პროცესი ძალზედ რთულად მიმდინარეობას, რასაც მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი განაპირობებს. მათგან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე:

1. საზოგადოების უმრავლესობის ინდეფერენტიზმი ქვეყანაში მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენებისადმი, რასაც აძლიერებს ნიჰილისტური დამოკიდებულება კანონისა და ხელისუფლებისადმი.

2. ხელისუფლებას არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი სტრატეგია როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. ერთადერთი, სადაც ასეთი ნება ვლინდება, არის სურვილი, მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს ხელისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და ა.შ. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, სახელწიფო ბოლომდე ვერ იცავს მისი მოქალაქეების სოციალურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რეგიონის სხვა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შედარებით უფრო ძლიერი, ქმედითი და აქტიური არიან. მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ხელისუფლებაში, სამოქალაქო საზოგადოება ახერხებს მუშაობას ხელისუფლების არასათანადო ჩარევის გარეშე. ის მთავრობის საპირწონე ძალაა და წარსულში ხელი შეუწყო ბევრ დადებით ცვლილებას. მართლაც, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციები უფრო უნარიან ორგანიზაციებადაა აღიარებული, ვიდრე საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციები. ისინი თავისუფლად, ხელისუფლების მხრიდან შევიწროების გარეშე მოქმედებენ და მნიშვნელოვანი მიღწევებიც აქვთ ადვოკატირების კუთხით, როგორიცაა მაგალითად, 2012 წლის მშვიდობიანი დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფა. მართალია, საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილი არ არის, მაგრამ ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებას და ტოლერანტულია მათი აქტივობების მიმართ. შექმნილია ხელსაყრელი პირობები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობისთვის საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სხვადასხვა სექტორში არსებობს პოლიტიკის საკითხებზე დიალოგის მექანიზმები, რომლებშიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან წარმოდგენილი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას საერთაშორისო დონორებიც უწყობენ ხელს. ქვეყანაში მოქმედ საერთაშორისო დახმარების ყველაზე მნიშვნელოვან სააგენტოებს, რომლებსაც მხარდაჭერას ძირითადად ევროკავშირი და აშშ უწევენ, თავიანთი წვლილი შეაქვთ ფინანსური და პოლიტიკური დახმარების სახით, ასევე პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობის გზით.

საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად არსებობს ხელშემშლელი ფაქტორებიც. ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობის პირობებშიც კი სამოქალაქო საზოგადოების ღანდშაფტი გაყოფილია ადამიანის უფლებათა და მმართველობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა, რომლებიც ძირითადად „მოდარაჯე ძაღლის“ როლს ასრულებენ და

სოციალურ სექტორებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ასრულებენ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების, სერვისების მიწოდებისა და ადვოკატირების ფუნქციებს. როგორც ჩანს, ეს დაყოფა განსაზღვრავს რესურსების, მედიისა და საქართველოში მოქმედი ან საქართველოზე ორიენტირებული საერთაშორისო განვითარების სააგენტოების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, პოლიტიკური და რელიგიური განხეთქილებები კიდევ უფრო აფერხებს თანამშრომლობას, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთგვაროვან ჯგუფებში, ისე სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეზღუდული ლეგიტიმაცია და სუსტი შიდა მმართველობა აქვთ. შიდა მმართველობას, ძირითადად, სუსტი ორგანიზაციული სტრუქტურები აფერხებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დონორების წინაშე არიან ზოგიერთ აქტივობაზე ანგარიშვალდებული. მეტიც, ძალაუფლების არმქონე მოქალაქეებისა და მათგან მოწყვეტილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობა ამცირებს ამ ორგანიზაციების მიმართ ნდობას და მათი საქმიანობის აღიარებას.

მთავრობის კონფრონტაციულმა მიდგომამ სამოქალაქო საზოგადოების „მოდარაჯე“ ორგანიზაციების მიმართ ამ ორგანიზაციებს რეაქციული სტრატეგიების გამოყენებისკენ უბიძგა ნაცვლად იმისა, რომ ღრმად შეესწავლათ ძირითადი საკითხები და ხელისუფლება საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული გაეხადათ. ეს დინამიკა გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობაზე რეგიონულ დონეზე, სადაც კონტექსტი კიდევ უფრო რთულია. მართალია, არსებობენ რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ მოქალაქეებთან, მაგრამ მათ უკიდურესად შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსების პირობებში უწევთ მუშაობა და მრავალ სირთულესა და საოპერაციო ხარჯთან გამკლავება, რათა გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკაზე ან განვითარების სააგენტოებს დაუკავშირდნენ.

ევროპის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები:

1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავების პროცესებში

<u>ხელშემწყობი ფაქტორები:</u>

- დროთა განმავლობაში და ფონდების სათანადო ინვესტირებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შექმნეს ლობირებისა და ადვოკატირების ინსტრუმენტები და შესაძლებლობები,

ასევე მყარი და გამჭვირვალე შიდა სტრუქტურები და ტექნიკური ექსპერტიზა, რაც ზრდის მათ უნარს წვლილი შეიტანონ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლიბებში.

•მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისადმი ნდობის ხარისხი შედარებით დაბალია, ბოლოდროინდელი ტენდენციები მათი ლეგიტიმურობისა და წარმომადგენლობითობის ზრდაზე მიუთითებს; მოქალაქეებთან ურთიერთობების დამყარებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარდამჭერთა მზარდი ბაზა შექმნეს, რაც ლეგიტიმურობას სძენს მათ ხმას სახელმწიფო ინსტიტუტების წინაშე.

•სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ დონორების მოთხოვნამ, დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალურობა, ასევე თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მცდელობამ, გათავისუფლდნენ საბჭოთა მემკვიდრეობისგან, შედეგად გამოიღო პოლიტიკური პარტიებისგან საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების დისტანცირება, რამაც მათ მისცა შესაძლებლობა ითანამშრომლონ პოლიტიკურ პარტიებთან ფორმალური შეთანხმების ან სპორადული ფორმით და ამავე დროს, თავიდან აიცილონ პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევის საფრთხე.

•ფინანსური მხარდაჭერის არსებული სისტემა შესაძლებლობების ფართო სპექტრს სთავაზობს სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც განივითარეს ფინანსური რესურსების მოძიების უნარი და ეფექტიანად პასუხობენ საგრანტო პროგრამების მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა დაცვისა და მმართველობის სფეროებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ზოგ ორგანიზაციას, ასევე „ინფრასტრუქტურულ“ ორგანიზაციებს (რესურსებით უზრუნველყოფილ და ინსტიტუციურად ძლიერი საერთაშორისო ქსელის წევრ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელთა ძირითადი საქმიანობაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერაა) ძირითადი დაფინანსება (ე.წ. core funding) აქვთ, რაც შესაძლებლობას აძლევთ სწრაფად გააანალიზონ ცვალებადი რეალობა და საკუთარი მანდატის შესაბამისად იმუშაონ ყველაზე რელევანტურ და პრიორიტეტულ საკითხებზე.

<u>ხელშემშლელი ფაქტორები</u>

•ზემოხსენებული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს კვლავ შეზღუდული წარმომადგენლობითობა და სამიზნე ჯგუფებისგან სუსტი მხარდაჭერა აქვთ და საკმაოდ „მოწყვეტილი“ არიან მოქალაქეებისგან. მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ბოლო დროს შექმნილი ზოგი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, რომელთა მიზანიცაა მოქალაქეების ჩართვის უზრუნველყოფა, მაგრამ ამ საქმიანობის

უდიდესი ნაწილი ფინანსური დახმარებით არის ნაკარნახევი ან მეორადია და არა მათი მანდატით გათვალისწინებული ან ადამიანთა იმ ჯგუფისადმი პასუხისმგებლობაზეა დაფუძნებული, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

•კვლევამ გამოავლინა თანამშრომლობის, კოორდინირებისა და კონტაქტების დამყარების სუსტი და არამდგრადი მცდელობები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან, რაც შემოიფარგლებოდა დონორების მოთხოვნებით ნაკარნახევი ერთჯერადი კოალიციებისა და კამპანიების ორგანიზებით, რაც საკმარისი არ არის ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი „ინდივიდუალისტური“ მიდგომის დასაძლევად.

•მიუხედავად ძალისხმევისა, მიღწეულ იქნას მეტი მდგრადობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ძირითადად, ისევ ფინანსურ დახმარებაზე არიან დამოკიდებული. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციამ შეძლო საკუთარი ეკონომიკური რესურსების დივერსიფიცირება, სხვები კი კვლავ განვითარების სააგენტოებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების იმედად არიან.

•სამოქალაქო საზოგადოების თეორიული და კონტექსტს მორგებული ცნების არარსებობის გამო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად განისაზღვრება „მოდარაჯე“ ორგანიზაციებად, რომლებიც დემოკრატიისა და განვითარების ხელშეწყობას ისახავენ მიზნად და არა ცვლილების აქტორებად, სათემო და სამოქალაქო თვითშეგნების მშენებლებად და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის შუამავლებად. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობა, განსაზღვრონ საკუთარი ხედვა, გრძელვადიანი ამოცანები და როლები და იპოვონ საქმიანობის საკუთარი „ნიშები“, შეზღუდულია.

2.3. სოციალური და პოლიტიკური მიდგომები, საკანონმდებლო ბაზა და რეჟიმი

<u>ხელშემწყობი ფაქტორები:</u>

- არსებული საკანონმდებლო გარემო საკმაოდ ლიბერალურია, არ აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებას და მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არც რაიმე სერიოზულ იურიდიულ ან ბიუროკრატიულ ბარიერებს უქმნის მათ. არსებული მარეგულირებელი ბაზა განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების ხასიათს და მოითხოვს ფუნქციონალურ და დემოკრატიულ იურიდიულ და სასამართლო სისტემას არსებული კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

- დარგობრივი სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რჩევასა და შესაძლებლობებს ხშირად იყენებენ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ფორმულირებისთვის, ხოლო შედარებით იშვიათად - სოციალური სერვისების მიწოდებისთვის.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი ამბობს, რომ აქვს ურთიერთობები პარლამენტთან. ზოგადად, პარლამენტი მიჩნეულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დიალოგისთვის უფრო ღია ინსტიტუტად, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება და ამიტომ მასთან უფრო ადვილია იმ პრობლემებზე მსჯელობა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე ჯგუფებს ეხება.
- 2014 წელს საქართველომ მიიღო ახალი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ახალ ფორმებს. კანონი ქმნის იურიდიულ ჩარჩოს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს ხაზი გაუსვან მათ მნიშვნელობას მოქალაქეების მხრიდან რეაგირების ხელშეწყობითა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაძლიერებით.
- განვითარების სააგენტოების ძალისხმევით ჩამოყალიბდა მიდგომა, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სისტემატურ მონაწილეობას - მთავრობის საქმიანობაში.

<u>ხელშემშლელი ფაქტორები:</u>

- ტოტალიტარული წარსულის მემკვიდრეობა კვლავ ახდენს გავლენას დემოკრატიის განვითარების პროცესზე, რაც გამოიხატება აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულებაში სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ; ზოგჯერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონფრონტაციულ ხასიათს იღებს.
- არსებული ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს სტიმულებს კერძო სექტორისთვის (საშემოსავლო გადასახადის შეღავათს საქველმოქმედო ორგანიზაციებში შენატანისთვის). თუმცა, არ არის გათვალისწინებული ხელშემწყობი მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალური შენატანის ან ეკონომიკური თუ სოციალური მეწარმეობის აქტივობებისთვის.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, უზრუნ-

ველყონ მთავრობის ანგარიშვალდებულება. პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები ითვალისწინებს პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დონეებზე ამ ორგანიზაციების ჩართულობას მონიტორინგის წარმოებისა და სერვისების მიწოდების სახით. თუმცა, ამ მექანიზმებს შედეგად არ მოუტანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფრო აქტიური ჩართულობა მთავრობის საქმიანობის შეფასებაში.

- „მოდარაჯე“ ორგანიზაციების ძალისხმევამ და იმ ფაქტმა, რომ ზოგი მათგანი ბოლო დროს აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მიერ არის შექმნილი, გააჩინა ვარაუდი, რომ სამოქალაქო საზოგადოების „მოდარაჯე“ ორგანიზაციები ოპოზიციის ნაწილს წარმოადგენს, რამაც დაძაბულობა გაზარდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ასეთი პოლარიზება გავლენას ახდენს მათ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პარლამენტის ურთიერთობები გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო პროცესი ოფიციალურად მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წვლილსა და შენიშვნებს, გადაწყვეტილებები ხშირად სწრაფად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე მიიღება.
- რეგიონულ სახელმწიფო ინსტიტუტებს კარგად არ ესმით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი და აკლიათ მათთან დიალოგის წარმართვის უნარი. ეს ფაქტორები აისახება მათ დამოკიდებულებაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე პროექტების შემუშავებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების ბევრი რეგიონული ორგანიზაცია ამბობს, რომ რეგულარული კონტაქტი აქვს საჯარო ადმინისტრაციასთან, თუმცა, ზოგადი შთაბეჭდილების მიხედვით, ეს უკანასკნელი არ არის მათთან მუშაობით დაინტერესებული.
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტია ქვეყანაში. თუმცა, ფუნდამენტური უფლებების მიმართ განსხვავებული მიდგომების გამო, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ხშირად უთანხმოებებია და მათი თანამშრომლობა მხოლოდ სპეციფიკური პროექტების

ფარგლებშა შესაძლებელი, სადაც პოლიტიკური ხასიათის აქტივობები ნაკლებად არის წარმოდგენილი.

- ბოლო რამდენიმე წელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შეშფოთებას გამოხატავენ რუსეთის მიერ დაფინანსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობისა და ასეთი დაფინანსების განაწილების გაუმჭვირვალობის თაობაზე. რუსეთის ფინანსურმა დახმარებამ ხელი შეუწყო ისეთი ორგანიზაციების გამრავლებას სათემო და რეგიონულ დონეებზე, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს ეწინააღმდეგებიან და მოსკოვის ხედვის პროპაგანდას ეწევიან.

2.4. დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობები, თანამშრომლობა და კოორდინაცია

ხელშემწყობი ფაქტორები;

- მნიშვნელოვანი ტენდენციაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე დარგობრივი სამინისტროები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს იწვევენ კონსულტაციებში მონაწილეობისთვის.

- აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უფრო ფორმალიზებული მექანიზმი შექმნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაზიარებისა და მთავრობასა და ამ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების გაძლიერებისთვის. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის დიალოგის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

- სამოქალაქო საზოგადოებას კარგი ურთიერთობები აქვს მედიასთან, რომელიც ფართოდ აშუქებს სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჩატარებულ ადვოკატირების კამპანიებს და მის მიერ წამოწეულ საკითხებს. ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი ყურადღების პირობებში მედიის მხარდაჭერა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, გავლენა მოახდინონ საჯარო უწყებებზე.

- მიჩნეულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები განვითარების პარტნიორების, განსაკუთრებით ევროკავშირისა და აშშ-ის პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებენ. ამ ორგანიზაციებმა პროექტებს მიღმა პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან. განვითარების პარტნიორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის მჭიდრო ურთიერთობებმა, როგორც ჩანს, მომგებიანი სიტუაცია შექმნა. ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა ზრდის მათ წონას მთავრობასთან მოლაპარაკებებში. მეორე

მხრივ, განვითარების პარტნიორებს ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე მმართველობისა და ადამიანის უფლებების სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების პრობლემების, ასევე სხვა გეოპოლიტიკური საკითხების შესახებ, რომლებსაც ისინი მთავრობასთან დიალოგის წარმოებისთვის იყენებენ.

<u>ხელშემშლელი ფაქტორები:</u>

- სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის ხელშემწყობი გარემოს შექმნისთვის საჭირო მექანიზმების არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს მათ სათანადო ჩართულობას პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მონაწილეობის ფორმალური სივრცე და არაფორმალური არხები პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ზეგავლენა პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ხელშესახები არ არის;
- ერთჯერადი კოალიციების ჩამოყალიბებისა და კამპანიების წარმართვის გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მცდელობები, შექმნან კონტაქტების ფორმალური ქსელი და მოახდინონ მათი კოორდინირება, ძირითადად, დონორების მოთხოვნებითაა ნაკარნახევი და დაფინანსების დასრულებასთან ერთად წყდება;
- სამოქალაქო საზოგადოების ყველა ორგანიზაციას არ აქვს მედიაზე თანაბარი წვდომა და გავლენის ინსტრუმენტად მისი გამოყენების შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალურ სექტორში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევს;
- მცირეა განვითარების სააგენტოებს შორის დახმარების კოორდინირებისა და ინფორმაციის გაზიარების მცდელობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და განვითარების პარტნიორებს შორის უწყვეტი დიალოგის პირობებშიც კი ის ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სტრუქტურირებულ დიალოგად, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან წვდომის თანაბარ შესაძლებლობებს მისცემდა;

კვლევების შედეგად ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- გაგრძელდეს იმ აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს რეფორმების ადვოკატირებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების ინოვაციური საშუალებების ხელშეწყობას (მაგალითად, პროექტი, რომელიც მოიცავს სოციალურ აუდიტს,

პოლიტიკის მონიტორინგის შედეგის განსაზღვრას და ა.შ.);

- გაგრძელდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლეგიტიმაციის, წარმომადგენლობითობის, რეაგირებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების ხელშეწყობა;
- მხარდაჭერილი იქნას პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებას და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობას, რაც მოიცავს ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მექანიზმებს, ასევე აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- განისაზღვროს მოთხოვნები შიდა მმართველობასთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც დადგინდება კრიტერიუმებთან შესაბამისობა, ასევე გაიცემა გრანტები ან ჩაირიცხება ტრანშები. იმ შემთხვევებში, როდესაც შიდა მმართველობა სუსტია, მაგრამ პროექტს ზეგავლენის დიდი პოტენციალი აქვს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან ერთად განისაზღვროს მისი შიდა მმართველობის გაუმჯობესების ეტაპები;
- შიდა მმართველობის მოთხოვნები უნდა ეხებოდეს პროექტის მდგრადობას, ბენეფიციარებისგან უკუკავშირსა და დადასტურებას, რომ პროექტები თავსებადია ორგანიზაციის ხედვასა და მიზნებთან;
- სამოქალაქო თვითშეგნებისა და შიდა მმართველობის ჩამოყალიბება გრძელვადიან ინვესტიციას მოითხოვს; ამიტომ სასურველია ძირითადი დაფინანსების (core funding) უზრუნველყოფა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ძალიან სარისკო პროცესია, სასურველია მისი ეტაპობრივად განხორციელება, რომელიც საპროექტო მიდგომით შეიძლება დაიწყოს, რათა შეიქმნას საბაზისო პირობები/სტრუქტურები და შემდეგ მოხდეს დაფინანსების შეწყვეტა იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო შედეგი თვითკმარი და დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიღებაა;
- პოლიტიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობების და მათში ჩართულობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოციალურ სექტორებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უნარის გაძლიერება მიუბრუნდნენ პრობლემურ საკითხებს და გააანალიზონ და შეაფასონ მოქალაქეებზე პოლიტიკის ზეგავლენა;
- სამთავრობო პოლიტიკის პროცესების შესახებ ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბიუჯეტის განაწილება, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტების განსაზღვრა და სხვა;
- ხელი შეეწყოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას;

- მხარი დაეჭიროს საკანონმდებლო რეფორმებს, რომლებიც ითვალისწინებს სტიმულებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგრადობისთვის;
- პოზიტიური/საზოგადოებრივი წვლილის მაგალითების დემონსტრირებით ხელი შეეწყოს იმ აქტივობებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უბიძგებს თავად აიღონ მსგავსი საქმიანობის განხორციელების ინიციატივა;
- გაიზარდოს მედიის ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციების ინიციატივების გაშუქებაში, რომლებიც მხოლოდ მმართველობისა და ადამიანის უფლებების სფეროებში კი არ მუშაობენ, არამედ სხვა სფეროებშიც; ეს შეიძლება განხორციელდეს ადამიანის უფლებებისა და მმართველობის საკითხების დაკავშირებით წამყვან სოციალურ სექტორებში პოლიტიკის განხორციელების საკითხებთან;
- ხელი შეეწყოს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის საქართველოში ამ ორგანიზაციების მნიშვნელობისა და დემოკრატიის კონსოლიდაციასა და განვითარებაში მათი წვლილის შესახებ; მათთვის საკუთარი ცვლილების თეორიების შემუშავებაში მხარდაჭერის გაწევა;
- მოხდეს რელიგიური იდენტობის მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და მათი ჩართვის შესაძლებლობების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების უნივერსალურობასა და პლურალიზმს;
- მხარი დაეჭიროს ისეთ ინიციატივებს, რომელთა მიზანია ერთიანი პოზიციის ძიება და კავშირების დამყარება სხვადასხვა სექტორის განსხვავებული ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის; ხელი შეეწყოს სექტორული ან თემატური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქსელების და პლატფორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წარმოადგენს მთავრობასთან და/ან კონკრეტულ თემატურ ფორუმებსა თუ სამინისტროებთან;
- მოხდეს იმ პროექტების მხარდაჭერა, რომელთა მიზანიცაა დემოკრატიული მმართველობისადმი არსებული მიდგომების გაფართოება, მაგალითად, მმართველობისა და ადამიანის უფლებების საკითხების დაკავშირება მოქალაქეთა ისეთ პრობლემებთან, როგორებიცაა: დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა ან ინფრასტრუქტურა.

ლიტერატურა:

2.1. კონსტიტუცია და დემოკრატია, თბილისი. 2014 წ.

2.2. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა, მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. თბ., 2007 წ.

2.3. დემოკრატიისა და მოქალაქეობის შეფასების ანგარიში. გრიერ ბუროუსი, 2013 წ.

2.4. Larry Diamond, Toward Demokratik Consolidation, Journal of Democracy, V.5, №3, 1994.

2.5. მუსხელიშვილი მ., სამოქალაქო საზოგადეობა: შედარებითი ანალიზი. თბილისი, 2016 წ.

2.6. ჯემა პინიოლ პუიგი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადეობის სიტუაციური ანალიზი. ევროპის ფონდი. 2016 წ.

კითხვები და დავალებები:

2.6.1. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოთვლილ განმარტებათაგან რომელია თქვენთვის უფრო მისაღები? რატომ?

2.6.2. იმსჯელეთ, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივებზე. განსაზღვრეთ საქმიანობის სფეროები, პრობლემები, რომელთა მოგვარება შესაძლოა უკავშირდებოდეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და მოსალოდნელი შედეგები.

3. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში - ტენდენციები

3.1. სამოქალაქო საზოგადოების არსი და განვითარების ეტაპები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოება განიხილება დემოკრატიის განუყოფელ ნაწილად: დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის გარეშე და თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაც განაპირობებს დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ჯანსაღ და დაბალანსებულ პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას, რომლის

დროსაც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია ყველა ინტერესთა ჯგუფის შეხედულებები და მისწრაფებები.

დღევანდელ საქართველოში ხშირად ისმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარებაა. სამოქალაქო ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და ახორციელებენ კოლექტიურ ძალისხმევას საერთო ინტერესების განსახორციელებლად. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მისია მოქალაქეთა ინტერესების არტიკულაცია და მათი უფლებების დაცვაა.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ხშირად კონკრეტული საზოგადოების ან ქვეყნის დემოკრატიულობის კრიტერიუმია. სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი დემოკრატიული პრინციპების არსებობა, როგორიცაა: საზოგადოებრივი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთრების, სიტყვის, ასოციაციების თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა.

სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს საერთო აქტივობას, რომელიც ადამიანთა ფართო წრეებს მოიცავს, სადაც ადამიანები ამავე დროს არიან მოქალაქეები, აღჭურვილნი უფლებებით, მოქალაქეობრივი მოვალეობებით, გარკვეული მორალური ნორმებით, პირადი ღირსების გრძნობით, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისულებისადმი პატივისცემით. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა განსაკუთრებით ვლინდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცდილობს დაარღვიოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები. ის ზღუდავს და აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რათა არ მოხდეს ძალაუფლების გადამეტება. მუდმივი კონტროლი, ზეგავლენის შესაძლებლობა და პასუხისმგებლობის აღება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ამცირებს საჯარო ძალაუფლების გამოყენების შანსს პირადი სარგებლისათვის. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ გულისხმობს მხოლოდ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელებას, არამედ ის აძლევს პოლიტიკურ ელიტას განახორციელოს მმართველობითი ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოებრივი აქტივობის ერთჯერადი გამოვლინება კი არ არის, არამედ გულისხმობს გაზიარებული ღირებულებების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობების დინამიურ განვითარებას.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე საუბარი აქტუალური გახდა საბჭოთ სისტემის რღვევის პერიოდიდან და იგი თანმდევ მოვლენად იქცა არამარტო ქართულ, არამედ

მთლიანად პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო მე-19 საუკუნიდან. პირველი სამოქალაქო ორგანიზაციები მეტწილად ფოკუსირებულნი იყვნენ კულტურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე. არსებობდენ ასევე სხვადასხვა საქველმოქმედო, პროფესიული ნიშნით გაეთიანებული ორგანიზაციები.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების ისტორია სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს. XX ს. დასაწისში ქვეყანაში უკვე არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიები. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ და ქვეყნის შეყვანამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეაფერხა პოლიტიკური პარტიების განვითარების პროცესი ქვეყანაში. ქვეყანაში ლიკვიდირებული იქნა პოლიტიკური პარტია, გარდა კომუნისტური პარტიისა.

XX ს.-ს 80-იან წწ. საქართველოში წარმოიქმნა ავტონომიური დაჯგუფებები (ე.წ. ”არაფორმალური გაერთიანებები”), რომელთც პოლიტიკურ ძალად გარდაქმნის პრეტენზია ჰქონდათ. დამოუკიდებლობის პერიოდში ყალიბდება პოლიტიკურ ძალთა 2 ტიპი: სახელისუფლებო გაერთიანებები (მრგვალი მაგიდა, საქ-ს მოქალაქეთა კავშირი, დემოკრატიული აღორძინების კავშირი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა..) და მცირერიცხოვანი პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები არჩევნებში გასამარჯვებლად და მუდმივი ოპოზიციის როლს თამაშობენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (არასამთავრობო ორგანიზაციები) ჩასახვის პროცესი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდს ემთხვევა. მართალია, საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა არასამთვრობო ორგანიზაციები, მაგრამ ხელისუფლება და მმართველი პარტია სრულ კონტროლს ახორციელებდა მათ საქმიანობაზე. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ევროპისა და ამერიკის ქვეყნები დაინტერესდნენ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით. ამის შედეგად მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებს თავიანთი ახალი ინიციატივებით უკვე ხელი მიუწვდებოდათ ახალ რესურსებზე, რამაც საქართველოში მნიშვნელოვნად შეცვალა გარემო სამოქალაქო აქტივობისათვის. სამოქალაქო აქტივობები ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ფორმით ვლინდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობამ სწრაფად იმატა , რასაც რამდენიმე გარემოება განაპირობებდა:

▪ განვითარებულმა მოვლენებმა ინტელექტუალთა დიდი ნაწილი სკეპტიკურად განაწყო ხელისუფლებისადმი. საჯარო სამსახური არაპრესტიჟულ სფეროდ იქცა, ხოლო მაღალი თანამდებობების დაკავება კორუფციული მექანიზმების გამოყენების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. შესაბამისად საზოგადოების ის ფენა, რომელიც ინტელექტუალური შრომით იყო დაკავებული და რომელსაც, ამავე დროს, არ სურდა მორალურ კომპრომისზე წასვლა, მესამე სექტორში იწყებს გადანაცვლებას.

▪ დიდი როლი ითამაშა დასავლეთის ფინანსურმა მხარდაჭერამაც. არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს მესამე სექტორში დასაქმებულთა საკმაოდ მაღალი შემოსავალი.

▪ არასამთავრობო ორგანიზაციებში ადამიანებს შეეძლოთ ეთქვათ და დაეწერათ ის, რასაც ფიქრობდნენ. სახელმწიფოს მხრიდან ცენზურა ფაქტობრივად არ იგრძნობოდა და იოლად შეიძლებოდა საკუთარი უნარების რეალიზაცია.

თუ არ ჩავთვლით ეროვნული მოძრაობის პერიოდს, როდესაც ურთიერთობა სსო[3]-ების საწყის ფორმებსა და ხელისუფლებას შორის ცალსახად კონფრონტაციული იყო, შეგვიძლია გამოვყოთ დაახლოებით სამი პერიოდი ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში.

1) ჩამოყალიბება (დაახლოებით 1992-1995). იქმნება პირველი ახალი სტილის არასამთავრობო ორგანიზაციები. ხელისუფლებას არა აქვს რაიმე გარკვეული პოზიცია მათ მიმართ: მათი არსებობა საფრთხეს არ უქმნის ხელისუფლებას და თან საქართველოს ლიბერალურ კურსს ადასტურებს. უფრო მეტად ისინი განიხილებიან, როგორც საზოგადოების განათლებული ნაწილის დასაქმების ერთ-ერთი შესაძლებლობა დონორთა დახმარების გამოყენებით.

2) თანამშრომლობა და კონფრონტაცია (1995-2001). ამ პერიოდისთვის სსო-ები თანდათანობით იძენენ ერთიანი „სექტორის“ იდენტობას. ისინი სწავლობენ თავიანთი კორპორაციული ინტერესების ერთიან დაცვას (მაგალითი - გრანტების შესახებ კანონის მიღება 1996 წელს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებზე არ გავრცელდებოდა, თუ არა ლობირება ამ უკანასკნელთა მხრიდან). სექტორი თანდათან აღიქმება და თავის თავს იცნობიერებს მოქმედ პირად, რომელსაც მოვლენებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ყალიბდება ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარკვეული წესი, რომელიც თანამშრომლობისა და კონფრონტაციის ელემენტებს შეიცავს. ერთი მხრივ, სსო-ები ხედავენ საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულ ხასიათს და გამოხატავენ კრიტიკულ დამოკიდებულებას მის მიმართ. ამავე

[3]სსო- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები - ეს ხომ იგივე არასამტავრობო ორგანიზაციებია?

დროს, არ ჩანს მისი რეალისტური ალტერნატივა, ამიტომ ხელისუფლების მიმართ კრიტიციზმი შედარებით თავშეკავებულ ხასიათს ატარებს. მეტიც, სამოქალაქო სექტორის აქტივისტური ნაწილი მეკავშირეებს პოულობს ხელისუფლების ,,რეფორმატორული ფრთის“ წარმომადგენლების სახით და ამის გამოყენებით ცდილობს ლიბერალური ხასიათის კანონმდებლობის ლობირებას.

(3) კონფრონტაცია (1999-2003). 1999 წლის არჩევნებში გაყალბების დიდმა მასშტაბმა, რომელზეც, სსო-ების აზრით, იმდროინდელი ხელისუფლების რეფორმატორული ფრთაც უშუალოდ აგებდა პასუხს, გაზარდა მათი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად კრიტიკისა, სსო-ების თანამშრომლობა ხელისუფლების რეფორმატორულ ნაწილთან არ დასრულებულა. ამ თანამშრომლობის უმაღლესი პუნქტი იყო „რეფორმატორთა“ მიერ 2001 წლის ზაფხულში ინიცირებული კანონპროექტი, რითაც საარჩევნო კომისიები შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჩამოეყალიბებინათ, მაგრამ მან პარლამენტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. 2001 წლის ოქტომბერში სსო-ების აქტიური მონაწილეობით ეწყობა საპროტესტო აქციები, რასაც მთავრობის გადადგომა მოჰყვება. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების რეფორმატორული ნაწილის ლიდერები ოპოზიციაში გადავიდნენ, სსო-ების ერთი ფრთა მათთან თანამშრომლობს. ამ დროს ხელისუფლება ცდილობს, ერთი მხრივ, დიალოგში შევიდეს სსო-ებთან და მათი, თუნდაც ნაწილის, კრიტიკული განწყობა შეასუსტოს, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ,,ალტერნატიული სამოქალაქო საზოგადოების“ (ანტილიბერალური ჯგუფების) მიერ მათ დისკრედიტაციას. ამ დროს ჩნდება რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივაც, რომელთა მიზანია სსო-ების ფინანსური მდგომარეობის შესუსტება, მაგრამ სსო-ები აქტიური ლობირების მეშვეობით მათ თავიდან აცილებას ახერხებენ. ხელისუფლება აშკარად მოწინააღმდეგედ მიიჩნევს მესამე სექტორს, მაგრამ მის წინააღმდეგ მკვეთრ კონფრონტაციულ ზომებს არ იღებს, ალბათ იმიტომ, რომ, მისი აზრით, ძირითადი საფრთხე პოლიტიკური ოპოზიციისგან მოდის და არა უშუალოდ სსო-ებისგან.

4) ისევ თანამშრომლობა და კონფრონტაცია (,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ). სამოქალაქო სექტორს გარკვეული წვლილი აქვს იმაში, რომ ვარდების რევოლუცია მოხდა. ამან გააჩინა იმედი და, ამავე დროს შიში, რომ ახალ პირობებში ხელისუფლება და სამოქალაქო სექტორი ზედმეტად დაუახლოვდებოდა ერთმანეთს. ეს მოლოდინი გააძლიერა სექტორის მრავალი აქტივისტის ხელისუფლებაში გადასვლამ. მაგრამ ახალი ხელისუფლების პირველივე ნაბიჯებმა და მათზე სსო-ების რეაქციამ აჩვენა, რომ ასეთი ვარაუდები არ გამართლდებოდა. რევოლუციიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე ცხადი გახდა, რომ ზოგადი სქემის თვალსაზრისით, ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის ურთიერთობა დაუბრუნდა თანამშრომლობისა

და კონფრონტაციის ერთობლიობის რეჟიმს, რომელიც დამახასიათებელი იყო 1990-იანი წლების მეორე ნახევრისთვის. სსო-ები მონაწილეობას იღებენ თანამშრომლობით პროექტებში ხელისუფლებასთან, მაგრამ იგივე ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები არც ხელისუფლების საჯარო კრიტიკას ერიდებიან. მეორე მხრივ, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ხანდახან იმეორებენ - თუმცა, უფრო დელიკატური ფორმით, იმავე არგუმენტებს, რასაც ადრინდელი ხელისუფლება იყენებდა: რომ სსო-ები საზოგადოების მეტად მცირე სეგმენტს წარმოადგენს და მათი აზრის გათვალისწინება სავალდებულო არ არის, და, რომ სსო-ები, ძირითადად, გრანტების მოპოვებით არიან მოტივირებული და არა სამოქალაქო ღირებულებებით. მაგრამ არის განსხვავებებიც. თანამშრომლობის ხარისხი მაინც საგრძნობლად სჭარბობს ადრინდელი ხელისუფლების პერიოდს (თუმცა, თვით სსო-ების მოლოდინებს არ შეესაბამება).

2005-2010 წლებში საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევა მიუთითებს, საქართველოს მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დონე ძალიან დაბალია. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე 2011 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც G-PAC მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წევრობას მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა, მხოლოდ - 1% ადასტურებს, დაახლოებით 0.8 პროცენტი ოფიციალური კულტურული თუ სხვა რაიმე სპორტული კავშირის წევრია, ხოლო მხოლოდ არასრული 5% აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაიმე სახის კავშირი ჰქონია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური აქტიურობის დონეც საკმაოდ დაბალია. პოლიტიკურ პარტიაში მოსახელობის 1.7%-ია გაერთიანებული.

თუ საქმიანობის სპექტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოკითხული ორგანიზაციები ძირითადად ექვს სფეროში საქმიანობენ: განათლება (19.1%), სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი კამპანიები (13.5%), სოციალური მომსახურება (11.6%), ადგილობრივი თემების განვითარება (11.2%), ჯანდაცვა (7.9%) და ახალგაზრდობის საკითხები (6.4%). სხვა სფეროების წილი 5 %-ზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო სფეროში დაკავებული ორგანიზაციები ჭარბობს რეგიონებში (გამონაკლისია გურია და შიდა ქართლი). ამას გარდა, როგორც კვლევამ აჩვენა, კვლევაში მონაწილე სსო-თა უმრავლესობამ (84.2%) საქმიანობის 3 სფერო დაასახელა.

3.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაფერხებელი მიზეზები

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის არაეფექტიანობის მიზეზები მრავალგვარია და უპირველეს ყოვლისა, ის უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროფესიული ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებზე შეთანხმების სირთულეებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს პროფესიული ეთკის ნორმებზე სექტორის მუშაობის გამოცდილება. მაგალითად, მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები 2004 წ. ეთიკის კოდექსის ფარგლებში ერთიან ღირებულებებზე, სტანდარტებზე და მათი რეალიზების მექანიზმებზე ერთბლივად შეთანხმდნენ. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ იდეის გარშემო ორგანიზაციების კრიტიკული მასა - 70-მდე ორგანიზაცია გაერთიანდა. ჯერ კიდევ 2004 წ. კოდექსის ფარგლებში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს ეთიკური ნორმების დაცვის პოლიციურ მეთოდზე და ეთიკის კოდექსი უფრო დეკლარაციულ დოკუმენტად აღიარეს. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს ძალიან კარგი ინიციატივა 3 წლის შემდეგ დავიწყებას მიეცა. დღეს საზოგადეობრივი ორგანიზაციები გამოხატავენ წუხილს იმის შესახებ, რომ 2004 წ. შემუშავებული ეთიკის კოდექსის მოქმედება შეჩერდა.

თავისი არსით ეთიკის კოდექსის შესრულება უნდა დახმარებოდა სექტორს საზოგადოებაში დადებითი იმიჯის შექმნაში. ამასთან, ეთიკის კოდექსზე შეთანხმება მიზნად ისახავდა სექტორის შიგნით თვითრეგულირების მექანიზმების, ორგანიზაციის შიდა დემოკრატიის განმტკიცებას, რისი დახმარებითაც სექტორს შეეძლო გაეზარდა საზოგადოების და დონორების ნდობა, გამხდარიყო უფრო ეფექტიანი და მოეპოვებინა მეტი გავლენა საზოგადოებაზე, მოეზიდა მეტი დონორი და გამხდარიყო უფრო მდგრადი. ამასთან, ორგანიზაციის გავლენისა და მდგარდობის ზრდა კოალიციების ფორმირებასაც შეუწყობდა ხელს. მისი მოქმედების შედეგად შეიძლება შექმნილიყო ერთბლივად აღიარებულ პრინციპებზე დაფუძნებული პლატფორმები, რომელიც უფრო მყარი და მდგრადია, შესაბამისად ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობები გამოუყენებელი დარჩა და დღის წესრიგში კვლევაც დგას სექტორის წარმომადგენლების მიერ ეთიკის ნორმებზე შეთანხმება და მათ ცხოვრებაში გატარების აქტუაურობა.

უნდა აღნიშნოს, რომ სამოქალაქო სექტორის მიმართ ნდობისა და ცნობადობის დეფიციტის დაძლევას ხელს უშლის თავად ამ პრობლემის გაუცნობიერებლობა სამოქალაქო საზოგადოებას მიერ. პრობლემის პრიორიტეტულობის აღიარების და გააზრების შემთხვევაში მათ მეტი მოტივაცია ექნებოდათ გაეუმჯობესებინათ ინსტიტუციონალური მენეჯმენტი, ორგანიზაციის შიგნით დაენერგათ დემოკრატიული მართვის პრინციპები, კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, კოალიციური თანამშრომლობის გაფართოების

და მოქალაქეებისათვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზების მიმართულებით, რაც პერსპექტივაში გაზრდიდა მათდამი ნდობისა და ცნობადობის ხარისხს.

სამოქალაქო სექტორი თვლის, რომ საზოგადოების წინაშე მეტი ანგარიშვალდებულება, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შეუწყობს ხელს საზოგადოების თვალში სექტორის ნდობის ამაღლებას. ამას გარდა, შესამჩნევია, რომ საზოგადოების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ინტერესთა ჯგუფები იღებენ მონაწილეობას სამოქალაქო აქტივობებში. ამის საპასუხოდ, მოხალისეობის ინსტიტუტის წახალისება, ახალგაზრდობის მოზიდვა, ასევე საპენსიო ასაკს მიღწეულ ადამიანების (როგორც სოციალურ ჯგუფები, რომელთაც მარგინალიზაციის გაცდა აქვს) და საზოგადოების სხვა ფენების ჩართვა განაახლებდა სექტორის შესაძლებლობებს, გახდიდა მას ინოვაციური მიდგომების მიმართ უფრო გახსნილს და მდგრადს. ახალგაზრდების გააქტიურება სექტორს სთავაზობს იაფი რესურსების, მეტი ინოვაციების და საზოგადოებასთან უფრო მრავალმხრივი უკუკავშირის დამყარების საშუალებას, რაც ზოგადად, სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს შეუწყობს კონკურენციის წახალისებას, რაც ზოგადად კარგია სექტორის განვითარებისათვის (სექტორში გაჩნდებიან ახალი ჯგუფები, მოვლენ ახალი ადამიანები, მაგალითად, სტუდენტები, სტუდენტური გაერთიანებები და გადარჩება ის, ვინც კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი არმოჩნდება).

სამოქალაქო საზოაგდოების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, არასამთავრობო სექტორის საზოგადოებასთან კომუნიკაციიის დაბალი დონე და ინფორმაციის ნაკლებობა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. როგორც გამოცდილება აჩვენებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ სამიზნე აუდიტორიასთან გამოყენებული კომუნიკაციის ფორმები არაა მრავალფეროვანი და ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამ პრობლემის დაძლევა ნაწილობრივ შესაძლებელი იქნება პიარ კამპანიების გაუმჯობესებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მაღალი რეპუტაციისა და კომპეტენციის ადამიანების მოზიდვით, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდების დამკვიდრებით საზოგადოების ფართო ფენებზე გასვლის მიზნით და ასევე, ბენეფიციართან გრძელვადიანი, მჭიდრო თანამშრომლობით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას განსხვავებული პრობლემებს აწყდებიან. მაგალითად, ხშირად ხდება, რომ ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმატი ვერ აღწევს მიზანს. არცთუ იშვიათად, მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა და მათ მიერ შექმნილი პროდუქტის მაღალი ხარისხისა, სახელმწიფო

კონკრეტულ ორგანიაციებთან ურთიერთობას თავს არიდებს. შეიძლება, ორგანიზაცია დაიწუნონ იმის გამო, რომ მეტისმეტად კრიტიკულია.

ზოგჯერ ხელისუფლება, პოლიტიკურ სივრცეში არასამთავრობო სექტორის ხილვადობის დაბალი დონის გამო, არ მოიაზრებს მას საზოგადოებრივი დღის წესრიგის შემოქმედად და განიხილავს, როგორც უუნაროს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. სექტორთან კომუნიკაციაში ხელისუფლება ხშირად ხაზს უსვამს, რომ დონორის მიერ გაცემული თანხის გარდა მათ უკან არავინ დგას, ეჭვქვეშ აყენებს სექტორის საქმიანობის ეფექტიანობას, და შესაბამისად უყურადღებოდ ტოვებს სექტორიდან წამოსულ ინიციატივებსა და რეკომენდაციებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ თავად ანალიტიკური ორგანიზაციების კომუნიკაციის სტრატეგია ხშირად არ არის მიმზიდველი სახელმწიფო უწყებებისათვის, ასევე, მონიტორინგის და უფლებათადაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებიდან რაიმე სახის ინფორმაციის დროულად, ან სრულყოფილად მიღება რთულია. ის დრო, რომელიც განსაზღვრულია ინფორმაციის მისაღებად, თითქმის ყოველთვის ჭიანურდება და ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული პასუხი არასრულია. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია პროფესიული სტანდარტების განვითარება და ხელისუფლებასთან საკომუნიკაციო არხების გამრავალფეროვნება.

სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდული როლი და ნაკლები ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, კერძოდ, იწვევს ხელისუფლების ნაკლებ ანგარიშვალდებულებასა და აქედან გამომდინარე ნაკლოვანებებს დემოკრატიული მმართველობაში, სირთულეებს სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ამიტომ, არსებულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის და ჩართულობის დონის გაზრდაზე. სწორედ ამ მიზნით, 2012 წ. საზოგადოებრივის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეისწავლეს რა პოლიტიკური კონტექსტი და გარემო, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო საზოაგდოებას უხდება არსებობა, გამოავლინეს ის პრობლემები, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრებაში მის სრულყოფილ ჩართვას და მონაწილეობას უშლის ხელს. კერძოდ, წარმოდგენილ ანგარიშზე მუშაობისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოავლინეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაფერხებელი შემდეგი პრობლემები:

- საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის ეთიკურ და პროფესიულ ღირებულებებზე შეთანხმების სირთულეები;
- სამოქალაქო სექტორის მიმართ ნდობისა და ცნობადობის დონის ნაკლებობა;
- ორგანიზაციული მენეჯმენტის და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებები;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციიის დაბალი დონე და კოალიციური საქმიანობის შეზღუდული ხასიათი;
- ფილანტროპიის და სოციალური მეწარმეობის განვითარების დამაბრკოლებელი საკანონმდებლო გარემო;
- სახელმწიფოსა და დონორებთან თანამშრომლობის ნაკლოვანებები;
- სამოქალაქო სექტორის საქმიანობაში კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროს ნაკლებად პრიორიტეტულობა, რაც აბრკოლებს დასავლური ფასეულობების გავრცელებას და გაზიარებას საზოგადოებაში.

3.3. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და სამოქალაქო საზოგადოება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობები სახელმწიფო სტრუქტურებთან გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანების ნაწილში წარმატებულად მიმდინარეობს. თუმცა, არსებობს მთელი რიგი გამოწვევებიც. უკვე 10 წელზე მეტია, USAID-ი ატარებს არასამთავრობო ორგანიზაციების ინდექსის კვლევას. ამ და სხვა მსგავსი კვლევების შედეგებით საქართველოში სამოქალაქო სექტორის გავლენა საზოგადოებაზე და მისი თანამშრომლობის ხარისხი ხელისუფლებასთან საკმაოდ დაბალია. ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმატით და მიღწეული შედეგებით კმაყოფილი არც თავად საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან. სამოქალაქო სექტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვანია თავად სექტორის საქმიანობის ეფექტიანობისათვის.

დღეს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებები ხელისუფლებას ავალდებულებს ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორთან (საერთაშორისო თანამშრომლობის ასეთი ფორმატი ნატო ან ევროკავშირია). თუმცა, ხელისუფლებასთან ურთიერთობის არსებული პრაქტიკა სამოქალაქო საზოგადოებისათვის არადამაკმაყოფილებელია.

დღეისათვის საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლები, ისევე როგორც, გარკვეულ სფეროებში გატარდა რეფორმები. თუმცა, საზოგადოებაში გაცილებით მეტი მოლოდინები არსებობდა. ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოებამ,

ერთი მხრივ, უნდა გააგრძელოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა, მეორე მხრივ, სასურველია შეცვალოს ხელისუფლებასთან დამკვიდრებული ურთიერთობის ფორმები, თავად გახდეს ქვეყანაში დემოკრატიის მხარდამჭერი ძირითადი ძალა და მეტი ყურადღება საზოგადოებასთან დიალოგზე და მის პრობლემებზე რეაგირებისაკენ მიმართოს.

ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიალოგის ერთ-ერთ კომპონენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ მათ შორის ინფორმაციის გაცვლა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს ადგენს, საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, პირის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამასთან, თუ (ა) საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას, (ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას, (გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას, ინფორმაციის გაცემის ვადა 10 დღეა (სზაკ-ის მე-40 მუხლი).

მიუხედავად საკანონმდებლო უზრუნველყოფისა, საჯარო ინფორმაციის მიღება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დღემდე პრობლემად რჩება. ხშირია ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევები. კანონის მოთხოვნის საპირისპიროდ, სახელმწიფო დაწესებულება ყველა სახის ინფორმაციის გაცემას, საუკეთესო შემთხვევაში, 10 დღეს ანდომებს, რაც აფერხებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დროულ ინფორმირებასა და ადეკვატურ რეაგირებას ამა თუ იმ საკითხზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ურთიერთობა არ მიმდინარეობს სოციალურ ქსელების საშუალებით, ვირტუალურ სივრცეში. ამის მიზეზი ისიცაა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ დემოკრატიის თემებზე სოციალურ ქსელებში მიმდინარე დისკუსიებში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ სივრცეში დებატები იმართება ადამიანის უფლებებზე, უსაფრთხოების საკითხებზე, განათლებასა და სხვა სოციალურ თემებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით მონაწილეობა ამ დებატებში არ ჩანს, მასში მხოლოდ პიროვნულად იღებენ მონაწილეობას სექტორის წარმომადგენლები. მნიშნელოვანი იქნება, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამთავრობო სტრუქტურები საზოგადოების ინტერესების მოსმენას დაიწყებენ სოციალური ქსელების საშუალებით და ჩაებმებიან დებატებში.

ხელისუფლებასთან დიალოგი პრობლემურად მიაჩნიათ ასევე იმ ორგანიზაციებს, რომელებიც მუშაობენ კონფლიქტურ ზონებში, კერძოდ, გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები თემების დაახლოებაზე, აფხაზებს და ქართველებს, ოსებს და ქართველებს შორის არსებული გაუცხოების დაძლევაზე. არსებული კანონმდებლობით, არასამთავრობორ ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ოკუპირებულ ტერიტორებთან და იქ მცხოვებ მოსახლეობასთან დაკავშირებული ინიციატივები წარუდგინონ ხელისუფლებას და მისგან მიიღონ თანხმობა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაზე. ეს შეზღუდვები მაშინაც ვრცელდება, როდესაც თანამშორმლობა ეხება არა მხოლოდ აფხაზებს და ოსებს, არამედ რუსებსაც. აღნიშნული ბარიერი აფერხებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, რადგანაც აფხაზური და ოსური მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს იმ პროექტებში, რომელზეც ხელისუფლებას აქვს თანხმობა გაცემული და ამით პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება საფრთხის ქვეშ დგება.

ამგვარად, ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობებში შესამჩნევია შემდეგი ტენდენციები:

1) ხელისუფლება სექტორს განიხილავს როგორც ნაკლებად კომპეტენტურს და ამით ამართლებს თანამშორმლობის დაბალ ხარისხს;

2) ხელისუფლება არასამთავრობო სექტორის ინიციატივებს განიხილავს, როგორც კონკურენტულ პროექტებს და ცდილობს ამ მიზეზით უარყოს სექტორიდან წამოსული ინიციატივა;

3) ხელისუფლების მიერ კონკრეტული პოლიტიკის შესახებ ღიად გაცხადებული და რეალური მიზნები არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც ბუნებრივად იწვევს არასამთავრობო სექტორსა და ხელისუფლებას შორის გაუცხოებას და საბოლოო ჯამში საკითხის შეუთანხმებლობას.

3.4. ქართული პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო სექტორში, უმეტესად, საკმაოდ გამოკვეთილი სოციალური პროფილის ადამიანები არიან ჩართულნი: შედარებით ახალაზრდა, მაღალი საგანმანათლებლო ცენზის მქონე, ძირითადად, დედაქალაქში მცხოვრები. ყოველივე ეს სექტორს ერთგვარი ელიტურობის ელფერს სძენს. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორი არ ქცეულა სამოქალაქო პროცესებში ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობის ასპარეზად. სსო-ების აქტივისტთა შორის განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევს ღირებულებითი წყვეტა მათსა და ფართო საზოგადოებას შორის: მათი აზრით,

საზოგადოების დიდი ნაწილი არ იზიარებს ან სულაც მტრულად უყურებს იმ ლიბერალურ ღირებულებებს, რომელთა დაცვასაც სამოქალაქო სექტორი თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს. ამის ყველაზე პოპულარული მაგალითია რელიგიურ უმცირესობათა დაცვა სსო-ების მიერ, რაც საკმაოდ არაპოპულარული იყო საზოგადოების დიდ ნაწილში.

ერთი მხრივ, სსო-ები, მეორე მხრივ კი, მათი ოპონენტები ხშირად აზვიადებენ ამ პრობლემებს. სსო-თა დისკუსიებზე ხშირად გაიგონებთ, რომ ლიბერალურ ღირებულებებს საქართველოში მხოლოდ ერთი მუჭა ადამიანები იზიარებენ, რომლებიც, ძირითადად, სწორედ სსო-ებში არიან თავმოყრილი, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კი მათ ეროვნული ღირებულებების მტრებად და უპრინციპო ,,გრანტიყლაპიებად“ მიიჩნევს. ეს შეფასება ზედმეტად პესიმისტურია და მას ერთგვარი კორპორაციული ნარცისიზმის ელემენტიც დაჰკრავს. საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვისადმი ნამდვილად სერიოზული პრობლემაა, საქართველოში ლიბერალური განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ ეს საკითხი ხშირად პრობლემურია მრავალ კონსოლიდირებულ დემოკრატიაშიც, ხოლო ქართული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ხშირად საკმაოდ რადიკალურ მოთხოვნებს აყენებენ რელიგიური პლურალიზმის საკითხში: ამ მოთხოვნებს ბევრი ევროპული ქვეყანაც ვერ დააკმაყოფილებდა.

სამოქალაქო სექტორს ბევრი აქვს გასაკეთებელი თავისი „რეიტინგის“ ასამაღლებლად, მაგრამ არც ის წარმოდგენაა ჭეშმარიტებასთან ახლოს, რომ მასში გაერთიანებული ერთი მუჭა ლიბერალები მთლიანად რეტროგრადულ საზოგადოებას უპირისპირდება.

საზოგადოებას საკმაოდ ადეკვატური წარმოდგენა აქვს სამოქალაქო სექტორზე იმ თვალსაზრისით, რომ მის დადებით ნიშნად, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას მიიჩნევს. სხვა საქმიანობა, რასაც საზოგადოება სსო-ების საქმიანობაში განსაკუთრებით აფასებს, არის ადამიანების მიერ საკუთარი უფლების დაცვის გაადვილება, მათი სახელმწიფო ძალადობისგან დაცვა, კორუფციის მხილება და ცივილიზებული სამყაროსთვის დამახასიათებელი პროგრესული იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება. ნეგატიური შეფასებები უფრო ანტიდემოკრატიულ წარმოდგენებს ემყარება (სსო-ები ხელს უშლიან სახელმწიფოს და საზოგადოებაში ქაოსს ამკვიდრებენ), ეთნონაციონალისტურ განწყობებს (ისინი ეროვნულის მაგიერ უცხო ღირებულებებს ამკვიდრებენ) და ეჭვებს მათ კორუმპირებულობაზე (ისინი არადანიშნულებისამებრ ხარჯავენ თანხებს).

ის, რომ მოსახლეობა, ძირითადად, ამ პრობლემატიკის ნიშნით იცნობს სექტორს, იმითაც არის გამოწვეული, რომ - ამავე გამოკითხვის მონაცემებით - მათი ინფორმაციის ძირითადი წყაროა

ტელევიზია და არა თვით სსო-ების საინფორმაციო მასალები, ხოლო მას მედია უფრო მეტად პოლიტიკურად რელევანტურ ინფორმაციას აშუქებს. სხვა ამბავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სსო-ებს (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივ მოქმედ პირს), უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრობლემების გადაწყვეტას თხოვს - მაგრამ, თუ არ ჩავთვლით უცხოურ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, ის ნაკლებად იცნობს ქართული სსო-ების მუშაობას ამ მიმართულებით.

3.5. სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან

კლასიკური ლიბერალური წარმოდგენების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება ის საჯარო სივრცეა, სადაც ყალიბდება, გამოიხატება და ერთმანეთთან შეხებაში მოდის სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესი და ღირებულება. ასეთი გაგების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება ერთგვარი ,,არაპოლიტიკური პარლამენტია“, ხოლო პოლიტიკური პარტიების ერთობლიობა ან „პოლიტიკური კლასი“ ამ არაპოლიტიკური პარლამენტის ერთგვარი კენწეროა: ის აერთიანებს ადამიანთა ჯგუფებს, ვინც საზოგადოებრივი ინტერესების და ღირებულებების დაცვას უშუალოდ (ვიწრო აზრით) პოლიტიკურ სფეროში ახორციელებს, ანუ იქ, სადაც მიმდინარეობს საჯარო კონკურენცია სახელმწიფო ძალაუფლების ბერკეტების დასაკავებლად. სხვა სიტყვებით, სამოქალაქო საზოგადოება ის ნიადაგია, საიდანაც პოლიტიკური პარტიები ამოიზრდება.

ის, რასაც საქართველოში (ისევე როგორც, მრავალ სხვა ქვეყანაში) „სამოქალაქო საზოგადოებას“ ვუწოდებთ, მეტად შორს დგას ამ ნორმატული წარმოდგენიდან. აქ „სამოქალაქო საზოგადოება“, სსო-ების ბირთვით წარმოდგენილი, არის საზოგადოებრივ ღირებულებათა ერთი სახის, ერთი საზოგადოებრივი ინტერესის, ერთი დღის წესრიგის გამომხატველი: ეს არის საქართველოს დასავლური ტიპის ლიბერალურ დემოკრატიად ქცევის პოლიტიკური პროექტი. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორი საქართველოში არის არა „არაპოლიტიკური პარლამენტი“, არამედ „არაპოლიტიკური პარტია“, ადამიანების და ჯგუფების გაერთიანება საერთო ღირებულებების და დღის წესრიგის გარშემო. დისკუსიები და, თუნდაც, განხეთქილებები სსო-ების გარემოში თავისი ბუნებით შიდაპარტიულ დისკუსიებს ჰგავს: ისინი აღიარებული მიზნების მიღწევის გზებს ეხება და არა ფუნდამენტურ მიზნებს და ღირებულებებს. უფრო პარადოქსული დებულების გამოთქმაც შეიძლება: გარკვეული აზრით, საქართველოს სამოქალაქო სექტორი უფრო პასუხობს პოლიტიკური პარტიის კრიტერიუმებს, ვიდრე ფორმალურად არსებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უფრო მეტად პიროვნებების და არა საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების გარშემო არსებული გაერთიანებებია.

საქართველოს ლიბერალურ დემოკრატიად ქცევის პოლიტიკური პროექტი, საჯარო დისკურსის დონეზე მაინც, დომინანტურია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და მას ღიად თითქმის არავინ უპირისპირდება: ამ აზრით, სამოქალაქო სექტორის მიზნები თითქოს სრულ ჰარმონიაშია როგორც საზოგადოების, ისე „პოლიტიკური კლასის“ მიზნებთან. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რეალური დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ საკმაოდ განსხვავებულია ყველა დონეზე. ახალი ნორმების დამკვიდრების მცდელობები წინააღმდეგობაში მოდის როგორც არსებულ პოლიტიკურ ტრადიციებთან, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებთან. ამიტომ სამოქალაქო სექტორის, როგორც ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების სხვებზე უფრო თანმიმდევრულად დამცველის, არსებობა რეალურ საზოგადოებრივ ინტერესს გამოხატავს, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიული პროექტის, თუნდაც, დეკლარატიული აღიარება უმთავრესი სოციალური აქტორების მიერ მისი ძალის და გავლენის ძირითადი წყაროა.

ამ ფონზე, სსო-ების დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური კლასის მიმართ ამბივალენტურია. ნორმატული დემოკრატიული წარმოდგენები უბიძგებს მათ თავიანთი ამოცანა პოლიტიკური პლურალიზმის, სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის გარემოს ხელშეწყობაში დაინახონ. ამ შემთხვევაში, სსო-ებმა მკაფიო დისტანცია უნდა დაიკავონ უშუალოდ პოლიტიკური ბრძოლის სფეროს მიმართ, ანუ გაემიჯნონ პოლიტიკურ კლასს, „არაპოლიტიკურები“ იყვნენ, და თანაბარი პირობებით ითანამშრომლონ ან არ ითანამშრომლონ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან. ამ პოზიციას ორი დამატებითი ფაქტორი აძლიერებს. ერთია დონორთა ინტერესი, რომ სსო-ებმა პოლიტიკისგან დისტანცია დაიკავონ. მაგრამ მოქმედებს პოსტკომუნისტური სამყაროსთვის ზოგადად დამახასიათებელი ანტიპოლიტიკური განწყობაც, რომლის თანახმად პოლიტიკა ნაკლებ ეთიკური, „ბინძური“ საქმეა და მორალური ამბიციის მქონე ადამიანები მას მაქსიმალურად უნდა გაერიდონ, რაც ხშირად მუდმივად ოპოზიციაში ყოფნას ნიშნავს.

3.6. ქართული სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდა, მათი ინსტიტუციური განვითარება და სამოქმედო პრიორიტეტები დიდწილად არის დამოკიდებული დონორთა აქტივობასა და მათ პოლიტიკაზე. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველო საკმაოდ განებივრებული იყო დონორთა ყურადღებით. მას წლების განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ

სახელმწიფო დახმარების მიღების მხრივ (რამდენჯერმე ის მეორე ადგილზე იყო ისრაელის შემდეგ). საქართველოს საკმაოდ მსხვილი დონორია ევროკავშირიც. მსხვილ დონორთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, გაერო და სხვა ორგანიზაციები), დასავლეთ ევროპის განვითარებული სახელმწიფოები (განსაკუთრებით, გერმანია). ამას ემატება კერძო დონორთა მოღვაწეობა. რაკი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლები ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტებს და სამოქალაქო ომს დაემთხვა, რისი შედეგიც იყო ჰუმანიტარული კატასტროფები და ეკონომიკის კოლაფსი, პირველ წლებში საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება ძირითადად ჰუმანიტარული ხასიათისა იყო. 1990-იანი წლების შუახანებიდან აქცენტმა განვითარების პროგრამებზე გადაინაცვლა, თუმცა, საკმაო წონა და მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერასაც. მართალია, საერთაშორისო დახმარების ფორმათა კლასიფიკაციაში განვითარებაზე მიმართულ დახმარებას (development assistance) გამოყოფენ დემოკრატიული განვითარების მხარდამჭერი პროგრამებისგან (democracy assitance), პრაქტიკაში დახმარების ამ ორ სახეს შორის მკაფიო ზღვრის გავლება ძნელია: მაგალითად, მხარდაჭერა ინსტიტუციური რეფორმების მიმართ, თუ ის ეფექტურია, იმავდროულად დემოკრატიის განვითარების მხადაჭერასაც ნიშნავს.

ამ დახმარების უდიდესი წილის სამიზნე სახელმწიფო სტრუქტურები იყო, სსო-ები თანხების საერთო ოდენობიდან მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილის (საექპერტო შეფასებებით, დაახლოებით 5 პროცენტის) მიმღებნი იყვნენ. მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ეფექტის თვალსაზრისით, დახმარების ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მან ხელი შეუწყო არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი სოციალური ფენის შექმნას.

მესამე სექტორის განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით ფონდებს, რომელთაც უშუალოდ საქართველოში ჰქონდათ წარმომადგენლობა: ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“, აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებულ ევრაზიის ფონდს, აშშ-ს სერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაციას ISAR-Georgia, რომელიც შემდეგ ქართულ ორგანიზაციად - ფონდ „ჰორიზონტად“ გადაიქცა. მოგვიანებით, მათ გერმანული ფრიდრიხ ებერტის ფონდიც შეუერთდა. ეს ფონდები სწორედ მესამე სექტორის განვითარებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ისინი კარგად იცნობდნენ ახლადაღმოცენებული სექტორის მიმდინარე პრობლემებს და კარგად შეეძლოთ თავიანთი სტრატეგია ქვეყნის რეალობებისთვის შეეხამებინათ. მათი ქართული ოფისების თანამშრომლები, გარკეული ეტაპიდან კი - ხელმძღვანელებიც

ქართველები არიან. ყოველივე ამის გამო ეს ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უცხოური აფილიაციისა, ქართული მესამე სექტორის ორგანულ ნაწილად აღიქმებიან.

ცხადია, დონორთა რუკა გაცილებით უფრო ფართოა. აქ შედიან საქართველოში აკრედიტებული საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობები (ისინი სსო-ების მიერ განხორციელებულ ცალკეულ პროექტებს აფინანსებენ); საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ფონდები (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის პროგრამა „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“ და სხვ.) და ა.შ.

დონორებსა და მათ მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციათა შორის ინტერესთა ერთობაცაა და განსხვავებაც. ინტერესთა ერთობა, უპირველეს ყოვლისა, საქმიანობის ზოგად მიზნებსა და ღირებულებებს შეეხება. ხანდახან საუბრობენ ინტერესთა თანხვედრის ნეგატიურ ასპექტზეც: როგორც დონორების, ისე მათი სპონსირებული ორგანიზაციის ინტერესებშია, გარკვეული პროგრამისთვის განკუთვნილი თანხები დაიხარჯოს და მათი ხარჯვის ეფექტურობა დადებითად იყოს წარმოდგენილი. ამ დროს, არც ერთი მხარე არ არის დაინტერესებული, რაიმე წარუმატებლობაზე ისაუროს, რაც ხელს არ უწყობს ნეგატიური გამოცდილებიდან გაკვეთილების გამოტანას. ეს კანონზომიერება ყველა დონორისა და მის მიერ დაფინანსებული სუბიექტის ურთიერთობას და არა მხოლოდ სსო-ების დაფინანსებას ეხება.

მიუხედავად ამ ურთიერთდამოკიდებულებისა (რომელშიც სსო-ები უმცროსი პარტნიორების როლს ასრულებენ), არსებობს ინტერესთა სხვაობაც - ურთიერთპრეტენზიებიც. დონორების უკმაყოფილება ხშირად შეეხება იმას, რომ ორგანიზაციები ზედმეტად არიან ორიენტირებულნი პროცესზე და არა შედეგზე - ანუ მათი საქმიანობის ზოგად სოციალურ გავლენაზე. ამ ეფექტის გასაზომად იქმნება კონკრეტულ ინდიკატორებზე აგებული მეთოდოლოგიები, რომელთა გამოყენება სავალდებლო ხდება სსო-ებისთვის, როგორც მათი საქმიანობის დაპროექტების, ისე შეფასების დონეზე. ადგილობრივი ორგანიზაციები ზოგადად იზიარებენ შედეგზე ორიენტირებულობის ფილოსოფიას, მაგრამ არსებობს ინტერესთა ობიექტური განსხვავება სსო-თა საქმიანობის ეფექტის გაზომვისას. დონორებს სჭირდებათ მათ მიერ დაფინანსებული პროექტების სწრაფი და გაზომვადი შედეგების დემონსტრირება. რაკი მსხვილ დონორთა უმრავლესობა თავის მხრივ სახელმწიფო ბიუჯეტებიდან, ანუ გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან იღებს დაფინანსებას, მან საკუთარ საზოგადოებას (რომელსაც, ბუნებრივია, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ზოგადი წარმოდგენა აქვს სამიზნე ქვეყნის საჭიროებებზე) უნდა დაუსაბუთოს, რომ ამ დახმარებას კონკრეტული სარგებელი მოაქვს. გასათვალისწინებელია დონორი ორგანიზაციების შიდა

ბიუროკრატიის დინამიკაც: ყოველი პროგრამის ან დეპარტამენტის უფროსს უნდა, რომ მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიღწეული შედეგების დემონსტრირება მოახდინოს.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე, კონკრეტული და იოლად გაზომვადი შედეგების მომტანი პროექტების გარდა, აუცილებელია გრძელვადიან სტრუქტურულ ცვლილებებზე გათვლილი პროექტების განხორციელებაც, რომლებიც მიმართული არიან ადამიანური და სოციალური რესურსების მომზადებაზე, საზოგადოებრივი განწყობების და ჩვევების თანდათანობით ცვლილებაზე. ამგვარი მუშაობა, სულ მცირე, ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ როგორც ყველა ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციამ იცის, ასეთ შემთხვევაში გაზომვადი ინდიკატორების ჩასმა პროექტების „ლოგიკურ ჩარჩოებში“ საკმაოდ ხელოვნურ ხასიათს ატარებს. მეტიც, ხანდახან ფორმალურად წარუმატებელი პროექტებიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგან ამ წარუმატებლობებით გროვდება მნიშვნელოვანი პროფესიული და სოციალური გამოცდილება. აქედან გამომდინარე, დონორების ზედმეტად პედანტურმა ზეწოლამ სწრაფი და იოლად გაზომვადი შედეგების მისაღწევად შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებად ეფექტიანი გახადოს მათ მიერ დაფინანსებული პროგრამები.

დონორების მხრიდან ხანდახან გამოითქმის პრეტენზია შედარებით განვითარებულ სსო-თა წრის მიმართ, რომ ისინი ერთგვარად კლანურნი, ელიტურნი და ჩაკეტილნი არიან, არ ახდენენ რესურსთა ურთიერთგაზიარებას. ამის გამო, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ორგანიზაციათა ქსელებისა და კოალიციების წახალისებას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ამან ხელი შეუწყო მრავალი ეფექტური პარტნიორული კავშირის განვითარებას. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დონორების მიერ ინიცირებული ქსელები ხელოვნურია და დონორის მიერ „საკუთარი“ ქსელის ქონის კორპორაციულ ინტერესს უფრო პასუხობს.

ინტერესთა მნიშვნელოვანი შეჯახება დონორებსა და მათ მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს შორის საქმიანობის პოლიტიკურ ასპექტს შეეხება. დონორები, ჩვეულებრივ, დაინტერესებული არიან, კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ მასპინძელ მთავრობებთან, ხოლო ამ უკანასკნელთა ყველაზე ხშირი პრეტენზია დონორთა მიმართ ისაა, რომ ისინი მათ პოლიტიკურ ოპონენტებს აძლიერებენ, რითაც ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ერევიან და მის დესტაბილიზაციას ახდენენ. დონორები მაქსიმალურად უფრთხიან იმას, რომ მასპინძელ მთავრობებს ასეთი ბრალდებების ზედმეტი საბაბი არ მისცენ. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ისინი თავიანთი ადგილობრივი პარტნიორებისაგან პოლიტიკისაგან დისტანცირებას ითხოვენ. ეს ხანდახან იწვევს ამ

უკანასკნელთა გაღიზიანებას, განაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი ძირითადი ინტერესი დემოკრატიის მხარდაჭერაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პოზიციით დონორები, საბოლოო ჯამში, არც მასპინძელი ხელისუფლების უკმაყოფილებისგან იზღვევენ თავს. თუნდაც, სსო-ები პოლიტიკური ნეიტრალურობის ფორმალურ დეკლარირებას ახდენდნენ, რეალურად ისინი სხვადასხვა ფორმით აძლიერებენ იმ პოლიტიკურ აქტორებს, ვისთანაც მეტ სიახლოვეს გრძნობენ. ისეთი ფორმალურად „ნეიტრალური“ ქმედებაც კი, როგორიცაა არჩევნების სამართლიანობის შეფასება ან ადამიანის უფლებათა დარღვევების დაფიქსირება (ან ასეთი შეფასებისა თუ დაფიქსირებისთვის თავის არიდება), ობიექტურად, გარკეული პოლიტიკური წრეების წისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, დონორები მაინც ვერ ასცდებიან მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ დინამიკაზე გავლენის ბრალდებას.

3.7. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ქართული სამოქალაქო საზოგადოება თავისი არსით საკმაოდ შორსაა სამოქალაქო საზოგადოების იმ კლასიკური მოდელისაგან, რაც, პოლიტიკური თეორიის მიხედვით, ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის საფუძველია. არსებულ კონტექსტში სრულიად არარეალისტური იქნებოდა ქართული სექტორის მიმართ ისეთი მოთხოვნების წაყენება, რაც შესატყვისია კლასიკური მოდელის სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ამასთან, შესაძლებელი და აუცილებელია რეალისტური სამოქმედო პრიორიტეტების გამოყოფა, რომელთა მიზანია სექტორის შემდგომი გაძლიერება მის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგების მისაღწევად.

ეს საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგები შეიძლება ორ ძირითად ნაწილად დაიყოს. ერთი მხრივ, სსო-თა ამოცანაა მომსახურების გაწევა კონკრეტული სამიზნე ჯგუფების მიმართ. ამისთვის საჭიროა მათ მიერ საქმიანობის ადეკვატური დაგეგმვა საზოგადოებრივი საჭიროებების სწორი შეფასების საფუძველზე, შესაბამისი უნარების განვითარება და საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვა. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს სამოქალაქო სექტორის ერთგვარი „ზეამოცანა“: ისეთი სოციალური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რომელსაც მდგრადი ლიბერალური და

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა შეიძლება დაემყაროს. საამისოდ საჭიროა არა მხოლოდ და არა იმდენად სსო-თა პროფესიული და რესურსული ბაზის გაძლიერება, არამედ თვისებრივი ცვლილებები სექტორის შიგნით: მისი სოციალური ბაზის გაფართოება, პლურალიზმის და დიალოგის კულტურის განვითარება, მთლიანად საზოგადოებაში სამოქალაქო სულისკვეთების განვითარება.

სამომავლო განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები._არსებული საკანონმდებლო გარემო საკმაოდ ლიბერალურია, არ აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებას და მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არც რაიმე სერიოზულ იურიდიულ ან ბიუროკრატიულ ბარიერებს უქმნის მათ. არსებული მარეგულირებელი ბაზა განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების ხასიათს და მოითხოვს ფუნქციონალურ და დემოკრატიულ იურიდიულ და სასამართლო სისტემას არსებული კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

დარგობრივი სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რჩევასა და შესაძლებლობებს ხშირად იყენებენ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ფორმულირებისთვის, ხოლო შედარებით იშვიათად - სოციალური სერვისების მიწოდებისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი ამბობს, რომ აქვს ურთიერთობები პარლამენტთან, როგორც ინსტიტუტთან და პარლამენტის წევრებთან. ზოგადად, პარლამენტი მიჩნეულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დიალოგისთვის უფრო ღია ინსტიტუტად, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება და ამიტომ მასთან უფრო ადვილია იმ საკითხებზე ურთიერთობა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე ჯგუფებს ეხება.

2014 წელს საქართველომ მიიღო ახალი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ახალ ფორმებს. ამ კანონით შეიქმნა იურიდიული ჩარჩო, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების რეგიონულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს, ხაზი გაუსვან მათ მნიშვნელობას მოქალაქეების მხრიდან რეაგირების ხელშეწყობითა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაძლიერებით.

განვითარების სააგენტოების ძალისხმევით ჩამოყალიბდა მიდგომა, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სისტემატურ მონაწილეობას ეროვნული მთავრობის საქმიანობაში, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც უცხოურ ფინანსურ მხარდაჭერას

იღებენ. წლების განმავლობაში ამ თანამონაწილეობითმა მიდგომებმა ინსტიტუციონალიზაციის გარკვეულ დონეს მიაღწია და სხვა მიდგომების შექმნას შეუწყო ხელი.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.__ტოტალიტარული წარსულის მემკვიდრეობა კვლავ ახდენს გავლენას დემოკრატიის განვითარების პროცესზე, რაც გამოიხატება აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულებაში სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ; ხშირად საკანონმდებლო ორგანოს სურვილი, ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან, კონფრონტაციული ურთიერთობების ფორმა იღებს.

არსებული ფისკალური ჩარჩო ითვალისწინებს სტიმულებს კერძო სექტორისთვის, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის შეღავათს საქველმოქმედო ორგანიზაციებში შენატანისთვის; თუმცა არ არის გათვალისწინებული ხელშემწყობი მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალური შენატანის ან ეკონომიკური თუ სოციალური მეწარმეობის აქტივობებისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ მთავრობის ანგარიშვალდებულება. პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები ითვალისწინებს ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას მონიტორინგის წარმოებისა და სერვისების მიწოდების სახით. თუმცა, ამ მექანიზმებს არ მოჰყოლია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფრო აქტიური ჩართულობა მთავრობის საქმიანობის შეფასებაში.

„მოდარაჯე“ ორგანიზაციების ძალისხმევამ და იმ ფაქტმა, რომ ზოგი მათგანი ბოლო დროს აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მიერ არის შექმნილი, გააჩინა ვარაუდი, რომ სამოქალაქო საზოგადოების „მოდარაჯე“ ორგანიზაციები ოპოზიციის ნაწილს წარმოადგენს, რამაც დაძაბულობა გაზარდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ასეთი პოლარიზება გავლენას ახდენს მათ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პარლამენტის ურთიერთობები გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას პარლამენტში კოორდინირების სუსტი უნარის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო პროცესი ოფიციალურად მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წვლილსა და შენიშვნებს, გადაწყვეტილებები ხშირად სწრაფად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე მიიღება.

რეგიონულ სახელმწიფო ინსტიტუტებს კარგად არ ესმით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი და აკლიათ მათთან დიალოგის წარმართვის უნარი. ეს ფაქტორები აისახება მათ დამოკიდებულებაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე პროექტების შემუშავებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების ბევრი რეგიონული ორგანიზაცია ამბობს, რომ რეგულარული კონტაქტი აქვს საჯარო ადმინისტრაციასთან, თუმცა ზოგადი შთაბეჭდილების მიხედვით, ეს უკანასკნელი არ არის მათთან მუშაობით დაინტერესებული.

საქართველოში სამოქალაქო სექტორის განვითარება დღევანდელ პირობებში ყველაზე მეტად სამ მოქმედ პირზეა დამოკიდებული: უპირველესად, თვითონ სსო-ებზე, შემდეგ - საქართველოს ხელისუფლებასა და დონორებზე.

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა დემოკრატიული რეფორმების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. მიზეზი, რის გამოც ეს თანამშრომლობა შეიძლება პროდუქტიული იყოს, რამდენიმეა: (1) სექტორში დაგროვილია მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ორგანიზაციული პოტენციალი; (2) სექტორს ხედვის სხვა კუთხე აქვს და შეუძლია, თუნდაც, თავისი კრიტიკული გამოსვლებით ხელი შეუწყოს ხელისუფლების მიერ სიტუაციის უფრო ადეკვატურ შეფასებას; (3) სექტორს საკუთარი არხები აქვს საზოგადოებასთან საურთიერთოდ და შეუძლია დამატებითი სოციალური რესურსების მობილიზაცია დემოკრატიული რეფორმების წარმატებისთვის; (4) სექტორს საკუთარი არხები აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის მოქმედ პირებთან საურთიერთოდ და შეუძლია გავლენა მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პროცესების საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

ძირითადი რეკომენდაციები ხელისუფლების მიმართ სამოქალაქო სექტორთან მიმართებაში შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ხელისუფლებამ არა მხოლოდ დიალოგი უნდა აწარმოოს არსებულ სსო-ებთან, არამედ პროაქტიული პოლიტიკაც უნდა გაატაროს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით. სასურველია, შეიქმნას სახელმწიფო პროგრამები სსო-ების გარკვეული ტიპების გასაძლიერებლად, რომელთა საქმიანობა დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია დემოკრატიული რეფორმების წარმატებისთვის (მაგალითად: სტრატეგიულ კვლევებზე მომუშავე ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციები და ა.შ.). ამგვარი პროგრამების განხორციელება შეიძლება მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების ხელშემწყობი ფონდის დაარსების მეშვეობით. უნდა ჩამოყალიბდეს

შესაბამისი სახსრების განაწილების გამჭვირვალე, პოლიტიკური ზეწოლებისგან თავისუფალი მექანიზმი.

ხელისუფლებისა და განვითარებული სსო-ების დიალოგს უნდა მიეცეს მოწესრიგებული, სისტემატიზებული სახე. ხელისუფლებამ სექტორთან კონსულტაციების საფუძველზე ექსპლიციტურად უნდა ჩამოაყალიბოს, კონკრეტულად რა ტიპის თანამშრომლობას მოელის სამოქალაქო სექტორისაგან (მაგალითად: პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის მონიტორინგი, სოციალური მომსახურების გაწევა) და რა კონკრეტული მექანიზმებით ესახება ამ თანამშრომლობის განხორციელება.

ხელისუფლებამ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით უნდა შექმნას სსო-ების მიმართ კონკრეტული მმართველობითი ამოცანების დაკვეთების განსახორციელებლად შესაფერისი საკანონმდებლო გარემო და დაამკვიდროს შესაბამისი პრაქტიკა. ამ შემთხვევაშიც, ამას თან უნდა ახლდეს გარკვეული დამცავი მექანიზმები საიმისოდ, რომ ხელისუფლებისგან დაკვეთის მიმღები ორგანიზაციები მასზე პოლიტიკურად დამოკიდებულნი არ აღმოჩნდნენ.

ხელისუფლებამ უნდა გააფართოოს სსო-ების წრე, ვისთანაც ურთიერთობს. არ უნდა მოხდეს კომპეტენტური ორგანიზაციების „შერისხვა“ მათ მიერ გამოთქმული „ზომაზე მეტად“ კრიტიკული შეფასებების ან, თუნდაც, ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობის ფაქტების გამო. საზოგადოდ, ხელისუფლების დისკურსი მისდამი გამოთქმული კრიტიკის მიმართ უფრო მომთმენი უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

ლორთქიფანიძე, შორენა; პატარაია, თამარ, „საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის დიალოგში“, ანგარიში, 2014

http://www.csdialogue.eu/sites/default/files/mapping_study_of_engagement_in_policy_in_georgia_georgian.pdf

მუსხელიშვილი, მარინა, „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006

http://old.ucss.ge/publication/007%20Samoqalaqo%20Sazogadoeba%20ShedarebiTi%20Analizi.pdf

ნოდია, გია, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005

http://www.cipdd.org/pdf2/18/50830755CivilSocietyDevelopmentinGeorgia-Geo.pdf

პუიგი, ჯემა პინიოლ

„საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანალიზი“ (ანგარიშის მოკლე მიმოხილვა), თბილისი, ევროპის ფონდი, 2016

http://www.epfound.ge

“სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები”, დიალოგი სამოქალაქო სექტორის განვითარებისათვის, კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი, თბილისი, 2012

http://www.csogeorgia.org/uploads/News_pdf/NGO-GOV.pdf

„საზოგადოების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ: დისკუსიის პროცესის ანგარიში“, კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი, თბილისი, 2012

http://www.ctc.org.ge/news/discussion-process-report

ჯგერენაია, ემზარ, „სამოქალაქო საზოგადოების განმარტება“, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2003

http://dictionary.css.ge/content/civil-society

დავალება:

1. იმსჯელეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელობაზე ქვეყნაში დემოკრატიის განვითარების კუთხით.

2. გამოკვეთეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა (განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა და/ან სხვა) და წარმოაჩინეთ სსო-ს შესაძლო როლი მის მოგვარებაში.

თავი IV. განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

1. დემოკრატიული მოქალაქეობის თეორიული, პრაქტიკული და ნორმატიული საფუძვლები

1.1. განათლების სოციალური ფუნქცია

ადამიანი სოციალური არსებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი ცხოვრების პირველივე დღეებიდან ჩართულია მსგავს ინდივიდებთან ურთიერთობებში. ადამიანი პირველ სოციალურ გამოცდილებას ჯერ კიდევ მეტყველების დაწყებამდე იღებს. თავად ტერმინი - socialis ლათინური წარმოშობისაა და საზოგადოებრივს ნიშნავს. მაშასადამე, ადამიანი, გაჩენის დღიდან, უნდა მოვამზდოთ საზოგადოებაში ჩართვისა და საზოგადოების დაკვეთების შესრულებისათვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისათვის. ცხოვრება ადამიანისაგან უცილობლად მოითხოვს იმ ვალდებულებების აღსრულებას, რომელიც საზოგადოებამ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე შეიმუშავა. ზოგადი გაგებით ამ პროცესს შეიძლება სოციალიზაციის პროცესი ვუწოდოთ. სოციალიზაცია ინდივიდის მიერ სოციალური გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომი აქტიური რეალიზაციის პროცესი და შედეგია. ეს პროცესი უწყვეტადაა დაკავშირებული ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მათს ერთობლივ საქმიანობასთან. მაშასადამე,

სოციალიზაცია არის ადამიანის მიერ საზოგადოებრივი ცოდნის, ნორმებისა და ღირებულებების შეთვისების პროცესი იმ ნიშნით, რომ მას შეეძლოს საზოგადოებაში ფუნქციონირება და, ამასთანავე, გრძნობდეს თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

თუმცა, მიუხედავად მისი ამგვარი ხასიათისა, სოციალიზაცია არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც გარეგან ზემოქმედებათა მარტივი ჯამი. იგი ინდივიდზე ზემოქმედების მთლიანი, ერთიანი პროცესია, რომელიც იწვევს ამ ინდივიდის ადაპტაციას საზოგადოებასთან. სოციალიზაციის პროცესის შედეგად ინდივიდი იძენს იმ ცოდნასა და უნარებს, იმ ღირებულებათა სისტემას, რომელიც იმ კონკრეტული საზოგადოების, ეპოქის მახასიათებელია, რომელშიც ცხოვრობს იგი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდი არ არის სოციალიზაციის პროცესის მხოლოდ ობიექტი, ანუ იგი პასიურად კი არ ღებულობს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, არამედ იგი ამ პროცესის სუბიექტიცაა, რომელიც შემოქმედებითად მოქმედებს ურთიერთობათა არსებულ საზოგადოებრივ ფორმებზე და ცვლის, სრულყოფს, განავითარებს ამ ფორმებს. ამიტომ სოციალიზაციის პროცესი მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო აქტიურია ინდივიდის მონაწილეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემოქმედებით გარდაქმნაში, რომლის დროსაც იცვლება მოძველებული ნორმები, ღირებულებები და საზოგადოებრივი ღირებულებები ახალ, თანადროულ ფორმას ღებულობენ. განათლების სოციალური ფუნქცია ადამიანის ცხოვრებისთვის, სოციუმის ღირსეული წევრობისთვის მომზადებაა.

განათლების სოციალური ფუნქცია თანამედროვე მსოფლიოში, წარმოადგენს პიროვნების მომზადებას იმ კომპეტენციების შესაბამისად, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. მაშასადამე, დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განათლების სისტემის მუშაობის უმთავრეს მიზანს საზოგადოების მიერ მოქალაქისთვის დადგენილი უმთავრესი კომპეტენციების განვითარება უნდა წარმოადგენდეს. ამ კომპეტენციების განვითარება ინდივიდს თანამედროვე სოციუმის ღირსეულ წევრად გახდის.

განათლების სოციალური ფუნქციის აღსრულება არასდროს ყოფილა მარტივი და არც დღეს არის, მით უფრო, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების პირობებში, საზოგადოების დაკვეთები განათლების მიმართ უსწრაფესად იზრდება. იმისათვის, რომ განათლების სისტემამ შეძლოს ამ სოციალური დაკვეთების შესრულება, აუცილებელია სისტემის ყველა რგოლის ერთიანი და მიზანმიმართული მოქმედება, პრიორიტეტების გამოკვეთა, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინსტიტუციებისა და

მთელი საზოგადოების მიერ პროცესის სირთულის გაცნობიერება და ერთიანი აქტიური მოქმედება.

1.2. რატომ განათლება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ?

ტერტულიანეს ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანი დაბადებით ქრისტიანია“, ნიშნავს, რომ ადამიანში შემოქმედის მიერ იმთავითვე ჩადებულია ზნეობრივი კოდექსი, სწორედ ის, რომელმაც იმანუილ კანტს ათქმევინა: „ორი რამ იწვევს ჩემში უსაზღვრო მოწიწების გრძნობას - ვარსკვლავებიანი ზეცა ჩემს თავზე და ზნეობრივი კოდექსი ჩემში“. ამ კოდექსის საკუთრივ ადამიანების მიმართი ნაწილის უმთავრესი მცნებაა „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი.“ ეს ზნეობრივი კოდექსი, რომელიც ადამიანში აღზრდის ინსტიტუტების მხრიდან განმტკიცებასა და სრულყოფას საჭიროებს, თანამედროვე სამოქალაქო ღირებულებათა ტრადიციული და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მხოლოდ ერთი ნაწილი. მეორე ასევე ტრადიციული და არანაკლებ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ის ღირებულებებია, რომლებიც მართვადია. ეს ღირებულებები ყალიბდება საზოგადოებაში თანაცხოვრების (resp. თანაარსებობის) წესებისა და რეგლამენტის სახით და ვრცელდება კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური ან ეთნო-რელიგიური ჯგუფების წევრებზე, როგორც კონვენციის მხარეებზე. ამ ღირებულებათა რეალიზაციის ამპლიტუდა მართვადია და იცვლება საზოგადოებრივი დაკვეთის მიხედვით. სამოქალაქო ღირებულებების მართვა ხორციელდება არა მხოლოდ იდეოლოგიური მექანიზმებით (მასმედია, ელექტრონული მედია, მხატვრული ლიტერატურა და სხვ.), არამედ, აღზრდის ინსტიტუტების მეშვეობითაც. „ადამიანს დემოკრატიული აზროვნების უნარი ბუნებითად როდი მოსდგამს. დემოკრატია იმგვარ ჩვევებსა და მომზადებას გულისხმობს, წვრთნას რომ საჭიროებს, რადგან უამისოდ ისინი ვერც ფეხს მოიკიდებენ და ვერც განვითარდებიან“ (Parker W.)

დემოკრატიული მოქალაქეობა არის უნარი, ხოლო უნარებს დაუფლება სჭირდება. განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის მიზნად ისახავს ადამიანების იმგვარი ცოდნით, შეგნებით, უნარებითა და დამოკიდებულებებით აღჭურვას, რაც დაეხმარება მათ თავიანთ თემებში ეფექტური როლის თამაშში - იქნება ეს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ის უჩვენებს მათ, თუ როგორ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შესახებ და ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ მათ შესწევთ უნარი, მოახდინონ ზეგავლენა და ცვლილებები. (http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/index0ae0_ge.asp)

„განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის“ გულისხმობს სწავლებას, წვრთნას, გავრცელებას, ინფორმირებას, პრაქტიკასა და ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ცოდნით, უნარებითა და შეგნებით აღჭურვა, მათი დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბება, მათი გაძლიერება საზოგადოებაში მათივე დემოკრატიული უფლებებისა და მოვალეობების რეალიზებასა და დაცვაში, მრავალსახეობის დაფასება და დემოკრატიულ ცხოვრებაში აქტიური როლის თამაში დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. (http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/index0ae0_ge.asp)

ამ ტიპის განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ინტერკულტურული დიალოგის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპების აღსრულების ხელის შეწყობა. ამისთვის აუცილებელია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაზრდის ცოდნის, შეგნების/გაცნობიერების დონეს, პერსონალურ და სოციალურ უნარებს, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს კონფლიქტის რისკს, ადამიანებს ასწავლის ერთმანეთის კულტურის დაფასებას, სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფები ერთმანეთის ღირებულებებს პატივისცემით მოეკიდებიან, რაც ხელს შეუწყობს დიალოგს და საბოლოოდ გახდება პრობლემების და უთანხმოების მოგვარების არაძალოდობრივი საშუალება/გზა.

დემოკრატიის მემკვიდრეობა გადაეცემა ყოველ მომდევნო თაობას. საჭიროა, მომავალმა თაობამ ნათლად აღიქვას და დააფასოს ეს მემკვიდრეობა და ისწავლოს, როგორ ისარგებლოს ამ მემკვიდრეობით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად განათლება, რაც მდგომარეობს ახალგაზრდა თაობის დახმარებასა და წახალისებაში, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ აქტიურ და დემოკრატიის მომხრე და ერთგულ მოქალაქეებად, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდის ინსტიტუტებს და, კერძოდ, მასწავლებელს, როგორც დემოკრატიულ ღირებულებათა მატარებელსა და გადამცემს მოსწავლეებში, რათა ისინი გახდნენ დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქეები.

1.3. საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიული მოქალაქეობის თეორიულ, პრაქტიკულ და ნორმატიულ საფუძვლებს

თანამედროვე სამყაროს გლობალური გამოწვევა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაა. დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარებას. თავის მხრივ, განათლებაში დემოკრატიული მოქალაქეობის არსი ეფუძნება ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ ***ქარტიას „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებების სწავლება“*** *(2010) (https://rm.coe.int/1680487880).* ქარტიის განმარტებით „განათლება დემოკრატიული

მოქალაქეობისათვის“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევის წესების ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათდამი მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით.

ქარტიის ძირითადი მიზანებია: (ა) ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; (ბ) მოსწავლეთა და სტუდენტთათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, ნათელი წარმოდგენების შექმნა და უნარების გამომუშავება, არამედ, საზოგადოებაში მოქმედებისათვის მათი მომზადება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში.

მიზნების შესაბამისად, ეფექტური სწავლა მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, პოლიტიკურ მოღვაწეებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას. ქარტიის მიხედვით დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების არსებით ელემენტს წარმოადგენს სოციალური ერთობისა და კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე, მრავალფეროვნებისა და თანასწორუფლებიანობის დაფასება; ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა, პიროვნული და სოციალური უნარების გამომუშავება და ნათელი წარმოდგენების შექმნა, რომლებიც ამცირებს კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობებს და ზრდის სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებისა და გაგების შესაძლებლობებს, ქმნის ადამიანური ღირსებებისადმი ურთიერთპატივისცემის გარემოს და საერთო ღირებულებებს, ხელს უწყობს დიალოგის წარმოებას და პრობლემებისა და საკამათო საკითხების ძალადობის გარეშე მოგვარებას.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მთელი რიგი დეკლარაციები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიული

საზოგადოების არსებობისა და განვითარების საკანონმდებლო ბაზას. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა *„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“*, როგორც ეტალონი ხალხების, ქვეყნების და, მათ შორის, ცალკეული ადამიანებისათვის, რათა მათ მუდმივად დაიცვან ეს დეკლარაცია, სწავლებისა და განათლების საშუალებით ხელი შეუწყონ ამ უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას, პროგრესული ღონისძიებების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელებას, რათა უზრუნველყონ ამ უფლებათა საყოველთაო აღიარება და დაცვა. დეკლარაციაში საუბარია განათლების მნიშვნელობაზე დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარების პროცესში. კერძოდ, ყველასათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიანი განათლება: განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებების პატივისცემისა და ძირითადი თავისუფლებების გაძლიერებისაკენ. მან ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ერებს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის (Art. 26.2, Universal Declaration of Human Rights, 1948).

საერთაშორისო კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის, მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ (იუნესკო, 2005) აღიარებს ღირებულებებისა და კულტურული თვითგამოხატვის აუცილებლობას, როგორც დემოკრატიის აუცილებელ პირობას. კონვენცია ქმნის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმებს. ამასთან, იგი ადასტურებს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებას შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ მიზნით, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი მოდელი. მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას ეროვნული უმცირესობების საკითხი. აღნიშნულის დადასტურებაა 1995 წელს ევროსაბჭოს მიერ მიღებული „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია. (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938 დადგენილებით). კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოები ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მოდელს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მისი შემდგომი რეალიზაცია. კონვენციაში აქცენტი კეთდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. კონვენციის ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ: (ა) მიიღონ ეფექტური ზომები მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ,

განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა; (ბ) აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები; (გ) ხელი არ შეუშალონ იმ პირების მიერ ბეჭდითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს; (დ) მიიღონ ზომები განათლებისა და კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად; (ე) უზრუნველყონ მოსწავლეთა/სტუდენტთა სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყონ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებს/სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის კავშირების გაღრმავებას და ა.შ.

ოსლოს რეკომენდაციებში (1998) დაკონკრეტებულია ეროვნული უმცირესობების მხრიდან მშობლიური ენის გამოყენების სფეროები და დაშვებები. იგი ძირითადად ეხება ეროვნული უმცირესობების უფლებას საგანმანათლებლო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, სამართალწარმოების, მედიის და სხვა ასპარეზზე საქმიანობისას გამოიყენონ მშობლიური ენა და ამ ენაზევე მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

ჰააგის რეკომენდაციები „ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით” (1996) ასევე ეხმიანება უმცირესობათა განათლების საკითხებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უმცირესობათა უფლებები განათლების სფეროში ეუთოს მონაწილე რიგი ქვეყნებისათვის ძალზე ფაქიზი საკითხია. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროცესი პოტენციურად იმის შემძლეცაა, რომ ქმედითად შეუწყოს ხელი მონაწილე სახელმწიფოებში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფცია დროთა განმავლობაში ვითარდება და განათლების სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში სხვადასხვა ფორმით აისახება. ამის დასტურია ევროპის მასშტაბით ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური დოკუმენტი ***„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ახალი მოდელი“.*** აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისით, 2016 წლის 12 აპრილს ბრიუსელში გამართულ მინისტერიალზე მიღებული დეკლარაციითაც დადასტურდა (https://rm.coe.int/16806b9405). ეს მოდელი მოიცავს კულტურის სამივე განზომილებას – მატერიალურ, სოციალურ და სუბიექტურ კომპონენტებს/განზომილებას და, ასევე დემოკრატიული

კულტურისა და ინტერკულტურული ურთიერთობის დღემდე არსებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ 101 სქემას. კომპეტენციების ახალი მოდელი აერთიანებს 20 კომპეტენციას და მათ 559 აღმწერს, ე.წ. დესკრიპტორს. დოკუმენტში კომპეტენციები დაჯგუფებულია 4 პრიორიტეტულ მიმართულებად:

პირველი ჯგუფი - ღირებულებები

კომპეტენცია: სხვა ადამიანების, ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება

მოსწავლე გამოხატავს რწმენას, რომ:

- ყველა ადამიანი თანასწორია;
- ყველა ადამიანს აქვს ღირსება; ღირსება ხელშეუხებელია;
- ყველა ადამიანი სარგებლობს თანაბარი უფლებებით;
- ადამიანის უფლებების ხელყოფა დაუშვებელია;
- ადამიანის ერთ-ერთი ხელშეუხებელი უფლება თავისუფლებაა;
- კანონი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს;
- ადამიანის წამება და მისთვის ღირსების შემლახავი სასჯელის დადება დაუშვებელია;
- ადამიანის ბრალეულობას მხოლოდ სასამართლო ადგენს.

კომპეტენცია: კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული განსხვავებულობის დაფასება

მოსწავლე გამოხატავს რწმენას, რომ:

- საზოგადოება კულტურულად მრავალფეროვანია;
- კულტურული მრავალფეროვნება დადებითი მოვლენაა;
- ყველა კულტურა აღიარებული და დაფასებული უნდა იყოს;
- აღიარებული და დაფასებული უნდა იყოს განსხვავებული თვალსაზრისებიც;
- დიალოგი და კომუნიკაცია განაპირობებს განსხვავებული ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას;
- დიალოგის წარმართვაში საკუთარი და განსხვავებული კულტურების ცოდნა გვეხმარება;
- განსხვავებული კულტურების ცოდნა განამტკიცებს ჩვენს კულტურულ იდენტობას.

კომპეტენცია: დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება

მოსწავლე გამოხატავს რწმენას , რომ:

- დემოკრატია უზრუნველყოფს ყველა ადამიანის დაცვასა და დაფასებას;
- დემოკრატიული მოქალაქის აღზრდა სკოლის უპირველესი მოვალეობაა;
- დემოკრატიის საფუძველი არჩევანის თავისუფლებაა;
- არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში უნდა ტარდებოდეს;
- დემოკრატიულ გარემოში ყველა ადამიანი კანონის მიხედვით უნდა მოქმედებდეს;
- ადამიანები სამართლიან კანონებს პატივს უნდა სცემდნენ;
- კანონის წინაშე ყველას თანაბარი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს;
- სასამართლო ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებს უნდა იცავდეს;
- სასამართლო ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მეორე ჯგუფი - დამოკიდებულებები

კომპეტენცია - კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენისადმი, მსოფლმხედველობის, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებისათვის მზაობა

მოსწავლე გამოხატავს:

- ინტერესს განსხვავებული რწმენის, ღირებულებების, ტრადიციებისა და მსოფლმხედველობის მიმართ;
- მზადყოფნას, მოისმინოს და გაითვალისწინოს განსხვავებული მოსაზრებები და ღირებულებები;
- მზადყოფნას, გაეცნოს განსხვავებულ კულტურას;
- მზადყოფნას, გაიცნოს განსხვავებული ღირებულებებისა და ტრადიციების მქონე ადამიანები;
- ურთიერთობის მზადყოფნას განსხვავებულ ადამიანებთან;
- სხვა ქვეყნებში მოგზაურობის ინტერესს;

კომპეტენცია - პატივისცემა და ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი, განსხვავებული რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკისადმი

მოსწავლე გამოხატავს პატივისცემას:

კომპეტენცია - მოქალაქეობრივი აზროვნება

მოსწავლე გამოხატავს მზადყოფნას:

- წვლილი შეიტანოს სხვა ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში;

- მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საქმიანობებში;
- დაეხმაროს სხვა ადამიანებს;
- დაიცვას სხვათა უფლებები;
- იტვირთოს აქტიური მოქალაქისათვის საჭირო მოვალეობი და პასუხისმგებლობა;
- არ დარჩეს მხოლოდ დამკვირვებლის ან მაყურებლის როლში;
- მონაწილეობა მიიღოს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობაში.

კომპეტენცია - პასუხისმგებლობა

მოსწავლე არის:

- პუნქტუალური;
- სამუშაოზე კონცენტრირებული; განსხვავებული რწმენის, ტრადიციებისა და ცხოვრების სტილის, აზრის, მსოფლმხედველობის, სქესის, სოციალური კუთვნილების, ადამიანთა თანასწორობისა და უფლებების მიმართ.
- საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებელი;
- სხვების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონცენტრირებული;

კომპეტენცია - თავდაჯერებულობა

მოსწავლე გამოხატავს რწმენას, რომ:

- შეუძლია მიიღოს სწორი გადაწყვეტილება;
- გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს;
- იპოვნის რაციონალურ გამოსავალს და გაუმკლავდება სირთულეებს;
- წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებებს;
- მიაღწევს დასახულ მიზნებს;
- იქნება გუნდის ეფექტური წევრი;
- იკისრებს ლიდერის ფუნქციას.

კომპეტენცია - გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება

მოსწავლეს შეუძლია:

- გაითვალისწინოს ორი ან მეტი კულტურული პერსპექტივა;
- ამოიცნოს კითხვები, რომლებსაც არ აქვს ცალსახად დადებითი ან უარყოფითი პასუხები;

- გაურკვევლობისა და ორაზროვნებისადმი ჰქონდეს კონსტრუქციული პოზიცია;
- ჰქონდეს აქტიური კომუნიკაცია განსხვავებული ღირებულებების მქონე ადამიანებთან;
- თავი გაართვას ბუნდოვან სიტუაციებს;
- არ გამოიტანოს ნაჩქარევი დასკვნები.

მესამე ჯგუფი - უნარები

კომპეტენცია - დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები

მოსწავლეს შეუძლია:

- განსაზღვროს საკუთარი სასწავლო მიზნები;
- ინფორმაციის ეფექტურად შეგროვება;
- ინფორმაციის მიღება სხვადასხვა ტექნიკისა და წყაროს გამოყენებით;
- მიმართოს სხვა ადამიანებს ახალი ინფორმაციის დაზუსტების მიზნით;
- შეაფასოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;
- დაგეგმოს სასწავლო მიზნების მიღწევის პროცესი და მუშაობა;
- შეაფასოს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა.

კომპეტენცია - ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები

მოსწავლეს შეუძლია:

- არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა;
- არგუმენტისა და ინფორმაციის ერთმანეთისგან განსხვავება;
- სხვადასხვა არჩევანთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- ახალი ინფორმაციის დაკავშირება უკვე არსებულ ცოდნასთან;
- სიტუაციის შეფასება და ანალიზი;
- სტერეოტიპების ამოცნობა;
- ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

კომპეტენცია - მოსმენის და დაკვირვების უნარ-ჩვევები

მოსწავლეს შეუძლია:

- განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა;
- განსხვავებული შეხედულების პატივისცემა;
- ამოიცნოს მოსაუბრის დაფარული სურვილები, გრძნობები;

- დააკვირდეს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირების ჟესტიკულაციას მეტყველების პროცესში.

კომპეტენცია - ემპათია

მოსწავლეს შეუძლია:

- აღწეროს სხვა ადამიანების ემოციები, გრძნობები და საჭიროებები
- თანაგრძნობა გამოხატოს იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც უსამართლოდ მოექცნენ;
- მოუსმინოს სხვას, ამოიცნოს და გაითვალისწინოს მოსაუბრის სურვილები/გრძნობები;
- ამოიცნოს, როდის სჭირდება მის პარტნიორს მისი დახმარება;
- აღწეროს სხვა ადამიანების პრობლემები.

კომპეტენცია - მოქნილობა და შეგუების უნარი

მოსწავლეს შეუძლია:

- სიტუაციის მიხედვით შეცვალოს საკუთარი ქცევა;
- ადვილად შეეგუოს ახალ კულტურულ გარემოს;
- ადვილად შეეგუოს სხვა ადამიანების გარემოცვას;
- იყოს მოქნილი დაბრკოლებების წინაშე;
- შეინარჩუნოს პოზიტიური განწყობა ახალი და უჩვეულო სიტუაციების მიმართ.

კომპეტენცია - ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები

მოსწავლეს შეუძლია:

- დაამყაროს კომუნიკაცია განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებთან;
- ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს გამოიყენოს მოსაუბრისათვის გასაგები ჟესტები;
- სწორად და ეფექტურად ჩამოაყალიბოს საკუთარი სათქმელი ინტერკულტურულ გარემოში;
- თავიდან აიცილოს ინტერკულტურული ურთიერთობისას მოსალოდნელი გაუგებრობები;
- გამოთქვას საკუთარი აზრი არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

კომპეტენცია - თანამშრომლობის უნარ-ჩვევები

მოსწავლეს შეუძლია:

- კონსენსუსის გზით მიაღწიოს ჯგუფის საერთო მიზნებს;

- პატივისცემა გამოიჩინოს ჯგუფის სხვა წევრების მიმართ;
- დაარწმუნოს სხვები ჩაერთონ მუშაობის პროცესში;
- სხვებს გაუზიაროს საკუთარი ცოდნა, მოსაზრებები და რესურსები.

კომპეტენცია - კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები

მოსწავლეს შეუძლია:

- კონფლიქტების მოგვარება;
- ამოიცნოს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები;
- იპოვოს კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის მისაღები გამოსავალი;
- პატივისცემით ესაუბროს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს;

  განსაზღვროს კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული გზები.

მეოთხე ჯგუფი - ცოდნა და კრიტიკული გააზრება

კომპეტენცია - საკუთარი თავის შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა

მოსწავლეს შეუძლია:

- საკუთარი კულტურული იდენტობის ცოდნა და გააზრება;
- საკუთარი მსოფლმხედველობისა და მისი კოგნიტური, ემოციური და მამოტივირებელი ასპექტებისა და მიკერძოებების ცოდნა და გააზრება;
- იმ ვარაუდებისა და მიკერძოებების ცოდნა და გააზრება, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის მსოფლმხედველობას;
- იმის გააზრება, რომ ადამიანის მსოფლმხედველობა, ვარაუდები და მიკერძოებები დამოკიდებულია მისივე კულტურულ იდენტობასა და გამოცდილებაზე;
- საკუთარი ემოციების, გრძნობებისა და მოტივაციის ცოდნა, განსაკუთრებით სხვებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კონტექსტებში;
- საკუთარი კომპეტენციისა და გამოცდილების შეზღუდულობის ცოდნა და გააზრება.

კომპეტენცია - ენისა და კომუნიკაციის შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა

მოსწავლეს გააზრებული აქვს, რომ:

- სხვა კულტურის ადამიანები შესაძლოა იცავდნენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის განსხვავებულ შეთანხმებებს;
- განსხვავებული კულტურის ადამიანები შესაძლოა განსხვავებულად აღიქვამდნენ მნიშვნელობებს კომუნიკაციაში;

- არსებობს კონკრეტულ ენაზე მეტყველების სხვადასხვა ფორმა და ერთი და იმავე ენის გამოყენების ასევე განსხვავებული გზები (დიალექტური და ლიტერატურული სამეცნიერო–ტერმინოლოგიური და პოპულარული);
- ენის გამოყენება კულტურული გამოცდილებაა, რომელიც იმ ინფორმაციის, მნიშვნელობებისა და იდენტობების მატარებელია, სადაც ენა იქმნება და ვითარდება;
- კომუნიკაციის განსხვავებული სტილი ზემოქმედებს ადამიანებზე. შეიძლება შეაფერხოს კომუნიკაცია;
- ადამიანის ვარაუდები, წინასწარი შეხედულებები, აღქმა, რწმენა და მსჯელობა უკავშირდება იმ კონკრეტულ ენას (ენებს), რომელზეც საუბრობს.

კომპეტენცია - მსოფლიოს შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა

სამყაროს ცოდნა და კრიტიკული გააზრება აჯამებს სხვადასხვა სფეროებში ცოდნისა და გააზრების ფართო და რთულ სპექტრს:

- პოლიტიკა და კანონები
- ადამიანთა უფლებები
- კულტურა
- რელიგია
- ისტორია
- მედია
- ეკონომიკა, გარემო და მდგრადობა

დოკუმენტის შემუშავების პროცესში, სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩართული იყო საქართველო. ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტის პილოტირების პროცესი, რომელშიც საქართველოსთან ერთად მონაწილეობს ანდორა, სომხეთი, ბელარუსი, ბელგია, ჩეხეთი, ესტონეთი, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, ნორვეგია, რუმინეთი, პორტუგალია.

„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ახალი მოდელი” განათლების სისტემის ყველა საფეხურის, ყველა მიმართულების შინაარს ზედმიწევნით მიესადაგება, რადგან სწორედ განათლება ქმნის საფუძველს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის. მოდელის დანერგვა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საშუალებას გვაძლევს.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დემოკრატიულ მოქალაქეობასთან დაკავშრებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება. რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს განათლება

ასრულებს. განათლებას შეუძლია სოციალური ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გაძლიერება იმ სასწავლო პროგრამების საშუალებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის, რწმენის და რელიგიის მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის დიალოგის განვითარებას. არსებული ვითარების გაუმჯობესება აუცილებლად მოითხოვს მოქალაქეობრივი განათლების საკითხებზე აქცენტირებას, რამდენადაც ასეთ განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში (UNESCO's Guidelines on intercultural education).

1.4. განათლების პოლიტიკის ეროვნული დოკუმენტები

საქართველო წევრია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების, რომელთათვის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭო, რომლის მიერ ბოლო წლებში მიღებული დოკუმენტები განსაზღვრავს მოქალაქეობრივი განათლების პოლიტიკას („ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ჩარჩო კონვენცია; განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კომისიის 21-ე სესიის საბოლოო დეკლარაცია (ათენი, 2003) და სხვ.).

ასევე, ფართოდაა წარმოდგენილი მოქალაქეობრივი განათლება ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (2004), საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005), ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016 და 2017-2023) და სხვ.

ამ მხრივ, ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტი საქართველოს კონსტიტუციაა (1995). კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპები. თავისუფლება და თანასწორობა არ შეიძლება შეიზღუდოს რაიმე განმასხვავებელი ნიშნით: რასით, კანის ფერით, ენით, სქესით, რელიგიით, პოლიტიკური და სხვა შეხედულებით, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებით, წარმოშობით, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობით, საცხოვრებელი ადგილით და სხვა.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი ასევე იცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, თანასწორობის პრინციპის დაცვით მიიღონ მონაწილეობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საქართველოს კონსტიტუცია იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა. „ზოგადი განათლების შესახებ" კანონი კი ადასტურებს განათლების მიღების უფლებას (მუხლი 9) და მის „თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის" (მუხლი 3.2.ა) კანონის ამავე მუხლში განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

კანონი ასევე განმარტავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს: ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას; ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა.შ.

კანონის მიხედვით სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული და აფხაზური. ამავე დროს, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოა სახელმწიფო ენის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენის (ქართულის და აფხაზურის) სწავლება.

კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-13 მუხლით - „ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა" - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზირება; საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ამასთან, კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე, ისეთი

ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

კანონის ამავე მუხლით, დაუშვებელია სკოლაში განხორციელდეს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რაიმე სახის დისკრიმინაცია: „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე, მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია".

საყურადღებოდ მიგვაჩია კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) უმცირესობების წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური უფლების განუხრელი დაცვა. ეს კი ნიშნავს მათი ფუნდამენტური უფლების - თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება - ხელშეუხებლობას (მუხლი 13).

კანონის მე-18 მუხლი არეგულირებს „რწმენის თავისუფლების" საკითხებს. კანონით დაუშვებელია მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. რელიგიური სიმბოლოკის განთავსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ის ემსახურება გარკვეულ აკადემიურ მიზნებს. ამასთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებში (2004) მითითებულია, რომ „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის". ამ მიზნის მიღწევა უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის ისეთი შინაარსით ორგანიზებას, რომელიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ მოქალაქეობრივ ცნობიერებას და დაეხმარება მათ, გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებას. რაც შეეხება უშუალოდ მოქალაქეობრივი განათლებისა და

სამოქალაქო აქტიურობის გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ასევე განსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნის რაელიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში ვკითხულობთ: „დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელშიც დეკლარირებულია მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების ამაღლება, ეროვნული სასწავლო გეგმაა.

ეროვნული სასწავლო გეგმა აღიარებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომას, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარებას, რომელსაც აქვს სხვისგან განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, ნიჭი, ემოციები, ინტერესები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროებები და სწავლის სტილი.

ეროვნული საწავლო გეგმაში „სკოლის საერთო კულტურა” განმარტებულია, როგორც სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მისია - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, სწავლა-სწავლების პროცესმა, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.

„სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის“ მოთხოვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს მოსწავლეებს მისცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

ეროვნული სასწავლო გეგმაში ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციათა (VIII თავი) გვხვდება მოსწავლეებში სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა., ეროვნული

საწავლო გეგმის მე-3 კარში „საგნობრივი პროგრამები” ხაზგასმულია სახელმწიფო ენის სწავლების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი ჯგუფებისათვის. კერძოდ, მითითებულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები. მათი ნაწილი უშუალო კავშირშია მოქალაქეობრივ განათლების გაუმჯობესებასთან, შესაბამისი ცოდნის/ცნობიერების ამაღლებასა და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესთან. ეს მიზნებია:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალურ-კულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა და ა.შ.

ამ მიზნებიდან გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების ამოცანებიც. კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოუყალიბდეს პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
- ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

მოქალაქეობრივი განათლებისა და განსხვავებული კულტურული იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენების სწავლებას. სწორედ ამ საკითხს ეხება ეროვნული სასწავლო გეგმის XXIV თავი - „საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში“. პროგრამაში გაწერილია უცხოური ენების სწავლების პრიორიტეტული მიზნები, რაც ითვალისწინებს მოსწავლისათვის პლურილინგვური კომპეტენციის განვითარებას; სხვა კულტურის და სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას; ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას; განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგების უნარის

გამომუშავებას; სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან მრავალმხრივი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას და ა.შ.

ჩამოთვლილი საგანმანათლებლო მიზნები ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის საგნობრივი ცოდნის შეძენას (მაგ., გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა...), არამედ უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობას და ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა, ინტერაქცია განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტებში და სხვა. უცხოური ენების შესწავლის პროცესში ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება კულტურული, ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა.

უცხოური ენების საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა „კულტურათა დიალოგი“. ეს მიმართულება გულისხმობს უცხო ენის/ენების სწავლების პროცესში შემდეგი შედეგების მიღწევას: მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურის რეალიებს; მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციალურ-კულტურულ რეალიებს; მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურათა თავისებურებების მიმართ.

ჩამოთვლილი შედეგების მიღწევის ინდიკატორები კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უცხოურ ენათა სწავლების მნიშვნელობაზე განსხვავებული იდენტობების მრავალფეროვან მახასიათებელთა გაცნობისა და მათ მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით.

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკს. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის (თავი XXXV) მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას დაეხმარება სამყარო აღიქვას ერთ მთლიანობად და მიმდინარე პროცესებში განსაზღვროს საქართველოს ადგილი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკში შემავალი საგნების სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი პროგრამის შემდგენლები ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლების პროცესს უკავშირებენ საქართველოსთვის ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრის პერსპექტივას, როგორიც არის ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, რაც ეფუძნება საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე

საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. „...მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა, რატომ არის ის ღირებული და ა.შ.”.

საგნობრივ პროგრამაში აქცენტი კეთდება მოსწავლეებში მოქალაქეობრივი განათლებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე, როგორიცაა: სხვისი უფლებების პატივისცემა, თანაგრძნობა, მზრუნველობა, სამშობლოს სიყვარული, თანასწორობა და ტოლერანტობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლება სამივე საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასებში) ყურადღება მახვილდება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მხარეთმცოდნეობითი პრინციპით შესწავლაზე, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს იმ აზრს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება დაწყებით საფეხურზე მიზნად ისახავს მრავალფეროვნებისადმი, როგორც ღირებულებითი საკითხისადმი სწორი მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის იმგვარად დაგეგმვა და წარმართვა, რომ მან „მოსწავლეებს განუვითაროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ეთიკური და პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბებას”.

საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასებში) ისტორიის (მსოფლიოს და საქართველოს ისტორია) სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლისათვის ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) წარმოდგენა.

საგანი - სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს საკუთარი იდენტობის განვითარებაში, თვითგამორკვევაში. მოზარდმა უნდა შესძლოს საკუთარი თავისა თუ სხვების აღქმა სხვადასხვა კონტექსტის წევრებად და მათი პიროვნებებად გაცნობიერება; მან უნდა გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და, ამავე დროს, პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოების,

როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების მქონე სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური მთლიანობის გააზრება.

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. გეოგრაფიის შესწავლით მოსწავლე გაეცნობა მსოფლიო ქვეყნების ძირითად მახასიათებლებს, მათში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებსა და მოვლენებს; სამოქალაქო განათლება დაეხმარება მოსწავლეს დაეუფლოს ინტერკულტურულ წიგნიერებასა და ურთიერთობებს, განივითაროს თანამშრომლობის კულტურა.

საზოგადოებრივ მეცნიერებების ბლოკში შემავალი საგნების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების მიმართებები მოქალაქეობრივი განათლების ძირითად საკითხებთან წარმოდგენილია საგნების სწავლის ცალკეული მიმართულებების მიხედვითაც. ჩვენ აქ საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ იმ მიმართულებებზე, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია მოსწავლეთა მოქალაქეობრივ განათლებასა და სხვადასხვა იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საკითხებთან. ეს მიმართულებებია:

1. კულტურა და რელიგია - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში.

2. ადამიანი და საზოგადოება - მიმართულების მიზანია მოსწავლემ იცოდეს თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

3. გარემო და სოციალური სისტემები - მიმართულების შედეგები მოსწავლეებს ამყარებინებს კავშირს გარემოსა და საზოგადოებას შორის.

2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პირველ თავში „ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი განათლების საფეხურები“ (მუხლი 7) ზოგადი განათლების მიზნებად განსაზღვრულია მოსწავლეს განუვითარდეს/ჩამოუყალიბდეს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასების და მასზე ზრუნვის უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები; ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი;

სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანია განათლების ენებისა და ენობრივი განათლებას საკითხი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად

აუცილებელია არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში შემეცნებითი და ენობრივი უნარების სახელმწიფო ენაზე განვითარება, რაც ორენოვანი განათლებით მიიღწევა. ორენოვანი განათლება საფუძველს უნდა უქმნიდეს ორენოვან წიგნიერებას.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბების/განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს (სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით)), რამაც ხელი უნდა შეუწყოს: ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა - „სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ".

2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში იკვეთება მოქალაქეობრივი განათლების ხელშემწყობი რიგი მოთხოვნები.

კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტში (მუხლი 59) მითითებულია, რომ საგნის სწავლება ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს უცხო კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; ენების სწავლის სურვილი და სხვა).

დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლის ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება. ამავე საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან აღსანიშნავია თემის: „სოციოკულტურა და კულტურა" შინაარსი, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნა დღესასწაულების და ტრადიციების (ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები) და წეს-ჩვეულებების (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები) შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკდან (თავი XV) დაწყებით საფეხურზე ინერგება ახალი საგანი „მე და საზოგადოება“. საგნის სწავლების მიზანია: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. საგანი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, რომელთა შორის მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტს ესადაგება „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება”. აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა, თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდას უწყობს ხელს.

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით საყურადღებოა „მე და საზოგადოების” მესამე კლასისთვის განკუთვნილი რამდენიმე თემა/პრობლემა:

- რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს?
- როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად?
- რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად?
- რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მაცხოვრებლებს,
- რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?

V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო”. საგნის სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეს: დაეხმაროს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში; გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა; განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ჩვენთვის საყურადღებოა საგნის სწავლების ერთ-ერთი მიმართულება - „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება”. აღნიშნული მიმართულება წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი თემებითა და აქტივობებით, რაც მოსწავლეს დაეხმარება საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრებასა და მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება-გამოვლენაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია უცხოური ენების სწავლება სკოლაში, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფა:

1. სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა (უცხოენოვანი ქვეყნების სოციოკულტურისა და კულტურის გაცნობა);

2. სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება (სამოქალაქო უნარ-ჩვევები);

3. დამოკიდებულებების ჩამოყალიბება (მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა; პოზიტიური დამოკიდებულება, როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ).

მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას ემსახურება ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნები და ამოცანები (თავი XVIII). ესთეტიკური აღზრდის მიზნებს წარმოაგენს მოსწავლისთვის სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება; ეროვნული, სხვა ერისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის, ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება. რაც შეეხება ესთეტიკური აღზრდის სწავლების ამოცანებს, მოქალაქეობრივ განათლებასთან კავშირში უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოსწავლის ზიარება ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან.

შედარებით სუსტადაა გათვალისწინებული მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში. დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლები ერთ-ერთი მიმართულება: მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა გულისხმობს ისეთი თემატიკის საკითხების გაშუქებას, რაც შესაძლოა ხელს უწყობდეს მრავალფეროვნების აღქმასა და მის მიმართ ღიაობის დამოკიდებულების ფორმირებას. კერძოდ, საგნის თემატიკაში გათვალისიწნებულია სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

მოქალაქეობრივი განათლება და კომპეტენციები გარკვეულწილად სახულია ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებშიც. კერძოდ, მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კულტურას, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედ პროცესს; მას უნდა შეეძლოს:

- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტირება;

- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომების სახეებს და შესაბამისად მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელებს.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამშრომელთა (მასწავლებელთა) ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომავლობის ან პირადი შეხედულების მიხედვით მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა; კოდექსი ადგენს დისციპლინარულ გადაცდომათა ჩამონათვალს. ასეთად ითვლება მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების თავს მოხვევა (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული შეხედულებების).

სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება დირექტორის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება (თავი I. ზოგადი დებულებები/ მუხლი 1).

II თავის (სკოლის დირექტორის ქცევის წესები) მე-3 მუხლი ეხება სკოლის დირექტორის პროფესიულ კომპეტენტურობას. აქ, დირექტორის ერთ-ერთ კომპეტენციად მიჩნეულია მისი ვალდებულება, გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად მათი სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური და სხვა კუთვნილებისა.

ამავე მუხლის მიხედვით, სკოლის დირექტორმა უნდა უზრუნველყოს სასკოლო დისციპლინის დაცვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

კოდექსის მე-5 მუხლი (მოსწავლეებთან ურთიერთობა) დირექტორის ვალდებულებად განსაზღვრავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული

ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დირექტორი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლეთა აზრებს, უქმნიდეს მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი დამტკიცებულ იქნა 2008 წელს. სტანდარტის ძირითადი ნაწილი, გადამუშავებული სახით, ხელახლა დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წლის მარტში. იგი საერთოა ყველა საგნის პედაგოგისათვის და შედგება სამი ნაწილისგან: პროფესიული მახასიათებლები, სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განვითარება. სტანდარტი, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით, ადგენს აუცილებელად შესასრულებელ პირობებს და აღწერს პედაგოგთა პროფესიული ზრდის (განვითარების) სქემას.

პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, სააღმზრდელო აქტივობები, რომ მოსწავლეებს გაუღვივდეთ ინტერესი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებისადმი, განუვითარდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ.

გარდა სასკოლო განათლებისა მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას მრავალმხრივ უწყობს ხელს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2005). კანონის მიხედვით, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე, აფხაზური. სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან“ (მე-4 მუხლი). უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ავალებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიმართ თანასწორ მოპყრობას (მუხლი 16.1.დ) და რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას (მუხლი 3.2.თ). 3.4-ე მუხლი კრძალავს რაიმე რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას უმაღლეს სასწავლებელში. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი მოითხოვს სტუდენტის რელიგიური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, რომელიც ცნობილი გახდა აკადემიური პერსონალის ან ადმინისტრაციისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (მუხლი 43.4). სტუდენტებს უფლება აქვთ თანაბარ პირობებში ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით (მუხლი 43.1.გ).

ქვემოთ, მოქალაქეობრივი განათლებისა და უფებების კონტექსტში განვიხილავთ საქართველოს სხვა კანონებსაც. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (2014) კრძალავს დისკრიმინაციას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. კანონში განმარტებულია

დისკრიმინაციის ცნება და დაკონკრეტებულია დისკრიმინაციასთან დაკავშირებული აკრძლვები; გაწერილია დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა (მუხლი 4). დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია: სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას; მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე.

საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;

გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;

დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობა და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;

ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;

ვ) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;

ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი (მუხლი 3).

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ" ემსახურება ადამიანის კულტურული მოღვაწეობის უფლების უზრუნველყოფას (მუხლი 6). კანონის მე-9 მუხლით - „შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა" - დაუშვებელად ცხადდება შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა და ძალადობას, პროპაგანდას უწევს პორნოგრაფიას.

„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“ (2009). კონცეფციის ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

თუ განხილულ კანონებს, კონვენციებს, რეკომენდაციებს და სხვა დოკუმენტაციას, ასევე არსებულ ვითარებას და დეკლარირებულ პოლიტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო გარემო და მოქალაქეობრივი განათლების ასპექტები ასახულია განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში. საქართველოს მთავრობა, გარდა პიროვნების საბაზისო უნარების განვითარებისა, განათლების სოციალურ ფუნქციებად/ვალდებულებებად აღიარებს საზოგადოებაში არსებობისათვის ისეთი მოქალაქეობრივი უნარ - ჩვევების განვითარებას მოზარდებში, როგორიცაა: დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერება და რეალიზაცია; დემოკრატიისა და აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება; სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება; მდგრადი განვითარების კონცეფციის გაცნობიერება და დაცვა და სხვა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების საქმეში

2.1. სასკოლო განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, დემოკრატიული მოქალაქეობისთვის ახალგაზრდა თაობების მომზადების პასუხისმგებლობა აიღო საქართველოს მთავრობამ, რაც დეკლარირებულია ზოგადი განათლების სისტემისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტში - „ზოგადი

განათლების ეროვნულ მიზნებში“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 2004 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი), რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს კი დაეფუძნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მთავარი ამოცანაა შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო. მაშასადამე, ეროვნული სასწავლო გეგმა პასუხს სცემს კითხვას, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითადი მოთხოვნები.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებს, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე, დემოკრატიულ სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. საგნების სწავლება, სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში, რომელთა განვითარება ზოგადი განათლების სამივე საფეხურისა და ყველა საგნის მასწავლებლის მოვალეობაა. როგორც უკვე წინა ქვეთავში აღინიშნა, ამ გამჭოლ კომპეტენციათა შორის ერთ-ერთი მოსწავლეებში სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობაა: „სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016).

პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას დიდად განაპირობებს ის დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომელთაც ახალგაზრდა თაობა სოციალიზაციის პროცესში იძენს, მათ შორის, სკოლაში მიღებული გამოცდილებით. არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც ძლიერ გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობის სოციალიზაციის პროცესზე, განსაკუთრებით, ოჯახი, თანატოლები და მედიასაშუალებები. მეორე მხრივ, სკოლის საზოგადოება ბავშვებსა და მოზარდებს აძლევს შესაძლებლობას, შეიძინონ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება; აქედან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სკოლას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია დემოკრატიის მემკვიდრეობის

მომავალ თაობაზე გადაცემის კუთხით. სასკოლო გარემოში, გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცესში მონაწილეობითა და, აგრეთვე, ყოველდღიური ურთიერთობებით შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით, ახალგაზრდებს უყალიბდებათ ჩვევები და უნარები,

რომლებიც, შემდგომ ცხოვრების მანძილზე, დემოკრატიულ პროცესებსა და ადამიანის უფლებათა ღირებულებებთან მათ დამოკიდებულებას განაპირობებს (რ. გოლობი 2013 წ.).

სკოლა უნდა წარმოადგენდეს დემოკრატი მოქალაქის მოსამზადებელ ადგილს, რომელსაც ოთხი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

1. მისცეს მოსწავლეს ყველა ის უფლება, რაც კანონით არის გათვალისწინებული;
2. ხელი შეუწყოს დემოკრატიულ სწავლებას;
3. თანაბარი უფლებებით ჩართოს თითოეული მოსწავლე სასწავლო პროცესებში;
4. წაახალისოს მოსწავლეები სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის და ასწავლოს მას მოქალაქეობრივი უფლებები.

სასკოლო განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის მოიცავს სამ მიდგომას:

- **სწავლა დემოკრატიის შესახებ** - თითოეული საგნის მასწავლებელი აქტიურად უნდა ცდილობდეს თავისი საგნით, არა მარტო იმ კონკეტულ საგანში გადასცეს ცოდნა, არამედ განუვითაროს სწორი ღირებულებები, მათ შორის იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლე ჩამოაყალიბოს სამოქალაქო შეგნების, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელ მოქალაქედ, რომელსაც ეცოდინება თავისი უფლებები, მაგრამ ასევე, გათავისებული ექნება, რომ უფლება არ არსებობს მოვალეობის გარეშე და მოვალეობების შესრულებით სხვის უფლებებას დავიცავთ. ვფიქრობთ, დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სხვისი აზრი უნდა მოისმინო და, საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინო.;
- **ყოველდღიური სასკოლო გამოცდილება, როგორც დემოკრატიის გააზრების საშუალება** – მოსწავლეებმა არა მხოლოდ უნდა იცოდნენ საკუთარ უფლებათა შესახებ, არამედ უნდა შეეძლოთ მათი გამოყენება. ამისთვის აუცილებელია, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ. მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, გამოხატონ თავიანთი აზრები არა მხოლოდ კლასში განხილული მასალის შესახებ, არამედ, ზოგადად, სწავლების პროცესისა და

სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებითაც. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყველა საგნის მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეებისთვის სანიმუშო უნდა იყოს და სხვადასხვა ადამიანური ღირებულება უნდა განასახიეროს.

- **სწავლა დემოკრატიისათვის** – ეს მიდგომა ეხება სკოლის პერიოდში მიღებული გამოცდილების კავშირს ადამიანის შემდგომ ცხოვრებასთან. სკოლა ის მიკროთემია, რომელიც მთლიანი საზოგადოების მოდელს წარმოადგენს. (ამ მოსაზრებას საფუძველს უყრიან დიუი (სკოლა, როგორც „საზოგადოება ემბრიონულ სტადიაში“) და ფონ ჰენთინგი („სკოლა, როგორც ქალაქი–სახელმწიფო“)(გოლობი და სხვ. 2009, 8). სკოლა შეიძლება უკეთესი, უფრო დემოკრატიული საზოგადოების მოდელადაც კი აღვიქვათ, რადგან სკოლის საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, გაცილებით აქტიურად ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სკოლის დონეზე, ვიდრე სკოლის გარეთ შეძლებდა.

ზემოთ აღნიშნული მიდგომები ერთიან მთელს ქმნის. სწავლების პროცესი ამ სამივე მიდგომას მოიცავს. (გოლობი და სხვ. 2009, 6)

ყველა ადამიანი განსხვავებული და უნიკალურია, შესაბამისად, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოქალაქის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა დაიწყოს, რომ მოსწავლემ ისწავლოს და დააფასოს მრავალფეროვნების სარგებელი.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის მიზანია, აღჭურვოს მოსწავლეები არა მარტო ცოდნით, გაცნობიერების მაღალი დონით და შესაბამისი უნარებით, არამედ მათ შეძლონ ამ ყველაფერის ქმედებებში ასახვა-აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარ სოციუმში და მთლიანად საზოგადოებაში, ადამიანის უფლებეთა დაცვაში, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პოპულარიზაციაში.

ყოველივე ამის მისაღწევად, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის სწავლის პროცესის ინტეგრაციას სამ განზომილებაში ახდენს:

- ცოდნა და გააზრება (შემეცნებითი განზომილება)
- უნარების განვითარება და კომპეტენციის ჩამოყალიბება
- ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარება

2.2. სკოლის როლი მოსწავლეებში დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებაში

პოლიტიკური ანალიზი და მსჯელობა - მოსწავლეები *უნდა ფლობდნენ პრობლემების, განსახილველი საკითხისა და კონფლიქტის ანალიზის უნარს. (ეს წარმოადგენ კომპეტენციების განვითარების შემეცნებით განზომილებას).* პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, ისევე როგორც

ცხოვრებაში ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რისი მიღწევა გვსურს. მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი ინტერესებისა და მიზნების განსაზღვრა, მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს შორის, ღირებულებებსა და პასუხისმგებლობებს შორის ბალანსის გამონახვა.

უნარები - მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ გონებრივი რესურსები სხვადასხვა წყაროდან მიიღონ ინფორმაცია, გააანალიზონ, შეაფასონ და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები, გაუზიარონ სხვებს და არგუმენტირებულად დაიცვან ისინი. მოუსმინონ სხვათა აზრს და შეძლონ მათი გათვლაისწინება და სხვა

ეს უნარები საჭიროა არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლებაში, არამედ, ზოგადად, სკოლაში. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება მოსწავლეების მომზადება სწავლის უფრო მაღალი საფეხურისათვის და კვალიფიციური სამუშაო ადგილებისათვის.

- **მოქმედება და პოლიტიკაში მონაწილეობა** - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში სკოლა მიჩნეულია მიკროსაზოგადოებად, სადაც მოსწავლეები თავიანთი გამოცდილებით სწავლობენ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. კომპეტენციები, რომლებიც სკოლაში გამომუშავდება, მოიცავს:

  _ საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების გაცნობიერებას, საკუთარი ინტერესების გარკვევასა და წინ წამოწევას;

  _ ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობას ამომრჩევლისა და კანდიდატის ფუნქციებით (კლასის წარმომადგენლების არჩევა);

  _ მოლაპარაკებების წარმოებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას;

  _ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედებას ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, ლობირებითა და კოლექტიური აქტივობით;

  _ წესებისა და სანქციების ჩარჩოების არსებობის აუცილებლობის გაცნობიერებასა და სათანადოდ შეფასებას. დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლება და, ზოგადად, სკოლა გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლეებისათვის სწავლის შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით, რათა მათ, აქ მიღებული განათლების გამოყენებით, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების წინსვლაში, რომელსაც ეკუთვნიან

- **პიროვნული და სოციალური კომპეტენციები** - კომპეტენციის ცნება გარკვეულწილად რთულდება, როდესაც ღირებულებებისა და დამოკიდებულებების

განზომილებას ესადაგება. მეორე მხრივ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ართმევს თავს მოსწავლე დავალებას, როგორ იქცევა იგი და, აქედან გამომდინარე, მოქმედებისათვის მზადყოფნა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კომპეტენციად. კომპეტენციის განვითარების ეს განზომილება ესადაგება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლას. იგი მოიცავს შემდეგს:

- საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულობა და თვითშეფასება;
- თანაგრძნობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- კომპრომისზე წასვლის აუცილებლობის გაცნობიერება;
- პასუხისმგებლობა;
- ადამიანის უფლებათა გაცნობიერება, როგორც საერთო ღირებულებებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მშვიდობის, სამართლიანობისა და სოციალური ერთობის შენარჩუნება.

2.3. საგანმანათლებლო პარადიგმები, რომელსაც ეფუძნება განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის

დემოკრატიული მოქალაქეობისთვის მომზადება ახალი ტიპის აღზრდასა და სწავლებას მოითხოვს. ცნობილია, რომ მიდგომები აღზრდასა და სწავლებაში გავლენას აღსაზრდელთა კოგნიტური, სოციალური და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებაზე.

რას გულისხმობს ახალი ტიპის აღზრდა?

აღზრდის სტილის კვლევა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეების 30-იანი წლებიდან დაიწყო. კურტ ლევინმა გამოყო აღზრდის სამი სტილი - ავტორიტარული, დემოკრატიული და ლიბერალური (Lewin 1939).

ურთიერთობის ავტორიტარული სტილი გამოირჩევა მაღალი კონტროლით და მცირე რესპონსიულობით, დამყარებულია მკაცრი წესები, რომელიც შეუვალია. იგი ბავშვისაგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას. ბავშვს აქვს პასიური პოზიცია. აღმზრდელი ცდილობს აღსაზრდელით მანიპულირებას, არ ასწავლის მას საკუთარი ქცევის მართვას, ახოციელებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ამ დროს აღსაზრდელის შესაძლებლობები, პირადი ინიციატივა და შეხედულებები უგულველყოფილია.

ურთიერთობის დემოკრატიული სტილი წარმოადგენს აღსაზრდელზე ცენტრირებულ აღზრდის სტილს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ პოზიციას. აღმზრდელობითი

ქმედება ტრანსფარენტულია/გამჭვირვალეა. აღსაზრდელი მიიჩნევა პარტნიორად, ასაკის ზრდასთან ერთად მან დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა იმოქმედოს. აღმზრდელი ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს, უყალიბებს "ჩვენ" დამოკიდებულებას - ერთობლივი ქმედების სურვილს, აღსაზრდელს ასწავლის საკუთარი ქცევის მართვას, დისციპლინა ხდება თვითრეგულირებადი, თვითმართვადი. მაშასადამე, ამ დროს სუფევს ღია კომუნიკაცია, სადაც ბავშვთა თვალსაზრისი მოსმენილი და გათვალისწინებულია.

ურთიერთობის ლიბერალური სტილი – უფროსები ცდილობენ თანამშრომლობას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას "ბოლო სიტყვა" ბავშვს ეკუთვნის. აღმზრდელები გამოირჩევიან ზედმეტი ტოლერანტობით ბავშვთა საქციელის მიმართ, ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან და ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

მრავალრიცხოვანი კვლევები გვიჩვენებენ აღზრდის სტილის შედეგებს

ავტორიტარულად აღზრდილი ბავშვი:

- არიან კონფორმისტები და ზედმეტად მორჩილები;
- აგრესიულობისკენ არიან მიდრეკლნი;
- ნაკლები სოციალური კომპეტენციით და საკუთარი ღირსების ნაკლები გრძნობით გამოირჩევიან;
- ნაკლებად და/ან არასწორად აქვთ განვითარებული კომუნიკაციური უნარები;
- დამოკიდებულნი არიან სხვებზე, არიან პასიურები და ნაკლებად თვითდაჯერებულნი;
- განიცდიან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომჟღავნების უნარის დეფიციტს;
- ნაკლებად არიან ცოდნას მოწყურებულნი;
- ნაკლებად აქვთ განვითარებული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება;
- ნაკლებ ტოლერანტულინი არიან.

დემოკრატიული/თანამშრომლობითი აღზრდა ბავშვებს ეხმარება :

- ფსიქოსოციალური უნარების განვითარებაში;
- სოციალური და ინტელექტუალური კომპეტენციის განვითარებაში;
- კომუნიკაციური უნარების გამომუშავებაში;
- პასუხისმგებლობისა და თვითდაჯერებულობის გრძნობის განვითარებაში;
- რეალური თვითშეფასების უნარის გამომუშავებაში;

- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომჟღავნების უნარის განვითარებაში;
- ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- ტოლერანტობის უნარის ჩამოყალიბებაში.

ლიბერალური სტილით აღზრდილ ბავშვებს:

- აქვთ ნაკლები პასუხისმგებლობის უნარი;
- არიან მოუწესრიგებლები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თავიანთ საქმიანობაში;
- უჭირთ დროის სწორად დაგეგმვა და განაწილება;
- უჭირთ საკუთარი იმპულსებისა და ემოციების მოთოკვა;
- მართალია, არიან გახსნილები სხვებთან ურთიერთობაში, მაგრამ ხშირად არაადექვატურად იყენებენ კომუნიკაციის საშუალებებს და არასწორად იქცევიან სოციუმში.
- ბავშვს უყალიბდება ადეკვატურზე მეტი დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის გრძნობა.

ზემოთ განხილული აღზრდის სტილები და მათი შედეგები ცხადყოფენ, რომ აღსაზრდელებში დემოკრატიული მოქალაქეობისთვის საჭირო უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ აღზრდის დემოკრატიული სტილით.

რას გულისხმობს ახალი ტიპის სწავლება?

აღზრდისადმი ავტორიტარული მიდგომა მოიაზრებს მასწავლებელზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ეს არის სწავლების სტრატეგია, რომელიც აქცენტს მასწავლებლის როლზე აკეთებს. ეს მეთოდი მრავალფეროვანი ვარიაციების სახით ჩამოყალიბდა, თუმცა, ყველა ამ ვარიანტს აქვს ერთი საერთო:

- სასწავლო პროცესისადმი ავტორიტარული, კერძოდ, ბიჰევიორისტული მიდგომა,
- ვექტორის მიმართება არის ცალმხრივი - მასწავლებლიდან კლასისკენ.
- მასწავლებელი წარმოადგენს მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემის ძირითად წყაროს;
- მოსწავლეები პასიურები არიან და დაბალია მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
- აქცენტი გადატანილია ცოდნის ოდენობაზე და არა იმაზე, რომ მოსწავლეები აღჭურვოს ქმედითი ცოდნით, რაც არ არის საკმარისი აქტიური, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული მოქალაქეების აღსაზრდელად, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებს სჭირდება.
- არ არის გათვალისწინებული სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა;
- ხელს არ უწყობს მოსწავლეებში სოციალური კომპეტენციის განვითარებას;

- ხელს არ უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) განვითარებას.

დემოკრატიული მოქალაქეობისთვის საჭირო უნარების განვითარება კი შესაძლებელია მხოლოდ სწავლებისადმი ისეთი მიდგომით, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს საზოგადოებაში რეალურად ჩართვისათვის; რომლებიც იმავე დოზით გულისხმობს პრაქტიკას, რა დოზითაც ხდება თეორიის მიწოდება,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, რომელიც ეფუძნება რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც უწევთ მოსწავლეებსა და იმ საზოგადოებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, რომელიც ისწავლება როგორც ტრადიციული სასწავლო პროგრამების სახით, ასევე, სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობით.

აქტიური მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს, მნიშვნელოვანია თავიდანვე იყოს აქტიური მოსწავლის როლში, რაც სწავლებისადმი ინტერაქტიური მიდგომით მიიღწევა. <u>ინტერაქტიური სწავლება</u> არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, პირადად მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას - ***კონსტრუქტივიზმს***. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების პროცესში

მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ წახალისებას, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. კონსტრუქტივისტული თეორიის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სასწავლო გეგმებს, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინა ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.

კონსტრუქტივისტული დიდაქტიკის მინიმალური მოთხოვნები, როგორც მაორიენტირებელი ჩარჩო, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო პროცესს, შემდეგია:

- **კონსტრუქტივისტულად აქტიური სწავლა** - სწავლის პროცესში ჩართულმა ყველა პირმა, როგორც მასწავლებელმა, ასევე მოსწავლეებმა კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან უნდა დაინახოს და გაითავისოს სასწავლო მასალა, მისი შინაარსი, სწავლის პროცესი. ეს არის შანსი, მოსწავლეებმა თავად მიიღონ მონაწილეობა საკუთარ ქმედებათა დაგეგმვაში, გატარებასა და კონტროლში. ცოდნის შეძენის სურვილი არ უნდა იყოს განპირობებული მხოლოდ გარეგანი მოტივაციით, არამედ ეს უნდა იყოს აქტიური ცოდნა, რომელსაც მოსწავლე სიტუაციისა და საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად გამოიყენებს. ამიტომ კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში უპირატესობა ენიჭება ე.წ. მონაწილეობით სწავლას, რომელიც საფუძველშივე შეესაბამება ამ მეთოდურ პრინციპებს. მასწავლებლის მხრიდან მხოლოდ ფრონტალურ გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას კრიტიკულად განიხილავს კონსტრუქტივისტული დიდაქტიკა, რადგან მასწავლებელი ამ დროს ერთპიროვნულად დგას წინა პლანზე, მოსწავლეთა ჩართულობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ისინი ამ დროს არიან მხოლოდ ცოდნის პასიური მიმღებნი. თუმცა ფრონტალური ფაზების გონივრული კომბინაცია სწავლების ინტერაქტიური მეთოდების მრავალრიცხოვან სპექტრთან მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ საკუთარი ცოდნის დამოუკიდებლად სტრუქტურირება, ზრდის მათ ჩართულობას, რაც გაკვეთილს უფრო სახალისოსა და შედეგიანს ხდის.
- **თვითრეგულირებადი სწავლა** - კონსტრუქტივისტული დიდაქტიკა მიისწრაფვის ასწავლოს მოსწავლეს დამოუკიდებელი სწავლა, რაც ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამისთვის აუცილებელია მოსწავლე ჩამოყალიბდეს თვითრეგულირებად შემსწავლელად. თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, მოსწავლემ იცოდეს, როგორ გამოიყენოს შეძენილი ცოდნა თუ სასწავლო სტრატეგიები, როგორია მისი სწავლის სტილი, რა არის მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები, როგორ გამოიყენოს ძლიერი მხარეები პრობლემების გადასაჭრელად და როგორ დაძლიოს სისუსტეები. ასეთ მოსწავლეებს კარგად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები და, აქედან გამომდინარე, ფლობენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს.

თვითრეგულირებად მოსწავლეებს მაღალი აქვთ სწავლის მოტივაცია, მათი მიზანია განვითარდნენ, განიმტკიცონ ცოდნა. ისინი მუდმივად ეძებენ ახალ გამოწვევებს და უფრო შეუპოვრები ხდებიან, როცა სიძნელეებს აწყდებიან. სიძნელეების დასაძლევად კი აუცილებელია ნებისყოფისა და თვითდისციპლინის უნარის გამომუშავება. სასწავლო პროცესში მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებში ამ უმნიშვნელოვანესი უნარის განვითარებას.

- **კონტექსტსა და სიტუაციაზე დაფუძნებული სწავლა** - კონსტრუქტივისტული მიდგომის თანახმად, საგაკვეთილო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს სიტუაციებს, რომლებიც მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ამოდის და უნდა განიხილებოდეს კონტექსტში, ე.ი. ეყრდნობოდეს უკვე ნასწავლსა და განხილულს. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია კავშირშია უკვე ნასწავლთან. ამის მიღწევა კი კონსტრუქტივისტ მასწავლებელს შეუძლია თანამედროვე და კლასიკური მეთოდების გონივრული კომბინაციით.

- **მოდელით სწავლა** - სწავლისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა მოიაზრებს მოდელით სწავლას. „მოდელს“, ანუ მისაბაძ პიროვნებას შეიძლება წარმოადგენდეს როგორც რეალური ადამიანი (მასწავლებელი, მშობელი, თანატოლი, საკუთარი თავი და სხვ), ასევე ფილმის, ნაწარმოების და სხვ. გმირები, ანუ ე.წ. „სიმბოლური მოდელები“. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გონივრულად შეარჩიოს მოდელი. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კლასიკური, ფრონტალური მეთოდით მუშაობისას, რათა მისი ეფექტიანობა უზრუნველვყოთ. სასწავლო პროცესში მხოლოდ კლასიკური მეთოდების გამოყენება ნაკლებად ეფექტიანია მოდელით სწავლისათვის. კვლევები გვიჩვენებს, რომ საკმარისი არ არის მასწავლებელი იყოს მხოლოდ მზა ინფორმაციის მიმწოდებელი. ამ დროს მოსწავლეები ვერ აღიქვამენ კონცეფციას და დასაბუთებას, თავს არიდებენ გამოთქვან საკუთარი აზრი, დასვან შეკითხვა, შეაფასონ სხვათა პოზიცია. საგაკვეთილო პროცესში მხოლოდ ან ზედმეტად ხშირად ფრონტალური მეთოდის გამოყენებას მივყევართ პასიური სასწავლო ქმედებისაკენ, რომელიც ვერ წარმოადგენინებს მოსწავლეს საკუთარ და სხვა თანატოლთა ქმედების ეფექტურ მოდელს.

- **ინტერაქტიური სწავლა** - ინტერაქტიური სწავლების დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, პირადად მისი თვისებები და ცოდნა. შესაბამისად, იცვლება სწავლების

მიზანი, იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

.კონსტრუქტივისტული დიდაქტიკის თანახმად სწორედ ინტერაქტიური სწავლა განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. ეფექტიანი ინტერაქტივი ერთის მხრივ მიიღწევა, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობაში საკმაოდ ხშირად მიმართავს მიდგომას: „მე მსურს“ და „მე უნდა“ და იცავს ბალანსს მათ შორის. მეორეს მხრივ, ინტერაქციის დროს მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს განსხვავებული პოზიციები, საკითხი გაანალიზდეს და შეფასდეს სხვადასხვა პოზიციებიდან, რაც მსჯელობისა და დისკუსიის საშუალებას იძლევა. საგაკვეთილო პროცესის დროს ინტერაქტიური მიდგომა შესაძლებელია უზრუნველვყოთ თანამედროვე და კლასიკური მეთოდების ერთობლივი გამოყენებით.

- **ურიერთთანამშრომლობით სწავლა** - კონსტრუქტივისტული დიდაქტიკის თანახმად, სწავლა სოციალური ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება. სასწავლო მასალის შინაარსი და ურთიერთობები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. როგორც სასიამოვნო სასწავლო გარემო, ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ატმოსფერო, ურთიერთნდობა ხელს უწყობს სწავლას, ასევე სასწავლო მასალის შინაარსიც განსაზღვრავს ურთიერთობებს. მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში ვერ უზრუნველყოფს ურთიერთთანამშრომლობით სწავლებას.

3. დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების მეთოდოლოგია

3.1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის ძირითად პრონციპებს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ წარმატებების მიღწევაში და დემოკრატიულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მიზანია პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახოს საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელზეც არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების

დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ნასწავლი მასალა, მათ მიერ დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაცია და პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა უნდა მიუსადაგონ რეალური ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს.

პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აზროვნების ისეთ კომპლექსურ უნარებს, როგორიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. პირველად უნდა მოხდეს პრობლემის განსაზღვრა, გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები; ბოლოს უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა.

მაშასადამე, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

1. **პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა**

• შეკითხვების – რა, სად, როგორ, როდის, ვისთან და რატომ – დასმა, რათა მოკლედ აღიწეროს პრობლემა (ტექსტის, დიაგრამის, ფორმულის, ცხრილის გაგება; სხვადახვა წყაროს ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.);

• პრობლემის დანაწევრება სხვადასხვა შემადგენელ ან დაკავშირებულ პრობლემად;

• პრობლემის პრიორიტეტების მიხედვით დალაგება (იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პრობლემაა წარმოდგენილი).

2. **პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა**

• პრობლემის საწყისი საფეხურის აღწერა, დამასრულებელი საფეხურის აღწერა, დასაშვები პროცედურების აღწერა, შეზღუდვების გამოყოფა;

• პრობლემის წარმოდგენა ხელსაყრელი გზით, მაგ.: ვერბალურად ან/და ვიზუალურად ან წარმოდგენის ახალი ფორმის მოძებნა.

3. **პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება**

• პრობლემის შესატყვისი ინფორმაციის ამორჩევა;

• პრობლემის გადაქცევა ამოცანად. იმის გამიჯვნა, თუ რა არის

ცნობილი და რა არის საძიებელი;

• გამოცდილებაზე დაყრდნობით ამოცანის ტიპზე წარმოდგენის შექმნა და, შესაბამისად, საძიებელი არეალის შეზღუდვა;

• ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება.

4. **შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება**

• იდეების თავისუფლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოჩენა;

• მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორიგინალური

იდეის, მოულოდნელი და არასტერეოტიპული ანალოგიის და ასოციაციის წარმოდგენა.

5. **პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა**

• პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან;

• თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის განსაზღვრა;

• უფრო რეალური და მისაღები სტრატეგიის შერჩევა (რესურსები, დრო და ა.შ.);

• შერჩეული სტრატეგიის დამაჯერებლობის დასაბუთება.

6. **შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება**

• პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება (თითოეული

საფეხურის განსაზღვრა თავისი რესურსებით და დროის განრიგით);

• პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების

ინდიკატორების განსაზღვრა;

• მოქმედების გეგმის სხვებისათვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა.

7. **შედეგების შემოწმება და შეფასება**

• წარმატების ინდიკატორების შემოწმება (განხორციელდა თუ არა გეგმის მიხედვით; რამდენად რეალური იყო გეგმა; რამდენად საკმარისი იყო რესურსები და სხვ.);

• ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შეფასება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს:

- მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილი პრობლემის გამკლავება - იგი არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს, მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს – თვითშეფასება არის მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევა, რაც მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავალაში.
- მასწავლებელი ქმნის ღია და მხარდამჭერ გარემოს, იგი გამოდის თანამშრომლის, ”ფასილიტატორის” როლში, რაც მოსწავლეს ეხმარება პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და გახდეს აქტიური შემმეცნებელი.
- მოსწავლე ახდენს ცოდნის სისტემატიზაციას და სკოლაში მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირებას.

- სწავლა მოსწავლისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო, რაც ზრდის მათში შინაგან მოტივაციას;
- მოსწავლეებს უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები;
- მოსწავლეებს უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

როგორ უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა პრობლემური ტიპის ამოცანები?

პრობლემური ტიპის ამოცანები შესაძლოა ეხებოდეს სიტუაციებს,
სადაც საჭიროა:

1. არჩევანის გაკეთება;
2. გადაწყვეტილების მიღება;
3. შედარება-შეპირისპირება;
4. დაკავშირება-კანონზომიერების აღმოჩენა;
5. შეუთავსებლობის აღმოფხვრა;
6. ობიექტებზე შეხედულების შეცვლა;
7. ექსპერიმენტის, ცდის ჩატარება;
8. კვლევა-ძიება;
9. შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება /გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება და სხვა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა, რომლის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა დაფუძნებულია ჰუმანუიზმის პრონციპებზე, სწავლებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე და პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლაზე, შეუძლია დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს, რათა მათ ადრეული ასაკიდან გამოუმუშვდეთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის აუცილებელი ძირითადი უნარები, როგორიცაა:

- საკუთრი ინტერესებსა და შეხედულებების გაცნობიერება და გაბედულად და საკუთარ თავში დარწმუნებით მათი გამოხატავა.
- საკუთარი უფლებების დაცვა და, ამავდროულად, ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდონ სხვა ადამიანებსა და იმ საზოგადოებას, სადაც მათ უწევთ ცხოვრება და საქმიანობა;

- ერთმანეთის მიმართ ურთიერთპატივისცემა - მოსმენა, თანაგრძნობის გამოხატვა და ერთმანეთის აზრის გაზიარება;
- კონფლიქტის პრევენცია და მისი არაძალადობრივი საშუალებებით მოაგვარება მოლაპარაკებებითა და დათმობაზე წასვლის საშუალებით.
- სათანადოდ დააფასონ იმ ინსტიტუციური ჩარჩოების ფუნქცია, რომელიც იცავს და, ამავდროულად, ზღუდავს მათ ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს.
- სათანადოდ დააფასონ პოლიტიკა, როგორც პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართულ პრაქტიკულ ძალისხმევას, რომელიც ყურადღებასა და გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.
- მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლების არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცესებში.
- პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ გადაწყვეტილებებსა და არჩევანზე და სხვა

3.2. რომელ სტრატეგიებს გვთავაზობენ დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისთვის?

დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისთვის არაერთი სტრატეგიაა შემუშავებული, აპრობირებული და შემოთავაზებული (რ. გოლობი და სხვები 2009, 2013; რ. გოლობი, პ. კრაფი 2012).

წინამდებარე საკითხავ მასალაში ჩვენ განვიხილავთ პროექტებით სწავლებას, ქეისებით სწავლებასა და როლურ თამაშს, როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებაში აპრობირებულ სტრატეგიებს, მოვიყვანთ აღნიშნული სტრატეგიების გამოყენებით დაგეგმილ სასწავლო აქტივობებსა და მასწავლებლის რეფლექსიას განხორციელებულ აქტივობაზე.

პროექტებით სწავლება

პროექტებით სწავლება არის კონკრეტული სასწავლო პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო. პროექტებით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

სხვადასხვა პედაგოგიურ ლიტერატურაში პროექტებით სწავლება შესაძლებელია მოხსენიებული იყოს შემდეგი სინონიმებით - პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პროექტული მუშაობა, პროექტგაკვეთილი და სხვ.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს სასწავლო პროცესში პროექტული სწავლების გამოყენება დაეხმარება. პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. პროექტებით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უვითარდებათ 21-ე საუკუნის ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: პრობლემის იდენტიფიცირების, მიზნის დასახვის, დაგეგმვის, რეფლექსიისა და თვითანალიზის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების, კვლევის, შემოქმედებითი საქმიანობის, თანაშრომლობისა და სხვა.

21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები

- **სწავლის და ინოვაციის უნარ-ჩვევები**

➢ **შემოქმედებითობა და გამომგონებლობა**

- ორიგინალურობის და გამომგონებლობის დემონსტრირება მუშაობის პროცესში;
- ახალი იდეების განვითარება, განხორციელება და გაზიარება;
- გახსნილობა და მზაობა ახალი და მრავალფეროვანი პერსპექტივებისთვის;
- შემოქმედებითი იდეების პრაქტიკული გამოცდა, იმ კონკრეტულ სფეროში ეფექტური და რეალური წვლილის შესატანად, სადაც ინოვაცია ხორციელდება.

➢ **კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა**

- საღი/ ჯანსაღი მსჯელობა და აღქმა;
- რთული არჩევანის გაკეთება და გადაწყვეტილებების მიღება;
- სხვადასხვა სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გააზრება;
- მიზნობრივი კითხვების ფორმულირება და დასმა სხვადასხვა მოსაზრებების გაცნობისა და უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ინფორმაციის კლასიფიკაცია, ანალიზი და შერწყმა პრობლემების გადაჭრის და კითხვებზე პასუხების გასაცემად.

➢ **კომუნიკაცია და თანამშრომლობა**

- იდეების და აზრების ნათლად და ეფექტურად არტიკულირება წერითი და სიტყვიერი ფორმით;

- სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობის უნარის დემონსტრირება;

- კომპრომისის დაშვებისათვის მოქნილობის და მზადყოფნის დემონსტრირება საერთო მიზნების მისაღწევად;

- პასუხისმგებლობების გაზიარება გუნდის სხვა წევრებთან ეფექტური მუშაობისათვის.

- **საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები**

➢ **საინფორმაციო წიგნიერება**

- ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვება, კრიტიკული და კომპეტენტური შეფასება, და ბოლოს, ინფორმაციის, ზუსტად და შემოქმედებითად გამოყენება მოცემულ საკითხთან, თუ პრობლემასთან მიმართებაში;

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამოყენების ეთიკური/იურიდიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა.

➢ **მედიაწიგნიერება**

- მედია მესიჯების შექმნის, მიზნობრიობის, გამოყენებული ინსტრუმენტების, მახასიათებლების და კონვენციების ცოდნა;

- ინდივიდუალურ დონეზე მესიჯების ინტერპრეტაციას/გაგებას შორის განსხვავებების, მედია გზავნილებში ღირებულებებისა და მოსაზრებების გათვალისწინების ან უგულვებელყოფის და რწმენაზე თუ ქცევით ფორმებზე მედიის გავლენის საკითხების შესწავლა და ანალიზი.

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამოყენების ეთიკური/იურიდიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა

➢ **ისტ(ინფორმაცია, კომუნიკაციები და ტექნოლოგია) წიგნიერება**

-ციფრული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის ინსტრუმენტების და/ან ქსელების შესაბამისი ხელმისაწვდომობა, მართვა, ინტეგრაცია, შეფასება და ინფორმაციის გენერირება ცოდნის ეკონომიკაში ფუნქციონირების მიზნით;

-ტექნოლოგიის გამოყენება ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასების და კომუნიკაციისათვის. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამოყენების ეთიკური/იურიდიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა.

- **სასიცოცხლო და კარიერული უნარ-ჩვევები**

➢ **მოქნილობა და ადაპტაცია**

- სხვდასხვა როლებსა და პასუხიმგებლობებთან ადაპტაცია;

- გაურკვეველ სიტუაციებში და ცვლადი პრიორიტეტების გარემოში ეფექტურად მუშაობა.

➢ **ინიციატივა და დამოუკიდებელი მუშაობა**

- ინდივიდუალური სწავლის საჭიროებების და ცოდნის მონიტორინგი;

- უნარ-ჩვევების განსაზღვრული დონის და/ან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ჩარჩოს მიღმა სამუშაოს ჩატარება, ცოდნის და კომპეტენტურობის ამაღლების მიზნით;

- უნარ-ჩვევების პროფესიულ დონეზე დახვეწის ინიცირება;

- დავალებების განსაზღვრა, პრიორიტეტების მინიჭება და შესრულება პირდაპირი ზედამხედველობის გარეშე;

- დროის და სამუშაო დატვირთვის ეფექტური განკარგვა;;

- უწყვეტი განათლებისთვის მზაობის დემონსტრირება.

➢ **სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევები**

- სხვებთან ადეკვატურად და პროდუქტიულად თანამშრომლობა;

- მოსაზრებების და გადაწყვეტილებების საჭიროებისამებრ დაბალანსება სხვდასხვა ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობისას;

- კულტურული განსხვავებების გათვალისწინება და სხვადასხვა პერსპექტივების გამოყენება შემოქმედობითობის და მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

➢ **პროდუქტიულობა და ანგარიშვალდებულება**

- მაღალი სტანდარტების და მიზნების განსაზღვრა ხარისხიანი და დროული სამუშაო შედეგების უზრუნველსაყოფად;

- გულმოდგინების და პოზიტიური სამუშაო ეთიკის დემონსტრირება (მაგალითად, პუნქტუალობა და სანდოობა).

➢ **ლიდეროზა და პასუხიმგებლობა**

- ინტერპერსონალური და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამოყენება ჩართული მხარეების მიერ მიზნების მისაღწევად;

- ჩართული მხარების ძლიერი თვისებების/უნარების გამოყენება საერთო მიზნის მისაღწევად;

- ერთიანობის და ეთიკური ქცევის დემონსტრირება;
- ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სხვადასხვა ქმედებისას.

მასალა აღებულია ინტერლის@სასწავლო პროგრამიდან. ყველა უფლება დაცულია © ინტელის კორპორაცია, 2009 წელი.

რა სფეროებს შეიძლება მოიცავდეს პროექტული სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მონაწილეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას, ასევე პროექტმეთოდში დიდი როლი ენიჭება მონაწილეთა ინტერესებს, მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებს. პროექტის თემა უნდა იყოს აქტუალური და იგი შესაძლებელია:

- ეხებოდეს საკითხს, თემას, პრობლემას, რომლის გადაჭრა ერთი სასკოლო დისციპლინით შემოიფარგლება, ასევე საგანთაშორისი ცოდნის გამთლიანებას ემსახურება და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსასზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ასეთი ტიპის პროექტებს **სასწავლო პროექტებს ვუწოდებთ.**
- სკოლაში მოსწავლეები არა მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს სწავლობენ, არამედ სკოლა ზრუნავს მათ აღზრდასა და მორალურ განვითარებაზე. ამასთანავე, მიიჩნევა, რომ სხვაზე პასუხისმგებლობის აღება, სხვებზე ზრუნვა ბავშვებს ეხმარება საკუთარი თავის, როგორც ღირებულის აღქმაში და უქმნის პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობას, რაც მოზარდთა რისკიანი ქცევების პრევენციის ერთ - ერთ საშუალებად ითვლება.

მაშასადამე, საპროექტო თემა შესაძლებელია სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და პროექტის თემის არჩევა განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით. ასეთი ტიპის პროექტებს კი **სოციალურ პროექტებს** ვუწოდებთ.

მაშასადამე, **სოციალურია პროექტი,** რომელიც მიმართულია სოციალური გარემოს გაუმჯობესების, კონკრეტულ სოციუმში რეალური სოციალური საჭიროების შესწავლისა და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისკენ, არსებულ პრობლემათა პრევენციისა თუ მინიმიზაციისკენ, რისი საბოლოო მიზანიც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაა. სოციალურ საჭიროებად/პრობლემად შეგვიძლია მივიჩნიოთ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობა არსებულ და სასურველ სიტუაციას შორის.

პროექტული მუშაობის დროს, განსაკუთრებით კი სოციალური პროექტების შემთხვევაში, ჩვენ ვცდებით საკლასო ოთახის, სკოლის ფარგლებს. იგი გულისხმობს მშობლების, თემის, სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას მუშაობის პროცესში.

პროექტგებით სწავლება წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებლები, მოსწავლეები და პროექტში ჩართული სხვა პირები ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ.

პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან.

პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის *(როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის)* კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტული სწავლება მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია როგორც სასწავლო პარტნიორმა.

პროექტული სწავლების დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტული სწავლება გამოირჩევა შემდეგი ტიპური ნიშნებით:

- პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტში მონაწილეთაგან - როგორც მასწავლებლისგან, ასევე მოსწავლეთაგან და პროექტში ჩართული სხვა პირებისაგან;
- პროექტში მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთად ავითარებენ პროექტის ინიციატივას, რათა საქმიანობა იყოს გააზრებული და რაციონალური;
- თანხმდებიან მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე;
- თავად შემოსაზღვრავენ დროით ჩარჩოს და ამ დროს ანაწილებენ სხვადასხვა აქტივობებზე;
- თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე - შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს;
- მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევენ ორივეს, ორივეს კრიტიკულად აფასებენ და ავითარებენ;

- მოსწავლეებს უვითარდებათ თვითორგანიზაციისა თვითპასუხისმგებლობის გრძნობა;
- აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას;
- გრძნობენ მუშაობის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, დაძაბულობასა და კონფლიქტებს და ცდილობენ მათ გადაჭრას;
- მზად არიან სხვადასხვა სიტუაციაში ერთმანეთის დახმარებისთვის, მაშინაც კი, როცა მათი ინდივიდუალური ინტერესი არ არის წინა პლანზე;
- საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და საგნებთან;
- მსჯელობენ ისეთ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც თავად აწყდებიან, ეძებენ მათი გადაჭრის გზებს;
- თავად გეგმავენ და აწარმოებენ კვლევის პროცესს;
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის პროდუქტს;
- ხშირად მათთვის გამოსაყენებელ პროდუქტს იღებენ.

რას უნდა ითვალისწინებს მასწავლებელი პროექტული სწავლების დაგეგმვისას?

პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- პროექტების თემის შერჩევაში, დაგეგმვაში და პრობლემის მართვაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა. მოსწავლე და პროექტში ჩართული სხვა პირები არ უნდა იყვნენ მხოლოდ შემსრულებლის და მითუმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში;
- პროექტში მონაწილეთათვის გადასაჭრელი პრობლემა იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- პროექტი დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის;
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

პროექტგაკვეთილების ხანგრძლივობა და მოცულობა

პროექტები იყოფა მცირე, საშუალო და დიდ პროექტებად.

მცირე პროექტების ხანგრძლივობა ორიდან ექვს საათამდე გრძელდება და ხშირად მხოლოდ ორი ან სამი კომპონენტისგან შედგება. **საშუალო პროექტების** ხანგრძლივობა უნდა იყოს საშუალოდ ერთი კვირა ან ორმოცი საათი, რომელიც შესაძლოა გადანაწილდეს ერთ სემესტრზეც. **დიდი პროექტების** ხანგრძლივობა შესაძლებელია რამდენიმე წელი გრძელდებოდეს და მასში მონაწილეობდეს რამდენიმე ჯგუფი ან ინსტიტუცია.

ყოველივე ზემოთთქმულისგან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტებით სწავლება გამოირჩევა:

- სიტუაციის ფლობით, ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირით და აქედან გამომდინარე პრაქტიკული გამოცდილებით;
- ინტერესთა კავშირით, სადაც ინტერესი შეიძლება პროექტზე მუშაობის პერიოდში წარმოიშვას;
- მიზანმიმართული დაგეგმვით;
- ტემპით და მონაწილეთა ქსელური კავშირით (ინფორმაციის გადაცემა ელექტრონული გზით);
- ინტერდისციპლინარობით (საგანთა მომცველი პროექტები);
- საზოგადოებრივი მნიშვნელობით;
- მთლიანობით (პროექტი მოიაზრება, როგორც მთლიანი. ეს ნიშნავს, რომ იგი ფასდება არა მარტო როგორც პროდუქტი, არამედ როგორც ერთიანი სამუშაო პროცესი);
- გაკვეთილის დემოკრატიული წარმართვით;
- სკოლისგარეშე საწავლო დაწესებულების ჩართვით.

პროექტებზე წარმატებით მუშაობისთვის აუცილებელია:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;

- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;

- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას გამოადგება პროექტის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის, სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების,

თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;

- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც საზოგადოების წინაშე წარსადგენად.

3.3. სიმულაცია, ანუ როლური თამაში

სიმულაცია გულისხმობს ისეთი ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომლებიც რეალობის მსგავსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით კი როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან, მათ საშუალება აქვთ, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

განასხვავებენ როლური თამაშის ორ ძირითად ტიპს:

·თავისუფლად ასოცირებული და სპონტანური როლური თამაშები, რომლებსაც თამაშის მონაწილეები თამაშის დროს ფანტაზიით ქმნიან და უმეტეს შემთხვევაში, ცვალებადი სცენარებით თამაშობენ.

·რეგლამენტირებული როლური თამაში, რომელშიც მოთამაშეები მყარი ”თამაშის წესს” და სცენარს მისდევენ და თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ. ფართო გაგებით, მას მიეკუთვნება თამაშის ყველა ტიპი, რომელსაც მყარი წესების მიხედვით თამაშობენ.

როლური თამაშის მიზანია:

·სხვა ადამიანის როლის თამაშით მოსწავლეებმა ერთსა და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერსა და მაღალ სააზროვნო უნარებს განუვითარებს;

·ემპათიის/თანაგანცდის უნარის განვითარება.

გასათამაშებელი როლი ზოგჯერ მეტად განსხვავებულია პიროვნების ხასიათისაგან, ზოგჯერ კი ძალიან ჰგავს მას. როლების გაცვლით შესაძლებელი ხდება, მოსწავლეები ჯგუფის იმ წევრების გრძნობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რომელთა ხასიათი შეესაბამება გათამაშებულ როლს. ეს კი მათ უვითარებს ემპათიის გრძნობას.

სწავლების პროცესში როლური თამაშის გამოყენებას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური (ემოციური) და ფსიქო-მოტორული მიზანი. მისი გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

·თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირებას;

·ინფორმაციისა და გამოცდილებების როლური გათამაშებით გადმოცემას;

·შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

·ტოლერანტობისა და ემპათიის გრძნობის გამომუშავებას;

·კომუნიკაციური უნარების განვითარებას;

·შესაძლო პერსპექტივების წარმოსახვას;

·თვითრეფლექსიას;

·თვითრეალიზებას;

·ქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავებას;

·სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას;

·განსაზღვრული/მოცემული ქმედებების იმიტაციას და დახვეწას.

როლური თამაში სამი ფაზისაგან შედგება:

·მომზადება;

·გათამაშება;

·განხილვა.

მომზადება

როლური თამაშისთვის წინასწარ უნდა მოემზადონ როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები.

•მასწავლებელი განსაზღვრავს მიზანს;

•იგი ირჩევს როლურ თამაშს და ადგენს სცენარს, როდესაც საქმე გვაქვს რეგლამენტირებულ როლურ თამაშთან, ან სცენარის მონახაზს, სპონტანური როლური თამაშისას. როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს;

•მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას, სასურველია _ წერილობით. ინსტრუქცია დეტალურად უნდა აღწერდეს თამაშის მიზანს, შესრულების დროს, შესასრულებელ როლს, თამაშის წესს. იგი უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, გასაგებად ფორმულირებული და კონკრეტული;

·მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმებს;

·თუ მასწავლებელს სურს, მოსწავლეებს დაკვირვების და ობიექტური შეფასების უნარები განუვითაროს, სასურველია, ჯგუფის წევრებს შორის გამოყოს დამკვირვებლები, რომლებიც შეაფასებენ როლურ თამაშში მონაწილეებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

გათამაშება

შემდეგი ეტაპი უშუალოდ თამაშის მსვლელობაა.

·მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშების შედეგი პირდაპირ უკავშირდება ჯგუფის წევრების პროცესში ჩართულობასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას. ამიტომ, ჯგუფის პასიური წევრები უნდა წავახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ პროცესში.

განხილვა

·როლური თამაშების დასრულების შემდეგ მონაწილეები ასრულებენ მოქმედებას და გამოდიან როლიდან; ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ ისწავლეს და გამოხატავენ ემოციებს, თუ რას გრძნობენ, რა იყო პოზიტიური და ნეგატიური მუშაობის პროცესში. განხილვა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ შინაარსსა და პროცესს და არა მონაწილეებს.

·ამის შემდეგ დამკვირვებლები გამოთქვამენ კომენტარებს ჯგუფის

მუშაობასთან დაკავშირებით;

·ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს შედეგებს.

იმისათვის, რომ როლური თამაში იყოს ეფექტიანი, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს როლური თამაშის სამივე ფაზა.

როგორც ყველა მეთოდს, როლურ თამაშსაც აქვს თავისი დადებითი ეფექტები და სირთულეები.

სასწავლო პროცესში როლური თამაშების გამოყენების დადებითი ეფექტებია:

·მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება თამაშში;

·ამჟღავნებს ინტერესსა და ენთუზიაზმს;

·მაშინვე იღებს უკუკავშირს.

როლურ თამაშს ახლავს შემდეგი სირთულეები:

·როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენებამდე მასწავლებელმა ისეთი შემოქმედებითი აქტივობები უნდა დაგეგმოს, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ უნარების განვითარებას (მაგ., დაასრულე მოთხრობა, შეცვალე მოთხრობის ფინალი, დაწერე ესსე, შექმენი სცენარი და სხვ.).

·როლურმა თამაშმა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებული დისტანცია შეიძლება ზედმეტად დაარღვიოს, რაც მასწავლებელს შემდგომში კლასის მართვაში შეუშლის ხელს. ამ

სირთულის დასაძლევად მასწავლებელი თანმიმდევრული უნდა იყოს როლური თამაშის წესების დაცვაში და მოსწავლეებსაც უნდა მოსთხოვოს მათი დაცვა.

·მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა, დისკომფორტს გრძნობენ როლური თამაშისას. ამის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა უნდა "გახსნას" ასეთი მოსწავლე. ამისათვის ნაკლებად უნდა გამოიყენოს კრიტიკა და წაახალისოს მცირედი მცდელობისთვისაც კი.

·ჯგუფის ზოგიერთ წევრს უჭირს როლიდან გამოსვლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი გაუგებრობა და ნეგატიური ურთიერთგანწყობა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს როლიდან გამოსვლაში (მაგ., სისტემატურად უნდა შეახსენოს მათ, რომ ეს თამაშია და არა რეალობა).

·როლური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან. როდესაც მასწავლებელს დიდ ჯგუფებთან უწევს მუშაობა, სჯობს, მოსწავლეთა ნაწილი დამკვირვებლის როლში ჩააყენოს.

3.4. შემთხვევის ანალიზი

შემთხვევის ანალიზი როლურ და სიმულაციურ თამაშებთან ერთად მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიურ მეთოდთა რიცხვს, რომელიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისაკენ ორიენტირებული ქცევისადმი განაწყობს. მისი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგება წარმატებების მიღწევაში.

შემთხვევის ანალიზი, როგორც სწავლების მეთოდი, პირველად ჰარვარდის სამართლის სკოლაში იქნა გამოყენებული. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ტრადიციული, ლექციური მეთოდის გვერდით ალტერნატიული მეთოდის დანერგვა დაიწყეს, რომელიც ორიენტირებული იყო პრაქტიკულ/რეალურ შემთხვევათა დისკუსიებზე, რეალური სიტუაციების ანალიზზე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. მეთოდის გამოყენების ინტენსივობა სულ უფრო იზრდებოდა და დროთა განმავლობაში შემთხვევის ანალიზი ჩამოყალიბდა როგორც სწავლების დამოუკიდებელი კონცეფცია. ხშირად სპეციალურ ლიტერატურაში შემთხვევის ანალიზი მოხსენიებულია როგორც ჰარვარდის მეთოდი.

ამჟამად აღნიშნული მეთოდის გამოყენება ინტენსიურად ხდება სტუდენტთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებში, თუმცა დასავლეთში ბოლო დროს მისი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც აქტიურად დაიწყო.

მეთოდის ძირითადი სტრუქტურა

შემთხვევის ანალიზის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები, შესაბამისად, მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს ეძიონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან. წესისამებრ, შემთხვევების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც „საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეთავაზებათა წინადადებებს შეიმუშავებენ და მათ აუდიტორიის წინაშე წარადგენენ. მოსწავლეები ამ დროს სწავლობენ ინფორმაციის შეგროვებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა - ტაბულები, დიაგრამები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

მეთოდის ეფექტიანობა

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი - შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მომდინარებს და მათზე მუშაობა სტუდენტს/მოსწავლეს საშუალებას აძლევს მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება მოახდინოს რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილი პრობლემის გამკლავება - იგი არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს, მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ადარებს რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავალაში. შემთხვევის ანალიზით სწავლა მოსწავლისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო, რაც ზრდის მათში შინაგან მოტივაციას და ინტერესს შესასწავლი საგნისადმი.

მეთოდის სხვადასხვა ვარიანტები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემთხვევის ანალიზის რამდენიმე ინტერპრეტირებული ვარიანტი არსებობს:

1. **Case-Stady მეთოდი** - მეთოდის ამ ვარიანტში შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა, რა კონკრეტულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს, იგი ფარულად არის სიტუაციაში ჩადებული. შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი პირველ რიგში კეთდება პრობლემის იდენტიფიცირებაზე, ასევე ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.

2. **Case-Problem მეთოდი** - ამ ვარიანტში პრობლემა უკვე გარკვევით არის დასმული, ასე რომ, სტუდენტების/მოსწავლეების მთელი ძალისხმევა მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავებისკენ, მართებულობის დასაბუთებისკენ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებისკენ.

3. **Case-Incident მეთოდი** - ამ ვარიანტის შემთხვევაში მოსწავლეთა მუშაობის ცენტრში დგება ინფორმაციის მოძიება, რადგან წარმოდგენილი შემთხვევა არის არასრული და არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, ანალიზისთვის და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო ყველა ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიცნონ რა ინფორმაციის დეფიციტია და მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია. ამ ვარიანტზე მუშაობა მოსწავლეებისაგან მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს, თუმცა იგი განიხილება პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომი, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან.

4. **Stated-Problem მეთოდი** - ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაში უკვე მოცემულია პრობლემების გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ პრობლემის გადაჭრის თითოეული გზა, გამოყონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, კრიტიკულად შეაფასონ არსებული ხედვები, ეძებონ, იპოვნონ და დაასაბუთონ მათეული გადაჭრის გზა.

მეთოდის ვარიანტები	**პრობლემა**	**ინფორმაცია**	**პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილება**	**გადაწყვეტილების კრიტიკა**
Case-Stady	**ძირითადი მიზანი:** ლატენტურად/შეფარუ	საჭირო ინფორმაცია	მოცემული ინფორმაციის დახმარებით	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის

	ლად მოცემული პრობლემების აღმოჩენა და გაანალიზება	მოცემულია	განისაზღვრება პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები და მიიღება გადაწყვეტილებები	გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Problem	სიტუაციაში პრობლემები პირდაპირ არის დასახელებული	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	**ძირითადი მიზანი:** სიტუაციაში აღწერილი პრობლემების დახმარებით გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება, მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილებების მიღება	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Incident	შემთხვევა არასრულყოფილად არის წარმოდგენილი	**ძირითადი მიზანი:** საჭირო დამატებითი ინფორმაციის ამოცნობა და მოძიება		
Stated-Problem მეთოდი	პრობლემები მოცემულია	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება მოცემულია. ხდება დამატებითი ალტერნატივების ძიება.	**ძირითადი მიზანი:** წინასწარ მოცემული გადაჭრის გზების კრიტიკა

შემთხვევის ანალიზის ზემოთ მოყვანილი ვარიანტები ამოღებულია წიგნიდან: Kaiser, F. J. Entscheidungstraining. Die Methoden der Entscheidungsfindung. Bad Heilbrunn 1976)

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ფაზები

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ექვსი ფაზა გამოიყოფა, რომელთა თანმიმდევრობა, თითოეული ფაზის დროს განსახორციელებული აქტივობა და მიზანი ქვემოთმოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი ადაპტირებულია წყაროებიდან:

Kaiser (Hrsg.): Die Fallstudie. Theorie und Praxis der Fallstudiendidaktik (Forschen und Lernen, Bd. 6) Bad Heilbrunn 1983

Hoffmann, B.; Langefeld, U.: Methoden-Mix, 1998

ფაზები	კონკრეტული ქმედება/აქტივობა	მიზანი
კონფრონტაცია შემთხვევასთან	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეები ჩაწვდნენ აღწერილ სიტუაციას და მასში მიღებულ გადაწყვეტილებას
მუშაობა ინფორმაციაზე	სიტუაციის გაანალიზება და/ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება	მოსწავლეები აკეთებენ მოცემული ინფორმაციის ანალიზსა და შეფასებას და მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას პრობლემის უკეთ გადაწყვეტის მიზნით.
დისკუსია ჯგუფის შიგნით	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება, თავის მოყრა და თითოეული მათგანის ძლიერ, სუსტ მხარეებზე და შედეგებზე მსჯელობა	მოსწავლეებს უვითარდებათ დივერგენტული აზროვნება
შეთანხმება ჯგუფის შიგნით	ჯგუფში დისკუსიის შემდეგ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა.	მოსწავლეებს უვითარდებათ კამათისა და შეფასების უნარი
დისპუტი მთელი კლასის მონაწილეობით	ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილების კლასისთვის გაცნობა, მიღებული გადაწყვეტილების	მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირებულად

	მართებულობის დასაბუთება და ხელახალი დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით.	დასაბუთების უნარი
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედარება შემთხვევაში მოცემულ/რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან და რეკომენდაციების შემუშავება.	მოსწავლეებში რეფლექსიისა და ტრანსფერის უნარის განვითარება

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გამოხატავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტიპიურ მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება როგორც გამორჩეულად სწრაფად, ასევე გამორჩეულად ნელა მიმდინარეობდეს, ან საერთოდ იქნას გამოტოვებულ მეთოდის ზემოთ განხილული სხვადასხვა ვარიანტის შემთხვევაში.

3.5. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება

მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევები ადასტურებენ, რომ მოსწავლეთა და ზოგადად სკოლის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა და, ზოგადად თემის ჩართულობაზე. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მასშტაბიანი საერთაშორისო კვლევის შედეგები, როგორიც არის PISA. კვლევათა შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ მშობელთა ჩართულობის გარეშე თითქმის შეუძლებელია სკოლებში განათლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლება. სკოლამ და ოჯახმა ერთობლივად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა სასწავლო პროცესის ხარისხზე, სკოლაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე, მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

მშობელი სასკოლო თემის ყველაზე აქტიური წევრი შეიძლება გახდეს, ხოლო მისი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში დადებითად მოქმედებს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლამ შეიძლება შეცვალოს მოსწავლის მომავალი, თუ საზოგადოებასთან გააძლიერებს სოციალურ კავშირებს.

ოჯახების, სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა მრავალი გზითაა შესაძლებელი. შემოქმედი მასწავლებლისთვის საზოგადოება და ოჯახი შეიძლება გახდეს ექსპერტიზისა და რესურსების წყარო, მშობელი შეიძლება დაინტერესებულიც იყოს დაეხმაროს სკოლას როგორც

ფინასებით, ასევე მოხალისეობრივად. სათემო ორგანიზაციებთან, ცალკეულ ოჯახებთან, ადგილობრივ ბიზნეს ორგანიზაციებთან და კორპორაციებთან თანამშრომლობით სკოლა იქნება საზოგადოების სამსახურში, ხოლო საზოგადოება მოემსახურება სკოლას. სკოლაცა და საზოგადოებაც ორმხრივ სარგებელს მიიღებენ და, რაც მთავარია სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში იმ კომპეტენციების განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვანია დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქისთვის.

ახლა შევეცდებით წარმოგიდგინოთ რამდენიმე მოსაზრება სკოლისა და ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობის შესახებ.

ამგავრი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა პირველი სკოლები საქართველოში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების თაოსნობით. საზოგადოება აფინანსებდა ქართულ სკოლას და ამასთან ერთად მოსწავლეებს უზრუნველყოფდა საცხოვრებელი ბინითაც.

იმ დროს საქართველოში გამოცემულ გაზეთ ,,დროებაში“ ილია წერდა:

„ტფილისის თავად–აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრაასი თუმანი ჰქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებისათვის. ასი თუმანი შესწირეს გავშვებისათვის სადგურის გასამართავად... ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი – თელავის ქალების სასწავლებელს და ექვსასი თუმანი – ტფილისის თავად–აზნაურთა სკოლას.“

როგორ უნდა დაუკავშირდეს სკოლას საზოგადოება? ცხადია პირველი ნაბიჯი ოჯახისა და თემის ჩართულობა უნდა იყოს.

ოჯახის ჩართულობის პროგრამები

მშობელთა კრებაზე მშობლების მოწვევა და შვილების აკადემიურ მიღწევებზე მათი ინფორმირება ოჯახის ჩართულობად ვერ ჩაითვლება. ოჯახის ჩართულობის მხარდაჭერის მიზნით მნიშვნელოვანია, სკოლებში შემუშავდეს და განხორციელდეს მშობელთა ჩართულობის პროგრამები. ოჯახის ჩართულობის პროგრამები ეფექტური გზაა სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

ოჯახის ჩართულობის პროგრამებს შეიძლება საგანამანათლებლო ხასიათი ჰქონდეს, მაგალითად, სკოლაში ტარდებოდეს მშობელთა და მოსწავლეთა ერთობლივი მეცადინეობები, სკოლის ბიბლიოთეკაში, სასკოლო კაფეში ან ჩვეულებრივი სასწავლო სივრცისგან განსხვავებულ გარემოში.

ასეთი პროგრამები უნდა შეიმუშავონ სკოლის მასწავლებლებმა, ადმინისტრაციამ. შეიძლება პროგრამებში მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მშობლებსა და ბავშვებს შესთავაზებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებს,

ლექციების ციკლს. ამგვარი საგანმანათლებლო საქმიანობები შეიძლება შეეხებოდეს ბავშვთა შრომას, ნაადრევ ქორწინებას, დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობებს და სხვა

თუ სკოლის მიზანი ბუნებისმეტყველების სწავლების გაუმჯობესებაა, ამ საქმეში მშობლების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. სკოლამ შეიძლება დაგეგმოს ისეთი საღამოები, სადაც მოსწავლეები და მშობლები ერთად გამოიკვლევენ საბუნებისმეტყველო საკითხებს.

დაკვირვება, გაზომვა, ვარაუდები, ექსპერიმენტები, მონაცემების მოგროვება და ინტერპრეტაცია, კლასიფიკაცია და ა.შ. ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდება. ბავშვებიც დაინახავენ, მშობლებს როგორ უხარიათ საბუნებისმეტყველო საკითხების კვლევა, მშობლები ამასთან ერთად საკუთარი ქცევით ეუბნებიან შვილებს, რომ სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესია. გარწმუნებთ, ასე შეიცვლება როგორც მშობლების, ასევე შვილების დამოკიდებულება ბუნებისმეტყველების მიმართ. მშობელი შეიძლება სკოლის აქტიური მხარდამჭერი გახდეს.

თემის ჩართულობა

თემის დამოკიდებულება გავლენას ახდენს სკოლაზე. თემის აქტიურ წევრებს შეუძლიათ გააძლიერონ სკოლისა და მასწავლებლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება. მაგრამ თემმა უნდა იცოდეს, რომ სკოლას სურს მასთან თანამშრომლობა.

ჩვენ ტექნოლოგიური სამყაროში ვცხოვრობთ. თანამედროვე სამყაროში კომუნიკაცია გამარტივებულია. გააცანით სკოლა ადამიანებს, ესაუბრეთ წარმატებულ მოსწავლეებზე და მასწავლებლებზე, ესაუბრეთ ინოვაციურ იდეებზე, მოისმინეთ მათი მოსაზრებები, გაეცანით თემის საჭიროებას, უთხარით, რომ სკოლის კარი მათთვის ღიაა.

თემის ჩართულობის ეფექტური გზა მოხალისეობაა. სკოლამ საშუალება უნდა მისცეს თემის წევრებს მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებაში. თემის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ რითი შეიძლება დაეხმარონ სკოლას. დახმარების ფორმები მრავალი შეიძლება იყოს, დაწყებული სკოლის ეზოს მოწესრიგებით, კითხვის გაკვეთილების ჩატარებით, ფილმების ერთობლივი ყურებითა და განხილვით. როდესაც სკოლა აფასებს მოხალისეობრივ შრომას, ხოლო მოხალისე ხედავს როგორ იცვლება სკოლაში სიტუაცია, ამ დროს ყალიბდება ორმხრივი პატივისცემა.

სკოლაში მთავარია ბავშვი

ოჯახის, სკოლისა და თემის თანამშრომლობისგან პიდაპირ სარგებელს იღებს ბავშვი.

როგორი რეგულაციებიც არ უნდა არსებობდეს, შეუძლებელია სკოლის იზოლირებულ დაწესებულებად განხილვა. ბავშვებს სკოლაში მიაქვთ თემში არსებული რწმენები, ცოდნა,

პრაქტიკა, მოლოდინები და ქცევები. ასევე სკოლიდან ოჯახში მოსწავლეს მიაქვს ახალი ცოდნა და იდეები.

ძლიერ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემებში ხელისუფლება სკოლებს მკაცრად აკონტროლებს, ამ დროს სკოლისა და თემის კავშირი სუსტია, სასკოლო რესურსებზე პასუხისმგებლობას მთლიანად სახელმწიფო იღებს, სკოლები მიზნად ისახავენ მიაღწიონ განათლების ეროვნულ მიზნებს, შეასრულონ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლები არიან ცენტრალური სახელისუფლებო რგოლის და არა ადგილობრივი თემის წინაშე.

არადა სკოლას აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტი სერიოზული როლი შეასრულოს, ფეხი აუწყოს სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ცვლილებებს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მოდერნიზებაში, ან ინსტიტუციის კულტურის ცვლილებაში, თემის წვლილი მინიმალურია.

დეცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემა ამცირებს ცენტრალური ხელისუფების ზედამხედველობას და ზრდის თემის აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია უფრო მეტად ანგარიშვალდებულად გრძნობენ თემის წინაშე თავს. განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის სკოლა თემს მხარდამჭერად აღიქვამს, ითვალისწინებს მის მოსაზრებებს და თავად ხდება ადგილობრივი თემის განვითარების ინიციატორი.
როდესაც სკოლის ღიაობასა და თემის ჩართულობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ კითხვებს: ვინ უნდა დაიცვას ბავშვის საგანმანათლებლო უფლება? ვის აქვს სკოლაში ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებლობა? ცენტრალიზებულ სისტემებში ამ პასუხისმგებლობას მთავრობას აკისრებენ, დეცენტრალიზებულ სისტემებში კი სკოლის განვითარების წინა ხაზზე მშობლები, ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ადგილობრივი თემის წევრები არიან. შეუძლებელია მხოლოდ სკოლამ დაიცვას ბავშვის საგანმანათლებლო უფლება, თუ ადგილობრივ თემში წახალისებულია ბავშვის შრომა, ნაადრევი ქორწინება, თუ ადგილობრივ თემში არ არის სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისა და მათი მშობლების მხარდაჭერის შესაძლებლობები.

სათემო კავშირების გაძლიერების მიზნით აუცილებელია სკოლამ განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სკოლამ უნდა შეიმუშაოს თემთან თანამშრომლობის გეგმა;
- ✓ სკოლამ რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მშობლებსა და სამეურვეო საბჭოს სკოლის მიღწევების შესახებ;
- ✓ მხარი უნდა დაუჭიროს, წაახალისოს მშობელთა ასოციაციების შექმნა, რომელიც დაეხმარება სკოლას დამატებითი შემოსავლების მოზიდვასა და სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში;
- ✓ წაახალისოს მოსწავლეები, მონაწილეობა მიიღონ სათემო აქტივობებში;
- ✓ მოიწვიოს სკოლაში სვადასხვა სახელმწიფო უწყებების და კერძო სექტორის წარმომადგენლები, მშობლები და მათთან ერთად დაგეგმოს სკოლის განვითარების გეგმა ან გააცნოს მას სკოლის სამომავლო გეგმები;
- ✓ თემისა და სკოლის ქსელები ზრდის სკოლის შესაძლებლობას დაეხმაროს იმ ბავშვს, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას ითხოვს;

სკოლისა და თემის თანამშრომლობა ახალი გამოწვევაა. ამ გზაზე წარმატების მიღწევა შესაძლებელია სკოლის ლიდერებისა და მასწავლებლების ინიციატივით, გამბედაობითა და სკოლის განვითარების უდიდესი სურვილით. ვფიქრობ, ამ თემაზე დისკუსიის გააქტიურება მნიშვნელოვანია ჩვენი სკოლების განვითარებისთვის. ამ ქვეთავში ვისაუბრებთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებაზე (Service Learning), სადაც სწავლებას აქვს როგორც აკადემიური, ასევე საზოგადოებრივი მიზნები. სწავლების ეს მიდგომა შესაძლებლობას იძლევა დაახლოვოს გაკვეთილი (აკადემიური მიზნები) კლუბურ საქმიანობასთან (საზოგადოებრივი მიზნები).

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მოდელი სკოლასა და თემის თანამშრომლობის ეფექტური ინსტრუმენტია.

სკოლაში სიტყვა პროექტი უცხო არ არის. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასკოლო სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეცვალა სასწავლო პროცესი და დღეს მასწავლებლები გაკვეთილებზე სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ, სკოლაში მუშაობს საგანმანათლებლო კლუბები. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ითანამშრომლონ საზოგადოებასთან, განივითარონ კვლევითი უნარები და სხვა.

ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა და პროექტებით სწავლებაც საუკეთესო ფორმაა. მასწავლებლები წერენ საკუთარი გამოცდილების შესახებ ბლოგებზე. მასწავლებელთა ბლოგები ბევრ საინტერესო სიახლეს სთავაზობს საზოგადოებას. ბლოგებზე აღწერილია საინტერესო სასწავლო მიდგომები, ინიციატივები, რომლებიც სხვადასხვა სათემო პრობლემის გადაჭრისკენაა მიმართული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს პრაქტიკაში არსებული სასკოლო პროექტები ძირითადად ერთი თავისებურებით გამოირჩევა: გაკვეთილებზე განხორციელებულ პროექტს აქვს აკადემიური მიზნები, ხოლო სასკოლო კლუბებში განხორციელებულ პროექტს - საზოგადოებრივი მიზნები.

რა არის საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ექსპერიმენტული განათლების ფორმაა. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება საგნის აკადემიურ შინაარსს აკავშირებს საზოგადოებრივ საქმიანობასთან. განათლების ეს ფორმა ამავე დროს გულისხმობს შეძენილი გამოცდილების ანალიზსა და გააზრებას.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების პედაგოგიკა დაფუძნებულია რწმენაზე, რომ ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეს შეუძლია იყოს წარმატებული.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დანერგვა შეიძლება ყველა საგნის სწავლებისას. ცხადია, საგანთა ინტეგრირების გარეშე გართულდება ამ მიდგომის დანერგვა. მაგალითად:

მათემატიკაში სტატისტიკის სწავლებისას შეიძლება შეფასდეს ადგილობრივი თემის ეკონომიკური შემოსავლები. ბუნებისდაცვითი პროექტის განხორციელებისას კი დაიგეგმოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო საქმიანობების ბიუჯეტი. ეს საკითხები მოიცავს როგორც აკადემიურ მიზნებს (სტატისტიკა, ეკოლოგია), ასევე საზოგადოებრივ მიზნებს (ადგილობრივ თემში არსებული ეკოლოგიური პრობლემები, ადგილობრივ თემში არსებული დასაქმების შესაძლებლობები და მოსახლეობის შემოსავლები).

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მოდელი

ელი ვისელი (Eli Wiesel) გვთავაზობს საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების ოთხსაფეხურიან მოდელს (Wiesel, 2008). მის მიერ შემოთავაზებული მოდელი მოიცავს პროცესს ცოდნის/ინფორმაციის შეძენიდან სოციალურ ცვლილებამდე.

<u>საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის შედეგი არის სოციალური ცვლილება</u>.

გთავაზობთ თითოეული საფეხურის მოკლე აღწერას.

პირველი საფეხური - ინფორმაციის გაცნობა

სანამ საქმიანობას დაიწყებენ, მოსწავლეები კარგად უნდა მოემზადონ. მათ უნდა ესმოდეთ პროექტის მიზანი, საქმიანობის ფორმები. უნდა შეისწავლონ საკითხი დამოუკიდებლად, ან მასწავლებლის დახმარებით.

მეორე საფეხური - ახალი ცოდნის შექმნა

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას, შემდეგი ეტაპი ამ ინფორმაციის კონტექსტზე მორგებაა. ამ დროს მოსწავლეები ცოდნას რეალურ სამყაროსთან აკავშირებენ, ცოდნა უნდა მოარგონ არსებულ კონტექსტს. შეაფასონ სკოლასა და თემში არსებული მასშტაბები და პრევენციული ღონისძიებები. დაწერონ მოკლე ანგარიში მათ მიერ მოკვლულ საკითხზე. ცოდნის რეალურ სამყაროსთან დაკავშირებით მოსწავლეები უკეთ გაიგებენ სოციალურ კონტექსტს. ეს საფეხური საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების საკვანძო საფეხურია.

ამ დროს მოსწავლე ახდენს ნასწავლი საკითხის ინტეგრირებას გამოცდილებასთან, იაზრებს ცოდნის მნიშვნელობას და მისი გავლენის შესაძლებლობებსა და სავარაუდო შედეგებს.

მესამე საფეხური - ცოდნის გამოყენება

მოსწავლეები იყენებენ ცოდნას. განათლების მიზანი ცოდნის აქტიური გამოყენებაა (პერკინსი, 1992). სკოლაში შეძენილი ცოდნა მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ცხოვრებაში. ამ უნარის განვითარებისთვის მათ უნდა შეასრულონ ბუნებისმეტყველების, ინჟინრების, დიზაინერების, ექიმების, მსახიობების, მუსიკოსების, ამომრჩევლების, მოსამართლეების, სოციალური აქტივისტების როლები. ბავშვებმა უნდა გაიაზრონ რა ისწავლეს.

საზოგადოებრივი სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ხელს უწყობს ცოდნის გამოყენების პროცესს. ეს მახასიათებლებია:

პირველი: მოსწავლეები არიან ველზე (თანამშრომლობენ თემთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სათემო ჯგუფებთან), იყენებენ მიღებულ ცოდნას და ივითარებენ უნარებს.

მეორე: მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ვიზიტისთვის. ისინი სწავლობენ შეკითხვების დასმას, კომუნიკაციას.

მესამე: მოსწავლეებს აქვთ ცოდნის გამოყენების მრავალფეროვანი შესაძლებლობები, ხდება საველე სამუშაოს ანალიზი, შეფასება როგორც მასწავლებლის, ასევე თანაკლასელების მხრიდან.

მეოთხე საფეხური - სოციალური ცვლილება

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების შედეგი სოციალური ცვლილებაა. ამ დროს იცვლება მოსწავლის ხედვა სოციალური საკითხების მიმართ, იზრდება მათი მოტივაცია გახდნენ უფრო აქტიურები და სხვა ადამიანების კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ცვლილება მნიშვნელოვანი მოტივატორია, მოსწავლეებს კი საკუთარი თვალით შეუძლიათ დაინახონ ცვლილებები.

ცხრილში გთავაზობთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების თითოეული საფეხურის მახასიათებლებსა და მაგალითებს.



N	მახასიათებლები	მაგალითები
ინფორმაციის გაცნობა	მოსწავლეები სწავლობენ მასალას	მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის კონცენფციებს, აფასებენ საქმიანობისთვის საჭირო უნარებს, სწავლობენ დაგეგმვას, არჩევენ შესაბამის საქმიანობებს. მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს (იყენებს, როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას). ეს პროცესი შეიძლება გაკვეთილზე მიმდინარეობდეს,

		თუ საქმიანობის დროს განსაზღვრულია აკადემიური მიზანი. ხოლო თუ საქმიანობას მხოლოდ სათემო მიზანი აქვს, მაშინ სასურველია გაკვეთილების დასრულების შემდეგ განხორციელდეს.
	მოსწავლეები ეცნობიან იმ გარემოს (სკოლას, ორგანიზაციებს, სათემო ჯგუფებს, თემის ლიდერებს), სადაც მოუწევთ საქმიანობა და/ან თანამშრომლობა	მოსწავლეები ეცნობიან სასკოლო რესურსებს, კომპიუტერების გამოყენების შესაძლებლობებს, თემის გაცნობის მიზნით ატარებენ ინტერვიუებს. (ინტერვიუ შეიძლება ჩაატარონ როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ.
ახალი ცოდნის შექმნა	ცოდნის ინტეგრირება გამოცდილებასთან	მოსწავლეები ინტერვიუებითა და დაკვირვებით მოგროვებულ ინფორმაციას წარუდგენენ კლასს. მცირე ჯგუფებში ხდება მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი.
	საქმიანობისა და შექმნილი პროდუქტების, მოგროვებული მონაცემების ანალიზი, შეფასება	მოსწავლეები ხვდებიან სათემო ჯგუფებს, ორგანიზაციის წარმომადგენლებს. პირველი ვიზიტის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებენ თანაკლასელებს და მასწავლებელს. იხილავენ მოგროვებულ მონაცემებსა და ფაქტებს/შემთხვევებს.
ცოდნის გამოყენება	შექმნილი პროდუქტების, მოგროვებული მონაცემების გაზიარება პარტნიორ ორგანიზაციებთან, სათემო ჯგუფებთან და სხვ.	მასწავლებელმა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება მას სთხოვოს მონაცემების ინტერპრეტირება, მისი ვიზუალიზაცია, გავრცელება ინტერნეტში ან თემის წევრებს შორის.
	საჭირო უნარების განვითარება	მოსწავლეები მოგროვილ მასალებს წარმოადგენენ ცხრილების სახით, იყენებენ ონლაინ და ბეჭდურ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ სურათებს, ქმნიან ტექსტებს.

	ორგანიზაციაში, სათემო ჯგუფებთან რამდენიმე ვიზიტი და/ან შეხვედრა	მოსწავლეები ვიზიტებში ხარჯავენ არაუმეტეს 12-15 საათსა მთელი პროექტის განმავლობაში. ორგანიზაციებთან და სათემო ჯგუფებთან შეხვედრებისთვის საჭირო დროის წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია. ამ დროს უნდა გაითვალისწინოთ მოსწავლეების საგაკვეთილო დატვირთვა, მათი ასაკი, პროექტში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა.
სოციალური ცვლილება	ველზე საქმიანობის შედეგად შეძენილი გამოცდილების რეფლექსია და ანალიზი	მოსწავლეები აწარმოებენ ჩანაწერებს საველე სამუშაოების შესახებ, აღწერენ ღონისძიებებს, საქმიანობებს და განიხილავენ კლასელებთან ერთად.
	საქმიანობის შედეგად გამოწვეული ცვლილებების შეფასება	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ ცვლილებებზე, აფასებენ მიღწეულ შედეგებს, საქმიანობის დაწყებამდე არსებულ ინფორმაციას ადარებენ საქმიანობის დასრულების შემდეგ მიღებულ ინფორმაციასთან.
	თანამშრომლობა სხვადასხვა ჯგუფებთან სკოლასა და თემში	განსაზღვრეთ საათების რაოდენობა, რასაც დაუთმობთ ამ პროექტის განხორციელებას, გაითვალისწინეთ თქვენი დატვირთვა სკოლაში. მაგალითად, თუ თქვენი პროექტი გრძელდება 5 კვირის განმავლობაში, შეიძლება ამ საქმიანობას დაუთმოთ 10-12 საათი. ასევე გაითვალისწინეთ მოსწავლეების კვირეული დატვირთვაც და რეალისტურად დაგეგმეთ თემთან თანამშრომლობისთვის საჭირო დრო.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მეთოდები

როგორ განვახორციელოთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება პრაქტიკაში? არსეობობს მრავალი მიდგომა, გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (დაწვრილებით იხ. გვ. ???)

სკოლის წარმომადგენლები თემში კონსულტანტებად მუშაობენ. თემის წევრებთან ერთად გაიაზრებენ თემის კონკრეტულ პრობლემასა თუ საჭიროებას. ამ მოდელის მიხედვით მოსწავლეები ივითარებენ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარს. მაგალითად, საბუნებისმეტყველო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა შეიძლება შექმნან თემში პატარა პარკის დიზაინი, სამოქალაქო კლუბის წევრებმა დასახონ ბავშვთა შრომის შემცირების სტრატეგიები და სხვა.

კვლევითი პროექტები (დაწვრილებით იხ. გვ ???)

რომელიმე საგნის ფარგლებში, საშუალო საფეხურის ბოლო წელს, რომელიმე საკითხის შერჩევა და გამოკვლევა. კვლევის პროცესში მოსწავლეები აგროვებენ მონაცემებს, ახდენენ მონაცემების ორგანიზებას, წერენ ანგარიშს და ამზადენენ პრეზენტაციას. კვლევითი პროექტების დროს შეიძლება შეიქმნას ფოტო რეპორტაჟი, ფილმი. შედეგების პრეზენტაცია სკოლის წარმომადგენლებისთვის და თემის წევრებისთვის ეწყობა.

სტაჟირების მოდელი

მოსწავლეებისთვის სტაჟირების მოდელი ამგვარია: მოსწავლეს ეძლევა დავალება, იმუშაოს თემში კვირაში რამდენიმე საათი. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხდება საქმიანობის გააზრება და იმ გამოწვევების კრიტიკული ანალიზი, რაც მას სამუშაო ადგილას ხვდება. ამ მიდგომით სარგებელს იღებს როგორც მოსწავლე, ასევე თემი. (მაგალითად: მოსწავლე კვირაში 2 საათი მუშაობს დასასვენებელ პარკში და აწესრიგებს უწევს მცირეწლოვანთა სათამაშო ადგილებს)

სამოქმედო კვლევის მოდელი სამოქმედო კვლევა არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას განვითარებაში. სამოქმედო კვლევა შეიძლება ჩაატაროს კლასმა ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფმა. მოსწავლეები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან, რათა სწორად შემუშავდეს სამოქმედო კვლევის მეთოდოლოგია, ამ მიდგომით მოსწავლეებს განუვითარდებათ დროის მართვისა და თემთან თანამშრომლობის უნარები.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება საუკეთესო შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, მათი აკადემიური უნარები, სკოლისა და თემის თანამშრომლობის არსებული წესები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს პროექტი, რომელიც შეიძლება ერთჯერადი იყოს, ან გრძელდებოდეს რამდენიმე სასწავლო წლის განმავლობაში.

საქართველოს სკოლებში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბებ - მაგალითად, მოქალაქეობრივი გაანათლების კლუბები, რომლებიც მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ემსახურება; ეკოკლუბები, რომლებიც სხვადასხვა პროექტების საშუალებით ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას ცდილობენ და სხვა.

როგორ დავგეგმოთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას აქვს როგორც აკადემიური, ასევე საზოგადოებრივი მიზნები. სანამ პროექტის შემუშავებას დაიწყებთ, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ მიზნები.

ზოგიერთი პროექტს შეიძლება ჰქონდეს მაღალი აკადემიური მიზნები ან პირიქით. მთავარია პროექტი ორივე მიზანს შეიცავდეს.

მაგალითად: მოსწავლეებმა შეიძლება შეისწავლონ სოფლის წყალსაცავი ეკოლოგიური მდგომარეობა (მაღალი სასწავლო მიზანი), მაგრამ მათ არ გაითვალისწინონ წყალსაცავის დაბინძურების შემცირების გზების შემუშავება (საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დაბალი მიზნები). შეიძლება ზოგიერთ პროექტს ჰქონდეს საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მაღალი მიზნები და არ ჰქონდეს აკადემიური კომპონენტი (მაგალითად, სკოლის მიმდებარე ტერიტორია გადატვირთულია ტრანსპორტით. მოსწავლეები ითხოვენ სკოლის წინ ზებრა-გადასასვლელის გაკეთებას). როდესაც პროექტში გათვალისწინებულია აკადმიური (ესგ-ს მოთხოვნების მიხედვით) და საზოგადოებრივი მიზნები (თემში არსებული პრობლემის გადაჭრა) ხდება საგაკვეთილო და საკლუბო საქმიანობების გაერთიანება.

საზოგადოებრივი მიზნების ფორმულირებისას მნიშვნელოვანია ადგილობრივ თემში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის რეალისტურობა სკოლასა და თემში არსებული რესურსებით. პროექტის საზოგადოებრივ მიზანში უნდა აისახოს ის ცვლილება, რაც პროექტის განხორციელებას მოყვება, მაგალითად:

პროექტის განხორციელების შედეგად შეიცვლება გარემო (დაასახელეთ რის შეცვლას გეგმავთ) რის შედეგადაც გაუმჯობესდება (დაასახელეთ ცვლილება რას გააუმჯობესებს).

როგორც ვიცით, აკადემიური მიზნების ფორმულირებისას მთავარი სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმაა, რომელშიც ხაზგასმული კომპეტენციები წარმატებით ვითარდება საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დროს. მოსწავლეები ახდნენ საჭირო რესურსების

იდენტიფიცირებას, ორგანიზებას, დაგეგმვასა და განაწილებას. მოსწავლეები ერთად მუშაობენ, თანამშრომლობენ საზოგადოების/თემის წევრებთან. ამ დროს უვითარდებათ ინტერპერსონალური უნარები. მოსწავლეები პროექტის განხორციელების პროცესში აგროვებენ ინფორმაციას, აფასებენ მის სანდოობას და იყენებენ პროექტის მიზნებიდან გამომდინარე. ინფორმაციის მოძიების დროს აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს, ახდენენ მონაცემების ინტერპრეტირებას, ისინი სწავლობენ ტექნოლოგიების გამოყენებას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დროს წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი (საბაზისო უნარები) ვითარდება, მოსწავლეები შემოქმედებითად უდგებიან საკითხის გადაწყვეტას, ადგენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ჭრიან პრობლემებს, ახდენენ მონაცემების ვიზუალიზაციას.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი კომპეტენციები:

1. რესურსები: იდენტიფიცირება, ორგანიზება, დაგეგმვა;
2. ინტერპერსონალური: სხვებთან ერთად მუშაობა;
3. ინფორმაციული: ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება;
4. ტექნოლოგიური: სხვადასხვა ტექნოლოგიებთან მუშაობა.

მოსწავლეებს ასევე უვითარდებათ უნარები:

1. საბაზისო უნარები: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი;
2. სააზროვნო უნარები: შემოქმედებითობა, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ვიზუალიზაცია, სწავლის სწავლა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდების დამყარება;

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც შესაძლებელია კომპეტენციებს, უნარებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის კავშირების დადგენა. ცხრილი დაგეხმარებათ შეაფასოთ მოსწავლის პროგრესი.

კომპეტენცია	მიზნები	შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
1. რესურსები: იდენტიფიცირება, ორგანიზება, დაგეგმვა, გადანაწილება;	1.1 1.2 1.3	
2. ინტერპერსონალუ	2.1	

რი: სხვებთან ერთად მუშაობა;	2.2 2.3	
3. ინფორმაციული: ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება;	3.1 3.2 3.3	
4. ტექნოლოგიური: სხვადასხვა ტექნოლოგიებთან მუშაობა.	4.1 4.2 4.3	

უნარები	მიზნები	შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
5. საბაზისო უნარები: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი;	5.1 5.2 5.3	
6. სააზროვნო უნარები: შემოქმედებითობა, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ვიზუალიზაცია, სწავლის სწავლა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდების დამყარება;	6.1 6.2 6.3	
7. პიროვნული თვისებები: პასუხისმგებლობა, თვით აღიარება, სოციალურობა, თვითმენეჯმენტი, პატიოსნება.	7.1 7.2 7.3	

გთავაზობთ რამდენიმე საკითხს, რომელიც საზოგადოებრივი სწავლების მიზნით განსახორციელებელი პროექტის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოთ:

პარტნიორის შერჩევა

სათემო პარტნიორის შერჩევა გადამწყვეტია წარმატებისთვის. ამისთვის მნიშვნელოვანია იცოდეთ პარტნიორის გამოცდილება, მისი მიზნები. გაარკვიეთ სავარაუდო პარტნიორის:

- სკოლასთან თანამშრომლობის გამოცდილება;

- ავტორიტეტი საზოგადოებაში;

- თანამშრომლობისთვის მზაობა;

- დამოკიდებულება პროექტში დასმული პრობლემის მიმართ;

- სკოლაში მოსვლის, ან ორგანიზაციაში მოსწავლეებთან შეხვედრის შესაძლებლობა;

- რესურსები და დახმარების შესაძლებლობა;მგრძნობელობა ინტერკლუუტურული საკითხებისა და მრავალფეროვნების მიმართ.

ლოგისტიკა

ეფექტური განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია საქმიანობების ლოჯისტიკა, მაგალითად:

- *ტრანსპორტირება - მძღოლისა და მანქანის დაქირავებისას მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით მძღოლის მართვის მოწმობის ასლი, მისი გამოცდილება;*
- *შეხვედრის ორგანიზებისას საჭირო მასალების წინასწარ მომზადება;*
- *შეხვედრის ოთახის მოწესრიგება - კომპიუტერისა და პროექტორის შემოწმება/გამართვა.*

მედია

საზოგადოების ინფორმირება პროექტის მიმდინარეობის შესახებ შეიძლება საჭირო იყოს. შეიმუშავეთ პროექტის გაშუქების სტრატეგია, რომელი აქტივობის გაშუქება იქნება ეფექტური. ადგილობრივი მედია მოიწვიეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე. გააზიარეთ ინფორმაცია სკოლის ვებ-გვერდზე. არ დაგავიწყდეთ სოციალური მედია. მაგალითად: ფეისბუქის ჯგუფი ,,ბავშვზე ორიენტირებული სკოლა“, რომელსაც ადმინისტრირებას სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი უწევს, ინფორმაციის გაზიარების ეფექტური საშუალებაა. ამ ჯგუფში 18 000-ზე მეტი წევრია გაერთიანებული.

მედიასთან ურთიერთობის დროს გაითვალისწინეთ:

-როგორ დაუკავშირდებით მედიას (გაუგზავნით პრეს-რელიზს თუ მათთან პირადი ნაცნობობა გაქვთ და დაურეკავთ);

პროექტის მიმდინარეობის რომელ ეტაპზეა საჭირო მედიის ჩართვა.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება განსხვავდება სწავლების ტრადიციული ფორმისგან. ამ დროს სწავლება მიმდინარეობს, როგორც საკლასო ოთახში ასევე სკოლის გარეთ, ამიტომ პროექტში მონაწილეთა როლების განსაზღვრა მნიშვნელოვანია.

-ვის აქვს ექსპერტის როლი მასწავლებელს, მოსწავლეს თუ თემის წევრს;

-ვინ არის პასუხისმგებელი საზოგადოებასთან ურთიერთობაზე;

-და სხვ.

სარეკომენდაციოდ გთავაზობთ როლების განაწილების ნიმუშს.

მონაწილე	როლი
მოსწავლე	– მონაწილეობს პროექტის დაგეგმვაში; – ითვალისწინებს რისკებს; – თანამშრომლობს პროექტის სამუშაო ჯგუფისა და თემის წევრებთან; – მუშაობს ჯგუფთან ერთად და დამოუკიდებლად.
მასწავლებელი	– საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე ასრულებს ფასილიტატორის, ლიდერის, მენტორის როლს; – პასუხისმგებელია მოსწავლეების უსაფრთხოებაზე; – პასუხისმგებელია საზოგადაოებასთან ურთიერთობაზე; – ასრულებს ექსპერტის როლს თემში
სათემო პარტნიორი	– ასრულებს მასწავლებლის, ხელმძღვანელისა და მენტორის როლს; – ასევე ფლობს პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.
მოხალისე	– დამატებით მხარდაჭერას უწევს პროექტს; – ასრულებს ფასილიტატორისა და მენტორის როლს; ფლობს პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

ვადები

თითოეული საქმიანობისა და პროექტის ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინეთ პროექტში ჩართული მასწავლებლებისა და პარტნიორების სამუშაო დატვირთვა, ასევე მოსწავლეების საგაკვეთილო ცხრილი და საშინაო დავალებების მომზადებისთვის საჭირო დრო.

ხელმძღვანელობა

მოსწავლეებმა საქმიანობები შეიძლება დამოუკიდებლად განახორციელონ ან დასჭირდეთ ხელმძღვანელობა. სკოლაში საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებისას სასურველია მასწავლებლის ხელმძღვანელობა. პროექტის დაგეგმვისას განსაზღვრეთ საქმიანობაში თქვენი ჩართულობის ხარისხი.

ტრენინგი/სწავლება

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებისას შეიძლება საჭირო იყოს ტრენინგის ჩატარება. პროექტის დაგეგმვისას განსაზღვრეთ:

- *ტრენინგის თემა;*
- *მიზნობრივი ჯგუფი;*
- *ვინ ჩაატარებს ტრენინგს;*
- *ტრენინგ-პროგრამის მომზადებისთვის საჭირო დრო.*

ტრენინგი მონაწილეებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზრონ საკითხი, გაერკვნენ თემისა თუ სკოლის საჭიროებებში.

ტრენინგის დაგეგმვისას აუცილებელია იცოდეთ მონაწილეთა საჭიროებები. გთავაზობთ

მიზნობრივი ჯგუფი	საჭიროებები
მოსწავლეები	– ეფექტური კომუნიკაცია; – პრობლემის გადაჭრა; – კონკრეტული საკითხის ცოდნა; – თანამშრომლობა; – ადგილობრივი თემის მრავალფეროვნების გააზრება; – უსაფრთხოება; – თემის წევრთა მოლოდინების ცოდნა; – ფილოსოფია და მეთოდოლოგია (მაგ: მულტიკულტურალიზმის, ინტერკულტურული ურთიერთობების, გამჭვირვალობის და ა.შ.).

ტრენინგის თემების ჩამონათვალს (თქვენ შეიძლება სხვა ტრენინგის ჩატარება დაგჭირდეთ).

თემის წევრები	– მოსწავლეთა მოლოდინებისა და საზოგადოებრივი საქმიანობებით სწავლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; – შეფასების სტრატეგიების შესახებ ინფორმაცია; – მოსწავლეებთან თანამშრომლობა; – მენტორობა; – ფილოსოფია და მეთოდოლოგია (მაგ: მულტიკულტურალიზმის, ინტერკულტურული ურთიერთობების, გამჭვირვალობის და ა.შ.).

ტრენინგი დაგეგმეთ პროექტის თემატიკიდან გამომდინარე . ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს სკოლაში, ან სხვა სივრცეში (მაგალითად: დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისი და სხვა).

პრეზენტაცია

მნიშვნელოვანია რომ ჩატარებული საქმიანობების/პროექტის შედეგები მოსწავლეებმა წარუდგინონ სკოლის წარმომადგენლებსა და თემის წევრებს, მათთან ერთად განიხილონ მიღწეული შედეგები.

- წარდგინების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეთ ორი კვირით ადრე;

მოამზადეთ მოსაწვევები და პრესრელიზები და გაუგზავნეთ სტუმრებს (მშობლებს, სათემო პარტნიორს, სხვა კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ადგილობრივ მედიას, ადგილობრივ ხელისუფლებას, ბიზნეს ლიდერებს და სხვ)

პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ:

- საზოგადოებას წარუდგინეთ ,,პროდუქტი“;
- იმსჯელეთ მათთა სამომავლო პროექტების შესაძლებლობებზე.

მოლოდინები

მნიშვნელოვანია, თემის წევრებისა და მოსწავლეების მოლოდინების გათვალისწინება, მათთან ერთად მოსალოდნელი ცვლილების განხილვა.

კურსის შინაარსი

შესაძლოა საჭირო გახდეს კურსის შემუშავება, რომელიც შეიცავს სატრენინგო თემას, თემში მცირე კვლევის ჩატარებას, სხვა კვლევების შესახებ ინფორმაციას. თუ კურსის მომზადება გახდა საჭირო, მომზადებული მასალები შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში გამოგადგეთ.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება შესაძლებლობას მოგცემთ დაინახოთ არსებული სახელმწიფო კურიკულუმის ალტერნატიული კონტექსტი. შეუძლებელია ზუსტი რეცეპტის მოცემა, რადგან ყველა პროექტი უნიკალურია. მოსწავლეები ასეთ პროექტებში მონაწილეობით იღებენ მდიდარ სასწავლო გამოცდილებას. ისინი მონაწილეობენ ისეთ საქმიანობებში, რომლებიც ასტიმულირებენ ცოდნის შეძენასა და გამოყენებას; მაღალი დონის სააზროვნო უნარების სტიმულირებასა და ცოდნის კონსტრუირებას, ინფორმაციის სანდოობის შეფასებას.

მოსწავლის შეფასება

მოსწავლეთა შეფასება საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სათემო აქტივობების შეფასებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს როგორც საზოგადოებრივი, ასევე აკადემიური მიზნები. გთავაზობთ მოსწავლის შეფასებას სამ დონეზე:

ცოდნა;

საზოგადოებრივი საქმიანობა;

გამოცდილება.

შეფასება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასება, კერძოდ - გამოხმაურება. ეს საშუალებას მოგცემთ მომავალი პროექტები უკეთ განახორციელოთ.

1.მოსწავლის ცოდნის შეფასება

მოსწავლის ცოდნა შეაფასეთ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შეიძლება გამოიყენოთ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

არსებობს პროექტის წარმატების შეფასების რამდენიმე გზა. გამოიყენეთ რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეებს შეაფასებენ პროექტის მიზნებიდან და გამოცანებიდან გამომდინარე. რუბრიკებით შეიძლება შეფასდეს პროექტის თითოეული მონაწილე. სარეკომენდაციოდ გთავაზობთ შეფასების ოთხქულიან სისტემას:

4 - გამორჩეული; 3 - ძალიან კარგი; 2 - დამაკმაყოფილებელი; 1 - სჭირდება გაუმჯობესება.

ცოდნის შეფასებისას რუბრიკებში ასახეთ, როგორ მოხდა თითოეული სასწავლო მიზნის მიღწევა:

მიზანი	4	3	2	1	კომენტარი
1.1					
1.2					
1.3					

მასწავლებელმა შეიძლება შეაფასოს მოსწავლის ან მოსწავლეების ჯგუფის მიერ მომზადებული:

–პრეზენტაცია;

- ესეი;

- ფოტოები, ვიდეოები, ბლოგები და სხვა;

- დიაგრამა, რომელიც აჩვენებს იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზას (მაინდ მეფი, პოსტერი)

- მცირე კვლევის ანგარიში;

2.საზოგადოებრივი სწავლების შედეგების შეფასება

საზოგადოებრივი სწავლების შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატების შესახებ ინფორმაცია სათემო პარტნიორისგან მოაგროვოთ. შეიძლება მას ჰკითხოთ:

–როგორ იყო მოსწავლის ჩართულობა, მზაობა, მოტივაცია;

–რა საქმიანობას ასრულებდა მოსწავლე კარგად.

გაუზიარეთ მოსწავლეებს საზოგადოებრივი ჩართულობის შეფასების შედეგები.

3. მოსწავლის გამოცდილების შეფასება

მოაგროვეთ ინფორმაცია პროექტის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულების შესახებ. მოსწავლეებს დაუსვით კითხვები:

- რა ისწავლეს?

- რა წვლილი შეიტანეს თემში?

- რას ფიქრობენ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების შესახებ?

- სხვა პროექტების იდეა ხომ არ აქვთ?

- როგორ აფასებენ სათემო პარტნიორს და მის ჩართულობას?

რა პოზიტიუტი ცვლილებები მოაქვს საზოგადოებრივი საქმიანობებით სწავლებას?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ნასწავლი საკითხი მოარგონ ადგილობრივ კონტექსტს, გამოიყენონ ცოდნა და განივითაროონ სათემო ჩართულობის უნარები. ვანდერბიტის უნივერსიტეტის პროფესორი შარონ შილდსის (Sharon Shields) მოსაზრებით ასეთ სწავლებას დადებითი გავლენა აქვს სკოლაზე, მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, ასევე თემსა და პარტნიორ ორგანიზაციებზე.

რა პოზიტიურ შედეგებზე საუბრობენ მკვლევარები?

მოსწავლე:

- უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები;
- მოსწავლეებს უვითარდებათ ცოდნის გამოყენების უნარი;
- მოსწავლეებს უვითარდებათ პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარი;
- მოსწავლეები უკეთ იგებენ კომპლექსურ საკითხებს;
- პროფესიულ საზოგადოებასთან და თემის წევრებთან კავშირების დამყარება მოსწავლეს ეხმარება მომავალი პროფესიის შერჩევაში.

სკოლა:

- უკეთ გააზრებული კურიკულუმი;
- გაუმჯობესებული სკოლის იმიჯი;
- გაძლიერებული სათემო კავშირები.
- კმაყოფილება მოსწავლეთა უკეთესი შედეგების მიმართ;
- სკოლის ცხოვრების გახალისება, ახალი თემები სტატიებისა და კვლევისთვის;
- სხვა ორგანიზაციებთან ქსელური საქმიანობის შესაძლებლობა.
- უკეთესი თანამშრომლობა მასწავლებლებთან;
- სკოლაში სწავლის მიმართ გაზრდილი კმაყოფილება.

სოციალური შედეგები:

- მოსწავლეები აცნობიერებენ სკოლასა და თემში არსებულ სტერეოტიპებს;
- უმჯობესდება ინტერ-კულტურული ურთიერთობა;
- უმჯობესდება სამოქალაქო ცნობიერება;
-

- გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრება და ლიდერობის უნარები ზრდის ოქალაქის წარმატებისა და ეფექტური საქმიანობის შესაძლებლობებს.

თემი

- ძლიერდება სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლობა;

- მეტი ადამიანი ერთვება თემისა და სკოლის საჭიროების მოგვარების პროცესში;

- მყარდება ორმხრივი თანამშრომლობა - რესურსების გაზიარება თემის მხრიდან სკოლისთვის, და სკოლის მხრიდან თემისთვის;

- სკოლა ერთვება თემის პრობლემების მოგვარების საქმეში;

- თემი ერთვება სკოლის პრობლემების მოგვარების საქმეში.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების ინტეგრირება სასწავლო კურსებში გულისხმობს, რომ დაგეგმილ აქტივობას აქვს როგორც სასწავლო, ასევე სათემო მიზნები. ამგვარი აქტივობები შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პროექტების სახით. პროექტებს უნდა ჰყავდეს პარტნიორები, კერძოდ არასამთავრობო ან სამთავრობო სააგენტოები, სათემო ჯგუფები და სხვა.

1. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების სირთულეები

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას სირთულეებიც ახლავს. მაგალითად:

–ხშირად სკოლისა და თემის მოლოდინი მიღწეულ შედეგებზე მაღალია, რაც ამ მიდგომის სკოლაში დანერგვის რისკს წარმოადგენს. გახსოვდეთ, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება პროცესია და არა ერთჯერადი აქცია. ბოლომდე მიუღწეველი შედეგი შეიძლება ახალ გამოწვევად იქცეს და ახალი პროექტის შექმნის საფუძველი გახდეს.

–შეიძლება მოსწავლეს არ სურდეს მონაწილეობა მიიღოს საველე სამუშაოში. პროექტის სამუშაო ჯგუფის შერჩევისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ ეს რისკი. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათი საქმიანობები შეფასდება, წარმატების შემთხვევაში თავად დაინახავენ ცვლილებებს. შეარჩიეთ მოტივირებული მოსწავლეები.

–ზოგჯერ რთულია საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების ინსტიტუციური მხარდაჭერის მიღება სკოლის მხრიდან, საქმიანობა საჭიროებს დაფინანსებას, რომელიც მცირებიუჯეტიან სკოლას შეიძლება არ ჰქონდეს.

–შეიძლება არსებობდეს სკოლის მხრიდან სკეპტიკური დამოკიდებულება, რადგან საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ტრადიციული სწავლების მეთოდისგან განსხვავდება. სკოლის ადმინისტრაციამ შეიძლება ვერ დაინახოს კავშირი საველე

სამუშაოებსა და გაკვეთილზე მისაღწევ შედეგებს შორის. გააცანით კოლეგებს კათედრასა და პედაგოგთა საერთო კრებაზე საზოგადოებრივი სწავლების მეთოდი, იმუშავეთ კოლეგებთან ერთად. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ხომ საგანთა ინტეგრაციას უწყობს ხელს.

შემაჯამებელი დავალება

ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში შექმენით ერთი კონკრეტული სასწავლო პროდუქტი (გაკვეთილის გეგმა, სასწავლო პროექტის გეგმა, სასწავლო რესურსი, კლასგარეშე ან სკოლისგარეშე აქტივობის გეგმა). დაასაბუთეთ, რომ შექმნილი სასწავლო პროდუქტის პრაქტიკაში გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების“ დანერგვას/განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მასწავლებლის წიგნი - ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2016**

2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა** (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
3. Reich, K. (Hg.). 2008. Methodenpool. In: URL: http://methodenpool.uni-koeln.de
4. Frey Karl. 2007. Die Projektmethode. “Der Weg zum bildenden Tun”, Beltz Verlag, Weinheim und Basel.
5. Besio Cristina (2009). Forschungsprojekte. Zum Organisationswandel in der Wissenschaft. Transcript, Bielefeld

http://mastsavlebeli.ge/?p=2277 - სასწავლო პროექტებზე მუშაობის სქემები, სოფიკო ლობჟანიძე

http://mastsavlebeli.ge/?p=2541 - როლური თამაში, თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი სოფიკო ლობჟანიძე

http://mastsavlebeli.ge/?p=2448 - სწავლების ინტერაქტიური მეთოდები - შემთხვევის ანალიზი, სოფიკო ლობჟანიძე

http://mastsavlebeli.ge/?p=288 - როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი, სოფიკო ლობჟანიძე

6. Gugel Guenter. 2007. 1000 neue Methoden. Praxismaterial fuer kreativen und aktivierenden Unterricht, Beltz Verlag, Weinheim und Basel.
7. *Kaiser (Hrsg.): Die Fallstudie. Theorie und Praxis der Fallstudiendidaktik (Forschen und Lernen, Bd. 6) Bad Heilbrunn 1983*
8. *Hoffmann, B.; Langefeld, U.: Methoden-Mix, 1998*

Cathryn Berger Kaye M.A The Complete Guide to Service Learning: Proven, Practical Ways to Engage Students in Civic Responsibility, Academic Curriculum, & Social Action Second Edition, Revised, Book with Digital Content Edition;

Melody Bowdon; J. Blake Scott, Service-Learning in Technical and Professional Communication, 2003

Edmund Tsang. Projects That Matter: Concepts and Models for Service-Learning in Engineering. Stylus, May 2000.